Two universities from Hungary and the Czech Republic were ranked by THE with around 50% of the intellectual capital of the top three universities from the USA and the UK. The Polish universities and the second-ranked university from the Czech Republic and Hungary already account for around 40% of the intellectual capital of the top-ranked universities (Figure 1 and Table 2). In contrast, the universities from Slovakia and the top-ranked university from Georgia account for a quarter of the intellectual potential of the leading universities. The two universities from Armenia and Azerbaijan were assessed as having less than half the potential of the universities from Poland and the second ranked Czech university. This represents one-sixth of the intellectual capital of the leading universities. The overall results are mainly influenced by the quality of research and the research environment. Both criteria account for almost 60% of the evaluation and intellectual capital of the universities. The analysis of the THE ranking results shows that the good positions of the Hungarian (Semmelweis University) and Czech (Charles University) universities and the relatively high position of the Georgian academic centre are the result of a good assessment of research quality (Figure 3). However, the best Georgian university performed poorly in the research environment rating. It is worth noting that research quality is influenced by the environment. On the other hand, improving the research environment can lead to a significant improvement in research performance (Figure 3).


It can be assumed that the intellectual capital of the best Georgian university can be built up most easily by improving the university environment and the level of teaching (Figure 2). In comparison with all the Caucasian higher education institutions in the study, the Georgian Technical University does relatively well in the area of teaching. It is on a par with, or even better than, the European universities assessed in the benchmarking analysis. All universities from the Caucasus and Europe were best assessed through the prism of international outlook. This criterion assesses the university's openness to foreign staff and students, as well as international cooperation in the publication of scientific articles.

Tab. 2 . The results of a comparative analysis of the best universities in Central-Eastern Europe, the Caucasus and the leaders of THE ranking

	Overall	Teaching	Research Environment	Research Quality	Industry	International Outlook
University of Oxford UK	98,5	96,6	100	99	98,7	97,5
Stanford University US	98	99	97,8	99,6	100	87
Massachusetts Institute of Technology US	97,9	98,6	96,2	99,7	100	93,8
Semmelweis University Hungary HU	54,45	45,2	27,8	76,9	66,4	79,9
Charles University Czech Republic CZ	47,2	38,8	33,1	61,9	60,1	64,7
University of Debrecen HU	39,4	41,2	22,5	40,7	51,1	59,7
Jagiellonian University PL	39,4	38,4	29	55,7	46,7	43,4
Masaryk University CZ	39,4	25,9	31	50,1	41,7	66,3
University of Warsaw PL	39,4	33,1	29,9	55,6	37,7	45,6
Iliia State University GE	25,5	18,1	10	47,7	16,1	52
Pavol Jazef Šafarik University in Košice SL	25,5	40,7	10,2	17,1	24,9	62,1
Slovak University of Agriculture in Nitra SL	25,5	23,6	12,2	27,4	18,9	48,5
Baku State University AZ	16,2	20,1	8,6	13,8	19,7	35,5
Georgian Technical University GE	16,2	32,4	9,3	22,2	16,1	40,8
Yerevan State University AM	16,2	23,8	8,6	26,8	16,4	38,1


Source: Own research based on results of the comparative analysis of the best universities in Central-Eastern Europe and the Caucasus. The World University Rankings, Methodology for overall and subjected rankings for The Times Higher Education World University Rankings 2024.

Figure 2 Results of a comparative analysis of top universities of selected four (Czech, Slovakia, Hungary and Poland) countries in Central and Eastern Europe and the Caucasus.



Source: Own research based on results of the comparative analysis of the best universities in Central-Eastern Europe and the Caucasus. The World University Rankings, Methodology for overall and subjected rankings for The Times Higher Education World University Rankings 2024.

Figure 3. The results of a comparative analysis of the best universities in Central Eastern Europe and the Caucasus with regard to a third-generation university model



Source: Own research based on results of the comparative analysis of the best universities in Central-Eastern Europe and the Caucasus. The World University Rankings, Methodology for overall and subjected rankings for The Times Higher Education World University Rankings 2024.

Summary and implications for the future

A prerequisite for turning knowledge and research results into intellectual value is to build a competitive advantage based on values that are relevant to potential stakeholders. Intellectual capital is not only the sum of the knowledge of the members of an organisation, but also, and perhaps above all, the value to potential customers. The real value of intellectual capital and competitive advantage is created by the practical assessment of various representatives of the institution's environment. Scientists, university teachers and academic managers should therefore think about how to create the so-called added value of transferred knowledge and research results for potential buyers. Scientific and commercial value created simultaneously will enable potential buyers and the organisation itself to compete in the marketplace. The value of a university's research work is determined by: students who want to acquire knowledge, the value of the organisation's publications, the experience of researchers, and entrepreneurs who want to work with universities and researchers. The analysis presented has identified the components of intellectual capital and their value in the assessment of THE. The distance that separates the best universities in the Caucasus and Central and Eastern Europe from the top of the ranking, the best universities in the world, should stimulate reflection on what should be changed in the management of knowledge and relations with scientists. An attempt is also made to show that the value of research can be increased by a positive change in the research environment. However, the article does not indicate what caused the current value of intellectual capital at the university. We have not taken into account the costs of developing intellectual capital. Our emphasis was primarily on the quality and usefulness of teaching and research as determinants of the value of intellectual capital. Further research should link the assessment of the value of intellectual capital to economic indicators of individual countries, the economic level. The cost of building intellectual capital is often disproportionately higher than the cost of maintaining it at an appropriate level. Therefore, one of the conclusions is that building competitive advantages between universities should take place more in the regions. Universities are closely linked to the needs of industry, governments and NGOs.

References:

- Anderson R. D., (2004) *Germany and Humboldtian Model*, [in:] *European Universities from the Enlightenment to 1914*, Oxford University Press: 51-65; <https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780198206606.001.0001>.
- Bongaerts J.C., (2022), *The Humboldtian Model of Higher Education and its Significance for the European University on Responsible Consumption and Production*, *Berg Huettenmaenn Monatsh* 167: 500-507, <https://doi.org/10.1007/s00501-022-01280-w>
- Dolan R. J., Simon H., (1996), *Power Pricing. How Managing Price Transforms the Bottom Line*, The Free Press, New York: 98–102; J.
- Etzkowitz H., (2008), *The Triple helix. University-Industry-Government innovation in action*, Routledge, New York.
- Etzkowitz H., (2002), *MIT and the Rise of Entrepreneurial Science*, Routledge, London.
- Farooq U., Tabash M. I., Anagreh S., Khudoykulov K., (2022), How do market capitalization and intellectual capital determine industrial investment? *Borsa Istanbul Review*, Vol. 22, Issue 4: 828-837.**
- Gierulski W., Santarek K., Wiśniewska J., (2020), *Komercjalizacja i transfer technologii*, Polskie Wydawnictwo Ekonomiczne, Warszawa.
- Gogdan B., Villinger R., (2008), *Valuation in Life Science. A Practical Guide*, Springer.

- Grzegorzczak M., (2021), *Marketing in University-Industry Technological Collaboration*, Palgrave Macmillan Nottingham.
- Harding W. C., Hudson F. D., Chakrabarty S., Douville S., (2023), *What to Know about Data Transformation for Advanced Technologies in Medicine*, [in:] *Advanced Health Technology. Managing Risk While Tackling Barriers to Rapid Acceleration*, ed. S. Douville, Routledge, New York: 3-13.
- Isabelle D. I., (2007), *S&T commercialization strategies and practices*, [in:] *Handbook of Research on Techno-Entrepreneurship*, red. F. Thérin, Edward Elgar Publishing, Cheltenham: 63–64.
- Katner W., Trzmielak D., Urbaniak M., (2005), *Introduction to Technology Policy and Innovation: Value Added Partnering in a Changing World*, [in:] *Value-added Partnering in a Changing World*, American-Polish Offset Program. University of Texas at Austin-University of Lodz:17-20.
- Kozmetzky G., Williams F. W., Williams V., (2004), *New Wealth. Commercialization of Science and Technology for Business and Economic Development*, Praeger, Westport.
- Matusiak K. B., (2010), *Budowa powiązań nauki z biznesem w gospodarce opartej na wiedzy. Rola i miejsce uniwersytetu w procesach innowacyjnych*, Szkoła Główna Handlowa, Warszawa.
- Marcinkowska M., (2003), *Wartość banku. Kreowanie wartości i pomiar wyników działalności banku*, Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego, Łódź.
- Michalak J., Krasodomska J., Rimmel G., Sort J., Trzmielak D., (2018), *Intellectual Capital Management in public Universities*, [in:] *The Routledge Companion to Intellectual Capital*, ed. J. Guthrie, J. Dumay, F. Ricceri, Ch. Nielsen, Routledge, London: 149-167.
- Mohr, S. Sengupta, S. Slater, (2014), *Marketing of High-Technology Products and Innovations*, Pearson, New Jersey.**
- Lock D., (2010), *UK Higher Education Perspectives of Knowledge Transfer,, Innovation through Knowledge Transfer*, ed. J. Howlett, Springer, Berlin-Heidelberg: 27-38.
- Nonaka I., Takeuchi H., (2000), *Kreowanie wiedzy w organizacji*, Poltext, Warszawa.
- Ozgun A. H., Tarim M., Delen D., Zaim S., (2022), *Social Capital and Organizational Performance: The mediating Role of Innovation Activities and Intellectual Capital*, *Healthcare Analytics* 2, 100046.
- Schub G., Klapper S., Haag Ch., (2008), *Technology Balance: Technology Valuation According to IASB's Value in Use Approach*, [in:] *Management of Technology Innovation and Value Creation*. Ed. M. H. Sheriff, T. M. Khalil, World Scientific, New Jersey, Vol. 2: 103-117.
- The World University Rankings*, Methodology for overall and subjected rankings for The Times Higher Education World University Rankings 2024.
- Thomsen E. B., Lumbye T., (2013), *How to Facilitate Knowledge Collaboration- Developing Next Practice*, [in:] *Innovation through Knowledge Transfer 2012*, ed. R. J. Howlett, B. Gabrys, K. Musiał_Gabrys, J. Roach, Springer, London: 103-104.
- Trzmielak D. M., Zehner W. B., (2020), *Marketing nowych technologii i produktów B+R*, Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego, Łódź.
- Trzmielak D. M., Grzegorzczak M., Gregor B., (2016), *Transfer wiedzy z ośrodków naukowych do przemysłu*, Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego, Łódź.
- Wiśniewska M., (2017), *Wartość publiczna a działalność przedsiębiorstw*, [in:] *Europa Regionum*, Vol XXXI, Issue 2: 53-64.
- Lundquist G. M., (1996), *A key to the marketing of R&D*, *The Journal of Technology Transfer*, Vol. 21: 12-15.**
- Wissem J. G., (2009), *Uniwersytet Trzeciej Generacji. Uczelnia XXI wieku*, Wydawnictwo ZANTE, Zębice.
- <https://www.timeshighereducation.com/news/world-university-rankings-2024-results-announced>
- <https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/2024/world-ranking>
- <https://www.shanghairanking.com/rankings/arwu/2023>

უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და სამართლებრივი გამოწვევები

ლევან ნანობაშვილი –

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის,
საქართველოს უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და
ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.
(+995) 599 301 484. l.nanobashvili@gipa.ge

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის იმ ძირითად გამოწვევებზე საუბარი, რომლებსაც აწყდებიან საქართველოში არსებული უნივერსიტეტები. უნივერსიტეტის უმთავრესი მიზანია ცოდნის შექმნა და გავრცელება. ამისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრება. საქართველოში დიდი ხანია საუბრობენ უნივერსიტეტების ინტელექტუალური საკუთრების სათანადო დაცვაზე და კომერციალიზაციაზე. უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაცია და უფლების სწორი მართვა მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საქართველოში მოქმედებს 70% შეღავათი გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და დიზაინის რეგისტრაციის საფასურზე. ამ შეღავათის მიუხედავად, უნივერსიტეტების პატენტების დიდი ნაწილი გაუქმებულია და არა ვადაგასული. ეს მიუთითებს, რომ შეღავათის მიუხედავად, უნივერსიტეტები არ ან ვერ იხდიან ინტელექტუალური საკუთრების ძალაში შენარჩუნების საფასურს. უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტსა და კვლევაში მონაწილე პირებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება. უფლებების გადანაწილების საკითხი სასურველია გადაწყდეს თავიდანვე, კვლევის ან პროექტის დაწყებამდე. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია უნივერსიტეტს ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს. ამ პოლიტიკის შესაბამისად კი შემუშავდება არსებითი პირობები, რომლებსაც უნივერსიტეტი გამოიყენებს ინტელექტუალური საკუთრების შექმნაში მონაწილე პირებთან ურთიერთობაში. უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ე.წ. “ნოუ-ჰაუს” სამართლებრივ რეჟიმს. პირველ რიგში იმის გამო, რომ საქართველოში “ნოუ-ჰაუს” სათანადოდ არ არის მოწესრიგებული არც საკანონმდებლო დონეზე და არც პრაქტიკაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის შემთხვევაში ინფორმაციასთან წვდომა შეიძლება ჰქონდეს ბევრ ადამიანს, რაც ართულებს “ნოუ-ჰაუს” გამოყენებას. უფრო მეტიც, უნივერსიტეტისთვის უფრო მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების გამოქვეყნება და საჯაროდ გავრცელება, ვიდრე გამოგონების საიდუმლოდ შენახვა.

საკვანძო კიტყვები: ინტელექტუალური საკუთრება, ცოდნის კომერციალიზაცია, უნივერსიტეტის პატენტი.

PROTECTION OF THE INTELLECTUAL PROPERTY OF UNIVERSITIES AND LEGAL CHALLENGES

Levan Nanobashvili –

Invited Lecturer Georgian Institute of Public Affairs,
University of Georgia and
Business and Technology University.
(+995) 599 301 484. l.nanobashvili@gipa.ge

The purpose of the article is to discuss the main challenges of the intellectual property law faced by the universities in Georgia.

The main goal of any university is to create and disseminate knowledge. Intellectual property is very important for this.

In Georgia, protection and commercialization of intellectual property of universities is a long discussed topic. Registration and proper management of intellectual property of universities require certain costs. For higher educational institutions in Georgia, there is a 70% discount on the registration fees for inventions, utility models and designs. Despite this benefit, the vast majority of university patents are revoked rather than expired. This indicates that, despite the discount, universities do not or cannot pay the fee for keeping their intellectual property in force.

For the protection of the university's intellectual property, it is very important to legally regulate the relationship between the university and persons participating in the research. The issue of distribution of rights should preferably be resolved before starting a research or a project. To achieve this goal, it is desirable for the university to have an intellectual property protection policy that should be based on the university's mission and values. In accordance with this policy, main principles will be developed, which the university will use in the relationship with persons participating in the creation of intellectual property.

The so-called "Know-how" legal regime is not so important for the protection of intellectual property of the university. First of all, in Georgia "Know-how" is not properly regulated either by law or by practice. Moreover, in case of a university, many people may have access to information, which makes it difficult to apply the "Know-how" legal regime. Moreover, it is often more important for the university to publish and publicly disseminate the results of the research than to keep the technology a secret.

Kew Words: Intellectual Property, Commercialization of Intellectual Property, University Patent

შესავალი

უნივერსიტეტის უმთავრესი მიზანია ცოდნის შექმნა და გავრცელება. ცოდნის გავრცელებისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების სწორი გამოყენება. უნივერსიტეტის უფლებების დაცვისთვის ზოგჯერ აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაპატენტება, რაც მოითხოვს რეგისტრაციისა და ძალაში შენარჩუნების საფასურების გადახდას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებზე ვრცელდება 70% შეღავათი გამოგონების,

სასარგებლო მოდელისა და დიზაინის რეგისტრაციის საფასურზე [1]. ამ შეღავათების მიუხედავად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქპატენტის” ინტერნეტ გვერდზე არსებული ინფორმაციით, უნივერსიტეტების პატენტების დიდი ნაწილი გაუქმებულია და არა ვადაგასული [2]. ეს კი მიუთითებს, რომ შეღავათის მიუხედავად, უნივერსიტეტები არ ან ვერ იხდიან ინტელექტუალური საკუთრების ძალაში შენარჩუნების საფასურს.

უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და სამართლებრივი გამოწვევები

უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტსა და კვლევაში მონაწილე პირებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება. უფლებების განაწილების საკითხი სასურველია გადაწყდეს დასაწყისშივე, კვლევის დაწყებამდე. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია უნივერსიტეტს ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის მისიას და ღირებულებებს. ამ პოლიტიკის შესაბამისად კი შემუშავდება შეთანხმების არსებითი პირობები, რომლებსაც უნივერსიტეტი გამოიყენებს ინტელექტუალური საკუთრების შექმნაში მონაწილე პირებთან ურთიერთობაში. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკა მნიშვნელოვანი იქნება ასევე კვლევაში ჩართულ იმ პირებთან ურთიერთობაშიც, რომლებიც არ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკის შემუშავება არ არის რთული. დიდ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს საჯაროდ აქვთ გამოქვეყნებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წესები [3]. ინტერნეტში არსებობს უამრავი ღია წყარო, სადაც დეტალურად აღწერილია პოლიტიკის შინაარსი და მოცემულია სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პოლიტიკების ნიმუშები. განსაკუთრებით საინტერესოა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის რესურსები, რომლებიც ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია [4].

უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ე.წ. “ნოუ-ჰაუს” სამართლებრივ რეჟიმი. პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოში “ნოუ-ჰაუს” სათანადოდ არ არის მოწესრიგებული არც საკანონმდებლო დონეზე და არც პრაქტიკაში [5]. გარდა ამისა, უნივერსიტეტის შემთხვევაში ინფორმაციასთან წვდომა შეიძლება ჰქონდეს ბევრ ადამიანს, რაც ართულებს “ნოუ-ჰაუს” სამართლებრივი რეჟიმის გამოყენებას. კიდევ ერთი მიზეზია, რომ უნივერსიტეტისთვის ხშირად გაცილებით მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების გამოქვეყნება და საჯაროდ გავრცელება, ვიდრე ტექნოლოგიის საიდუმლოდ შენახვა და ამ გზით მისი დაცვა.

გამონაკლის შემთხვევაში “ნოუ-ჰაუს” შეიძლება მაინც ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის. განსაკუთრებით, თუ შეზღუდული დროის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო უნივერსიტეტი დროულად ვერ არეგისტრირებს უფლებებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში “საქპატენტი.”

თუ უნივერსიტეტის კვლევა ეხება პატენტუნარიან ტექნოლოგიას, კვლევის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებამ შეიძლება დაუკარგოს ტექნოლოგიას სიახლე და,

შესაბამისად, შეუძლებელი გახდება ტექნოლოგიაზე პატენტის მოპოვება [6]. ამიტომ, უნივერსიტეტმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ტექნოლოგიის დროულ რეგისტრაციას.

ყოველდღიურად სულ უფრო აქტუალური ხდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების შექმნის პროცესში. აღნიშნული წარმოშობს უამრავ სამართლებრივ პრობლემას. პირველ რიგში, რამდენად დაშვებული უნდა იყოს ხელოვნური ინტელექტის მიერ უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება: წაკითხვა, დამუშავება და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებით, შეუძლებელია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის განვითარება, საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენების გარეშე [7]. საავტორო უფლება დღეს ვრცელდება ადამიანების გამოხატვის თითქმის ყველა ფორმაზე: წიგნებზე, ინტერნეტ ბლოგებზე, ფოტოებზე და ა.შ. [8]. ხშირად სწორედ ეს წყაროები გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის ცოდნის გამდიდრებისთვის.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამეცნიერო კვლევებში დაკავშირებულია სამართლებრივ რისკებთან. ამჟამად გაურკვეველია, ვის წარმოეშვება საავტორო უფლებები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილ ნაწარმოებზე. უფრო მეტიც, გაურკვეველია, საერთოდ რამდენად უნდა გავრცელდეს ასეთ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები [9].

უნივერსიტეტს ზოგჯერ არ აქვს ინფორმაცია, სად ან ვისთან ინახება ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. კვლევის შედეგები შეიძლება ინახებოდეს სხვადასხვა ადამიანის კომპიუტერში. კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება იგი იყოს ინტერესის საგანი სხვა პირებისთვის. ამიტომ, არ არის გამორიცხული ინფორმაციის მოპარვა. გარდა ამისა, ინფორმაცია შეიძლება დაიკარგოს შემთხვევით. ბევრ კომპანიას აქვს სპეციალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვას სარეზერვო სერვერზე. ასეთი სისტემის შექმნა და გამოყენება მოითხოვს ხარჯებს და მუდმივ კონტროლს. როგორც წესი, მსგავსი სისტემის შექმნა იშვიათად წარმოადგენს უნივერსიტეტის პრიორიტეტს. გარდა ამისა, ასეთი სისტემის შექმნა შეიძლება შეაფერხოს დისტანციური მუშაობის ტრადიციამ, რომელიც დიდი ხანია არსებობს საუნივერსიტეტო სფეროში.

უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების საკითხები. როგორც გამოჩნდა კოვიდის პანდემიის პერიოდში, ჰაკერები აქტიურად ცდილობდნენ ინფორმაციის მოპარვას იმ უნივერსიტეტებიდან, რომლებიც მუშაობდნენ კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე [10].

დისტანციურმა სწავლებამ და მასთან დაკავშირებულმა ტექნოლოგიამ წარმოშვა ახალი სამართლებრივი გამოწვევები უნივერსიტეტისთვის. მაგალითად, თითქმის ყველა პროგრამა, რომელიც გამოიყენება დისტანციური ლექციების ჩატარების დროს, იძლევა ლექციის ჩაწერის შესაძლებლობას. მაგრამ, ვის წარმოეშობა უფლებები ასეთ ჩანაწერზე? უნივერსიტეტს, ლექტორს თუ სტუდენტს? ვის შეუძლია ლექციის ჩანაწერის გამოყენება ან რა ფორმით? რამდენად შესაძლებელია ჩანაწერის ინტერნეტში განთავსება ან ჩანაწერის გამოყენებით ახალი სასწავლო კურსის შექმნა? მსგავსი საკითხები მოითხოვს სათანადო ყურადღებას.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული წესები, სტუდენტების ინტელექტუალური საკუთრების უფლების აღიარებისა და დაცვისთვის.

ხშირად სტუდენტები მონაწილეობენ ინტელექტუალური საკუთრების შექმნაში. თუმცა, მათი უფლებების აღიარებასა და დაცვას არ ექცევა სათანადო ყურადღება. მსგავსმა მიდგომამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების შექმნაზე და დაცვაზე [11].

დასკვნა

სასურველია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკა, რომლითაც მოწესრიგდება ურთიერთობა უნივერსიტეტსა და ინტელექტუალური პროდუქტის შექმნაში მონაწილე პირებს შორის. უნივერსიტეტის პოლიტიკით სასურველია მოწესრიგდეს “ნოუ-ჰაუს” (კომერციული საიდუმლოება) სამართლებრივი რეჟიმის გამოყენება, უნივერსიტეტის გამოგონების დაპატენტება, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საუნივერსიტეტო კვლევისთვის, ინფორმაციის შენახვის პირობები, დისტანციური სწავლებისა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 03.07.2010, №182, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ, მუხლი 6.1.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1105.
3. საქართველოს საპატენტო კანონის მე-15 მუხლი.

ინტერნეტ-რესურსი

4. <https://www.sakpatenti.gov.ge/ka> (2024 წლის 29 თებერვალი).
5. <https://researchsupport.admin.ox.ac.uk/innovation/ip/policy> (2024 წლის 29 თებერვალი).
6. <https://www.wipo.int/technology-transfer/en/ip-policies.html> (2024 წლის 29 თებერვალი).
7. <https://www.worldipreview.com/copyright/openai-claims-training-ai-with-copyrighted-materials-is-inevitable-24636> (2024 წლის 29 თებერვალი).
8. <https://www.worldipreview.com/copyright/openai-claims-training-ai-with-copyrighted-materials-is-inevitable-24636> (2024 წლის 29 თებერვალი).
9. https://www.wipo.int/wipo_magazine/en/2017/05/article_0003.html.
10. <https://www.iiprd.com/dilemma-of-copyright-over-work-created-by-artificial-intelligence> (2024 წლის 29 თებერვალი).
11. www.theguardian.com/world/2020/may/03/hostile-states-trying-to-steal-coronavirus-research-says-uk-agency (2024 წლის 29 თებერვალი).
12. <https://www.worldipreview.com/jurisdiction-reports/be-aware-of-university-students-rights-as-co-inventors> (2024 წლის 29 თებერვალი).

ხელოვნური ინტელექტის ეთიკური სტანდარტები ბიზნესში

ზვიად გაბისონია –
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
პროფესორი, USAID-ის ექსპერტი ხელოვნური ინტელექტის სამართალში.
ტ: 577 518181. zviad.gabisonia@btu.edu.ge

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ტექნოლოგიას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ექსპონენციური სისწრაფით იზრდება მეცნიერების პრაქტიკულად ყველა სფეროში. ბოლო წლებში კი ხელოვნური ინტელექტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბიზნესის სხვადასხვა სექტორში. მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის წარმოუდგენლად დიდი ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა, მნიშვნელოვანია მისი სწორად გამოყენებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა. თუმცა დღეისათვის უკვე ნათელია, რომ მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციები ვერ მოახდებს ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის სწორი გამოყენებისათვის საჭირო და აუცილებელი გარანტიებისა და სტანდარტების დაცვას. მნიშვნელოვანია ბიზნესში დაცული იყოს ხელოვნური ინტელექტის ეთიკური სტანდარტები.

პუბლიკაციაში განხილულია ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი ეთიკური სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს ცალკეულ ბიზნეს ინდუსტრიებში სანდო ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ეთიკური სტანდარტები, ხელოვნური ინტელექტი და ბიზნესი, ხელოვნური ინტელექტის რეგულირება.

ETHICAL STANDARDS OF ARTIFICIAL INTELLIGENCE (AI) IN BUSINESS

Zviad Gabisonia –
Professor of Business and Technology University.
USAID Legal Expert on Artificial Intelligence.
T: +995 577 518181 zviad.gabisonia@btu.edu.ge

Abstract

Artificial intelligence (AI) is one of the most significant driving technologies of the fourth industrial revolution. Its importance is growing exponentially in virtually every field of science. In recent years, artificial intelligence has played an important role in various business sectors. Despite the incredible technological possibilities of artificial intelligence, it is important to create the necessary legal regulations for its proper use. However, it is already clear that legal regulations alone cannot ensure the necessary and necessary guarantees and standards for the correct use of artificial intelligence in business. It is important for business to adhere to the ethical standards of artificial intelligence.

The publication discusses the main ethical standards for the use of artificial intelligence in business, which will contribute to the development of reliable artificial intelligence technologies in certain business industries.

Keywords: AI, ethical standards, AI and business, regulation of AI.

ძირითადი ტექსტი

ხელოვნური ინტელექტი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ტექნოლოგიას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ექსპონენციური სისწრაფით იზრდება მეცნიერების პრაქტიკულად ყველა სფეროში. ბოლო წლებში კი ხელოვნური ინტელექტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბიზნესის სხვადასხვა სექტორში. დაწყებული საბანკო სექტორიდან და დასრულებული ლოგისტიკითა და ფინტექ ტექნოლოგიებით, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ეკონომიკისა და ბიზნესის ყველა სფეროში. უფრო მეტიც ხელოვნური ინტელექტი გახდა უახლესი ბიზნეს სექტორების მთავარი მამოძრავებელი ინსტრუმენტი – ციფრული მარკეტინგი, ნეირომარკეტინგი, თანამედროვე მენეჯმენტ მოდელები, ანალიტიკა, ცირკულარული ეკონომიკა პრაქტიკულად წარმოუდგენელია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის წარმოუდგენლად დიდი ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა, მნიშვნელოვანია მისი სწორად გამოყენებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა. თუმცა დღეისათვის უკვე ნათელია, რომ მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციები ვერ მოახდებს ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის სწორი გამოყენებისათვის საჭირო და აუცილებელი გარანტიებისა და სტანდარტების დაცვას. მნიშვნელოვანია ბიზნესში დაცული იყოს ხელოვნური ინტელექტის ეთიკური სტანდარტები.

შესაბამისად წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია დაგვანახოს ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი ეთიკური სტანდარტები, რაც საბოლოო ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარების წინაპირობა გახდება.

ხელოვნური ინტელექტის ცნება უკავშირდება ცნება „ინტელექტის“ გამოყენებას მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ბიოლოგიაში აღიარებული თეორიის თანახმად, მთავარი, რაც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს, ინტელექტია. როგორც ფსიქოლოგები განმარტავენ, ინტელექტი ეწოდება გამოცდილებიდან სარგებლის მიღებისა და გარემოს შესახებ მოცემული ინფორმაციის გარღვევის ზოგად უნარს¹.

მიუხედავად ინტელექტის ცნებისა და სახეების მრავალფეროვნებისა, „ინტელექტი“-ს ცნება კვლავ დარჩებოდა მხოლოდ ფსიქოლოგების „ვიწრო“ შესწავლის ობიექტად, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში რომ არ გამოჩენილიყო ამერიკელი კომპიუტერულ მეცნიერებათა პროფესორი ჯონ მაკარტი.

მან პირველმა 1955 წელს გამოიყენა ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“, რომელიც ბუნებრივი (ადამიანის) ინტელექტისაგან განსხვავებულ ცნებად უნდა

¹ Ruhl Ch. Intelligence. Definition, Theories and Testing. nb. <https://www.simplypsychology.org/intelligence.html> (ბოლო ნახვის თარიღი 03.04.2024)

ჩამოყალიბებულიყო. ერთი წლის შემდეგ, 1956 წელს, დარმუტის კოლეჯის (ნიუ ჰემპშირის შტატი, აშშ) საზაფხულო ბანაკში მოწყობილ კონფერენციაზე მეცნიერებმა ჯონ მაკარტიმ, მარვინ მინსკიმ, ალენ ნეველმა და ჰერბერტ საიმონმა პირველი სერიოზული მსჯელობა დაიწყეს „ხელოვნური ინტელექტი“-ს შესაძლო შექმნასთან დაკავშირებით.

პროფ. ჯონ მაკარტი თავის ნაშრომებში მიუთითებდა, რომ ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს პროგრამას თუ კომპიუტერს, რომელიც ზუსტად ისეთივე ინტელექტუალურ ფუნქციას შეასრულებს, როგორსაც ადამიანი, ისე იაზროვნებს, როგორც ადამიანი. ხელოვნური ინტელექტი, ასევე არის მეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ინტელექტუალური პროგრამისა და კომპიუტერის შექმნის საკითხებს.

1980-იან წლებში ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე კომპანიებმა პირველი კომერციული წარმატება ჰპოვეს, როცა შექმნეს პროგრამა „ექსპერტ სისტემს“ (Expert Systems), რომელიც ადამიანის ექსპერტული ცოდნის შემცვლელად მოიაზრებოდა და სხვადასხვა რისკების შეფასებას ახდენდა.

დღემდე ხელოვნური ინტელექტის ცნება საკმაოდ ბუნდოვანია. ოცდამეერთე საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა თანამედროვე მეცნიერება. ეს ბუნდოვანება უფრო იკვეთება ხელოვნური ინტელექტის საკანონმდებლო დეფინიციის ჩამოყალიბების პროცესში.

მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმატიულ დონეზე განმარტებებს როგორც „ხელოვნური ინტელექტი“-ს, ასევე მის საპირისპიროდ „ბუნებრივი (ადამიანური) ინტელექტი“-ს გამოყენებისა. გარდა ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში არ არის ხელოვნური ინტელექტის საყოველთაოდ აღიარებული გაგება. მის გვერდით ზოგჯერ გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორცაა „მანქანური სწავლება“ (Machine Learning), ხელოვნური ნეირონები და სხვ.

ერთ-ერთი აღიარებული განმარტების მიხედვით, „ხელოვნური ინტელექტი – ეს არის რთული ხელოვნური კიბერნეტიკული კომპიუტერულ-პროგრამულ-აპარატული სისტემა (ელექტრონული, მათ შორის ვირტუალური, ელექტო-მექანიკური, ბიო-ელექტო-მექანიკური ან ჰიბრიდული), რომელსაც გააჩნია კოგნიტურ-ფუნქციური არქიტექტურა და საკუთარი ან ფარდობითად დაშვებადი საჭირო მოცულობის სწრაფმოქმედი გამოთვლითი სიმძლავრეები“¹. ეს კიბერნეტიკული სისტემა ხასიათდება სუბსტანციურობით (სუბიექტურობითა და თვითსრულყოფის უნარით), ინფორმაციის აღქმისა და დამუშავების, გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულების, საკუთარი გამოცდილების გაანალიზების, გარემო პირობებთან ადაპტირების, კოგნიტური ფუნქციების (შემოქმედებითი, ანალიტიკური) შესრულების და ცნობიერების განვითარების მაღალი უნარით.

მეცნიერთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ „ხელოვნური ინტელექტი არის მთლიანად ან ნაწილობრივ ავტონომიური, თვითორგანიზებული კომპიუტერულ-აპარატულ-პროგრამული ვირტუალური (virtual) ან კიბერფიზიკური (cyber-physical), მათ შორის ბიო-კიბერნეტიკული (bio-cybernetic) სისტემა, რომელიც აღჭურვილია შემდეგი შესაძლებლობებით: ანთროპომორფულ-გონებრივი მოაზროვნე და კოგნიტური

¹ Ponkin A. V., Redkina A. I. Artificial intelligence from the point of view of law. Vestnik RUDN. Series: Legal Sciences, 2018, P. 94-95.

ქმედებებით (როგორცაა სხვადასხვა სიმბოლოთა სისტემის და ენის ამოცნობა, რეფლექსია, განსჯა, მოდელირება, აზროვნების წესი, ანალიზი და შეფასება), თვითრეფერირების, თვითრეგულირების, თვითადაპტაციის და თვითშემზღვევით უნარებით; სწავლებისა და თვითშესწავლის (მათ შორის საკუთარ შეცდომებზე დაკვირვების და ანალიზის გზით), საკუთარი თავის ტესტირებისათვის ტესტებით თვითშემუშავების შესაძლებლობით¹.

ვფიქრობ, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული იურიდიული ასპექტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

პირველ რიგში, არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის ზუსტი იურიდიული დეფინიცია, რაც ბუნდოვანს ტოვებს სხვა იურიდიულ საკითხებს: ხელოვნური ინტელექტის სამართალსუბიექტურობა, პასუხისმგებლობა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიყენებული ზიანისათვის, ხელოვნური ინტელექტის მუშაობის ტექნიკური რეგლამენტები.

მეორე რიგში, დგება საკითხი ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად აღიარებისა. ამ შემთხვევაში მეცნიერები განიხილავენ ორ ვარიანტს. პირველ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტი განიშარტება მხოლოდ როგორც ტექნიკური საშუალება ნივთის სამართლებრივი რეჟიმის უფლებით. მეორე შემთხვევაში კი ხელოვნურ ინტელექტს შეიძლება, მიენიჭოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის სტატუსი, ე.წ. „ელექტრონული პირი“-ს სახით, იურიდიული პირის მსგავსად სამართლის ფიქციის საფუძველზე. აღნიშნული ორივე ვარიანტი მოკლებულია სრულყოფილ იურიდიულ კონსტრუქციას. ხელოვნური ინტელექტის სამართლის ობიექტად მიჩნევის კვალიფიკაცია არ ითვალისწინებს მის სუბიექტურობის ნიშანს – მის უნარს დამოუკიდებლად იაზროვნოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. მეორე შემთხვევაში კი წარმოიშობა უფრო ღრმა მსოფლიო სამართლებრივი პრობლემა: არის თუ არა ხელოვნური ინტელექტი პიროვნება, მსგავსი თვით ადამიანისა. ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების მომავალი მოდელი. კერძოდ, შეიძლება თუ არა ხელოვნური ინტელექტი გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტი და იყოს საკუთარ ქმედებებზე დამოუკიდებლად პასუხისმგებელი პირი. ნათელია, რომ ამისათვის ხელოვნურ ინტელექტს დასჭირდება შესაბამისი დამოუკიდებელი ნებელობა, ნების გამოვლენა. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ხელოვნურ ინტელექტს ასეთი ნებელობა არ გააჩნია. ამიტომაც მისი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად გახდომა ყველა შემთხვევაში იურიდიული ფიქცია იქნება.

შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მესამე ასპექტს წინა პლანზე გამოაქვს მის მიერ მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობის პრობლემა. ევროპულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება დელიქტური პასუხისმგებლობის რამდენიმე მოდელი: 1. დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობის მფლობელ სუბიექტზე; 2. დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელზე; 3. დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება ხელოვნური ინტელექტის მომსახურე ოპერატორზე.

¹ Морхат П. М. Искусственный интеллект. Правовой взгляд. М., 2017, с. 69.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 16 თებერვლის ევროპის პარლამენტის რეზოლუცია (ევროკომისიის რეკომენდაციებთან ერთად) – „სამოქალაქო სამართლის ნორმები რობოტეხნიკის შესახებ“ ითვალისწინებს ისეთი ტერმინების სამართალბრუნვაში შემოღების აუცილებლობას, როგორცაა „კიბერფიზიკური სისტემები“, „ჭკვიანი ავტონომიური რობოტები“ და განსაზღვრავს მათ შემდეგ თვისებებს: 1. ჰქონდეთ უნარი იყვნენ ავტონომიური და შეეძლოთ მონაცემების გაცვლა; 2. ჰქონდეთ უნარი მიღებული გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნისა; 3. მიიღონ მინიმალური ფიზიკური მხარდაჭერა; 4. ჰქონდეთ გარემო პირობებთან ადაპტაციის უნარი; 5. არ გააჩნდეთ სიცოცხლე¹.

შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ცალკეულ ბიზნეს სექტორებში უნდა ემყარებოდეს როგორც სამართლებრივი რეგულირების, ისე ეთიკურ პრინციპებს.

ბიზნეს სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას ეთიკური სტანდარტების დაცვა გადამწყვეტია ამგვარი ტექნოლოგიების სანდო, პასუხისმგებელი განვითარების, დანერგვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მეცნიერებაში გამოყოფენ ბიზნეს ინდუსტრიაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის რამდენიმე მნიშვნელოვან ეთიკურ პრინციპს, რომელთა დაცვა უმნიშვნელოვანესი იქნება უახლოეს წლებში.

1. **გამჭვირვალობა.** ბიზნესი უნდა ცდილობდეს, რომ მათ მიერ ცალკეულ ბიზნეს სექტორებში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის სისტემები გამჭვირვალე გახადონ, რათა დაინტერესებულ მხარეებს ესმოდეთ, თუ როგორ მუშაობს ეს ტექნოლოგია, რა შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს მათ მიმართ და რა სახის ზემოქმედებაა შესაძლებელი საჭიროების შემთხვევაში.

2. **სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.** ხელოვნური ინტელექტის სისტემები უნდა იყოს შემუშავებული და დანერგილი ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს მიკერძოება და უზრუნველყოს სამართლიანობა სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებში. ეს გულისხმობს ტრენინგის მონაცემების, ალგორითმებისა და შეფასების ალგორითმების განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას.

3. **კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა.** ბიზნესებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ პირთა კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უფლებებს ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებისთვის მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას. უნდა არსებობდეს მკაფიო თანხმობის მექანიზმები და უსაფრთხოების მკაცრი ზომები სენსიტიური ინფორმაციის დასაცავად. ასევე მკაცრად უნდა იქნას გაკონტროლებული პირების პერსონალური მონაცემებისა და ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება.

4. **ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა.** კომპანიებმა უნდა დაადგინონ ანგარიშვალდებულების მკაფიო ხაზები ხელოვნური ინტელექტის სისტემებისთვის, მათ შორის, ვინ არის პასუხისმგებელი მათ განვითარებაზე, დანერგვასა და შესაძლო შედეგებზე. უნდა შემუშავდეს შეცდომების, მიკერძოების და არასასურველი შედეგების აღმოფხვრის მექანიზმები.

¹ იხ. http://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2017-0051_EN.html (ბოლო ნახვის თარიღი 04.04.2024).

5. **საიმედოობა და მდგრადობა.** ხელოვნური ინტელექტის სისტემები უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ იყოს მტკიცე და საიმედო, რომელსაც შეუძლია თანმიმდევრულად და ზუსტად იმუშაოს სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად. ეს მოიცავს მკაცრ ტესტირებას, ვალიდაციას და მონიტორინგს განვითარების მთელი ციკლის განმავლობაში.

6. **ადამიანის ზედამხედველობა და კონტროლი.** მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ მრავალი ამოცანის ავტომატიზაცია, ადამიანის ზედამხედველობა და კონტროლი აუცილებელია ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისა და საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი ჩარევის უზრუნველსაყოფად. კომპანიებმა უნდა შექმნან მექანიზმები ადამიანის ზედამხედველობისა და ხელოვნურ სისტემებში ჩარევისათვის.

7. **სოციალური გავლენა.** ბიზნესებმა უნდა გაითვალისწინონ მათი ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების უფრო ფართო სოციალური გავლენა, მათ შორის პოტენციური სამუშაო ადგილების გადაადგილება, ეკონომიკური უთანასწორობა და სოციალური ერთიანობა. ეთიკური მოსაზრებები უნდა იყოს ინტეგრირებული სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

8. **გარემოსდაცვითი მდგრადობა.** ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გარემოზე ზემოქმედება, როგორცაა ენერჯის მოხმარება და რესურსების გამოყენება, უნდა იქნას გათვალისწინებული და შემცირდეს, სადაც ეს შესაძლებელია, ეფექტური დიზაინისა და ექსპლუატაციის გზით.

9. **რეგულაციებთან შესაბამისობა.** კომპანიებმა უნდა დაიცვან შესაბამისი კანონები, რეგულაციები და ინდუსტრიის სტანდარტები, რომლებიც არეგულირებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს, როგორცაა მონაცემთა დაცვის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობა, ანტიდისკრიმინაციული კანონები და ინდუსტრიის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები.

10. **უწყვეტი სწავლა და გაუმჯობესება.** ხელოვნური ინტელექტის ეთიკური სტანდარტები დროთა განმავლობაში უნდა ვითარდებოდეს ახალი მოვლენების, გაჩენილი რისკებისა და დაინტერესებული მხარეების გამომხატურების საპასუხოდ. კომპანიებმა უნდა ჩაერთონ უწყვეტი სწავლისა და გაუმჯობესების პროცესებში, რათა გააძლიერონ თავიანთი ხელოვნური ინტელექტის პროგრამების ინიციატივების ეთიკური ქცევა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეთიკური სტანდარტების დაცვით, ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები პასუხისმგებლობით და მდგრადი გზით, მაქსიმალურად გაზარდოს სარგებელი და მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური რისკები და ზიანი ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის.

ლიტერატურა:

1. Ruhl Ch. Intelligence. Definition, Theories and Testing. იხ. <https://www.simplypsychology.org/intelligence.html> (ბოლო ნახვის თარიღი 03.04.2024);
2. Ponkin A. V., Redkina A. I. Artificial intelligence from the point of view of law. Vestnik RUDN. Series: Legal Sciences, 2018, P. 94-95;
3. Морхат П. М. Искусственный интеллект. Правовой взгляд. М., 2017, с. 69;
4. http://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2017-0051_EN.html (ბოლო ნახვის თარიღი 04.04.2024).

საქართველოს უნივერსიტეტების როლი ფუნდამენტური მეცნიერებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაში

გიორგი კვესიტაძე –

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელი;

ლაურა კვარაცხელია –

ქიმიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ნოდარ გრძელიშვილი –

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სწავლული მდივანი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

აბსტრაქტი

ბევრ ქვეყანაში გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებისას აქცენტი კეთდება ინოვაციურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე. ამ მხრივ, სახელმწიფო სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ხდება ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური მოდელის განხორციელების ინსტრუმენტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორც ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ცენტრების მზარდი როლი განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტებს აქვთ მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, როგორც ტრადიციული მონოდისციპლინური, ასევე ინტერდისციპლინური კვლევისა და განვითარებისათვის. ამ ასპექტში დიდი როლი ენიჭება მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების კონსოლიდაციას, კადრების მომზადების ახალი სისტემების განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყანაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევისა და განვითარების სისტემების ანალიზი აჩვენებს, რომ უნივერსიტეტების ინტეგრაცია ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სისტემაში ხორციელდება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის სხვადასხვა მოდელის მეშვეობით. ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში, არის სამეწარმეო უნივერსიტეტი, რომელიც აერთიანებს საგანმანათლებლო, კვლევით და სამეწარმეო საქმიანობას სხვადასხვა მექანიზმით. ეს მოდელი უზრუნველყოფს მჭიდრო ურთიერთქმედებას უნივერსიტეტსა და პარტნიორებს შორის (ბიზნესები, მცირე ინოვაციური საწარმოები, კვლევითი ინსტიტუტები, საინჟინრო ცენტრები, სხვა უნივერსიტეტები).

„სამეწარმეო უნივერსიტეტის“ კონცეფციის თეორიული საფუძველი განიხილებოდა ინოვაციური განვითარების სამმაგი სპირალის მოდელში, სადაც უნივერსიტეტი არის

ინოვაციების საწყისი შექმნისა და სხვადასხვა ტექნიკური განვითარების „საფუძველი“, რაც ხელს უწყობს აქტორებს შორის სინერჯის ჩამოყალიბებას. .

ინოვაციური პოტენციალის ჩამოყალიბებაში უნივერსიტეტების წვლილის სტრუქტურული კომპონენტების კვლევისას, ავტორების მიერ გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები სახელმწიფოს, მეწარმეობასა და უნივერსიტეტს შორის პარტნიორული ურთიერთობების გაუმჯობესებაში. გამოვლენილი სირთულეებიდან გამომდინარე, შემუშავდა ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს მათ აღმოფხვრას, ასევე ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ღონის შენარჩუნებასა და გაზრდას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ტექნოლოგია, მეცნიერება, მეწარმეობა, უნივერსიტეტი

THE ROLE OF GEORGIAN UNIVERSITIES IN THE DEVELOPMENT OF FUNDAMENTAL SCIENCE AND INNOVATIVE TECHNOLOGIES

Giorgi Kvesitadze –

Academician, head of the Innovation and High Technologies Center of the National Academy of Sciences of Georgia;

Laura Kvaratskhelia –

Doctor of Chemistry, Technical University of Georgia, Chief Researcher of the Center for the Study of Production Forces and Natural Resources;

Nodar Grdzlishvili –

Doctor of Economics, Professor. Learned Secretary of the Innovation and High Technologies Center of the National Academy of Sciences of Georgia; Technical University of Georgia, Chief Researcher of the Center for the Study of Production Forces and Natural Resources.

Abstract

In many countries, when forming a long-term socio-economic strategy, the emphasis is on innovative and technological development. In this regard, state scientific and technological policy acquires special significance and becomes a tool for implementing an innovative model of national economies.

The increasing role of higher education institutions as centers of innovative development of the national economy is due to the fact that universities have high scientific potential for the development of both traditional monodisciplinary and interdisciplinary research and development. A large role in this aspect is given to the consolidation of science and higher education, the development of new personnel training systems.

An analysis of scientific and technological research and development systems in different countries shows that the integration of universities into the system of innovative development of national and regional economies is carried out through various models of scientific and educational activities. One of the models of innovative development, widespread in the USA, Canada, Australia and other countries, is an entrepreneurial university, whose activities integrate

educational, research and entrepreneurial activities through various mechanisms. This model ensures close interaction between the university and partners (businesses, small innovative enterprises, research institutes, engineering centers, other universities).

The theoretical basis of the concept of “entrepreneurial university” was considered in the triple helix model of innovative development, where the university is the “foundation” for the initial creation of innovations and various technical developments, which contributes to the formation of synergy between actors.

As a result of the consideration and author's addition of the structural components of the contribution of universities to the formation of innovative potential, the main problems were identified in improving partnership relations between the state, entrepreneurship and the university. Based on the identified difficulties, a set of measures was developed aimed at eliminating them, as well as maintaining and increasing the level of innovative potential of the country.

Keywords: Innovation, Technology, Science, Entrepreneurship, University.

შესავალი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მრავალ ქვეყანაში ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებისას აქცენტი კეთდება ინოვაციურ-ტექნოლოგიურ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ხდება ეროვნული ეკონომიკების ინოვაციური მოდელის რეალიზაციის ინსტრუმენტი. მოდელის, რომელსაც გააჩნია კვლევითი ინსტიტუტებისა და მეურნე სუბიექტების ინტეგრაციის მექანიზმები მსოფლიო დონის ინოვაციების შექმნის მიზნით.

ბევრმა ქვეყანა-ლიდერმა წარმატებით დაასრულა ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლა და ამის გამო იდეები და ტექნოლოგიები გახდა პრიორიტეტული მათ განვითარებაში [1].

ძირითადი ტექსტი. სხვადასხვა ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევებისა და შემუშავებების სისტემების ანალიზი მოწმობს, რომ უნივერსიტეტების ინტეგრაცია ეროვნული და რეგიონული ეკონომიკების ინოვაციური განვითარების სისტემაში ხორციელდება სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის სხვადასხვა მოდელის საშუალებით.

ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი მოდელი, – ფართოდ გავრცელებული აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში, – არის სამეწარმეო ტიპის უნივერსიტეტი, რომლის საქმიანობაში სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით ინტეგრირებულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სამეწარმეო საქმიანობა. ასეთი მოდელი უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლის პარტნიორებთან (ბიზნესთან, მცირე ინოვაციურ საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, საინჟინერინგო ცენტრებთან, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან) მჭიდრო ურთიერთქმედებას სახელმეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე, ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად და მათი რეალიზაციიდან სარგებლის მისაღებად. მაგ., აშშ-ში სამეწარმეო ტიპის უნივერსიტეტებს განეკუთვნება: ვისკონსინის, ჰარვარდის, იელის, კოლუმბიის, სტენფორდის უნივერსიტეტები, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და სხვ.

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ტენდენციის გაძლიერება ბადებს ახალ გამოწვევებს უმაღლესი განათლების სისტემებში, წარმოშობს უცხოურ უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან მჭიდრო სამეც-

ნიერო-საგანმანათლებლო კავშირების განვითარების მოთხოვნილებას გლობალურად მოაზროვნე სპეციალისტების მომზადებაში, რომელთაც შეუძლიათ სწრაფი რეაგირება საერთაშორისო გარემოს ცვლილებაზე. ამ მხრივ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო მეტადაა გავრცელებული უნივერსიტეტის ქსელური მოდელი, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ინტერნაციონალიზაციაზე [2].

საზღვარგარეთის ქვეყნებში ეფექტიანი ინოვაციური სისტემის შექმნის წარმატება ეფუძნება „სამმაგი სპირალის“ თეორიის დროულ პრაქტიკულ გამოყენებას, რამაც ეს სახელმწიფოები აიყვანა ლიდერ პოზიციებსა და მსოფლიო დონის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეზე. ამის დასამტკიცებლად ცხრილი 1.-ში წარმოდგენილია 2015-2020 წწ. პერიოდის ლიდერი ქვეყნებისა და საქართველოს ინოვაციური გლობალური ინდექსის მნიშვნელობების დინამიკა. წარმოდგენილი თეორიის არსი მდგომარეობს პარტნიორული ურთიერთობების ფორმირებაში სამ მთავარ აქტორს (მონაწილეს) შორის: „მეცნიერება-ბიზნესი-ხელისუფლება“, – რომელთა აქტიური ურთიერთქმედება ხელს უწყობს ეფექტიან ინოვაციურ საქმიანობას რეგიონში, ეს კი წარმოქმნის დიდ ინოვაციურ ციკლს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილ აქტორებს შორის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სამეწარმეო უნივერსიტეტებს[3].

ცხრილი №1. ინოვაციების გლობალური ინდექსის მნიშვნელობების დინამიკა ტოპ-10 ქვეყნისა და საქართველოსი

It includes the mobilisation and coordination of financial instruments, the evaluation of the allocation of financial resources to the projects implemented, the creation of feedback mechanisms, the monitoring of the results achieved and promotional activities (Foray, 2019, p. 6). In that phase, the role of regional stakeholders is to implement the shared vision and provide the regional authorities (or their representatives) with the information necessary for monitoring⁴.

3. Solutions used in the EDP models of selected EU regions

➤ **Our specialisation is ... sectoral and technological hybridisation – the solution applied in Extremadura (Spain)**

In the Spanish region Extremadura, six Cooperation Platforms for Entrepreneurial Discovery Process have been established⁵. The main idea behind their functioning is based on the evolve

¹ The three-stage approach to the strategy process reflects a desire to simplify and provide regions with a greater degree of flexibility compared to the six-stage process identified in previous years as appropriate (Foray, 2019, p. 3).

² The design and implementation stages (2 and 3) are fully decentralised, flexible and freely implementable by the regions (following a place-based approach) (Foray, 2019, p. 7).

³ Among the potential forms of these economic transformations, the authors of the RIS3 concept mention: modernisation, transformation, diversification or the emergence of a new domain. See Foray D., Goddard J., Goeneaga Bellardain X., Landabaso M., Mc Cann M., Morgan K., Nauwearels C., Ortega Argirles, R., *Guide to Research and Innovation Strategies for Smart Specialisation (RIS3)*, European Union, Regional Policy, (2012, p. 12 – 14).

⁴ Given the subject of this study, it is necessary to signal that in practice a significant part of knowledge transfer takes place informally. This, in turn, may generate difficulties in obtaining reliable data on its level and extent (taking into account the networks created and relationships established) (Weresa, 2022, p. 44).

⁵ The different Cooperation Platforms are dedicated to the following topics: RIS3 meetings, co-creation workshops, cooperation working areas, strategic initiatives, open initiatives, general initiatives. See <https://plataformascolaborativas.ris3extremadura.es/>. The solution used is an extension of the meso level approach

towards of sectoral and technological hybridisation. The solution enables the creation of a network of connections with the participation of a wide range of regional stakeholders in order to gather the largest possible resources of entrepreneurial knowledge. Cooperation in each Platform is open to all willing participants. This allows them to take part in joint projects, network and use innovative solutions developed in the implementation of shared vision for the priority thematic areas. Topics for individual Cooperation Platforms are being created:

- top-down – are defined by the RIS3 Technical Bureau (this concerns the objectives of the regional innovation strategy related to the individual smart specialisation areas),
- bottom-up – as a result of spontaneous interaction between participants.

In order to implement any initiative, it is necessary to develop a project and identify an appropriate source of funding (considering funds at regional, national or EU level). Support in this regard is offered by the Science and Technology Park of Extremadura located on the Campus of the University of Badajoz (UNDECYT-PCTEX)¹. As a result of the cooperation carried out in 2023, 14 initiatives have been created.

Table 1. Characteristics of the solution applied in Extremadura

LEVEL OF COOPERATION		STAGE OF THE STRATEGIC PROCESS		COMMITTED SCIENTIFIC AND RESEARCH UNITS
MACRO	-	Identifying thematic priority areas	-	All scientific research units operating in the region.
MEZO	X	Translating these priority areas into transformational roadmaps	X	
MICRO	X	Implementing the transformational activities with an action plan	X	
ADDITIONAL INFORMATION		The advantage of the solution used in the Extremadura region is the high level of freedom to generate topics for collaboration within the Individual Platforms. It is strengthened by using a combination of top-down and bottom-up approaches to carry out this task. As a result, opportunities emerge to stimulate the creativity of regional stakeholders to help in discovering new opportunities to exploit existing resources.		

to PPO cooperation used in the Extremadura region during the Beyond EDP project period. At that time, it was limited to the activities of Thematic Working Groups dedicated to the creation and implementation of visions for the development of specific smart specialisation areas (See Detterbeck, 2018, p. 3).

¹ <https://www.fundecyt-pctex.es/>

➤ **Cross-sectoral cooperation initiated by researchers – the solution applied in the Lodzkie Region (Poland)**

In 2023, work was carried out to update the regional innovation strategy that has been in force for 10 years¹. One of the results achieved is the modification of the catalogue of existing smart specialisations and its extension with a new one – Mobility and logistics of the future². Work is currently underway to identify specialisation niches in the areas of individual specialisations and to delineate "transformation roadmaps" for each of the priority thematic areas. Activities in this regard are being carried out by Thematic Working Groups dedicated to each of them (according to the EDP model of the region). The Lodz University of Technology showed above-average activity in these activities. On the campus of this university there are offices of clusters operating within two smart specialisations: Services of the future (including ICT, automation, robotics and mechatronics)³ and Mobility and logistics of the future⁴. Scientists operating within its structures⁵ have initiated cooperation with the aim of developing innovative solutions at the interface of these specialisations. The role of government in this case is limited to supporting the development of established cooperation using the available innovation policy instruments. Thus, the expansion of the catalogue of smart specialisations of the Lodzkie Region has increased the possibility of using the specific potential to generate a critical mass and specific (compared to other regions) innovative solutions. They can be an important factor supporting the building of the competitive position of the organisations involved in them.

Table 2. Characteristics of the solution applied in the Lodzkie Region

LEVEL OF COOPERATION		STAGE OF THE STRATEGIC PROCESS		COMMITTED SCIENTIFIC AND RESEARCH UNITS
MACRO	-	Identifying thematic priority areas	X	Lodz University of Technology
MEZO	X	Translating these priority areas into transformational roadmaps	X	
MICRO	-	Implementing the transformational activities with an action plan	-	

¹ Regional Innovation Strategy for the Lodzkie Region LORIS 2030 adopted by Resolution No. XXXV/680/13 of the Lodzkie Region Assembly on 26 April 2013.

² A total of 7 regional smart specialisations have been identified, falling into two categories: 1. horizontal (technological) specialisations: – Modern environmental technologies, – Future services (including ICT, automation, robotics and mechatronics); 2. Vertical (industry) specialisations: – Innovative textiles and fashion industry; – Smart construction; – Medicine, pharmacy, cosmetics; – Innovative agriculture and agri-food processing; – Mobility and logistics of the future. (Strategic Diagnosis. Final Report, Łódź, p. 277, <https://www.bppwl.lodzkie.pl/cat/224/zespol-regionalnego-systemu-innowacji>).

³ Łódź ICT Cluster established in 2012. (See <https://ictcluster.pl>).

⁴ LODZistics cluster established in 2016. (See <https://lodzistics.pl>)

⁵ They are employees of the Centre for Information Technology at the Technical University of Lodz and the Institute of Management at the Faculty of Organisation and Management of the Technical University of Lodz.

ADDITIONAL INFORMATION	Knowledge transfer takes place between representatives of organisations operating in the areas of two regional smart specialisations (cross-sectoral approach). Opportunities for developing innovative and competitive solutions are increased by the technological potential and intellectual capital of clusters participating in cooperation. The fact that these clusters are located within university structures makes it possible to adapt the core curriculum of student education to the entrepreneurs needs.
-------------------------------	---

➤ **A vision of the future based on visualisation – the solution applied in Östergötland (Sweden)**

Cooperation within the initiative – Visual Sweden¹ has been ongoing since 2016. Its aim is to stimulate the creation of innovative solutions in one of the smart specialisations of the Östergötland region (visualisation, simulation and image analysis)². These are mainly implemented in the medical industry. Visualisation enhances existing capabilities in diagnosis and rehabilitation. This is because it helps to better understand the human body.

It also enables interaction with medical images worldwide. In turn, this can be an important competitive advantage for regional entrepreneurs in the national and even global market³. The implementation of the initiative – Visual Sweden also has a positive impact on the formation of human capital in the region. Authorities have observed an increase in the number of research and development departments and the establishment of cooperation between scientists and companies based outside the region. Visualisation, simulation and image analysis are not only a subject of research, but also an area of education. One of the objectives of conducting EDP within that specialization is to look for opportunities and ways to use the existing (and are developing) the potential in further economic areas.

Table 3. Characteristics of the solution applied in Östergötland

LEVEL OF COOPERATION		STAGE OF THE STRATEGIC PROCESS		COMMITTED SCIENTIFIC AND RESEARCH UNITS
MACRO	-	Identifying thematic priority areas	X	Linköping University
MEZO	X	Translating these priority areas into transformational roadmaps	X	SMHI (Swedish Meteorological

¹ <http://www.visualsweden.se>

² See *Smart Specialisation Strategy for Östergötland*, p, 28-31.

³ To date, more than 80 projects have been implemented, involving over 100 companies (small, medium and large) in cooperation. It is worth noting that during the 'Beyond EDP' project period, the number was half that. (Detterbeck, 2018, p. 11). This demonstrates that entrepreneurs recognise the real benefits of cooperation.

MICRO	X	Implementing the transformational activities with an action plan	-	and Hydrological Institute) NFC (National Forensic Centre) FOI (Swedish Defence Research Agency)
ADDITIONAL INFORMATION		Knowledge transfer enables the diversified application of general-purpose technologies. Further opportunities in this respect are emerging from the ongoing cooperation carried out within the EDP. Advantage of the solution applied in the Östergötland region is the concentration of efforts on the effective use of the potential of scientific and research units located both within its territory and outside.		

➤ **Natural, cultural and innovative – the solution applied in Centre-Val de Loire (France)**

In order to ensure the protection and development of the natural and cultural heritage, a research and development programme entitled Intelligence des Patrimoines (IHE-PAT) was initiated in the region ¹. It is based on networking between those in authority and specialised actors (e.g. the Regional Innovation Agency, scientific and research units, entrepreneurs and cultural institutions). It has created space for Interdisciplinary Thematic Research Projects on a wide range of issues (e.g. monuments, urban parks and gardens, wine production, gastronomy, health and wellness, etc.). The work carried out within each of them is coordinated by scientific managers from the partner entities. The implementation of research results has made it possible to exploit the interplay between environmental protection, cultural heritage and tourism development in the region. The cooperation carried out within the framework of the IHE-PAT initiative has resulted in increased levels of employment and the creation of new opportunities for the use of existing technologies by the participating entities². It is planned to involve the most eminent scientists in selected research areas from both other French regions and abroad in the collaboration.

¹ See <https://www.intelligencedespatrimoines.fr>

² An example would be the use of information technology in museum facilities to enhance their attractiveness.

Table 4. Characteristics of the solution applied in Centre-Val de Loire

LEVEL OF COOPERATION		STAGE OF THE STRATEGIC PROCESS		COMMITTED SCIENTIFIC AND RESEARCH UNITS
MACRO	-	Identifying thematic priority areas	X	All regional scientific research units carrying out research in a thematic area related to the subject matter of IHE-PAT.
MEZO	-	Translating these priority areas into transformational roadmaps	X	
MICRO	X	Implementing the transformational activities with an action plan	X	
ADDITIONAL INFORMATION		The solution used in the Center-Val de Loire region uses the results of the work of interdisciplinary research teams. The transfer of knowledge and technology makes it possible to purposing new functionality to regional natural resources, cultural objects and tourist attractions.		

➤ **Multiannual of experience in networking public and private entities – the solution applied in the Northern Netherlands Alliance**

The idea of establishing cooperation arose from the need to meet the requirements for sustainable development and cope with competition on the global market by 18,000 milk producers belonging to the Dutch dairy chain. In order to meet these challenges, cooperation (originally informal) was initiated in 2000, resulting in the creation of Dairy Campus¹. It is part of Wageningen University & Research, although it also has links with a number of other organisations². In addition, it is part of the national Agrifood cluster and collaborates with other clusters³. Its activities focus on generating and transferring the knowledge necessary for the creation of innovative products and processes by entrepreneurs operating in the dairy industry⁴.

¹ The collaboration started with the linking of six regional research centres (Cranendonck, De Vlierd, Zegveld, Aver Heino, Waiboerhoeve and (Nij)Bosma Zathe) with Wageningen University & Research (Detterbeck, 2018, p. 8).

² These include: Van Hall Larenstein University of Applied Science, Vocational Training Centre – Nordwin College, Dairy Training Centre, National Farmers' Organisation – LTO Nederland, Dairy Cooperative – Friesland Campina, RUG Campus Fryslân, the city of Leeuwarden and the province of Fryslân.

³ These include: Food Valley Wageningen (<https://foodvalley.nl/en/>), Water Campus Leeuwarden (<https://www.watercampus.nl>) and even the Sino Dutch Dairy Development Centre in Beijing, founded in 2013 by FrieslandCampina, Wageningen University & Research and China Agricultural University (<https://www.frieslandcampina.com>).

⁴ A variety of research projects are carried out at the Campus (for example: efficient cattle feeding, young stock breeding, grazing systems and dairy farm water flows (the latter in collaboration with Water Campus Leeuwarden).

This knowledge is also used in the education and training process for both current and future professionals¹.

It is necessary to emphasise that the Dairy Campus is one of the many networks that have been successfully operating in the Northern Netherlands Alliance for years. According to a representative of the region's administration, the main enabling factor for the development of collaborations is "to avoid a formalised, structured approach, to match the local ecosystem, the mentality and the way the local people work. In turn, the role of the region's authorities is to facilitate the process of discovery (and experimentation) and to concretise the results, which can take the form of projects, initiatives, etc."

Table 5. Characteristics of the solution applied in the Northern Netherlands Alliance

LEVEL OF COOPERATION		STAGE OF THE STRATEGIC PROCESS		COMMITTED SCIENTIFIC AND RESEARCH UNITS
MACRO	-	Identifying thematic priority areas	X	Wageningen University & Research,
MEZO	X	Translating these priority areas into transformational roadmaps	X	Aeres University of Applied Sciences
MICRO	X	Implementing the transformational activities with an action plan	X	Van Hall Larenstein University of Groningen
ADDITIONAL INFORMATION		The establishment of cooperation enabling knowledge transfer took place even before the RIS3 concept had developed. This is indicative of the region's traditions of collaboration among the actors that make up the innovation system. The network of connections includes both entities based in the region and those located outside its administrative borders. Due to the complexity of network links, there may be difficulties in defining their structure and geographical scope of influence. The solution applied in the Northern Netherlands Alliance also includes a dual education process, which creates the conditions for raising the level of human capital in the future.		

¹ Thanks to the cooperation within the Dairy Campus, a model of dual education is being implemented (also on the basis of secondary schools with vocational profiles. See <https://www.flornet.eu/nordwin-college.html>).

Summary

The conduct of the entrepreneurial discovery process should focus on providing opportunities for knowledge transfer involving scientific and research units. Thanks to this, a space can be created for continuous exchange of information between scientists and representatives of other entities creating the innovation system of a given region (or outside it). This is necessary to generate a common, specific combination of entrepreneurial knowledge using the scientific and technological potential in the innovation policy of EU regions.

The case studies presented in the empirical part of this study confirm the validity of the above theoretical assumptions. They also show the high level of diversity of solutions applied in the selected regions. The differences concern both the stages of the strategic process (according to the assumptions of the RIS3 concept) and the levels at which cooperation is carried out. It is also possible to notice a number of other differences among the presented solutions. These relate, for example, to the way the cooperation was initiated or the organisational structure of the network. However, they allow for the identification of a common feature. In none of them, the place of knowledge transfer involving scientific and research units in the EDP model results from the assumptions adopted *ex-ante* by the regional authorities. Individual solutions are rather the result of initiated cooperation and conducted in a "natural" way, adapted to specific conditions and aimed at using the potential of selected scientific and research units.

Against the background of the above conclusions, it should be recognized that conducting comparative research in this thematic area is burdened with a high risk of failure. The results of in-depth research conducted separately for each solution may be of higher value. Particularly inspiring seems to be the search for answers to questions regarding both the mechanism of creation and functioning of individual solutions, as well as the results achieved (using the data that can be obtained).

Bibliography

- Bednarczyk G., Trzmielak D. M. (2022). *The innovative potential of scientific and research units in the process of entrepreneurial discovery – examples from selected EU regions*, Marketing of scientific and research organisations, 2022, Vol. 46, Issue 4.
- Bhattacharjee A. (2012) *Social science research: principles, methods, and practices*, University of South Florida.
- Christensen C.M., Eyring H.J., (2011). *The Innovative University*, Jossey-Bass, San Francisco.
- Czerwińska E. (2004). *Lisbon Strategy*. Information No. 1111. Chancellery of the Sejm. Biuro Studiów i Ekspertyz, Wydział Analiz Ekonomicznych i Społecznych, Warsaw.
- David P.A., Metcalfe, S. (2008). *Universities must contribute to enhancing Europe's innovative performance*. In *Knowledge for Growth European Issues and Policy Challenges*, Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities.
- Detterbeck, K. (2018). *Framework document. Appendix list of good practices in the regions*, Beyond EDP Interreg Europe project (unpublished).
- Drucker P. F. (1976). *Effective management*, PWN, Warsaw.
- European Commission (2011). *Innovation Union Competitiveness Report*.
- Foray, D., Goddard, J., Goenaga, B. X., Landabaso, M., McCann, P., Morgan, K., Ortega-Argilés, R. (2012). *Guide to research and innovation strategies for smart specialisation (RIS3)*. Luxembourg: European Commission.

- Foray D., Goenaga X. (2013), *The goals of Smart Specialisation*. S3 Policy Brief, No. 01/2013, Luxembourg: Publications Office of the European Union.
- Foray D. (2015). *OEDPrtunities and Challenges for Regional Innovation Policy*, Routledge, London and New York.
- Foray, D. (2016). *On the policy space of smart specialization strategies*, European Planning Studies, 24(8) (p. 1433).
- Foray D. (2019), *In response to 'Six critical questions about smart spezialisation'*, European Planning Studies, Taylor & Francis Journals, vol. 27(10).
- Gianelle C. Kyriakou D. Cohen C. Prior M. (2016). *Implementing Smart Specialisation: A Handbook*, Brussels: European Commission.
- Green Paper on the European Research Area*. (2007). Brussels, IP/07/469 or COM(2007)161.
- Grosse T. G. (2010). *Experiences of the Lisbon Strategy – perspectives of the Europe 2020 Strategy: on continuation and changes in EU policy*, Public Management, No. 1 (11)/2010, Institute of Political Studies, Polish Academy of Sciences, Warsaw.
- Hassink H., Gong H. (2019). *Six critical questions about smart specialization*, European Planning Studies, Published online.
- How to deal with the main Entrepreneurial Discovery Process challenges. Synthesis report of the three taskforces on EDP Management as part as Beyond EDP project, – 2nd version (2019)*. Unpublished.
- Innovation – driven Growth in Regions: The Role of Smart Specialisation*, (2013). Preliminary Version, OECD, Paris.
- König, J., Suwala, L. and Delargy, C. (2020). *Helix Models of Innovation and Sustainable Development Goals*, Springer, Berlin, Heidelberg.
- Lisowska R., Ropega J. (2015). *Cooperation of the sphere of science and business from the perspective of the functioning of academic centres*. In Głodek P. Wiśniewska M. *Building the potential of higher education institutions to cooperate with enterprises. The role of knowledge scouting*, Łódź, Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego.
- Przygodzki Z. (2016), *Regional specialisations – long-term strategies or adaptation policy? Benefits and threats*. KPZK Studies, Warsaw.
- Radlo M. J. (2010). *The Lisbon Strategy 2005-2010: Key challenges. Key priorities*. Poland vis-à-vis the redefinition of the Lisbon Strategy, PFSL Green Paper No. 1, Institute for Market Economy Research, Gdańsk-Warsaw.
- Trzmielak D., Grzegorzczak M. & Gregor B. (2016). *Knowledge and technology transfer from scientific and research organisations to enterprises*, Łódź, Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego.
- Weresa M. A. (2022). *Innovation policy. New tendencies in theory and practice*, Wydawnictwo Naukowe PWN.

ინოვაციური პრაგმატიზმი – მიმდინარე ეტაპის გლობალური ეკოსისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორი

გივი თალაკვაძე –

ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე,
გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელი.

გიორგი თალაკვაძე –

კომპანია „გეორესურსი“-ს დირექტორი.

აბსტრაქტი

„ინოვაციური პრაგმატიზმი“ შეიძლება მივიჩნიოთ ტრადიციული პრაგმატიზმის კონცეფციის – ნებისმიერი ტიპის (არა მხოლოდ მატერიალურის) სარგებლის მიღება თანამედროვე კონსტრუქციად, ოღონდ განვითარების მიმდინარე ეტაპისთვის დამახასიათებელი და დომინანტური (ინოვაციური) მდგენელების გავლენისა და როლის გათვალისწინებით.

მიმდინარე გლობალური პროცესების თავისებურებებმა ტერმინებს: მოგება, რენტაბელობა, კომერციალიზაცია ახალი შინაარსი და დატვირთვა შესძინა. სწორედ მომგებიანობის ხარისხი განსაზღვრავს ნებისმიერი პროექტის სიცოცხლისუნარიანობასა და შედეგიანობას. კომერციალიზაცია არ უნდა აგვერიოს „რენტაბელობაში“, რადგან რენტაბელობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ პროექტის კვალიფიციური და ეფექტიანი კომერციალიზაციის შემთხვევაში. ამდენად, ეს უკანასკნელი უფრო ფართო მცნებაა და პირობების გარკვეული ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა უზრუნველყოფის შემდეგ შეიძლება მისი მომგებიანობის, ანუ რენტაბელობის მიღწევა.

ინოვაციური ეკოსისტემების მთავარი მიზანია ინოვაციებისა და განვითარების სტიმულირება ცოდნის, გამოცდილების და რესურსების გავრცელებისა და გაცვლისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით. ასეთ ეკოსისტემაში სხვადასხვა მონაწილეები ურთიერთობენ და თანამშრომლობენ ახალი პროდუქტების, სერვისებისა და გადაწყვეტილებების შესაქმნელად, რომლებსაც შეუძლიათ ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა. ინოვაციური ეკოსისტემები შეიძლება ორგანიზებული იყოს სხვადასხვა დონეზე – ქალაქიდან და რეგიონიდან ეროვნულ და საერთაშორისომდე. ეს შეიძლება იყოს აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები, სარისკო კაპიტალის ფონდები, კორპორაციები, სამთავრობო ორგანიზაციები და სხვა მონაწილეები.

საკვანძო სიტყვები ინოვაციური სისტემები, გლობალური პროცესების თავისებურებები, პროექტების კომერციალიზაცია, ინოვაციური პრაგმატიზმი.

INNOVATIVE PRAGMATISM – THE MAIN FACTOR IN THE DEVELOPMENT OF GLOBAL ECOSYSTEMS OF THE CURRENT STAGE

Givi Talakvadze –

Doctor of Physics and Mathematics, Head of
the Center for Productive Forces and Natural Resources at GTU,
Head of the Center for Applied Analytics and Forecasting

Giorgi Talakvadze –

Director of company "Georesursi"

Abstract

"Innovative pragmatism" can be considered as a modern construction of the concept of traditional pragmatism – taking advantage of any type (not only material), but taking into account the influence and role of dominant (innovative) factors characteristic of the current stage of development.

The peculiarities of the current global processes added new content and load to the terms: profit, profitability, commercialization. It is the degree of profitability that determines the viability and effectiveness of any project. Commercialization should not be confused with "profitability", as the latter can be achieved only in case of qualified commercialization of the project. Thus, the latter is a broader commandment and a certain combination of conditions, after ensuring which it can be profitable, i.e. profitable.

The main goal of innovation ecosystems is to stimulate innovation and development by creating a favorable environment for the exchange of knowledge, experience and resources. In such an ecosystem, different actors interact and collaborate to create new products, services and solutions that can provide economic growth and improve the quality of life. Innovation ecosystems can be organized at different levels – from city and region to national and international. It can be academic and research institutions, venture capital funds, corporations, government organizations and other participants.

Keywords Innovative systems, features of global processes, commercialization of projects, innovative pragmatism.

ძირითადი ტექსტი

ახალი გლობალური კონფიგურაციების ფორმირების პროცესი აქტიურ და შეუქცევად ეტაპს უახლოვდება, რაც იწვევს სხვადასხვა ტიპის ინოვაციური ეკოსისტემების როლის ზრდასა და ინტენსიფიკაციას. ინოვაციური ეკოსისტემები ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სუბიექტების ერთობლიობაა, რომელიც აერთიანებს მათ ადამიანისეულ, ფინანსურ, ინტელექტუალურ და სხვა რესურსებს ურთიერთდაკავშირებული ინოვაციების გაძლიერების, ოპტიმიზაციის და კომერციალიზაციის ეფექტიანობის ასამაღლებლად [2].

ინოვაციური ეკოსისტემების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია გახსნილობა, მოქნილობა მონაწილეებს შორის ურთიერთქმედება და რაც მთავარია გამოყენებითი ხასიათი. მათ უნდა უზრუნველყონ რესურსების, დაფინანსების, ექსპერტიზისა და ქსელუბის ხელმისაწვდომობა ინოვაციებისა და ახალი იდეების განვითარების მხარდასაჭერად.

ინოვაციური ეკოსისტემა შეიცავს ორ ძირითად ტერმინს: „**ინოვაციური აქტივობა**“ და „**ეკოსისტემა**“.

„**ეკოსისტემის**“ კონცეფცია შემოთავაზებულია 1935 წელს ინგლისელი ბოტანიკოსის და ეკოლოგის არტურ ტანსლის მიერ, რომელმაც იგულისხმა ბიოლოგიური სისტემა, მისი ჰაბიტატი და კავშირები, რომლის მეშვეობითაც ხდება მათი სასიცოცხლო აქტივობის (მატერიის ან ენერჯის გაცვლა) უზრუნველყოფა. ერთ-ერთ მთავარ ცნებად იქცა ეკოლოგია, მოგვიანებით ეს ტერმინი გავრცელდა მეცნიერების სხვა სფეროებზე, მათ შორის ეკონომიკაზეც [9].

1990-იან წლებში მენეჯმენტის ექსპერტმა ჯეიმს ფ. მურმა შემოგვთავაზა **ბიზნეს ეკოსისტემის სტრატეგიული დაგეგმვის კონცეფცია**, რომელშიც მან გამოიყენა არაერთი ეკოლოგიური მეტაფორა კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და განვითარების დასაბუთების მიზნით [8].

„ინოვაციური ეკოსისტემების“ რენესანსის პერიოდად უნდა მივიჩნიოთ 2020-2023 წლები, როდესაც მათი შინაარსი გაცილებით მრავალფეროვანი გახდა უახლესი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, მსოფლხედვითი, გლობალური პროცესებისა და მოვლენების ზემოქმედებისა და გავლენის შედეგად, რამაც მათ ზოგადცივილიზაციური და ზოგადსაკაცობრიო შინაარსი შესძინა.

„ინოვაციური ეკოსისტემები“ არ ნიშნავს ახალი ინოვაციური გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებით ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას – **ეს არის მიმდინარე და მომავალი მოვლენებისა და პრაქტიკულად განხორციელებადი სამოქმედო პროგრამების შემუშავებისა და რეალიზების ახალი გააზრება.**

რაც შეეხება ინოვაციური ეკოსისტემების კლასიფიკაციის საკითხს: მიგვაჩნია რომ იგი ითხოვს უფრო ღრმა გააზრებასა და შემუშავებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოვიღოთ შემდეგი ცნებები:

1. **გლობალურ ინოვაციური ეკოსისტემა**
2. **რეგიონული ინოვაციური ეკოსისტემა**
3. **ლოკალური ინოვაციური ეკოსისტემა**
4. **პარციალური ინოვაციური ეკოსისტემა**

პირველი მოიცავს დედამიწისეულ ელემენტებს – ატმოსფერო, ნიადაგი, ჰაერი, წიაღისეული, სატყეო, ჰიდრო და სელექტიბური რესურსები, საზოგადოება და მისი განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, ადამიანის პრაქტიკული საქმიანობა.

მეორე მოიცავს იგივეს – ოლონდ, **კონკრეტული რეგიონის მასშტაბში** და მხოლოდ ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით (მაგალითად ყინულის მასები არქტიკის რეგიონში, ქვიშის მასები ჩრდილოეთ აფრიკაში, მწვანე მასის გიგანტური სიმძლავრეები სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთში და ა.შ.) და ამ თავისებურებათა გათვალისწინებას ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში.

მესამე მოიცავს აგრარულ, ინდუსტრიულ, აგრო-ინდუსტრიულ ერთობლიობებს – კლასტერებს, ურბანულ და პროვინციულ კონგლომერატებს, ისტორიულ-კულტურულ და

ეთნიკურ მახასიათებელთა სიმრავლეს, გარემოსდაცვით და ადგილობრივი ინტეგრალური რესურსების მართვის მოდელს.

მეოთხე მოიცავს კონკრეტულ დარგთან დაკავშირებულ ობიექტურად არსებულ მოცემულობასა და მის მიმდინარე მდგომარეობას, გლობალური მოვლენებისა და პროცესების მასზე ზემოქმედებებისა და გავლენების გათვალისწინებით, ყოველი ცალკე აღებული პარციალური ეკოსისტემის სხვა პარციალურ ეკოსისტემებთან ურთიერთქმედებებისა და ურთიერთგანპირობებულობების არსის, სტრუქტურების და მექანიზმების ანალიზს.

დღეს საზოგადოება იმყოფება „ინოვაციური ეკოსისტემების“ ჩარჩოებში, მის მიერ შემოსაზღვრულ საზღვრებში, თუმცა ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა, ჩვენი მოქმედებები ჯერ კიდევ არ შეესაბამება „ინოვაციური ეკოსისტემების“ ძირითად დღის წესრიგსა და პრინციპებს.

რესურსებზე, განვითარების პრიორიტეტებზე და ზოგად პოლიტიკაზე გაცილებით ფართო და ზემოქმედების მაღალი ხარისხის შემცველი კატეგორიაა განვითარების შინაგანი ლოგიკა, რომელიც ითხოვს ნებისმიერი მოცემულობის ანალიზისას გამოვყოთ მოვლენის შინაგანი სტრუქტურა და მისი განვითარების მექანიზმები. ვითარება ამით კი არ რთულდება, პირიქით მარტივდება, რადგან წინა პლანზე გამოდის **ჭეშმარიტი მიზნები** და განსახორციელებელ პროცესებისა და მოვლენების **ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალები**, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობები, მოლაპარაკებები, კონვენციები, ხელშეკრულებები და ა.შ. – რომლებიც ყოველთვის ატარებდნენ და დღესაც ატარებენ ერთგვარად პროტოკოლურ, რიტუალურ ფუნქციებს, ვეღარ ახდენენ გავლენას რეალურად მიმდინარე პროცესებზე [6].

გამოწვევები და პრობლემები, რომელთა წინაშეც დგას ინოვაციური ეკოსისტემები

ინოვაციური ეკოსისტემების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა **დაფინანსების ნაკლებობა**. ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს და ყოველთვის არ არის საკმარისი რაოდენობის ინვესტორები, რომლებსაც სურთ ინვესტირება ინოვაციურ პროექტებში, რამაც შეიძლება შეანელოს ეკოსისტემის განვითარება და შეზღუდოს ინოვაციების შესაძლებლობები.

ინოვაციური ეკოსისტემის წარმატებული განვითარება მოითხოვს **მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს**. თუმცა, ხშირად ჩნდება საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე კადრების ნაკლებობის პრობლემა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს განათლების არასაკმარისი დონით, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამების ნაკლებობით ან ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის ინოვაციური ინდუსტრიის დაბალი მიმზიდველობით. კვალიფიციური კადრების ნაკლებობამ შეიძლება შეანელოს ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება და შეზღუდოს მისი პოტენციალი.

ინოვაციური ეკოსისტემის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია არსებობდეს **თანამშრომლობა და ურთიერთქმედება სხვადასხვა მონაწილეებს შორის**. თუმცა, ხშირად წარმოიქმნება პრობლემები საწარმოებს, უნივერსიტეტებს, სამთავრობო უწყებებსა და ეკოსისტემის სხვა მონაწილეებს შორის ეფექტური კავშირებისა და ურთიერთქმედების დამყარებაში. ამან შეიძლება გამოიწვიოს იზოლაცია და შეზღუდოს ინოვაციის პოტენციალი.

ინოვაციური ეკოსისტემების განვითარება **სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერას მოითხოვს**. თუმცა, სახელმწიფო ყოველთვის არ იძლევა ინოვაციის განვითარების აუცილებელ პირობებს და ინსტრუმენტებს. არასაკმარისი დაფინანსება, საგადასახადო შეღავათების ნაკლებობა და ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვების რთული პროცედურები შეიძლება შეაფერხოს ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას და შეზღუდოს ინოვაციების შესაძლებლობები.

მსოფლიოში არსებობს ინოვაციური ეკოსისტემების რამდენიმე წარმატებული მაგალითი, რომლებიც აჩვენებენ მათ ეფექტურობას და გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე [3]:

კალიფორნიის სილიკონის ველი (აშშ) არის მსოფლიოში. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ინოვაციური ეკოსისტემა. ის ორიენტირებულია ქალაქ სან-ფრანცისკოს გარშემო და არის მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი. აქ განთავსებულია ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორცაა Google, Apple, Facebook და მრავალი სხვა.

თელ-ავივი (ისრაელი) ასევე წარმატებული ინოვაციური ეკოსისტემაა. ქალაქი ცნობილია თავისი მაღალტექნოლოგიური სტარტაპებით, განსაკუთრებით კიბერ-უსაფრთხოებისა და სამედიცინო სფეროებში. აქ არის კონცენტრირებული მრავალი ინკუბატორი, ამაჩქარებელი და ვენჩურული ფონდი, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი იდეების განვითარებას და სამეწარმეო საქმიანობას.

შენჯენი (ჩინეთი) გახდა ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ინოვაციური ეკოსისტემა მსოფლიოში. ქალაქი თავდაპირველად იყო პატარა მეთევზეთა სოფელი, მაგრამ დღეს ის არის მაღალი ტექნოლოგიებისა და ელექტრონიკის წარმოების ცენტრი. აქ განთავსებულია ისეთი კომპანიები, როგორცაა Huawei, Tencent, DJI. შენჯენი იზიდავს მეწარმეებს და ინვესტორებს ინფრასტრუქტურის, რესურსების ხელმისაწვდომობისა და მთავრობის მხარდაჭერის გამო.

სტოკჰოლმი (შვედეთი) ასევე წარმატებული ინოვაციური ეკოსისტემაა. ქალაქი ცნობილია თავისი სტარტაპებით ინფორმაციული ტექნოლოგიების, თამაშების და სუფთა ტექნოლოგიების სექტორებში. აქ განთავსებულია ისეთი კომპანიები, როგორცაა Spotify, King და Klarna. სტოკჰოლმი გთავაზობთ მხარდამჭერ გარემოს ინოვაციისთვის, განათლების მაღალი დონით, დაფინანსების ხელმისაწვდომობით და მთავრობის მხარდაჭერით.

ეს მაგალითები აჩვენებს ინოვაციური ეკოსისტემების მრავალფეროვნებას და კიდევ ერთხელ ადასტურებენ ღია და მოქნილი გარემოს შექმნის მნიშვნელობას ინოვაციების ხელშეწყობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის და რომ არსებობს ამ საქმიანობის საერთო მახასიათებელი, რომელიც ასრულებს საკვანძო როლს მათ განვითარებაში. ეს არის ზემოხსენებული **ინოვაციური პრაგმატიზმი**.

ინოვაციური პრაგმატიზმი

განვითარების მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ დაიწყო ინოვაციური ეკოსისტემების „**ინოვაციური პრაგმატიზმის**“ სივრცეში გადასვლა.

„ინოვაციური პრაგმატიზმი“ შეიძლება მიიჩნიოთ ტრადიციული პრაგმატიზმის კონცეფციის – ნებისმიერი ტიპის (არა მხოლოდ მატერიალურის) სარგებლის მიღება თანამედროვე კონსტრუქციად, ოღონდ განვითარების მიმდინარე ეტაპისთვის დამახასიათებელი და დომინანტური (ინოვაციური) მდგენელების გავლენებისა და როლის გათვალისწინებით.

წინამდებარე განსაზღვრება ახალია და როგორც ნებისმიერ სიახლეს, მხარდამჭერებიც ეყოლება და მოწინააღმდეგეც. მათი ერთობლივი მსჯელობის შედეგად, იმედია, ჩამოყალიბდება კიდევ **„ინოვაციური პრაგმატიზმის“** შეთანხმებული და სრულყოფილი შინაარსი [1], [2].

ინოვაციური პრაგმატიზმის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა მწარმოებლური და სავაჭრო ნაკადების პრევალირება პოლიტიკურ ინტერესებზე. საქონელი და მომსახურება ვექტორული სიდიდეებია და ვექტორის მიმართულება არა მოძველებული (არაეფექტიანი) პოლიტიკურ ინტერესებით, არამედ მხოლოდ წმინდა მოგების სიდიდით განისაზღვრება. „წმინდა იმიტომ, რომ მოგების გადასახადი ლოკალურად ცვალებადია და წმინდა მოგების მიღება ხდება იქ, სადაც შესაბამისი გადასახადი ნაკლებია“. ეს არის პრაგმატიზმის ინოვაციურობის ერთ-ერთი გამოვლინება.

პრაგმატიზმის ინოვაციურობა ჩამოყალიბდა არა როგორც ინოვაცია მისი ტრადიციული და კლასიკური გაგებით, არამედ როგორც განვითარების მოცემული ეტაპისათვის მაქსიმალურად ოპტიმალური რეჟიმის დამკვიდრება, რაც გულისხმობს წმინდა მოგების მაქსიმალიზაციასთან დაკავშირებული პირობების უზრუნველყოფას.

ამდენად, „ინოვაცია“ არა მხოლოდ პროგრესი და სიახლეა, არამედ განვითარების მოცემული ეტაპისათვის ოპტიმალური რეჟიმებისა და წესების (თუნდაც დროებითის) გარდაუვალი სიმბიოზია.

მთავარი კი ის არის, რომ ასეთი ვითარება გლობალურ ეკონომიკაში და შესაბამისად, პოლიტიკაში დომინირებული გახდა [2], [6].

ინოვაციური პრაგმატიზმის სეგმენტაცია

იმის მიუხედავად, რომ ინოვაციური პრაგმატიზმი დამოუკიდებელ კატეგორიას წარმადგენს, მიზანშეწონილია მისი სეგმენტებად წარმოდგენა. ეს სეგმენტებია: პოლიტიკური, ეკონომიკური, შემეცნებითი, ფსიქოლოგიური, სამოქმედო, ანალიტიკური, პროგნოსტიკული და სხვა.

მკაფიო საზღვრები ამ სეგმენტებს შორის ძნელად გასარჩევია. რიგ შემთხვევებში ისინი საერთოდ არ არსებობენ. უფრო ალბათურია და ზოგჯერ რეალიზებულიც – მათი კომბინაციების: პოლიტიკური და ეკონომიკური, ანალიტიკური და სამოქმედო, შემეცნებითი და ფსიქოლოგიური სეგმენტების გაერთიანება ხელშესახები შედეგის მიღების მიზნით. ასეთი გაერთიანებების უახლოესი მაგალითია ის მძლავრი საერთაშორისო რეზონანსის მიმღები დებატები და კომენტარები, რაც მოჰყვა უკრაინისათვის, ტაივანის და ისრაელისათვის მრავალმილიარდიანი „ამერიკული დახმარების“ გამოყოფას და ამერიკის პრეზიდენტყოფილის (ტრამპის) პოზიცია ნატო-ში მისი წევრების სამხედრო ბიუჯეტების არ შესრულებასთან დაკავშირებით.

პრაგმატიზმი ამ შემთხვევაში მკაფიოდაა გამოხატული. რაც შეეხება ინოვაციურ ხასიათს, ის გვევლინება ნატოს დებულების ცნობილი მე-5 პუნქტისადმი ახლებურ

მიდგომაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თვისებრივი ცვლილებები ნატოს ძირეული პრინციპებისადმი ერთგულებასთან დაკავშირებით.

შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური პრაგმატიზმის გამოყენებითი შინაარსი – დროის შედეგია და არა მხოლოდ თეორიული ანალიზის და ახალი კატეგორიის შემოტანის სურვილიდან გამომდინარე შედეგი. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ურთიერთობები უპრეცედენტოდ გამწვავდა და დაუფარავად პრაგმატული გახდა – დამატებით არგუმენტაციას არ საჭიროებს, ხოლო ინოვაციურობა მიდგომარეობს იმ პირობებისა და რეჟიმების გარდაუვალ გათვალისწინებაში, რომლებსაც ამ მიდგომის, ანუ პრაგმატიზმის დომინირებას თან ახლავს სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით. მაგალითად, ინოვაციური პრაგმატიზმისა და პასუხისმგებლობის უქონლობითა და დაუინტერესებულობით შეიძლება დავახასიათოთ ბოლო ხანებში საქართველოში განვითარებული მეწყრული პროცესებით გამოწვეული ტრაგიკული შედეგები.

გლობალური ეკონომიკა მართვისა და მოქმედებების, ინოვაციური პრაგმატიზმის ძირითადი პრინციპების შესაბამისი განვითარების ეტაპზე გადადის, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ კაცობრიობას ჯერ კიდევ არ აქვს სრულად გააზრებული გლობალიზაციის მოკლევადიანი და განსაკუთრებით, გრძელვადიანი მოსალოდნელი შედეგები. არ აქვს გააზრებული ის, რომ მის წინაშე დილემაა – ან გადავიდეს თავისი არსებობის თვისობრივად ახალ ორბიტაზე – ახალ მომავალში, ან დარჩეს, საერთოდ, ყოველგვარი მომავლის გარეშე.

ყოველ შემთხვევაში, კარგად არის ცნობილი რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ კაცობრიობის მომავალი უკვე ვეღარ იქნება თანამედროვეობის დამახასიათებელი პარამეტრებისა და მაჩვენებლების უბრალოდ, მექანიკური გაზრდა და გაუმჯობესება [7].

ამ მიზეზთა შორის პირველია – განვითარების ინოვაციური პრაგმატიზმის, ზრდის „ეკოლოგიური“, უფრო სწორად კი „სოციობუნებრივი“ საზღვრები და შეზღუდვები.

მეორე – ზნეობრივ ფასეულობათა არსებითი ტრანსფორმაციის ტენდენციები, რის საფუძველი გახდა სულ უფრო და უფრო მომძლავრებული პრაგმატიზმი ადამიანების საქმიანობისა და ყოფის ყველა სფეროში.

მესამე – მკაფიო და მზარდი სოციალური პოლარიზაცია, კაცობრიობის ადაპტირებულ (წარმატებულ) და არაადაპტირებულ (წარუმატებელ) ნაწილებს შორის.

სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ წარმატებული უმცირესობა, ამკარად ცდილობს მომავლის პრივატიზაციას, იმის ნაცვლად, რომ წარუმატებელ უმრავლესობასთან ერთობლივად ააშენოს და იცხოვროს ამ მომავალში [4], [5].

ინოვაციურმა პრაგმატიზმმა მიიღო არა მხოლოდ „ინოვაციური გამომეტყველება“, იგი გახდა თავისი არსით ინოვაციური და ამაშია მისი ძირეული განსხვავება ტრადიციულად გაგებული პრაგმატიზმისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გივი თალაკვაძე, გიორგი თალაკვაძე „რესურსული პოტენციალის ნეოინდუსტრიული პარადიგმა“, „ეკონომიკური პროფილი“, ტომი 18 (24), გვ. 66-72, 2023.
2. გივი თალაკვაძე, პაატა კოლუაშვილი „ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება და მისი კავშირი ინტეგრალური რესურსების პოტენციალთან“, „ეკონომიკა“ და ბიზნესი“, №1, გვ. 3-12, 2023.

3. პაატა კოლუაშვილი, გივი თალაკვაძე, იოსებ არჩვაძე
„მარადიული ქართული სოფელი“, „საარი“, 265 გვ., 2024 წ.
4. გივი თალაკვაძე
„ინტეგრალური რესურსების მართვის ეფექტიანობის შესახებ: რას ვფლობთ, რა გვსურს, რა შეგვიძლია“, „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, გვ. 54, №1(2), 2022 წ.
5. გივი თალაკვაძე, პაატა კოლუაშვილი.
„განზრახულობათა და გარემოებათა ბალანსი – ქვეყნის ეფექტიანი მართვის საფუძველი“, „რეზონანსი“, 14.08.2023.
6. გივი თალაკვაძე, იოსებ არჩვაძე.
“საქართველოს ინტეგრალური რესურსები“, „მწიგნობარი“, 540 გვ. თბილისი, 2023.
7. გივი თალაკვაძე
„30 წელი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე“, „ნეკერი“, 2020 წ.
8. Moore, James (2013). Shared Purpose: A thousand business ecosystems, a connected community, and the future. CreateSpace. p. 5. ISBN 978-1490502397.
9. Chapin, F. Stuart; Pamela A. Matson; Harold A. Mooney (2002). Principles of Terrestrial Ecosystem Ecology. New York: Springer. ISBN 0-387-95443-0.

R&D ინვესტიციების და ინოვაციების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა საქართველოში

გიორგი ბერულავა –
პროფესორი, ე.მ.დ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბექა სხირტლაძე –
დოქტორანტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აბსტრაქტი

R&D¹-სა და ინოვაციებში ინვესტიციებს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. ამ კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ინოვაციებში განსახორციელებელი ინვესტიციების პრობლემა და მათი მოზიდვის გზები საქართველოში. რეკურსიული CDM მოდელისა და მსოფლიო ბანკის მიერ საწარმოების გამოკვლევების შედეგად მოპოვებულ მრავალმხრივ მონაცემთა ბაზის გამოყენებით, ჩვენ შევისწავლეთ R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების დეტერმინანტები და შედეგები საქართველოში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ფინანსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი პრედიქტორია კომპანიის გადაწყვეტილების მიღებაში R&D-ში ინვესტიციის ჩადებისთვის. ასევე, კვლევამ დაადასტურა შემპეტერიანული ჰიპოთეზა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შედარებით მსხვილ ფირმებს, როგორც წესი, უფრო მეტი უპირატესობა გააჩნიათ ინოვაციური საქმიანობისთვის საჭირო რესურსების მოპოვებაში. კვლევაში ასევე ნაჩვენებია მენეჯერული საქმიანობის

¹ R&D – Research & Development (სკსსს – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები).

მნიშვნელობა, როგორცაა უცხოური ტექნოლოგიების გამოყენება, პერსონალის ტრენინგი და ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება. ამასთან ერთად, ჩვენი კვლევით დადასტურდა წინა ემპირიული კვლევების შედეგები, რომ R&D-ში ინვესტიციები ინოვაციების დანერგვის გადამწყვეტი წინაპირობაა და რომ ინოვაცია, თავის მხრივ, არსებითად ზრდის მწარმოებლურობის შედეგიანობას. ჩვენი კვლევის შედეგები ასევე ხაზს უსვამს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT-ისა) და პირდაპირ საექსპორტო საქმიანობის როლს ინოვაციების სტიმულირების მიზნით. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების სტიმულირების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: R&D-ში ინვესტიციები, ინოვაცია, პროდუქტიულობა

UNVEILING THE R&D INVESTMENTS AND INNOVATION DETERMINANTS IN GEORGIA

George Berulava –

Professor, D.Sc. (Econ). Sokhumi State University.

Beka Skhirtladze –

PhD Student, Sokhumi State University

Abstract

Investments in R&D and innovations have been fundamental to long-term economic growth across countries. In this study we explored the problem of investments in innovation and the ways of their enhancing in Georgia. Using a recursive CDM model and the World Bank's enterprise survey comprehensive dataset, we examined the determinants and outcomes of investment in R&D and innovation in Georgia. We found that availability of finances is an important predictor of company's choice to invest in R&D. Also, the study proves Schumpeterian hypothesis that large firms usually are more advantageous over SME businesses in obtaining necessary resources for innovative activities. The study also reveals the importance of such managerial activities as a usage of foreign technology, personnel training and developing a business strategy. We found a strong support for findings from previous empirical studies that R&D investments are crucial prerequisite for innovations and that innovation in turn substantially enhances productivity performance. The study results also emphasize the role of ICT technologies and involvement in direct export activities for stimulating innovations. Based on the research findings a set of recommendation for promotion of R&D and innovation investments were elaborated.

Keywords: R&D Investments, Innovation, Productivity

ძირითადი ტექსტი

ამ კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ინოვაციებში ინვესტიციების პრობლემა და მათი მოზიდვის გზები საქართველოში. კერძოდ ამ ნაშრომში განვიხილეთ იმ ფაქტორებს, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური კომპანიის არჩევანს, განახორციელოს თუ

არა ინვესტიცია R&D-ში და ამ არჩევანის შედეგებს კომპანიის საქმიანობისთვის ინოვაციებისა და მწარმოებლურობის ჭრილში¹. აკადემიურ ლიტერატურაში ინოვაცია აღიარებულია როგორც მწარმოებლურობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ფირმის ინოვაციურ საქმიანობასა და მის მწარმოებლურობას შორის არსებული ურთიერთდაშორებულების პრობლემას საფუძვლიანად პირველად მიაქციეს ყურადღება ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან *გრილიჩისი და ფეიქისი* [Griliches, 1979; Pakes and Griliches, 1980]. მათ სანიმუშო კვლევებში, რომელიც გამიზნული იყო ფირმაში შესრულებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (R&D-ის) უკუგების შეფასებაზე, ავტორებმა განახორციელეს ტრადიციული კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის ჩარჩოს მოდიფიკაცია იმით, რომ მოდელში შემოიტანეს „ცოდნის საწარმოო ფუნქცია“. ამ მიდგომის მთავარი დაშვება გულისხმობს, რომ ინვესტიციები წარსულ და მიმდინარე ცოდნაში (ანუ R&D-ში) აუცილებელია ახალი ცოდნის (და შესაბამისად, ინოვაციების) წარმოსაქმნელად, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ფირმის შედეგების ზრდაზე.

კვლევის ეს ხაზი შემდგომ გააფართოვეს ქრეპონმა, დიუგემ და მერესმა (*Crepon, Duguet, and Mairesse, 1998*). მათ მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა, რომელმაც შემდგომ მიიღო CDM²-ის სახელწოდება, ერთმანეთისაგან გამიჯნა ინოვაციური დანახარჯები (სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განხორციელებული ინვესტიციები) და ინოვაციური შედეგები (მიღებული ცოდნა). CDM-ი, ოგორც სტრუქტურული რეკურსიული მოდელი, ხსნის ფირმის მწარმოებლურობას ისეთი ფაქტორით, როგორიცაა ცოდნა, ანუ ინოვაციური შედეგი და, თავის მხრივ, ინოვაციურ შედეგებს – ინოვაციური დანახარჯებით, ანუ ისეთი ფაქტორით, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განხორციელებული ინვესტიციები. თავიდან CDM მოდელი შედგებოდა 4 განტოლებისგან: 1) ცოდნაში ინვესტირების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების არჩევანის განტოლება; 2) სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში ინვესტირების ინტენსივობის განტოლება; 3) სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციათა შორის კავშირის განტოლება; 4) ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის კავშირის განტოლება. ეს განტოლებები ფასდებოდა ერთდროულად ან თანმიმდევრულად ანუ ეტაპობრივად.

ფრანგული საწარმოო ფირმების შერჩევის ბაზაზე ამ მოდელის გამოყენებით *ქრეპონმა, დიუგემ და მერესმა* აღმოაჩინეს (*Crepon, Duguet, and Mairesse, 1998*), რომ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ინტენსივობა დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციურ შედეგზე (გაზომილი ისეთი ორი ცვლადით, როგორიცაა პატენტების რაოდენობა და ახალი პროდუქტის ბაზარზე გაყიდვების პროცენტული წილი). გარდა ამისა, ავტორებმა მიაკვლიეს, რომ ინოვაციური შედეგი, თავის მხრივ, არის ფირმის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი (პრედიქტორი).

CDM მოდელზე დაფუძნებულმა ბოლო კვლევებმა, რომელიც მიზნად ისახავდა ურთიერთკავშირების დადგენას ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა სამეცნიერო-

¹ აღნიშნული კვლევის დეტალური ანგარიში მოცემულია შემდეგ ნაშრომში: ბერულავა (2020)

² CDM – C – Crepon, D – Duguet, M – Mairesse.

კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ინოვაცია და ფირმის მწარმოებლურობა, დაადასტურა *ქრეპონის, დიუგესა და მერესის* (Crepon, Duguet, and Mairesse, 1998) მთავარი მიგნებები.

ანალოგიურად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის CDM მოდელის გამოყენებით, ევრობანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (EBRD, 2014) გამოავლინა ფირმის მწარმოებლურობაზე პროცესული, პროდუქტული და არატექნოლოგიური ინოვაციების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა. თავის მხრივ, კვლევის შედეგების თანახმად, ინოვაციური შედეგის მნიშვნელოვან დეტერმინანტებად გამოვლინდა ისეთი ფაქტორები, როგორცაა R&D-ში განხორციელებული ინვესტიციები, ფირმის ზომა და ასაკი, ფირმის კაპიტალში უცხოელ მესაკუთრეთა წილი, ფირმაში დასაქმებულთა განათლების დონე, კომუნიკაციების გამოყენება და ფინანსების ხელმისაწვდომობა.

ნებისმიერი სამეწარმეო სისტემის ეფექტიანობის ტიპური მაჩვენებელს წარმოადგენს მისი პროდუქტიულობა. აკადემიური მეწარმეობის მიზანს კი (საწარმოო ერთეულის, მკვლევარის, კვლევითი ჯგუფის, განყოფილების, დაწესებულების, რეგიონის და ქვეყნის) ახალი ცოდნის გენერირება უნდა წარმოადგენდეს. აკადემიურ მეწარმეობა შესდგება რთული მახასიათებლებისაგან. მისი პროდუქტიულობის შესაფასებლად გამოიყენება ბევრი სხვადასხვა მაჩვენებელი, მათ შორის: პუბლიკაციების რაოდენობა მკვლევარზე, პუბლიკაციების გავლენა (ზოგადად იზომება ობიექტური ციტირების ინდექსით) და კვლევის შედეგების პოტენციური გამოყენება.

კვლევითი ორგანიზაციებისა და დროის ფაქტორის ჩარჩოებში ხშირად კვლევის მიზნების და ამოცანების განსხვავებულობის გამო, მეცნიერები (აბრამო, ანჯელო) ამტკიცებენ, რომ ასეთი საქმიანობის შესრულება უნდა ფასდებოდეს იმ კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, რომელთა მიღწევასაც კონკრეტული კვლევა აპირებს. მათი აზრით, შეუსაბამო იქნება ეფექტიანობისათვის ერთიანი მაჩვენებლის/ინდიკატორის რეკომენდირება, თუმცა დაუშვებელია მრავალი შეუსაბამო და დაუკავშირებელი მაჩვენებლის/ინდიკატორის გაერთიანება² [Abramo & D'Angelo, 2014].

უნივერსიტეტები/კვლევითი ინსტიტუტები სწავლებისა თუ კვლევის ტრადიციული აქტივობების გარდა (კრიტიკული ადამიანური კაპიტალის ფორმირება და კვლევის შედეგად ახალი ცოდნის გამომუშავება), ცოდნის ეკონომიკისა და ინოვაციების

¹ Frank T. Rothaermel, Shanti D. Agung, Lin Jiang. University entrepreneurship: a taxonomy of the literature. *Industrial and Corporate Change*, Volume 16, Issue 4, August 2007, Pages 691–791. <https://doi.org/10.1093/icc/dtm023>

² Giovanni Abramo & Ciriaco Andrea D'Angelo. How do you define and measure research productivity? (2014) 101:1129–1144 ISSN 0138-9130. Volume 101. Number 2. <https://www.researchgate.net/publication/272017174>

განვითარებაში უნდა ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს, ცდილობდნენ ინოვაციების ხელშეწყობას ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის¹ [De Silva 2015].

არსებობს უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობას, უნივერსიტეტებისა და მდგრადი განვითარების ურთიერთკავშირს, თუმცა ასეთი თანამშრომლობის გააქტიურებისა და მის ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით კვლევები და რეკომენდაციები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

მოწინავე სამეცნიერო პუბლიკაციების შესწავლა და ანალიზი, მკაფიო წარმოდგენას მოგვცემს უნივერსიტეტიდან ბიზნესში ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის არხების შესაძლებლობებზე, ინოვაციური განვითარების ხელშეწყობისათვის მათი გააქტიურების მნიშვნელობაზე.

საქართველოს ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება და ხედვა უნივერსიტეტი-ინდუსტრიის თანამშრომლობაზე

როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც სამეწარმეო ეკოსისტემისადმი კონცეპტუალური მიდგომის საკითხი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ინოვაციური ეკოსისტემისა და აკადემიური მეწარმეობის განვითარება (საუნივერსიტეტო სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება, კვლევებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა, უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის წახალისება) აღიქმება და აღიარებულია როგორც ქვეყნის ინოვაციური განვითარების საფუძვლი, თუმცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე მას ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია² [Shonia, Trzmielak, Abramidze 2021].

საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების პროცესი, თანმიმდევრულად უკავშირდება აკადემიური მეწარმეობის მნიშვნელობის ზრდას, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ აკადემიური სფეროდან კომერციულ სფეროში ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის აუცილებლობის აღიარებას.

ამ მიმართულებით განვითარების მთავარი მამოძრავებელი ქვეყანაში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოა (რომელსაც წელს დაარსებიდან წელს 10 წელი შესრულდა), რომელიც ქვეყანაში მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.

ამ 10 წლის განმავლობაში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ დაახლოებით 38 მილიონი ლარის 200 მეტი გლობალური მამულების ინოვაციური სტარტაპი და 3000 ზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა; საქართველოში კერძო ბენეფიციარებმა დააგენერირეს დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარის კერძო ფინანსური სარგებელი; ქვეყანაში შემოვიდა „აქსელერატორი 500“, რომელიც შედის მსოფლიო ტოპ სამეულში; 2022 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი კერძო

¹ De Silva, M., (2015). Academic entrepreneurship and traditional academic duties: synergy or rivalry? *Studies in Higher Education*, 41 (12), 2169-2183.

² Devi Shonia, Dariusz M. Trzmielak, Tamar Abramidze (2021). Knowledge and Entrepreneurial Skills in the Startup Ecosystem – The Case of Georgia. *Marketing of Scientific and Research Organizations*. Vol. 42. Issue 4. Pp. 115-116. <https://sciendo.com/article/10.2478/minib-2021-0024>

ვენჩურული ფონდი 20 მილიონი დოლარის კაპიტალით; საქართველოში შეიქმნა 10 ტექნოპარკი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით უზრუნველყოფს ინოვაციური იდეების მქონე მოქალაქეების მომსახურებას¹ [GITA.2024. <https://gita.gov.ge>].

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2024 წლის 19 მარტს, საქართველოს მთავრობამ ახალი ინიციატივებიც წამოიწყო, რომლის თანახმადაც ქვეყანაში განისაზღვრება ინოვაციური სტარტაპის სტატუსი და ასეთი სტატუსის მქონე სტარტაპებს სამი წლის განმავლობაში ყველა გადასახადი გაუნუღდებათ. ასევე განისაზღვრა სამი ძირითადი ინოვაციური ტექნოლოგიური მიმართულება: ხელოვნური ინტელექტის დანერგვა, ფაგები და აგრო-ტექნოლოგიები.

ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების პროცესი და მასთან დაკავშირებული სხვა ინიციატივები, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს უნივერსიტეტებს, რათა ჩამოაყალიბონ და განავითარონ თავიანთი სამეწარმეო საუნივერსიტეტო ეკოსისტემები, გახდნენ ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემის მნიშვნელოვანი მონაწილეები და წვლილი შეიტანონ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

ქვეყნის ინოვაციურ ეკოსისტემასა და ეკონომიკურ განვითარებაში უნივერსიტეტების როლის მიმართ საზოგადოების მზარდი მოლოდინები ზრდის უნივერსიტეტების ბიზნესთან თანამშრომლობის კვლევის აქტუალობას. თანამედროვე უნივერსიტეტი უნდა იყოს მოქნილი ინკუბატორი სტარტაპებისათვის, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერისათვის² [Shonia, Trzmielak 2022.]

არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ რა წარმოადგენს სამეწარმეო საუნივერსიტეტო ეკოსისტემას, ასევე იმ კონკრეტულ გზებსა და არხებს, რომელთა დახმარებითაც ასეთი ეკოსისტემა გახდება ეფექტურად ფუნქციონირებადი, შედეგის მომცემი და განვითარებადი.

მეცნიერების (კოენი, ნელსონი, უოლში, გერერო) აზრით, ცნება „სამეწარმეო-საუნივერსიტეტო ეკოსისტემა“ ფართო გაგებით ეკუთვნის იმ უნივერსიტეტებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც მეწარმეები და თავიანთი წვლილი შეაქვთ ეროვნულ და რეგიონალურ ეკონომიკურ განვითარებაში³ [Cohen, Nelson, and Walsh 2002; Guerrero et al. 2016].

ზოგადად, უნივერსიტეტების სამეწარმეო საქმიანობა პოტენციურად შეიძლება მოიცავდეს აქტივობების ფართო სპექტრს, როგორცაა დაპატენტება და ლიცენზირება, ინკუბატორების შექნა, სამეცნიერო პარკების და საუნივერსიტეტო ფილიალების (spinouts) შექმნა, დამწყებ ბიზნესებში და სტარ-ტაპებში კაპიტალის ინვესტიცია.

მეცნიერები (კესტინგი, კლივე და ბააკენი) აღნიშნავენ რომ „პატენტებისა და სპინ-ოფების რაოდენობა, ლიცენზირების გაცემისაგან მიღებული შემოსავლები ან აკადემიური საზოგადოების მიერ მოწოდებული საკონსულტაციო მომსახურების ფულადი ღირებუ-

¹ Georgia's Innovation and Technology Agency <https://gita.gov.ge>

² Devi Shonia, Dariusz M. Trzmielak, (2022). The Universities and Business Cooperation – a look from Caucasus Countries. Marketing of Scientific and Research Organizations. Vol. 46. Issue 4. Pp. 93-114.; <https://ideas.repec.org/a/vrs/mosaro/v46y2022i4p93-114n3.html>

³ Cohen, Nelson, and Walsh 2002; Guerrero et al. 2016. Entrepreneurial-university ecosystem. RAND Europe. 2019. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/working_papers/WR1300/WR1304/RAND_WR1304.pdf

ლება – აი ეს არის ასეთი შედეგის მიღწევის მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი“.¹ [Kesting, Kliewe and Baaken, 2014].

მეცნიერები (ჰაიტერი და სხვ.) [Hayter et al. 2018] ამტკიცებენ², რომ საუნივერსიტეტო მეწარმეობის და მის შედეგად შექმნილი ეკოსისტემის გასაგებად, მიკრო დონის ფენომენები (რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდებთან, უნივერსიტეტებთან, არსებულ აქტივობებთან ფირმებთან კავშირში), უნდა იყოს „ვერტიკალურად დაკავშირებული“ მაკრო დონის შედეგებთან – რეგიონული თუ ეროვნული ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, კვლევებისა და განვითარების (R&D) ინტენსივობასთან და სოციალური სარგებელთან.

ყოველივე ეს კი მოითხოვს აკადემიური მეწარმეობის აღიარებას და გაგებას, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის არხების ეფექტიან აგებას და მის განვითარებას.

უნივერსიტეტიდან ბიზნესში ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის არხები

უნივერსიტეტის ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობა ქმნის წინაპირობებს ძლიერი და კონკურენტუნარიანი საზოგადოების განვითარებისათვის, რაც მიიღწევა იმ არხებით, რომლებიც სამეწარმეო-უნივერსიტეტის ეკოსისტემის განმავითარებელ არხებად განიხილება.

როგორც წესი, უნივერსიტეტისა და ბიზნესის მჭიდრო თანამშრომლობა ვლინდება შემდეგი ფორმებით: სამეწარმეო განათლების მიღებაში, ცოდნის გადაცემაში, ინოვაციებში, კვლევით საქმიანობაში ან „აკადემია-ბიზნეს გარემოს“ (MAI-A-BE) ფართო ურთიერთქმედების მოდელის სხვადასხვა ასპექტებში³ [Dragusin, Sirbu and Grosu, 2018].

სპეციფიკური მიდგომით კი, უნივერსიტეტის ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმები (ცხრილი 1).

თანამშრომლობის ტიპი	მოკლე აღწერა
თანამშრომლობა კვლევასა და განვითარებაში (R&D)	ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, შეკვეთილი კვლევები, კონსულტაციები კვლევებსა და განვითარებაში (R&D), თანამშრომლობა ინოვაციების სფეროში, ფირმის მეცნიერების/მკვლევარების ერთობლივი პუბლიკაციები და დისერტაციების ხელმძღვანელობა ბიზნესთან თანამშრომლობით, სტუდენტური პროექტები ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით.

¹ Kesting, T., Kliewe, T. and Baaken, T., 2014. Impact in university-business cooperation – theoretical perspectives and future directions. *International Journal of Technology Transfer and Commercialisation*, 13(1/2), pp.1-9.

² Christopher S. Hayter a1, Andrew J. Nelsonb, Stephanie Zayed c, Alan O’Connor c. Conceptualizing Academic Entrepreneurship Ecosystems: A Review, Analysis and Extension of the Literature. *Journal of Technology Transfer* (2018). <https://www.researchgate.net/publication/323151721>

³ Dragusin, M., Sirbu, M.O. and Grosu, R.M., 2018. Advancing entrepreneurship education: a new approach in Romanian academia. In: Pamfilie, R., Dinu, V., Tăchiciu, L., Pleșea, D. and Vasiliu, C. eds., BASIQ 2018 International Conference “New trends in sustainable business and consumption”. Heidelberg, Germany, 11-13 June 2018. Bucharest: ASE. Vol. 24 • No. 61 • August 2022.

მეცნიერთა მობილობა	პროფესორების ან მკვლევართა დროებითი ან მუდმივი გადაადგილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან (უსდ) ბიზნესში და თანამშრომლების, მენეჯერების და მკვლევართა ბიზნესიდან უმაღლეს სასწავლებლებში.
სტუდენტების მობილობა	
კვლევისა და განვითარების (R&D) კომერციალიზაცია	სამეცნიერო კვლევისა და განვითარების (R&D) შედეგების კომერციალიზაცია ბიზნესის დახმარებით სპინ-ოფის, გამოგონების გამჟღავნების, დაპატენტებისა და ლიცენზირების გზით.
სასწავლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	სწავლების გარემოს ერთობლივი შექმნის პროცესი ბიზნეს-საზოგადოებების წევრებთან ერთად, პროგრამების ფიქსირებული კურსების ან დაგეგმილი ღონისძიებების ჩათვლით.
სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე	მოიცავს მთელს სასწავლო აქტივობას, რომელიც ხორციელდება მთელი ცხოვრების მანძილზე უნივერსიტეტის მეშვეობით, როგორც ფორმალურად, ისე არაფორმალურად.
მეწარმეობა	მოქმედებები უნივერსიტეტებში ან მათ მონაწილეობით – ახალი საწარმოების შესაქმნელად ან ბიზნესთან თანამშრომლობით უნივერსიტეტში ინოვაციური კულტურის განვითარების მიზნით.
ხელმძღვანელობა	უმაღლეს სასწავლებელსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა უნივერსიტეტის ან ფირმის ხელმძღვანელობის დონეზე.

წყარო¹: Measuring the impact of University Business Cooperation. Final report. Healy et al., 2014, p.6
<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/8c3b24c9-2135-4436-993f-6d09ca87fc5f>

ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის სხვადასხვა არხები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ბიზნესთან თანამშრომლობას, შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა ინდიკატორებით. მათი ანალიზი იძლევა განვითარებისათვის შესაბამისი წინაპირობების შექმნის საფუძველს. ამ მიმართულებით ძირითადი ინდიკატორებია:

- კვლევითი პროექტების/უბლიკაციების რაოდენობა და მისი ხარისხი: წარმატებულ თანამშრომლობას შეიძლება მოჰყვეს ერთობლივი კვლევითი პროექტები, რასაც თავის მხრივ შეუძლია ინოვაციების და ახალი ცოდნის გენერირება;

- ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაცია: უნივერსიტეტებს შეუძლიათ ბიზნესთან თანამშრომლობის წარმატება შეაფასონ კომერციალიზაციის ტექნოლოგიების, პატენტებისა და სალიცენზიო ხელშეკრულებების რაოდენობით;

¹ Healy, A., Perkmann, M., Goddard, J. and Kempton, L., 2014. Measuring the Impact of University Business Cooperation. Final Report. [pdf] Luxembourg: Publications Office of the European Union. https://eprints.ncl.ac.uk/file_store/production/210569/222589CF-A500-4014-83FA-96561181E783.pdf

- ბიზნეს სექტორის ფინანსური მხარდაჭერისა და ინვესტიციების დონე: კომპანიებისაგან მიღებული დაფინანსების მოცულობა – გრანტების, შემოწირულობების ან ინვესტიციების სახით, შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის მიმართ ბიზნეს საზოგადოების ნდობისა და ინტერესის მაჩვენებელი;

- კურსდამთავრებულთა დასაქმება: შესაბამის ინდუსტრიებში ან კომპანიებში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონე შეიძლება მიუთითებდეს უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული განათლების ხარისხზე და მის კავშირზე ბიზნესთან;

- დამწყები ბიზნესის შექმნა და სამეწარმეო საქმიანობა: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ან ფაკულტეტის სტუდენტების მიერ დაფუძნებული სტარტაპების რაოდენობა და მათი წარმატება, ასევე ბიზნეს ინკუბატორებისა და აქსელერატორების მონაწილეობა შეიძლება იყოს ბიზნესთან წარმატებული თანამშრომლობის მაჩვენებელი;

- შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება: სასწავლო პროგრამები, მათ შორის კურსები, მასტერკლასები, სტაჟირებები, რომლებიც ასახავენ ბიზნესის არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, შეიძლება იყოს წარმატებული პარტნიორობის მაჩვენებელი.

აღსანიშნავია, რომ ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის არხები და მათი სხვადასხვა ტიპები განსხვავებულია ნომენკლატურული კლასიფიკაციით, ასევე კვლევითი ჯგუფების და შესრულებულ კვლევებზე დამოკიდებულების მიხედვითაც მოწინავე ლიტერატურაზე დაყრდნობით, ამ მიმართულებით არსებობს ცოდნის ბიზნესში გადაცემის ტრადიციული და თანამედროვე, ფორმალური და არაფორმალური არხები. მეცნიერები (მათივე და სხვები) თვლიან, რომ მკვლევარები უნდა წაახალისონ, რათა ჩაერთონ ცოდნის გადაცემის არაფორმალურ სქემებშიც, რომ ცოდნა უფრო ეფექტურად გადაიტანონ ინდუსტრიაში¹[Mathieu, 2011]..

სხვა მეცნიერები (ჰერმანსი და კასტიო) განასხვავებენ ასევე ურთიერთქმედების მიმართულ და არამიმართულ ფორმებსაც² [Hermans and Castiaux 2017.]. მკვლევართა ცალკეული ჯგუფები (შარტინგერი და სხვები..) ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემას განიხილავენ ბიზნესთან კონტაქტების ფორმალურობისა და მისი სიღრმის მიხედვით³ [Schartinger et al., 2002; D'Este & Patel, 2007; Wright et al., 2008; Perkmann & Walsh, 2009; Eun, 2009; Cassiman et al., 2010; Leisyte, 2011], ფრიცი, შვირტენი და სხვები კი ურთიერთ-ზეგავლენის ხარისხის მიხედვით⁴ [Fritsch & Schwirten, 1999; Perkmann & Walsh, 2007; Santoro & Saporito, 2003; Schartinger et al, 2002; Wright et al., 2008], შარტინგერი და სხვები – ცოდნის ნაკადის მიმართულების მიხედვით⁵ [Schartinger et al., 2002; Arza, 2010] და რაიტი

¹ Mathieu, A. (2011). University-Industry interactions and knowledge transfer mechanisms: a critical survey. CEB Working Paper, 11(015), 1-49.

² Hermans, J., & Castiaux, A. (2017). Contingent knowledge transfers in university industry R&D projects. Knowledge Management Research & Practice, 15(1), 68-77. <https://doi.org/10.1057/s41275-016-0002-1>

³ Schartinger, D., Schibany, A., & Gassler, H. (2001). Interactive relations between universities and firms: empirical evidence for Austria. The Journal of Technology Transfer, 26(3), 255-268. <https://doi.org/10.1023/A:1011110207885>

⁴ Fritsch, M., & Schwirten, C. (1999). Enterprise-university co-operation and the role of public research institutions in regional innovation systems. Industry and Innovation, 6(1), 69-83. <https://doi.org/10.1080/13662719900000005>

⁵ Schartinger, D., Schibany, A., & Gassler, H. (2001). Interactive relations between universities and firms: empirical evidence for Austria. The Journal of Technology Transfer, 26(3), 255-268. <https://doi.org/10.1023/A:1011110207885>

და სხვები შედეგების პოტენციალის მიხედვითაც¹ [Wright et al., 2008; Perkmann & Walsh, 2009].

მეცნიერ-მკვლევარები ტარტარი და სალტერი² [Tartari & Salter 2015.] ინდუსტრიაში მეცნიერთა ჩართულობის (წმინდა კომერციული საქმიანობის გარდა) კონკრეტულ ფორმებზე მიუთითებენ, კერძოდ: 1) კონფერენციებში მონაწილეობა მრეწველობასთან ერთად; 2) მრეწველობის მიერ დაფინანსებულ შეხვედრებში მონაწილეობა; 3) საკონტრაქტო კვლევებზე ახალი შეთანხმებები; 4) ახალი შეთანხმებები ერთობლივ კვლევებზე; 5) ახალი შეთანხმება კონსალტინგზე; 6) მაგისტრატურის სტუდენტების სწავლება მრეწველობასთან ერთად; 7) კომპანიების თანამშრომლების სწავლება; 8) ახალი ფიზიკური ობიექტების შექმნა მრეწველობის დაფინანსებით. სხვა მკვლევარები არვანიტისი და სხვები³ [Arvanitis et al., 2008] ცოდნისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტებიდან საწარმოებში გადაცემის არხების კლასიფიკაციას შედარებით სინთეზური ჯგუფებით ახდენენ და გამოყოფენ ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის 5 ტიპს:

1. *არაფორმალურს* (არაფორმალური კონტაქტები; კონფერენციები, სემინარები, ბიზნეს სექტორის სამეცნიერო პუბლიკაციები);
2. *ინფრასტრუქტურულს* (საქმიანობა რომელიც უკავშირდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებას);
3. *საგანმანათლებლოს* (კონტაქტები კურსდამთავრებულებთან, რომლებიც მუშაობენ ბიზნეს სექტორში, მონაწილეობა მეცნიერებისა და განვითარების (R&D) პროექტებში, სადიპლომო ნაშრომები და სადისერტაციო პროექტები მრეწველობასთან თანამშრომლობით);
4. *კვლევითს* (თანამშრომლობითი პროექტები, გრძელვადიანი კვლევის კონტრაქტები, კვლევითი კონსორციუმი);
5. *საკონსულტაციოს* (ექსპერტების მოსაზრებები/ანგარიშები ბიზნესისთვის).

უნივერსიტეტებიდან ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის გარდა ფორმალური მექანიზმებისა (პატენტი ან ლიცენზია), არსებობს არაფორმალური მექანიზმებიც, რომლებიც კონცენტრირებულია პარტნიორთა მონაწილეობის სახელშეკრულებო ფორმებზე. ამ მიმართულებით მკვლევარები განასხვავებენ *ფორმალურ მექანიზმებს* – რომლებიც რეალიზდება საწარმოებთან თანამშრომლობით – როგორცაა საკონტრაქტო კვლევები, ტექნოლოგიური კონსალტინგი, ლიცენზირება და ტექნოლოგიების შექმნა და *არაფორმალურ მექანიზმებს* – როგორცაა კომპანიებს, უნივერსიტეტებსა და საზოგადოებას შორის არახელშეკრულებითი კავშირები.

კვლევებით დასტურდება, რომ არაფორმალური კავშირები აუმჯობესებენ ფორმალური კონტაქტების ხარისხს, რომ ფორმალურ შეთანხმებებს წინ უძღვის გადაცემულ ტექნოლოგიასთან დაკავშირებული არაფორმალური ურთიერთობები. დიდი ალბათობით, ის მკვლევარები, რომლებიც მონაწილეობენ მრეწველობასთან არაფორმალურ ურთიერთქმედებაში, მიიღებენ კომერციულ სექტორთან მონაწილეობას ერთობლივ

¹ Wright, M., Markman, G. D., & Siegel, D. S. (2008). Research and Technology Commercialization. *Journal of Management Studies*, 45(8), 1401-1423. <https://doi.org/10.1111/j.1467-6486.2008.00803>

² Tartari, V., & Salter, A. (2015). The engagement gap: Exploring gender differences in University–Industry collaboration activities. *Research Policy*, 44(6), 1176-1191. <https://doi.org/10.1016/j.respol.2015.01.014>

³ Arvanitis, S., Kubli, U., & Woerter, M. (2008). University-industry knowledge and technology transfer in Switzerland: What university scientists think about co-operation with private enterprises. *Research Policy*, 37(10), 1865-1883. <https://doi.org/10.1016/j.respol.2008.07.005>

კვლევებში, ვიდრე ის მკვლევარები რომლებიც არ მონაწილეობენ ასეთ არაფორმალურ კავშირებში¹. [Boardman and Ponomariov 2007.]. ეს საკითხი ეხება ისეთ არაფორმალურ კავშირებსაც, როგორცაა თანაავტორობა პუბლიკაციებში, კერძო კონსულტაციები კომპანიებისათვის, ან მრეწველობასთან არაფორმალური თანამშრომლობა გამოყენებითი კვლევების მიმართულებით.

დასკვნა

თანამედროვე რეალობა დიდ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტებს, რადგანაც დღეისათვის უნივერსიტეტებისათვის საკმარისი არ არის ტრადიციული ფუნქციების შესრულება. უნივერსიტეტები უნდა გახდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა და რეგიონული ინოვაციური ეკოსისტემების ცენტრები. ამ მიმართულებით გამოვლენილი პრობლემებისადმი ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ეკოსისტემური მიდგომა, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის ინოვაციური ეკოსისტემის მონაწილედ განხილვას და მასში ჩართულობის გააქტიურებას.

ინოვაციური ეკოსისტემა ღია, დინამიურად განვითარებადი სტრუქტურაა, რომლის მონაწილეები ერთობლივად იყენებენ მის რესურსებს საკუთარი მიზნების მისაღწევად და საბოლოო ჯამში ხელს უწყობენ ქვეყნის ინოვაციურ განვითარებას. ინოვაციური ეკოსისტემების მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნებია მასში მონაწილეთა თანა-ევოლუცია – საერთო სტრატეგიის, მიზნების და მათ შორის კავშირების არსებობა. ინოვაციების ეკოსისტემაში მონაწილეთა მიერ მიღებული დამატებითი რესურსები – ერთობლივად შექმნილი ღირებულებებია, ეკოსისტემის ყველა მონაწილის მიერ მიღებული სარგებელია, რომელსაც ვერცერთი ვერ მიიღებს, თუ ის რჩება სისტემის გარეთ.

უნივერსიტეტი თავისი ძირითადი, ტრადიციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად ამავე რდოს უნდა გახდეს ინოვაციური ცენტრი და საბაზრო ურთიერთობების სრულფასოვანი მონაწილე, ე.ი. "სამეწარმეო უნივერსიტეტი" (ტექნოლოგიურად კვალიფიციური სტუდენტების მომზადებით, სამეწარმეო აზროვნების განვითარებით, ინდუსტრიებთან და კომპანიებთან ერთობლივი კვლევებით, სტარტაპების ჩამოყალიბებით და ა.შ.) რომელიც თავისი სტრუქტურითა და შიდა ორგანიზაციით, სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებით, დაფინანსებით, კვლევისა და სასწავლო პრაქტიკით განსხვავდება ტრადიციული უნივერსიტეტისაგან და რაც საბოლოო ჯამში სასარგებლო გავლენას ახდენს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ., „ინოვაციური ეკონომიკა – ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“. ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, 7(1):37-45. თბილისი 2023;
2. Cohen, W.M., Nelson, R.R. and Walsh, J.P. Mapping and Evaluating Regional University-Industry Knowledge Flow through Patent Licensing. The Influence of Public Research on Industrial R&D. Management Science, 48, 1-23. 2002.;

¹ Boardman, P. C., & Ponomariov, B. L. (2007). Reward systems and NSF university research centers: The impact of tenure on university scientists' valuation of applied and commercially relevant research. The Journal of Higher Education, 78(1), 51-70. <https://doi.org/10.1353/jhe.2007.0000>

3. D. Audretsch. From the entrepreneurial university to the university for the entrepreneurial society. *The Journal of Technology Transfer*. 2014. 39/3.;
4. Frank T. Rothaermel, Shanti D. Agung, Lin Jiang. University entrepreneurship: a taxonomy of the literature. *Industrial and Corporate Change*, Volume 16, Issue 4, August 2007, Pages 691–791. <https://doi.org/10.1093/icc/dtm023>
5. Giovanni Abramo & Ciriaco Andrea D'Angelo. How do you define and measure research productivity? *Scientometrics* (2014) 101:1129–1144 DOI 10.1007/s11192-014-1269-8 ISSN 0138-9130. Volume 101. Number 2. <https://www.researchgate.net/publication/272017174>
6. De Silva, M., (2015). Academic entrepreneurship and traditional academic duties: synergy or rivalry? *Studies in Higher Education*, 41 (12), 2169-2183.
7. Devi Shonia, Dariusz M. Trzmielak, Tamar Abramidze (2021). Knowledge and Entrepreneurial Skills in the Startup Ecosystem – The Case of Georgia. *Marketing of Scientific and Research Organizations*. Vol. 42. Issue 4. Pp. 115-116. <https://sciendo.com/article/10.2478/minib-2021-0024>
8. David Urbano and Maribel Guerrero. Entrepreneurial Universities: Socioeconomic Impacts of Academic Entrepreneurship in a European Region. Volume 27, Issue 1. 2013. <https://doi.org/10.1177/089124241247197>
9. Devi Shonia, Dariusz M. Trzmielak, (2022). The Universities and Business Cooperation – a look from Caucasus Countries. *Marketing of Scientific and Research Organizations*. Vol. 46. Issue 4. Pp. 93-114.; <https://ideas.repec.org/a/vrs/mosaro/v46y2022i4p93-114n3.html>
10. Cohen, Nelson, and Walsh 2002; Guerrero et al. 2016. Entrepreneurial-university ecosystem. RAND Europe. 2019. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/working_papers
11. Kesting, T., Kliewe, T. and Baaken, T., 2014. Impact in university-business cooperation – theoretical perspectives and future directions. *International Journal of Technology Transfer and Commercialisation*, 13(1/2), pp.1-9.
12. Christopher S. Hayter a1, Andrew J. Nelsonb, Stephanie Zayed c, Alan O'Connor c. Conceptualizing Academic Entrepreneurship Ecosystems: A Review, Analysis and Extension of the Literature. in *The Journal of Technology Transfer*. 2018. DOI: 10.1007/s10961-018-9657-
13. Dragusin, M., Sirbu, M.O. and Grosu, R.M., 2018. Advancing entrepreneurship education: a new approach in Romanian academia. In: Pamfilie, R., Dinu, V., Tăchiciu, L., Pleșea, D. and Vasiliu, C. eds., *BASIQ 2018 International Conference “New trends in sustainable business and consumption”*. Heidelberg, Germany, 11-13 June 2018. Bucharest: ASE. Vol. 24 • No. 61 • August 2022;
14. Healy, A., Perkmann, M., Goddard, J. and Kempton, L., 2014. Measuring the Impact of University Business Cooperation. Final Report. [pdf] Luxembourg: Publications Office of the European Union. https://eprints.ncl.ac.uk/file_store/production/210569/222589CF-A500-4014-83FA-96561181E783.pdf
15. Mathieu, A. (2011). University-Industry interactions and knowledge transfer mechanisms: a critical survey. *CEB Working Paper*, 11(015), 1-49.
16. Hermans, J., & Castiaux, A. (2017). Contingent knowledge transfers in university industry R&D projects. *Knowledge Management Research & Practice*, 15(1), 68-77. <https://doi.org/10.1057/s41275-016-0002-1>
17. Schartinger, D., Schibany, A., & Gassler, H. (2001). Interactive relations between universities and firms: empirical evidence for Austria. *The Journal of Technology Transfer*, 26(3), 255-268. <https://doi.org/10.1023/A:1011110207885>
18. Fritsch, M., & Schwirten, C. (1999). Enterprise-university co-operation and the role of public research institutions in regional innovation systems. *Industry and Innovation*, 6(1), 69-83. <https://doi.org/10.1080/13662719900000005>
19. Schartinger, D., Schibany, A., & Gassler, H. (2001). Interactive relations between universities and firms: empirical evidence for Austria. *The Journal of Technology Transfer*, 26(3), 255-268. <https://doi.org/10.1023/A:1011110207885>

20. Wright, M., Markman, G. D., & Siegel, D. S. (2008). Research and Technology Commercialization. *Journal of Management Studies*, 45(8), 1401-1423. <https://doi.org/10.1111/j.1467-6486.2008.00803>
21. Tartari, V., & Salter, A. (2015). The engagement gap: Exploring gender differences in University–Industry collaboration activities. *Research Policy*, 44(6), 1176-1191. <https://doi.org/10.1016/j.respol.2015.01.014>
22. Arvanitis, S., Kubli, U., & Woerter, M. (2008). University-industry knowledge and technology transfer in Switzerland: What university scientists think about co-operation with private enterprises. *Research Policy*, 37(10), 1865-1883. <https://doi.org/10.1016/j.respol.2008.07.005>
23. Boardman, P. C., & Ponomariov, B. L. (2007). Reward systems and NSF university research centers: The impact of tenure on university scientists' valuation of applied and commercially relevant research. *The Journal of Higher Education*, 78(1), 51-70. <https://doi.org/10.1353/jhe.2007.0000>
24. Devi Shonia. "Innovation, Economic Growth, and Investment Environment in Georgia". *Proceedings of the International Business Conference 2016: Searching for Innovative and Creative Business Solutions* Publisher: Vilniaus kolegija. Pp.318. Lithuania. ISBN:978-609-436-042-8. <https://www.viko.lt/media/uploads/sites/3/2016/07/9786094360428.pdf>
25. Devi Shonia. "The role of Knowledge in the economy of a modern country". 2019. (in Georgian). Tskhum-Abkhazian Academy of Sciences. PROCEEDINGS. /IV/. Pp. 199-204. ISSN 2233-3363 www.dspace.nplg.gov.ge
26. Devi Shonia. "Innovation indicators of economic development in Poland and in Georgia". 2016. (in Georgian). Tbilisi State University. Paata Gugushvili Institute of Economic. *Proceedings Materials of International Scientific-Practical Conference – Innovative Economy and Problems of its Formation in Post-Communist Countries..* ISSN 978-9941-13-521-7. Pp.212-216. http://www.pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2016_Konferencia

ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის ზოგიერთი საკითხისათვის

თინათინი გუგუშვილი –
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
 აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ასოცირებული პროფესორი

მანანა შალამბერიძე –
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
 აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის მნიშვნელობა სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილი ფაქტია, მაგრამ გარკვეული გარემოებები, უნივერსიტეტების ჩართულობა და თანამშრომლობის გაძლიერება, რომლებიც გავლენას ახდენენ მეწარმეობის ახლებურ გააზრებაზე საჭიროებს ახალ მიდგომებს.

ნაშრომში გამოკვლეულია სივრცითი ინოვაციებისა და სამეწარმეო ეკოსისტემის მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავების მცდელობა, მაღალი რისკისა და გაურკვევლობის პირობებში. საზოგადოების დიდი ნაწილი მთელ მსოფლიოში ცდილობს

იპოვოს გზები, რათა გამოიყენოს ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები სამუშაოდ და საკუთარი ცხოვრების გასამდიდრებლად. რადგან ინოვაცია არის ხალხის შესაძლებლობების გაძლიერების და მეწარმეობის ხელშემწყობი გზა, რაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საწარმოებში, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, აუმჯობესებს ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია მიმდინარე ტექნოლოგიური ტრენდები და სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემების არსებობა ქვეყანაში.

ფორმულირებული იქნა სივრცითი ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის ჩვენეული განმარტება, განისაზღვრა მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში ინსტიტუციური გარემოს როლი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, მეწარმეობა, ინსტიტუტები, ინოვაციურ-სამეწარმეო ეკოსისტემა

FOR SOME ISSUES OF THE INNOVATIVE ENTREPRENEURIAL ECOSYSTEM

Tinatin Gugeshashvili –

Doctor of Economics,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

Manana Shalamberidze –

Doctor of Economics,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

Abstract

The importance of the innovative entrepreneurial ecosystem is a known fact for scientific circles, but certain circumstances, the involvement of universities and the strengthening of cooperation, which affect a new understanding of entrepreneurship, require new approaches.

The paper investigates the attempt to develop a model for the sustainable development of spatial innovation and entrepreneurial ecosystem under conditions of high risk and uncertainty. Much of society around the world is trying to find ways to use available technologies to work and enrich their lives. Because innovation is a way of empowering people and promoting entrepreneurship, which plays a special role in enterprises, the latter, in turn, improves the development of the economy based on knowledge and innovation. Current technological trends and the presence of innovative entrepreneurial ecosystems in the country are also important.

Our definition of the spatial innovative entrepreneurial ecosystem was formulated, and the role of the institutional environment in ensuring its sustainable development was defined.

Key Words: Innovation, Entrepreneurship, Institutions, Entrepreneurial Innovation Ecosystem

კვლევის მიზანი: გამოიკვლიოს და მიმოიხილოს ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემები, გავრცელებული ტენდენციები და გარკვეული გარემოებები, უნივერსიტეტების ჩართულობა და თანამშრომლობის გაძლიერება, რომლებიც გავლენას ახდენენ მეწარმეობის ახლებურ გააზრებაზე. ასევე, ჩამოაყალიბოს კვლევის ძირითადი თეორიული

პრინციპები, რომელიც ორიენტირებულია სივრცითი ინოვაციებისა და სამეწარმეო ეკოსისტემის მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავებაზე მაღალი რისკისა და გაურკვეველობის პირობებში.

კვლევის მეთოდები: მდგრადი განვითარების პროცესის პრეზენტაციამ არაწრფივი დინამიკის პერსპექტივიდან შესაძლებელი გახადა მისი განმარტება, როგორც ღია სისტემების დინამიური სტაბილურობა, რომელიც მიიღწევა ინფორმაციის გაცვლის გზით. ინსტიტუციურ მიდგომაზე დაყრდნობით განისაზღვრა სივრცითი ინოვაციურ - სამეწარმეო ეკოსისტემა (სისე), ინსტიტუციური გარემოს როლი, როგორც სივრცის ადაპტაციური მექანიზმისა, რომელიც ნიველირებს მისი ქვესისტემების მეშვეობით ფუნქციონალურ და ინფორმაციულ განხეთქილებებს შორის, რითაც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების პროცესს სისტემური კომპრომისის პრინციპებით. იმ თეზისიდან გამომდინარე, რომ ადაპტაციის უნარი მრავალკრიტერიუმისანი ამოცანების კვლევისას ყველაზე მნიშვნელოვანია, მდგრადი განვითარების მოდელისთვის შეირჩა სამმაგი ინოვაციური სისტემის სპირალი (მეცნიერება, სახელმწიფო, ბიზნესი).

კვლევის შედეგები: ფორმულირებული იქნა სივრცითი ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის ჩვენეული განმარტება, განისაზღვრა მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში ინსტიტუციური გარემოს როლი, გამოვლინდა შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენს ახდენენ მოცემულ პროცესზე, რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში.

ნაშრომის სიახლე: ოპტიმალური ინსტიტუციური გარემოს ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს კომპრომისულ რეალიზაციას, როცა არ ხდება სხვადასხვა სტატუსისა და ფუნქციების მქონე ეკონომიკური სუბიექტების მიზნებთან თანხვედრა, ადაპტაციურ მექანიზმად გვევლინება განუსაზღვრელ გარემოში მოქმედი სივრცითი ინოვაციურ-სამეწარმეო ეკოსისტემები, რითაც მიიღწევა ქვესისტემების დაბალანსება, მდგრადი განვითარება და ეფექტურობა.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხელსაყრელი გარემო ხელს უწყობს ნებისმიერი ორგანიზმის სწრაფ განვითარებას. ასევე ეკონომიკაშიც, რაც უფრო კარგია საწყისი პირობები მით, უფრო წარმატებულად და სწრაფად ვითარდება პროექტები და იქმნება საწარმოები. „სამეწარმეო ეკოსისტემის“ კონცეფცია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ეკონომიკურ და ბიოლოგიურ ტერმინებს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლებში. იგი მყარად დამკვიდრდა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.

სამეწარმეო ეკოსისტემა ცნობილი კონცეფციაა გლობალურ სამეცნიერო და სამეწარმეო თემებში. არსებითად იგი გვევლინება, როგორც სოცილურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივ და რეგიონულ მეწარმეობაზე. თუ განვიხილავთ ეკოსისტემის განვითარების ისტორიას იგი იწყება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ბიზნეს-ეკოსისტემის განვითარებით, თავის დროზე ჯეიმს მურმა ჩამოაყალიბა „ბიზნეს-ეკოსისტემის კონცეფცია“, რომელიც შედგება ცალკეული ელემენტებისაგან: რომლებიც იზრდებიან, კვდებიან და უზრუნდებიან ხელახალ სიცოცხლეს და ამგვარად საწარმო შედარებული იყო ბიოლოგიურ ეკოსისტემასთან¹.

¹ ძირითადი განმარტება აღებულია ჯ. მურის წიგნიდან „*The Death of Competition: Leadership and Strategy in the Age of Business Ecosystems*“, 1996

მოგვიანებით, ჟურნალმა “Harvard Business Review” გამოაქვეყნა პროფესორ დანიელ აიზენბერგის სტატია, სადაც აღწერილია გარემო, რომელშიც მეწარმეობა ისწრაფვის განვითარებისკენ.¹ ეს გარემო ეფუძნება რამდენიმე დომენს. კერძოდ, მთავრობის პოლიტიკას, ფინანსურ კაპიტალს, სამეწარმეო კულტურას, ტექნიკურ მხარდაჭერას, ადამიანურ კაპიტალს და ბაზრებს. ექვსივე დომენი ქმნის სამეწარმეო ეკოსისტემას. ქვეყანაში მეწარმეობის ხარისხი დამოკიდებულია მათი განვითარების დონეზე. ეს უკანასკნელი კი თავისთავში მოიცავს: სტარტაპ, ვენჩურულ, საუნივერსიტეტო და ა.შ. ეკოსისტემებს.²

ახალი ტექნოლოგიებით ცონდის მიღების დონე და ხელმისაწვდომობა ძალიან სწრაფად იზრდება. საზოგადოების დიდი ნაწილი მთელ მსოფლიოში ცდილობს იპოვოს გზები, რათა გამოიყენოს ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები სამუშაოდ და საკუთარი ცხოვრების გასამდიდრებლად. ეს კი ნიშნავს იმას, ჩვენ უნდა შევეჩვიოთ ცვლილებებთან მუდმივ ადაპტაციას. რადგან ინოვაცია არის ხალხის შესაძლებლობების გაძლიერების და მეწარმეობის ხელშემწყობი გზა, რაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საწარმოებში, ეს უკანასკნელი, კი თავის მხრივ აუმჯობესებს ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას, ასევე მნიშვნელოვანია მიმდინარე ტექნოლოგიური ტრენდები და სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემების არსებობა ქვეყანაში.

საზოგადოების განვითარების და ეკონომიკური გაძლიერების წინაპირობა, რომ ინოვაციაა, როგორც მეწარმეობის ხელშემწყობი, უკვე ფაქტია და ავლნიშნეთ კიდევ. ინოვაციები ბაზარზე ქმნიან ჯანსაღ კონკურენციას, ხოლო მისი სუბიექტებია: სახელმწიფო, სამეწარმეო, განათლების და კერძო არაკომერციული ორგანიზაციები. დღეისათვის მეწარმეობის განვითარება თავის თავში გულისხმობს ინოვაციების სტრატეგიული – თანამშრომლობითი ბიზნესპრაქტიკის შერწყმას და ინტელექტის განვითარებას.

სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემების ერთ-ერთ პირველ მოდელად შეიძლება განვიხილოთ ე.წ. სამმაგი სპირალის კონცეფცია, რომელიც აღწერს ინოვაციური საქმიანობისას მეცნიერების, სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობას. ამ მოდელის თანახმად სისე საფუძველს წარმოადგენს მრავალდონიანი და არაწრფივი ურთიერთობა მეცნიერებას (უნივერსიტეტები), დარგებს (საწარმოები) და სახელმწიფოს (მთავრობა) შორის. მოცემული კონცეფცია ასახავს „შემობრუნებას“ მრეწველობა-სახელმწიფოდან, რომელიც დომინირებდა ინდისტრიულ ეკონომიკაში, ტრიადისკენ, სადაც იზრდება უნივერსიტეტების როლი სამმაგი სპირალის ურთიერთობაში „მეცნიერება-მრეწველობა-სახელმწიფო“, როდესაც უნივერსიტეტები გამოდიან კლასიკური გაგებით არა მხოლოდ როგორც ცოდნის მაგენერირებელნი, არამედ ინოვაციების ინიციატორები. მოგვიანებით, სამმაგი სპირალის კონცეფცია გაფართოვდა მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება, კულტურული ნორმები და ფასეულობები. მეხუთე სპირალად მკვლევარები ამატებენ ბუნებრივ გარემოს, რომლის ცვლილებებიც ასევე ახდენს ზეგავლენას სისე³. საწყისი პროტოტიპული მოდელის ასეთი

¹ დანიელ აიზენბერგი პრაქტიკული მეწარმეობის პროფესორი, კომპანია Babson Entrepreneurship Ecosystem Project-ის დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. მისი ბოლო წიგნი – «Worthless, Impossible, and Stupid: How Contrarian Entrepreneurs Create and Capture Extraordinary Value»

² <https://big-i.ru/biznes-i-obshchestvo/phenomeny/p13809/>

³ Carayannis E.G., Barth T.D., Campbell D.F.J. The Quintuple Helix innovation model: global warming as a challenge and driver for innovation // Journal of Innovation and Entrepreneurship. 2012. № 1(2).

განვითარებას მივყავართ მრავალკომპონენტური ინოვაციური სპირალის კონცეფციამდე.

ამგვარად, მდგრადი სივრცითი სისე მართვა უნდა განხორციელდეს აგენტების ჰარმონიული მოქმედების ფონზე, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს განუსაზღვრელობისა და რისკის პირობებში, რათა სუბიექტების მიზნებისა და ინტერესების განსხვავებულობამ მოგვცეს მათი განვითარების ჯამური პოტენციალი. რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სისტემური კომპრომისის საფუძველზე. ინოვაციური-სამეწარმეო ეკოსისტემის ზრდის წყაროებად გვევლინება არა მხოლოდ სისტემის მართვის შიგა პოტენციალი, რესურსები და დინამიური უნარები, ასევე გარე ფაქტორები, კერძოდ რეგიონალური, დარგობრივი და სამეურნეო კავშირები, აქტიური ინოვაციური პოლიტიკა, სერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრირება და სხვა. სამეწარმეო კლიმატი, რომელიც ფორმირდება ინფრასტრუქტურისა და სამეწარმეო კულტურის საფუძველზე, ითვლება ამა თუ იმ რეგიონის ინოვაციური განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს პირობად ინვესტიციების მოსაზიდად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. J.f. Moore The Death of Competition: Leadership and Strategy in the Age of Business Ecosystems, Harvard, 1996
2. D. Isenberg Worthless, Impossible, and Stupid: How Contrarian Entrepreneurs Create and Capture Extraordinary Value. Harvard Business Review Press, July 9, 2013
3. <https://big-i.ru/biznes-i-obshchestvo/fenomeny/p13809/> უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
4. Carayannis E.G., Barth T.D., Campbell D.F.J. The Quintuple Helix innovation model: global warming as a challenge and driver for innovation // Journal of Innovation and Entrepreneurship. 2012. № 1(2).

„ინოვაციური ეკოსისტემა“: თეორიული მიმოხილვა და განვითარების ძირითადი ფაქტორები.

მადონა გელაშვილი

- ეკონომიკის დოქტორი,
სსუ-ის ასოცირებული პროფესორი
ტელ.:593 21 43 06.
madigelashvili0761@gmail.com

აბსტრაქტი

სტატია ეხება „ინოვაციური ეკოსისტემის“, შედარებით ახალი კონცეფციის შესწავლას.

სტატიის მიზანია კონცეფციასთან დაკავშირებული სფეროების ანალიტიკური მიმოხილვა, რომელიც ჩვენი აზრით საკმაოდ მრავალკომპონენტურია. გამოყენებულ იქნა როგორც სამამულო, ასევე უცხოური პუბლიკაციების ანალიზის მეთოდი.

განიხილება „ინოვაციური ეკოსისტემის“ გაჩენის მოკლე ისტორია, განხორციელდა

მისი გაგების ექვსი განსხვავებული მიდგომის ინტერპრეტაცია. ფართო წყაროებზე დაყრდნობით გამოვლენილ იქნა ინოვაციური ეკოსისტემის კონცეფციის ფუნდამენტური ასპექტები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მის მრავალფეროვნებასთან პრაქტიკული განხორციელების პროცესში. აღნიშნული ცნების ძირითადი განმასხვავებელი

მახასიათებელი მის მონაწილეთა თანავევოლუციაში მდგომარეობს მთელი მათი ურთიერთქმედების პროცესში.

ნაშრომში ასევე განსაზღვრულია ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაზე. სტატიის ბოლო ნაწილი ეთმობა თანამედროვე „ინოვაციური ეკოსისტემების“ უცხოური კვლევების ანალიზს; გამოვლენილი და იდენტიფიცირებულია ის კონცეპტუალური „ხაფანგები“, რომელიც თავს იჩენს აღნიშნული კონცეფციის ფუნქციონირებისას.

საბოლოოდ სტატიაში მივდივართ დასკვნამდე, რომ „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფციამ წარმატებით გადალახა ფორმირების სტადია და შეიძინა პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც მართვის ახალ პარადიგმაზე გადასვლას გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები: ეკოსისტემა, ინოვაციური ეკოსისტემა, ცოდნა, განათლება, მდგრადი განვითარება.

„INNOVATION ECOSYSTEM“: THEORETICAL OVERVIEW AND MAIN FACTORS OF DEVELOPMENT

Madona Gelashvili –

Doctor of Economics, associate professor of SSU.

T:593 21 43 06.

madigelashvili0761@gmail.com

The article focuses on a relatively new concept of innovation ecosystem. The purpose of this article is to provide an analytical review of the Georgian and international research field associated with this concept. The study relies on the methods of meaningful content analysis of publications. The article outlines the history of the concept's emergence; six different approaches to its understanding and their evolution.

The factors that affect the development of innovation ecosystems are also identified. The final part of the article is devoted to the analysis of the interpretations of the concept 'innovation ecosystem' and to the conceptual 'traps' inherent in the operationalization of this concept. The concept 'innovation ecosystem' is now beginning to acquire practical significance marking the transition to a new paradigm in management; it is the starting point for a variety of approaches designed to solve specific practical problems.

Keywords: ecosystem, innovative ecosystem, knowledge, education, sustainable development.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაცია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფცია და როგორ ეხმარება სხვა, მსგავს ცნებებს. არსებობს პოზიცია, რომ ინოვაციური ეკოსისტემა „ბიზნეს ეკოსისტემიდან“ მომდინარეობს, და ამ ცნების ავტორი ჯეიმს მური იყო (Moore,

1993). ბიზნესის ეკოსისტემის ქვეშ ის აერთიანებდა ორგანიზაციათა ქსელს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ურთიერთდახმარების სისტემას და ერთიანდებიან ახალი ინოვაციის ირგვლივ ერთობლივი განვითარების მიზნით.

თანამშრომლობის ეს ფორმატი უზრუნველყოფს ბიზნეს ეკოსისტემის ყველა წევრის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ახალი პროდუქტის მხარდაჭერას კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მური ფაქტობრივად თავის ნაშრომში საუბრობს კონკურენციის დასრულების ხანაზე ცალკეულ კომპანიებს შორის და კონკურენციის დასაწყისზე ბიზნეს ეკოსისტემებს შორის. ის გამოყოფს ბიზნესის ეკოსისტემების ევოლუციის 4 ეტაპს: დაბადება, ლიდერობა, ექსპანსია და თვითგანახლება. ყოველი ეტაპი მოიცავს სავალდებულო მოქმედებების ერთობლიობას თანამშრომლობისა და კონკურენციის გამოწვევების ფარგლებში. მოქმედებების საწყისი მიზნად ისახავს ბიზნესის ეკოსისტემის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და მისი ფუნქციონირების ორგანიზაციის განხორციელებას. შემდგომ ეტაპზე კი, აუცილებელია ბიზნესის ეკოსისტემის დაცვა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

სტატიის მიზანია „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფციასთან დაკავშირებული საკითხების ანალიტიკური მიმოხილვა, რომელიც მრავალკომპონენტიანია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფციის ინტერპრეტაციის მიდგომების განხილვა, რაც შესაძლებელს ხდის აღნიშნული კონცეფციის მრავალფეროვნებისა და სისრულის ყოვლისმომცველ გაგებას. მეორე, გაანალიზებულ იქნა „ინოვაციური ეკოსისტემის“ ცნების გამოყენება. ეს დაყოფა განპირობებულია იმით, რომ ისტორიულად ამ კონცეფციის გამოყენების პრაქტიკა აგებულია უცხოურზე. უცხოელი მეცნიერების პუბლიკაციების ანალიზი 2019–2020 წლების პერიოდისთვის, შესაძლებელს ხდის გამოვყოს თანამედროვე კვლევის ტენდენციები. მესამე, ვლინდება ინოვაციური ეკოსისტემის კონცეფციის ფუნდამენტური ასპექტები, რომლებიც ერთად იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა არის ინოვაციური ეკოსისტემა და რა არა. მეოთხე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოსისტემების მრავალფეროვნებას ეკონომიკაში, რაც თეორიულად წარმოაჩენს ორიგინალური კონცეფციის ევრისტიკულ პოტენციალს. მეხუთე, ინოვაციური ეკოსისტემის ეფექტური განვითარების ფაქტორების გამოვლენის შემდეგ, ჩვენ ვიღებთ შესაძლებლობას დავაკავშიროთ თეორია ამ კონცეფციის პრაქტიკულ გამოყენებასთან.

„ინოვაციური ეკოსისტემა“ – არსი და მიდგომები.

არსებული წყაროების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია „ინოვაციური ეკოსისტემის“ ცნების მიდგომების განსაზღვრა, რაც ცხრილის სახით გვაქვს წარმოდგენილი:

ინოვაციური ეკოსისტემის მიდგომები

მიდგომის დასახელება	ინოვაციური ეკოსისტემის ინტერპრეტაცია	მიდგომის თავისებურების ანალიზი
„სისტემა შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე“.	ფირმისა და ეკოსისტემის სხვა მონაწილეების მიერ ბაზრისთვის ახალი შეთავაზებების სინთეზი, რომელიც ახალ გადაწყვეტას სთავაზობს მომხმარებელს (Adner, 2006).	ერთ-ერთი ყველაზე პირველი ინტერპრეტაცია ინოვაციური ეკოსისტემის, რომელიც ამოსავალ წერტილად გამოიყენება თითქმის ყველა შემდგომი მკვლევარის მიერ.
„სისტემა შინაგანი წინააღმდეგობებით“	ურთიერთდამოკიდებული სტრუქტურა, რომელიც შედგება ცენტრალური ფირმისა და მისი გარემოსგან: მომწოდებლები, მომხმარებლები, სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოები და ფირმები, რომლებიც აწარმოებენ შესაბამის საქონელსა და მომსახურებას. მონაწილეები შეიძლება იყვნენ აქტიური ან პასიური ინოვაციური განვითარების სფეროში, მხარი დაუჭირონ ან ხელი შეუშალონ ცენტრალური კომპანიის ინოვაციურ საქმიანობას (Adner, Kapoor, 2010).	შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობები ეკოსისტემის მონაწილეთა მიზნებში
„ინოვაციისთვის ხელსაყრელი გარემო“	ეკონომიკური აგენტების, კავშირების და არაეკონომიკური კომპონენტების ნაკრები. ეს სტრუქტურა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ახალი იდეების გენერირების, ინოვაციების დანერგვისა და მათი გავრცელებისთვის. განვითარებული ეკოსისტემა უზრუნველყოფს მის მონაწილეებს იმუშაონ თავიანთი ფირმების ფარგლებს გარეთ და საშუალებას აძლევს მათ გადააქციონ საერთო ცოდნა ინოვაციად (Mercan, Göktas, 2011).	არაეკონომიკური კომპონენტების არსებობა, როგორც ხელსაყრელი გარემო ინოვაციისთვის
„ორგანიზაცია/ პლატფორმა“	ურთიერთდაკავშირებული ქსელი, რომელიც შედგება ცენტრალური ფირმის ან პლატფორმისგან და მის ირგვლივ ორიენტირებული კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისგან, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან ახალი ღირებულების შესაქმნელად ინოვაციების (ახალი ცოდნის) მეშვეობით (Pellikka, Ali-Vehmas, 2016).	არა მხოლოდ ფირმა, არამედ პლატფორმაც შეიძლება იყოს ეკოსისტემის ცენტრში
„ეკოსისტემის მონაწილეები“	ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც არსებობს ცალკეულ სუბიექტებს და/ან ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი – უზრუნველყონ ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარება (Oh et al., 2016).	ყურადღება გამახვილებულია ეკოსისტემის მონაწილეებზე და სუბიექტებზე, რომლებიც ფლობენ ეკოსისტემისთვის გარკვეულ ფასეულობებს
„ინტეგრაციული“	ინსტიტუტების, გაერთიანებების, ასევე ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთშემცვლელი ურთიერთობები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცენტრალური ფირმის და მთლიანად ეკოსისტემის ინოვაციურ საქმიანობაში (Granstrand, Holgersson, 2020).	ინოვაციების ეკოსისტემის ერთ-ერთი გვიანდელი ინტერპრეტაცია, რომელიც წარმოიშვა ბოლო 15 წლის განმავლობაში გამოცდილების განზოგადების შედეგად.

ზოგადად, „ინოვაციური ეკოსისტემის“ გაგებაში გარკვეული ევოლუცია განიცადა: მიდგომებიდან, რომლებიც ხაზს უსვამენ დეტალებს, მიდგომამდე, რომელიც ცდილობს ყველა დეტალის ინტეგრირებას. ამრიგად, ინტეგრაციული მიდგომა, კონცეფციის ყოველმხრივი და სრული გაშუქების გამო, ყველაზე პერსპექტიულად გამოიყურება. თუმცა, სხვა მიდგომები ასევე არ კარგავენ აქტუალობას, რადგან ინოვაციური ეკოსისტემების რეალობა საკმაოდ ფართოა და მათი ანალიზი მოცემული ამოცანების შესაბამისად შეიძლება ფოკუსირებული იყოს სხვადასხვა კონკრეტულ ასპექტზე.

2019-2020 წლებში გამოქვეყნებული უცხოური ავტორების სტატიების ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი დიდწილად აღარ ახდენენ ინოვაციური ეკოსისტემის კონცეფციის ძირითადი ცნებებისა და პრინციპების განსაზღვრას, არამედ მიმოიხილავენ მისი სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული გარდასახვის ასპექტებს.

იობერგი თვლის, რომ ინოვაციური ეკოსისტემები არის გარკვეული ეტაპი ინოვაციური თეორიების განვითარებაში და განიხილავენ აღნიშნულ საკითხს, როგორც იდეებისა და ცოდნის გარდასახვას ეკოსისტემურ ფორმატში მრავალი სუბიექტით, კავშირებით, იდეების ურთიერთგაცვლისა და ახალი ცოდნის გენერირებით. ეკოსისტემური მიდგომა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გადავიტანოთ ინდივიდი კომპანიისგან იმ კონტექსტზე, რომელშიც ის მუშაობს (Öberg, Alexander, 2019).

ბეკონი, უილიამსი და დევისი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ „ცოდნის“ კატეგორიას და მისი გადაცემის მახასიათებლებს ღია ინოვაციური ეკოსისტემების კონტექსტში. მათი აზრით, ღია ინოვაციების ეკოსისტემის შესწავლის ორი მიდგომა არსებობს: ერთი გეოგრაფიულად მჭიდრო ეკოსისტემებზე დაფუძნებული, მეორე კი – ღირებულების შექმნასა და დამაგრებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამატებით შესაძლებლობებს, რომლებიც ეძლევათ მცირე და საშუალო საწარმოებს ეკოსისტემის წევრებთან თანამშრომლობის შემთხვევაში.

Xie და Wang ხაზს უსვამენ, რომ ფირმის წევრობა ინოვაციურ ეკოსისტემაში აფართოებს მის შესაძლებლობებს. ისინი გამოყოფენ ღია ინოვაციური ეკოსისტემების კონფიგურაციის 6 ტიპს: – თანამშრომლობა ფირმებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს/კოლეჯებს/ტექნიკურ ინსტიტუტებს შორის; – ფირმთაშორის თანამშრომლობა; – შუამავლებთან თანამშრომლობა; – ფირმასა და მომხმარებელს შორის თანამშრომლობა; – აქტივების გაყიდვა; – ტექნოლოგიების გადაცემა (Xie, Wang, 2020).

Radziwon და Bogers, იკვლევენ სირთულეებს, რომლებსაც აწყდებიან მცირე და საშუალო საწარმოები და გვთავაზობენ ამ სირთულეების აღმოფხვრის შესაძლებლობებს სხვადასხვა დონეზე: ეკოსისტემის წევრების დონეზე, მათ შორის ურთიერთობების დონეზე და მთელი ეკოსისტემის დონეზე (Radziwon, Bogers, 2019).

Fukuda წარმოგვიდგენს ინოვაციურ ეკოსისტემებს, როგორც ტრანსფორმაციის პროცესის განუყოფელ კომპონენტს, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სტრატეგია „საზოგადოება 5.0.“, რომელიც 2016 წელს შესთავაზა იაპონიის მთავრობამ. ავტორი გვთავაზობს მრავალკომპონენტიან მოდელს, რომელიც ეფუძნება ეკოსისტემურ მიდგომას მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების შექმნის მიზნით. სწორედ აქედან მოდის კონცეფცია – „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემა“ (Fukuda, 2019).

კონიეცკო, ბოკენი და ჰულტინგი განიხილავენ ინოვაციურ ეკოსისტემებს, როგორც ხაზოვანი ეკონომიკის ცირკულარულ ეკონომიკად გარდაქმნის ინსტრუმენტს (Konietzko et al., 2020).

ინოვაციური ეკოსისტემის კონცეფციის ფუნდამენტური ასპექტები.

აღნიშნული საკითხის შესახებ დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ ინოვაციური ეკოსისტემის კონცეფციის ფუნდამენტური ასპექტები:

- *ცენტრალური ერთეული, რომლის ირგვლივ აგებულია ინოვაციური ეკოსისტემა;*
ეს შეიძლება იყოს კომპანია, ციფრული პლატფორმა (Pellikka, Ali-Vehmas, 2016; Helfat, Raubitschek, 2018; Konietzko et al., 2020), ბიზნეს ერთეული ან სტრუქტურული განყოფილება. ცენტრალური სუბიექტი პასუხისმგებელია მენეჯმენტზე. ეკოსისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის აკონტროლებს პლატფორმაზე წვდომას ან მისი ბრენდის გამოყენებისა და მისგან სარგებლის უფლებას; პასუხისმგებელია სტაბილურობაზე და ერთობლივი შედეგების შექმნაზე (Autio, Thomas, 2013). ხშირად უცხოური ავტორების ნაშრომებში გვხვდება ტერმინი „ორკესტრანტი“, რომელიც აღნიშნავს ეკოსისტემის ცენტრალურ სუბიექტს (Konietzko et al., 2020). ასევე დასაშვებია პოტენციური „ორკესტრანტების“ ყოფნაც (Radziwon, Bogers, 2019).
- *სხვადასხვა ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არიან ან არ არიან ინოვაციური ეკოსისტემის წევრები.*
ცენტრალური ერთეულის და ინოვაციური ეკოსისტემის საქმიანობის შედეგი განისაზღვრება მისი ყველა ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ბუნებით (Adner, Kapoor, 2010), ხოლო მათი რაოდენობა განისაზღვრება ეკოსისტემის ღიაობის ხარისხით. აგენტებს, რომლებიც არ უკავშირდება კონკრეტულ ეკოსისტემას, ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის საქმიანობაზე; ეს შეიძლება იყვნენ სუბიექტები, რომლებიც შედიან აღნიშნული ეკოსისტემის გარემოში, ან კონტექსტუალურ კავშირში იმყოფება აღნიშნულ სტრუქტურასთან. (Öberg, Alexander, 2019).
- *ინოვაციური ეკოსისტემის მონაწილეთა საერთო მიზანი;*
ინოვაციური ეკოსისტემის წევრების მდებარეობა და მათ შორის კავშირები უაღრესად დიდ გავლენას ახდენს მთელი სტრუქტურის წარმატებულ ფუნქციონირებაზე (Adner, Kapoor, 2010) და შესაძლებელს ხდის გაცვალონ ცოდნა, ღირებულებები და ა.შ. (Ritala, Almpanopoulou, 2017).
- *ინოვაციური ეკოსისტემის მონაწილეთა მიერ დამატებითი რესურსების მიღების შესაძლებლობა;*
ინოვაციური ეკოსისტემის მონაწილე სუბიექტებს შეუძლიათ გამოიყენონ ცენტრალური სუბიექტის რესურსები საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეკოსისტემის ცენტრალურ ერთეულს კი ეძლევა შესაძლებლობა გააფართოვოს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრები – ცენტრალური ერთეულის რესურსები, გააუმჯობესოს თავისი ფინანსური მაჩვენებლები ეკოსისტემის სხვა მონაწილეებისგან მიღებული რესურსების ხარჯზე და ა.შ. (Pellikka, Ali-Vehmas, 2016).
- *ინოვაციური ეკოსისტემის მონაწილეთა მიზანი;*

რაც ფაქტობრივად მთელი სისტემის განმსაზღვრელი ელემენტია და წარმოადგენს ინოვაციური ეკოსისტემის ღირებულების შეფასების ინსტრუმენტს. (Walrave et al., 2018; Konietzko et al., 2020).

- *ეკოსისტემის წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულება;*
ეკოსისტემის ძირითადი წევრების საქმიანობის შედეგი გავლენას ახდენს და განსაზღვრავს მთლიანად ეკოსისტემის ღირებულებას და თითოეული წევრის წარმატებას, ან მარცხს ინდივიდუალურად (Walrave et al., 2018; Radziwon, Bogers, 2019; Konietzko et al., 2020). ყოველ კონკრეტულ წევრს აქვს შესაძლებლობა მიიღოს პირადი სარგებელი ეკოსისტემის სხვა წევრების მონაწილეობით შექმნილი ღირებულებიდან (Walrave et al., 2018). მცირე ორგანიზაციებისთვის ეკოსისტემაში მონაწილეობა, არის შანსი კონკურენცია გაუწიოს მაშტურ ბიზნესებს. (Öberg, Alexander, 2019).
- *ინოვაციური ეკოსისტემის სტრატეგია;*
ინოვაციური ეკოსისტემა უნდა შეესაბამებოდეს ინოვაციის სტრატეგიას და პირიქითაც, ცენტრალური ერთეულის სტრატეგია უნდა იყოს შემუშავებული ეკოსისტემის კონტექსტში და უნდა ითვალისწინებდეს მისი ყველა წევრის ინტერესებს (Konietzko et al., 2020). ცენტრალური ფირმის უნარი წარმატებით მოახდინოს ახალი პროდუქტის კომერციალიზაცია დამოკიდებულია მის საკუთარ სტრატეგიაზე და იმაზე, თუ როგორ მართავს იგი მთელი ეკოსისტემის სტრატეგიას (Pellikka, Ali-Vehmas, 2016).
- *ეკოსისტემის საზღვრები შეიძლება იყოს ღია ან დახურული;*
თუ საზღვრები გამტარია, ეკოსისტემის საზღვრების დადგენა რთულია (Autio, Thomas, 2013). ეკონომიკური აგენტები შეიძლება იყვნენ ერთდროულად რამდენიმე ეკოსისტემის წევრი. საზღვრები ასევე განისაზღვრება გეოგრაფიული ნიშნითაც: ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული თუ გლობალური (Ritala, Almpantopoulou, 2017).
- *ეკოსისტემის დინამიზმი;*
ინოვაციური ეკოსისტემა არის მუდმივად ცვალებადი სტრუქტურა, რომელიც ხელმძღვანელობს ახალი საჭიროებებით და გარდაიქმნება ახალი გარემოებებიდან გამომდინარე. (Mercan, Göktas, 2011). სწორედ ეს ქმნის შესაძლებლობას შეიქმნას ახალი ღირებულებები. (Helfat, Raubitschek, 2018).
- *სარგებელი ეკოსისტემიდან;*
გაზრდილი მოგებიანობა, ბაზარზე დამკვიდრების დროის შემცირება, გაუმჯობესებული ინოვაციური შესაძლებლობები და სწავლება, გაფართოებული წვდომა ბაზარზე – ეს ის სიკეთეებია რასაც იძლევა ინოვაციური ეკოსისტემები. (Pellikka, Ali-Vehmas, 2016).

ინოვაციური ეკოსისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორები.

ინოვაციური ეკოსისტემის, როგორც კონცეფციის განვითარებასთან ერთად, განისაზღვრა ფაქტორთა ჩამონათვალი, რომელიც განაპირობებს ინოვაციური ეკოსისტემების ეფექტიან განვითარებას. ეს ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად:

- ✓ **ინოვაციური** – რაც გულისხმობს, ტექნოლოგიებისა და რესურსების მუდმივ ტრანსფორმაციას ახალ პროდუქტებში შედარებით დაბალი დანახარჯებით, ცვალებად გარემოსთან ადაპტაციას და ახალი შესაძლებლობების შექმნას (Iansiti, Levien, 2004);
- ✓ **სტრატეგიული** – პროცესების მუდმივი განვითარება და მუშაობა როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ პარტნიორებთან, ინოვაციური სტრატეგიების შექმნა და ამავე დროს ეკოსისტემისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინება (Adner, 2006);
- ✓ **ინფრასტრუქტურული** – კლასტერული განვითარების დონე, უნივერსიტეტებსა და ფირმებს შორის თანამშრომლობა, ინოვაციების არსებობა (Mercan, Goktas, 2011);
- ✓ **ადამიანური** – ნიჭიერი ადამიანების არსებობა, მკვლევართა, მეწარმეთა და სხვადასხვა ინსტიტუტების კონცენტრაცია, მეწარმეობის კულტურის არსებობა, წვდომა კაპიტალთან და ხელსაყრელ გარემო პირობებთან აქტიური რეგულირების თვალსაზრისით. (Oh et al., 2016).

შედეგები

თანამედროვე ეტაპზე „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფციამ წარმატებით გადალახა ფორმირების ეტაპი, რადგან ვხედავთ, რამდენად აქტიურად არის განხილული და ჩამოყალიბებული მისი ძირითადი პრინციპები, რასაც მრავალი მეცნიერი ეთანხმება მიუხედავად მათი განსხვავებული მიდგომებისა. თუ თავიდან განიხილებოდა ცალკეულ დეტალებთან დაკავშირებული მიდგომები, ახლა საუბარია ინტეგრაციულ მიდგომებზე, რაც უდაოდ პერსპექტიულია. თანდათანობით კონცეფცია "ინოვაციური ეკოსისტემა" ჩამოყალიბდა როგორც მრავალკომპონენტური კონცეფცია, რომელიც აგებულია და ეფუძნება თანამედროვე კომპანიების, რეგიონებისა და სახელმწიფოების რეალურ გამოცდილებას და შეიძინა პრაქტიკული მნიშვნელობა.

ჩვენს მიერ განხილული და გაანალიზებული მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ აღნიშნული კონცეფციის დამკვიდრება ნიშნავს გადასვლას მართვის ახალ პარადიგმაზე, რომელსაც აქვს თავისი ფილოსოფია და მოითხოვს განსხვავებულ ქცევას სტრატეგიულ და ოპერაციულ მენეჯმენტში.

თეორეტიკოსებისთვის ეს პარადიგმა იძლევა შესაძლებლობას მენეჯმენტში, როგორც მეცნიერებაში აკუმულირდეს კვლევის შედეგად მიღებული თანამედროვე მიღწევები, რათა შემდგომ, პრაქტიკაში მოხდეს მათი განხორციელება. პრაქტიკოსებისათვის კი, ეს არის გამარტივებული შესაძლებლობა დანერგონ ახალი ცოდნა, ტექნოლოგიები, ნოვაციები, რაც კვლევის შედეგს წარმოადგენდა ერთიან კომპლექსურ კონცეფციაში და არა ცალკეულ ერთეულებში, რაც მკვეთრად ამცირებს დანახარჯებს და ზრდის ეფექტიანობის მაჩვენებელს.

რა თქმა უნდა გვხვდება აღნიშნული კონცეფციის კრიტიკაც, რაც დაკავშირებულია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ თვალსაზრისთანაც. პირველ რიგში, კრიტიკა აგებულია იმაზე, რომ ინოვაციური ეკოსისტემების პრაქტიკაში დანერგვის მცდელობა შეიძლება გახდეს წარუმატებელი, რადგან ახალ შესაძლებლობებთან ერთად ისინი დამატებით რისკებსაც წარმოქმნიან, რომელსაც შეუძლია გაანულოს პოტენციური სარგებელი. (Oh et al., 2016). კრიტიკოსთა მეორე ნაწილი ეჭვ ქვეშ აყენებს ინოვაციური

ეკოსისტემის თანმიმდევრულობას, ანუ რამდენად შეძლებს ცოდნის ფორმირებას, მეცნიერებაში წვლილის შეტანას და შემდგომ თეორიის პრაქტიკაში დანერგვას.(Ritala, Almpanopoulou, 2017). ჩვენი აზრით, აღნიშნული კრიტიკა გასათვალისწინებელია, თუმცა არ უგულვებელყოფს აღნიშნული ცნების ფართო შესაძლებლობებს.

დასკვნა

ამდენად, არსებული წყაროების მიმოხილვის შედეგებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს ე. წ. „ხაფანგები“, რომელთა არსებობა უდაოა და შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეუქმნას როგორც თეორიული საკითხების შემუშავებას, ასევე ინოვაციური ეკოსისტემის პრაქტიკულ გამოყენებადობასაც.

ერთ-ერთი საკითხია სახელმწიფოსთვის საკვანძო როლის მინიჭება, რომელიც პოზიციონირებს და გამოდის როგორც შემქმნელი, ლიდერი და მთავარი სპონსორი. ამან შეიძლება გამოიწვიოს დანარჩენ მონაწილე სუბიექტთა შედარებით პასოურ მდგომარეობაში გადასვლა. სახიფათოა ასევე, აღნიშნული კონცეფციის გამოყენება მხოლოდ ტერიტორიული ან ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების დონეზე, მაშინ როდესაც ეკოსისტემის პოტენციური ვრცელდება ბიზნესის, უნივერსიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების, მცირე და საშუალო ბიზნესების დონეზე და ა.შ.

ინოვაციური ეკოსისტემების აღქმა ხდება, როგორც თვითორგანიზებული სისტემის ან, თუნდაც სპონტანურად ორგანიზებული ბუნებრივი პროცესების მსგავსად; იმავედროულად, ეკოსისტემები მისი მონაწილეების დაგეგმილი, რეგულირებული და კოორდინირებული ქმედებების პროდუქტებია.

ზოგადად, "ინოვაციური ეკოსისტემის" ლოგოკა ამოსავალი წერტილია სხვადასხვა მიდგომის განხილვისას, რომელიც შექმნილია კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. მათ შორის როგორც ვიწრო, ასევე შედარებით ფართო სეგმენტში: ინოვაციური ეკოსისტემები ქალაქების, რეგიონების და ქვეყნების მასშტაბით (ინოვაციური ეკოსისტემა ქალაქების დონეზე, რეგიონული ინოვაციური ეკოსისტემა, ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა); მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემა, ინოვაციები ცირკულარულ ეკოსისტემაში და ა.შ.

ამჟამად კვლევები ფოკუსირებულია ინოვაციური ეკოსისტემების როგორც ცალკეულ ასპექტებზე (ცოდნის გადაცემა, კომუნიკაცია და კონფიგურაცია), ასევე მათ ცალკეულ მონაწილეებზეც (უნივერსიტეტების, ცენტრალური ფირმის, მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციებიდან და ა.შ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბედიანაშვილი, გ. „ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი“. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N3, გვ. 10-17. 2017;
2. გელაშვილი მ., „მწვანე“ განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში“.ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი 2022;
3. გელაშვილი მ., „ ცოდნის ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი წყარო“.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ეროვნული

სამეცნიერო კონფერენცია: «ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები თანამედროვე პირობებში». ბათუმი 2019;

4. დანელია, ს. „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში“. ჟურნალი „ეკონომიკა“, თბილისი 2020;
5. ქოქიაური ლ., „ინოვაციური ეკონომიკა – ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“. ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, 7(1):37-45. თბილისი 2023;
6. Bacon E., Williams M. D., Davies G. H. Recipes for success: Conditions for knowledge transfer across open innovation ecosystems // International Journal of Information Management. 2019. Vol. 49. P. 377–387;
7. Bramwell A., Hepburn N., Wolfe D. A. Growing Entrepreneurial Ecosystems. Public Intermediaries, Policy Learning, and Regional Innovation // Journal of Entrepreneurship and Public Policy. 2019. Vol. 8. No. 2. P. 272–292. DOI: <https://doi.org/10.1108/JEPP-04-2019-0034>;
8. Carayannis E., Grigoroudis E., Campbell D. F., Meissner D., Stamati D. The Ecosystem as Helix: an Exploratory Theorybuilding Study of Regional Competitive Entrepreneurial Ecosystems as Quadruple/Quintuple Helix Innovation Models // R&D Management. 2018. Vol. 48. No. 1. P. 148–162;
9. Fukuda K. Science, technology and innovation ecosystem transformation toward society 5.0 // International Journal of Production Economics. 2020. URL: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0925527319302701>; 21.01.2021);
10. Granstrand O., Holgersson M. Innovation ecosystems: A conceptual review and a new definition // Technovation. 2020. URL: <https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0166497218303870> (дата обращения: 21.01.2021);
11. Helfat C. E., Raubitschek R. S. Dynamic and Integrative Capabilities for Profiting from Innovation in Digital Platformbased Ecosystems // Research Policy. 2018. Vol. 47(8). P. 1391–1399;
12. Iansiti M., Levien R. Strategy as Ecology // Harvard Business Review. 2004. Vol. 82(3). P. 68–78. Konietzko J., Bocken N., Hultink E. J. Circular ecosystem innovation: An initial set of principles // Journal of Cleaner Production. 2020. Vol. 253. URL: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0959652619348127>; 21.01.2021);
13. Li Y. R. The Technological Roadmap of Cisco’s Business Ecosystem // Technovation. 2009. Vol. 29(5). P. 379.

უნივერსიტეტის მხარდაჭერა მეწარმეობის უნარების განვითარებაში განათლების დანახვით საფინანსო

ნატო ქობულაძე –

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მამული ბუჭუხიშვილი –

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

შორენა ტყემალაძე –

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკად. დოქტორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის ცხოვრებისეულ წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური სის-

ტემა. მეწარმეობის საფუძვლების ცოდნა, მოსწავლისთვის ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის. მეწარმეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყოფითი კომპეტენციაა, რომლის მექონე თითოეული ინდივიდი ავტომატურად ხდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, რაც მისი მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ზრდასაც განაპირობებს. აღნიშნული კომპეტენციის განვითარება მოითხოვს, დაწყებითი საფეხურიდანვე იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის ბიზნეს და სამეწარმეო უნარჩვევების განვითარება, რაც არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობების შედეგად მიიღწევა.

სასკოლო საგანმანათლებლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია კლუბური მუშაობა. კლუბური მუშაობა მოსწავლისათვის არის ინტერაქტიული გარემო, სადაც მას საშუალება ეძლევა, სხვადასხვა დავალებებისა და აქტივობის შესრულების დროს, ეფექტურად გადალახოს არსებული ბარიერები და სიძნელები, შექმნას საინტერესო და ინოვაციური პროდუქტები. იდეატორთა კლუბის ფარგლებში დაწყებითი კლასის მოსწავლეები გამოიმუშავენ კრიტიკული აზროვნების და პრობლემის ინოვაციურად გადაჭრის უნარებს გუნდურ პროექტებზე მუშაობისას. კლუბის მიზანია უბიძგოს მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ მომავალ ინოვაციურებად, რომლებსაც შეუძლიათ თანამშრომლობა, გამოწვევების მიღება და კრეატიულად გადაჭრა. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია იდეების გენერირება. ასეთ აქტივობებს მიეკუთვნება, მაგალითად, „იდეატორთა კლუბები“-ს ჩამოყალიბება საჯარო სკოლებში, რასაც USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 2022 წლიდან დღემდე იმერეთის საჯარო სკოლებში.

იდეატორთა კლუბი მოიცავს კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს უვითარებს, ესენია: კრიტიკული აზროვნება, ეფექტური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების კრეატიულად გადაწყვეტა.

მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ რომელიმე მიმართულებიდან ერთ-ერთი ან თავად შეიმუშაონ ინოვაციური იდეები. შეთავაზებული მიმართულებებია: საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT); მეცნიერება; ხელოვნება; ეკონომიკა; ინჟინერია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის, სტუდენტების, მოსწავლეებისა და სკოლების თანამშრომლობა პასუხობს 21-ე საუკუნის გლობალურ უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, რაც ნამდვილად, თანამედროვე გამოწვევაა დღევანდელ რეალობაში.

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობა, იდეატორთა კლუბი, უნივერსიტეტი, მოსწავლეები, სტუდენტები, თანამშრომლობა, ლიდერობა, გუნდურობა, პროექტები, მომავალი ინოვაციები.

UNIVERSITY SUPPORT IN THE DEVELOPMENT OF ENTREPRENEURSHIP SKILLS AT THE PRIMARY LEVEL OF EDUCATION

Nato Kobuladze –
Associate Professor of
Akaki Tsereteli State University

Mamuli Buchukhishvili –
Associate Professor of
Akaki Tsereteli State University

Shorena Tkemaladze –
Doctor of Economics of
Akaki Tsereteli State University

Abstract

In the modern world, the success of a person's life is determined by many factors. One of the most important among them is the economic system. Knowledge of the basics of entrepreneurship is a wide arena for the student to plan, develop and implement innovative ideas. Entrepreneurship is a vitally important existential competence, with which each individual automatically becomes a contributor to the development of the economy of his country, which leads to the growth of his civic duties and responsibilities.

The development of the mentioned competence requires the development of business and entrepreneurial skills to be available to school students from the primary level, which can be achieved as a result of various activities of non-formal education.

Club work is important in school educational life. Club work is an interactive environment for the student, where he/she is given the opportunity to effectively overcome existing barriers and difficulties, create interesting and innovative products, while performing various tasks and activities.

As part of the Ideator's Club, primary school students develop critical thinking and innovative problem solving skills while working on team projects.

Such activities include, for example, the formation of "Ideator's Clubs" in public schools, which is being implemented by Akaki Tsereteli State University in Imereti public schools from 2022 to the present within the framework of USAID Basic Education Program.

Students have the opportunity to choose one of the directions or develop innovative ideas themselves. The proposed destinations are: Information technology (IT), Science, Art, Economy, Engineering

It is important to note that the cooperation of the university, students, pupils and schools responds to the global skills and values of the 21st century, which is indeed a modern challenge in today's reality.

Keywords: Entrepreneurship, Ideator's Club, University, Students, Primary school students, Cooperation, Leadership, Team Work, Projects, Future Innovation

კვლევის მიზანი და აქტუალობა: სამეწარმეო/ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარება ზოგადი განათლები სისტემაში უნივერსიტეტების მხარდაჭრით.

კვლევის მეთოდები: დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ.

ნაშრომის სიახლე: სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში აუცილებელი და სპეციფიკური ცხოვრებისეული კომპეტენციაა. უნივერსიტეტის მხარდაჭერად სხვადასხვა კლუბებისა თუ აქტივობების სახით, მოსწავლეებსა და სტუდენტებს/მომავალ მასწავლებლებს აძლევს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, რომელიც ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის ცხოვრებისეულ წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური სისტემა. ადამიანი, როგორც შრომითი რესურსი, ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი უჯრედია. ქვეყნის ეკონომიკა კი სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს განსაზღვრავს. ეკონომიკურ ურთიერთობებში მოსწავლეთა ეფექტური ჩაბმა პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აქვთ მათ განვითარებული შესაბამისი კომპეტენციები. სამეწარმეო კომპეტენციას, ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მეწარმეობა არ არის წარმოებისა და წარმოებითი ურთიერთობების სინონიმი. იგი აუცილებელი და სპეციფიკური ცხოვრებისეული კომპეტენციაა, რომელიც მოსწავლეს აძლევს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. მეწარმეობის საფუძვლების ცოდნა, მოსწავლისთვის ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის. მეწარმეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყოფითი კომპეტენციაა, რომლის მქონე თითოეული ინდივიდი ავტომატურად ხდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, რაც მისი მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ზრდასაც განაპირობებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (№145/ნ 2014 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) ეროვნული სასწავლო გეგმის 1 თავი გვამცნობს, რომ ეგს-ში დაემატოს ერთმოდულიანი არჩევითი საგანი: „მეწარმეობის საფუძვლები“, რომლის მიზანია მეწარმეობის საფუძვლების სწავლების გზით მოსწავლის სამეწარმეო კომპეტენციის განვითარებას განათლების საშუალო საფეხურზე.

აღნიშნულმა საგანმა მოსწავლეს უნდა განუვითაროს ისეთი უნარები, როგორცაა: ეფექტური გუნდური მუშაობის უნარი; საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის უნარი; საპროექტო იდეის რეალიზებისთვის საჭირო უნარები (დაგეგმვის, ორგანიზება, ანალიზი, კეთება, კომუნიკაცია, ინსტრუქტაჟის გაგება, შეფასება); პროფესიული კარიერის დაგეგმვის უნარი; ინიციატივის შემოქმედებით სამეწარმეო იდეად გარდაქმნის უნარი. მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს შემდეგი ღირებულებები / დამოკიდებულებები: ინიციატივის გამოჩენისადმი მიდრეკილება; ინოვაციებისა და რისკებისადმი რაციონალური დამოკიდებულება; შრომითი საქმიანობისა და ინიციატივისადმი პოზიტიური დამოკიდებულება; დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქის შესაფერისი პასუხისმგებლობებით მოქმედების საჭიროება.

აღნიშნული კომპეტენციის განვითარება მოითხოვს, დაწყებითი საფეხურიდანვე იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის ბიზნეს და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, რაც არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობების შედეგად მიიღწევა.

სასკოლო საგანმანათლებლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია კლუბური მუშაობა. კლუბური მუშაობა მოსწავლისათვის არის ინტერაქტიული გარემო, სადაც მას საშუალება ეძლევა, სხვადასხვა დავალებებისა და აქტივობის შესრულების დროს, ეფექტურად გადალახოს არსებული ბარიერები და სიძნელები, შექმნას საინტერესო და ინოვაციური პროდუქტები.

კლუბის ფარგლებში დაწყებითი კლასის მოსწავლეები გამოიმუშავენ კრიტიკული აზროვნების და პრობლემის ინოვაციურად გადაჭრის უნარებს გუნდურ პროექტებზე მუშაობისას. კლუბის მიზანია უბიძგოს მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ მომავალ ინოვაციურებად, რომლებსაც შეუძლიათ თანამშრომლობა, გამოწვევების მიღება და კრეატიულად გადაჭრა. ძირითადი ფორმატია გუნდური პროექტების განხორციელება. მოსწავლეები ერთად შეარჩევენ ამა თუ იმ პრობლემას და აქტიურად ითანამშრომლებენ მისი გადაჭრის გზების მოსაძიებლად. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია იდეების გენერირება.

ასეთ აქტივობებს მიეკუვნება, მაგალითად, „იდეატორთა კლუბები“-ს ჩამოყალიბება საჯარო სკოლებში, რასაც USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 2022 წლიდან დღემდე იმერეთის საჯარო სკოლებში.

ასევე მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა unicef-ისა და კანტის აკადემიის საგრანტო პროექტის ფარგლებში: „იმოქმედე ჯანმრთელობისთვის“, სადაც მოსწავლეებმა შეძლეს სამეწარმეო უნარების განვითარება.

კლუბები მოიცავს კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს უვითარებს, ესენია: კრიტიკული აზროვნება, ეფექტური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების კრეატიულად გადაწყვეტა. კრეატიულობა კი, თავის მხრივ, საძირკველს უყრის ინოვაციებს და უბიძგებს ბავშვს, საკუთარი იდეები რეალურ ცხოვრებაში გადმოიტანოს. კლუბის მუშაობის ძირითადი ფორმატია გუნდური პროექტის განხორციელება. მოსწავლეები ერთად შეარჩევენ ამა თუ იმ პრობლემას და აქტიურად ითანამშრომლებენ მისი გადაჭრის გზების მოსაძიებლად. რა თქმა უნდა, ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იქნება იდეების გენერირება.

„იდეატორთა კლუბების“ განხორციელებაში ჩართული არიან უნივერსიტეტის აკად.პერსონალი, მასწავლებლის მომზადები სპროგრამის სტუდენტები, სკოლის წარმომადგენლები და დაწყებითი საფეხურის მე-4-მე-6 კლასის მოსწავლეები. კლუბში ჩართული მოსწავლეები შეარჩევენ პროექტს და შეუდგებიან მის განხორციელებას ლიდერების დახმარებით. ლიდერები პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პაკეტებს უნივერსიტეტებს წარუდგენენ. დასკვნით ეტაპზე უნივერსიტეტები განიხილავენ მოსწავლეების მიერ განხორციელებულ პროექტებს. თითოეული უნივერსიტეტი, ჟიურის დასკვნის საფუძველზე, დააჯილდოებს გამორჩეულ ნამუშევრებს. კლუბის მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ ლიდერი თავად არ ჩაერიოს გადაწყვეტილების მიღებაში და გუნდის გამხნევებით შემოიფარგლოს. ლიდერმა არ უნდა

შეასრულოს არც ერთი დავალება მოსწავლის ნაცვლად! თუკი მოსწავლეები გემივით იძირებიან, დაე, ასე იყოს. ლიდერმა ხელი არ უნდა შეუშალოს. ეს სამუშაოს ურთულესი ნაწილია. მარცხი ცოდნის მიღების მნიშვნელოვანი ასპექტია. ლიდერს ევალება, რომ უწინამძღვროს მოსწავლეებს, მარცხისა თუ გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ რომელიმე მიმართულებიდან ერთ-ერთი ან თავად შეიმუშაონ ინოვაციური იდეები. შეთავაზებული მიმართულებებია:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)
2. მეცნიერება
3. ხელოვნება
4. ეკონომიკა
5. ინჟინერია

მნიშვნელოვანია, რომ პროექტებმა შესაძლებლობა უნდა მისცენ მოსწავლეებს, შეისწავლონ, იკვლიონ, გუნდურად იმუშაონ და გამოიყენონ სტრატეგიული დაგეგმვის უნარები. ერთ გუნდად შეკრული მოსწავლეები ინტერდისციპლინურ ამოცანებს გადაწყვეტენ. ეს პროექტები დროში უნდა იყოს გაწერილი და არ დასრულდეს ერთადერთი შეხვედრით. მაგალითად, მოსწავლეებმა გააშენონ ბაღი ეგზოტიკური მცენარის თესლებით, შექმნან სკოლის საბანკო სისტემა ან დაგეგმონ ადგილობრივი პროდუქციის სარეკლამო კამპანია. გუნდმა უნდა მოამზადოს სამუშაო გეგმა, დოკუმენტურად აღწეროს თავისი მიგნებები და გადადგმული ნაბიჯები, დაწეროს საბოლოო ანგარიში და მოამზადოს პრეზენტაცია, რომლითაც ჟიურის წინაშე წარსდგება.

აწსუ-ს გამოცდილებიდან, იდეატორთა კლუბებმა (სულ 15 სკოლაში განხორცილდა „იდეატორთა კლუბი“) მოსწავლეთა უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა შემდეგ მიმართულებებს: მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, ხელოვნებასა და ინჟინერიას. კლუბების მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ინოვაციური პროექტები: „სკოლის ვირტუალური მოდელი“, „მზის სისტემა“, კლიპი „კიბერუსაფრთხოება“, პაპიემაშესგან ნივთებისა და სათამაშოების დამზადება, რესურსების მეორე სიცოცხლე, მექანიკური წყლის სარწყავი სისტემა, საქველმოქმედო ფონდის დაარსება, მოძრავო-გასაშლელი ხიდის მოდელის შექმნა და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ ბმულების საშუალებით:

<https://rionitv.com/index.php?newsid=15318;>

<https://www.youtube.com/watch?v=jMM38000bdw;>

<https://www.youtube.com/watch?v=p13HkwZ7IO4>

უნივერსიტეტის ჩართულობით განხორციელებული „იდეატორთა კლუბების“ ფორმირებისას, მოსწავლეებს ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებთან ერთად, განუვითარდათ სამეწარმეო უნარ-ჩვევები.

შეგვიძლია განვიხილოთ ერთ-ერთი საპროექტი იდეა კონკრეტული მაგალითი სსიპ ქუთაისის №23 საჯარო სკოლის მაგალითზე:

ქუთაისის N23 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს UNICEF და კანტის აკადემიის ერთობლივად გამოცხადებულ საგრანტო პროექტში „იმოქმედე ჯანმრთელობისთვის“ მათ შექმნეს ჯანსაღი კვების პოპულარიზაციისთვის ტკბილეული „ჩამიჩირი“, რომელიც მოიცავდა ბავშვებისთვის უსაფრთხო, ჯანსაღ, ბუნებრივ ინგრედიენტებს: ქლიავის ჩირი, ნიგოზი, სეზამის მარცვლები, ნუში, ლეღვის ჩირი, გარგარის ჩირი, ქიშმიში. კონკურსის ფარგლებში ცხადდებოდა ბიზნეს

გეგმის შექმნა, მოსწავლეებმა ამ პროდუქტის შექმნას დაუკავშირეს ბიზნეს გეგმაც, თუმცა გამოწვევად რჩებოდა პროდუქტის შესაფუთი მასალა, რომელიც კრეატიული და ინოვაციური უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მიზნისთვის მათ გამოადგათ სკოლაში შემოსული პროექტი დაწყებით საფეხურზე „იდეატორთა კლუბები“, სადაც პარალელურად მუშაობა ხდებოდა პროექტ „კრეატიული დღიური“ ფარგლებში. 21 დღის სათავგადასავლო ისტორია იქმნებოდა კრეატიულ დღიურში მოსწავლეების მიერ. უფროსკლასელებმა უმცროსკლასელთა ნამუშევრების ასლი დაამზადეს უსაფრთხო შესაფუთი მასალაც მოიძიეს და ბიონუგბარი „ჩამიჩირი“ ბურთისებრი ფორმის ტკბილეული შეფუთეს მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტებით, ნახატებით, ამბებით, ისტორიებით, ლექსებით, ჩანაწერებით და ა.შ.

სკოლის ბაზაზე არსებული არაფორმალური განათლების გაძლიერება და საგრანტო პროექტები, სადაც სკოლისა და უნივერსიტეტის პარტნიორობა და თანამშრომლობაა პრიორიტეტი მოსწავლეებისათვის ამ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე გახდა სამეწარმეო კომპეტენციების დაუფლების საუკეთესო საშუალება.

პროექტების ფარგლებში მოსწავლეები მუშაობდნენ იდეების გენერირებაზე, იკვლევდნენ ბაზარს. მათ მოიპოვეს დაფინანსებაც, იდეა განავითარეს და ბაზარზეც გაიტანეს. მოამზადეს ფინანსური ანგარიშგება და სკოლის ბაზაზე გაუზიარეს გამოცდილება სხვა მოსწავლეებსაც.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს გამოუმუშავდათ მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მომავალში მათ თავის დამკვიდრებაში დაეხმარებათ; ასევე გააცნო მათ ბიზნესის და ეკონომიკის რთული ცნებები მოქმედებაში (პრაქტიკაში), დაანახა თავისუფალი მეწარმეობის ღირსებები, გაუჩინა პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი, და ხელშეწყობა მოხდა რომ აქციოს ისინი თავისუფალ მოქალაქეებად დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკის საქართველოში.

წლის ბოლოს კი 26 აპრილს ქუთაისის №23 საჯარო სკოლაში საერთაშორისო კამპანიის გლობალური მოქმედების დღეები 18-28 აპრილი, გაიმართა სასკოლო კონფერენცია სახელწოდებით „ხარისხიანი განათლება-მდგრადი მომავლისათვის“. კვირეულის ფარგლებში მოქმედი სლოგანი „ჩემი ქმედებები მნიშვნელოვანია-my actions matter“ მოიცვა სკოლის ბაზაზე განხორციელებულმა შემდეგმა აქტივობებმა:

იდეატორთა კლუბები სკოლის ბაზაზე-სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობა ინოვაციური მეწარმეობისათვის;

UNICEF და კანტის აკადემიის საგრანტო პროექტი „იმოქმედე ჯანმრთელობისთვის“-ბიზნეს გეგმა – „ჩამიჩირი“-ს წარდგენა მოსწავლეების მიერ.

ევროკავშირისა და საქ.პატენტის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის შეჯამება ინტელექტუალური საკუთრება „კრეატიული დღიური“.

ვინ დგას ახალი სტარტაპის უკან?

სწორედ ის მოზარდები, რომლებმაც პროექტის ფარგლებში დიდი მოტივაციით მიიღეს ცოდნა და უნარ-ჩვევები ანტრეპრენერშიპის, კრეატიული აზროვნებისა და თვითშემეცნების შესახებ.

2 მაისს, გვირილობას, ეკოლოგიურად სუფთა ბიონუგბარი გამოფენა-გაყიდვაზე გაიტანეს მოსწავლეებმა, ასევე ქუთაისის ერთ-ერთ კაფეტერიაში „ლაფეტში“ მოხდა წესების დაცვით ბიონუგბარის შეტანა და გაყიდული თანხით მიუსაფარი ბავშვების ფონდში შემოწირულობის გადარიცხვა;

დასკვნის სახით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის, სტუდენტების, მოსწავლეებისა და სკოლების თანამშრომლობა პასუხობს 21-ე საუკუნის გლობალურ უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, რაც ნამდვილად, თანამედროვე გამოწვევაა დღევანდელ რეალობაში. მნიშვნელოვანია, მსგავსი თანამშრომლობითი პროექტები გაგრძელდეს უნივერსიტეტისა და სკოლების მხრიდან, რადგან მომავალი თაობა და მომავალი მასწავლებლები ფლობდნენ გაზირებული ლიდერობის უნარ-ჩვევებს, იოლად გაუმკლავდნენ თანამედროვე გამოწვევებს და შეძლონ რაციონალურად, თანამშრომლობით ფორმატში ეფექტიანად გადაჭრან პრობლემები.

გამოყენებული ელ. რესურსები:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2559617/0/ge/pdf>
2. <https://ideatorti.blogspot.com/>
3. <https://rionitv.com/index.php?newsid=15318>
4. <https://www.youtube.com/watch?v=jMM38OO0bdw>
5. <https://lot.ge/video/26d7a04e9b76d/%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>
6. <https://www.youtube.com/watch?v=p13HkwZ7IO4>
7. <https://chemiskola.emis.ge/course/index.php?categoryid=8&lang=en>
8. <https://www.atsu.edu/ge/news/1509-usaidis-sabaziso-ganatilebis-programis-direktoris-nensi-parksis-viziti-aktseretlis-sakhelmtsipo-universitetshi>

სახელმწიფო შესყიდვების როლი ინოვაციური, სოციალურად მდგრადი ეკოსისტემის განვითარებაში

ნინო ხარებავა -

ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ORCID ID: 0000-0003-2686-2269

ბექა ფაცაცია -

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დოქტორანტი

აბსტრაქტი

კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი არის სოციალურად ინკლუზიური და ინოვაციური საზოგადოების შექმნა. ამასთან დაკავშირებით, გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვების სოციალური ფუნქციის მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის დანერგვის მექანიზმებს. სტატიაში განხილულია საქართველოს საჯარო შესყიდვების ინსტიტუციური და ორგანიზაციული ჩარჩო, შეფასებულია ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და

კონკურენციის პრინციპების დაცვა შესყიდვის პროცესში. გაანილიზებულია საჯარო შესყიდვებში საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანას მდგრადი ბიზნეს ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში, ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით. შეთავაზებულია საციალური პასუხისმგებლობის, ინოვაციურობის და ეკოლოგიური მდგრადობის კრიტერიუმების შეფასების მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: საჯარო შესყიდვები, ინოვაციები, მდგრადი ბიზნეს ეკოსისტემა

THE ROLE OF PUBLIC PROCUREMENT IN THE DEVELOPMENT OF AN INNOVATIVE, SOCIALLY INCLUSIVE ECOSYSTEM.

Nino Kharebava –
Doctor of Economics,
Associate Professor of Sokhumi State University
ORCID ID: 0000-0003-2686-2269

Beka Patsatsia –
Doctorate Student of
Faculty of Business and Social Sciences of
Sokhumi State University

Abstract

With the award of Georgia the status of a candidate of the European Union, especially the actual for the country, has become issues of creating an innovative and socially inclusive society. In this regard, the significance of the social function of public procurement, which includes stimulation of sustainable business practices, has increased. The article analyzes the institutional and organizational framework of the public procurement system of Georgia, as well as the implementation of the principles of efficiency, transparency and competition. The legislative changes in public procurement are being assessed for their contribution to creating a sustainable business ecosystem in line with the EU directives. Indicators are proposed to assess social responsibility, innovation, and environmental sustainability.

Key words: Public Procurement, Innovation, Sustainable Business Ecosystem

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სოციალურად მდგრადი ბიზნეს ეკოსისტემის შექმნას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური წარმატების, სოციალურ პასუხისმგებლობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების კომპონენტებს. საქართველო, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, დგას მრავალი რთული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რომელიც მოითხოვს ეფექტურ გადაწყვეტილებებს საზოგადოების კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა არის სახელმწი-

ფო შესყიდვები. სათანადოდ ორგანიზებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ხელს უწყობს ხარჯების ოპტიმიზაციას და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას, კონკურენციისა და ინოვაციების სტიმულირების გზით. შესყიდვების პროცესში მიმწოდებლების წახალისებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო პროექტებში მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის ელემენტების დანერგვას (მაგ., ნარჩენების შემცირება, განახლებადი ენერჯის გამოყენება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, შრომის სამართლიანი სტანდარტების ხელშეწყობა), რითაც მიიღწევა სახელმწიფო შესყიდვების სოციალური ფუნქციების რეალიზაცია.

ამ პროცესში, ობიექტურად ჩნდება საჯარო შესყიდვების კონტროლის აუცილებლობა, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების მონიტორინგი, რაც თავის თავში გულისხმობს სახელმწიფო სუბიექტების მიერ ეფექტიანობისა და შედეგიანობის პრინციპების გამოყენებაზე დაფუძნებული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების კონტროლის განხორციელებას.


ევროპული პერსპექტივის აღიარებისა და კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო შესყიდვების ევროპული პრაქტიკის გაზიარება და სახელმწიფო შესყიდვის პროცესში ევროკავშირის დირექტივებში ასახული გამჭვირვალობის, კონკურენციისა და ეფექტიანობის პრინციპების, ასევე მდგრადი ბიზნესის განვითარების მიზნების დანერგვა. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის როლი ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური ბიზნეს ეკოსისტემის განვითარებაში. ამ მიზნის მისაღწევად, განხორციელდა საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ინსტიტუციური და ორგანიზაციული ჩარჩოს ანალიზი; სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ცვლილებების და მათი ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის ანალიზი. ამის საფუძველზე, შეთავაზებულია მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აფასებს სოციალური პასუხისმგებლობის, ინოვაციურობის და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპების დაცვას სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკაში.

სტატიის სტრუქტურა შემდეგია: პირველი ნაწილი განიხილავს სახელმწიფო შესყიდვების როლს მდგრადი ბიზნეს ეკოსისტემის შექმნაში, მეორე ნაწილში წარმოდგენილია სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ორგანიზაციული ჩარჩოს კვლევის შედეგები, მესამე ნაწილი შეიცავს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მაჩვენებლების ანალიზს, და, ბოლოს, მოცემულია რეკომენდაციები და დაკვნები.

სახელმწიფო შესყიდვების როლი მდგრადი ბიზნეს ეკოსისტემის შექმნაში.

ადამიანურ საზოგადოებასთან მიმართებაში, ტერმინი „ეკოსისტემა“ გულისხმობს ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც შედგება სხვადასხვა მონაწილეებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებისგან, რომლის ფარგლებშიც ხდება სხვადასხვა ინტერესების რეალიზაცია. ასეთ სისტემაში მდგრადი განვითარების მიღწევა მოითხოვს ეკონომიკური განვითარებისა, გარემოს დაცვის და სოციალური კეთილდღეობის მიზნებს შორის ბალანსის პოვნას, რაც შეუძლებელია სისტემის ყველა მოთამაშის ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

ეკონომიკური ინტერესების ერთიანობა და მათი წინააღმდეგობა განისაზღვრება წარმოების საზოგადოებრივი ხასიათით, რის შედეგად ურთიერთკავშირში შედიან სხვადასხვა დონის და მიმართულების ეკონომიკური ინტერესები. ეკონომიკური ინტერესების მთავარი დამახასიათებელი თვისება არის მათი წინააღმდეგობა, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელია ერთ-ერთი სუბიექტის გამორიცხვის გარეშე [1, გვ. 30-33]. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ წინააღმდეგობა, რომელიც დამახასიათებელია ინტერესებისთვის, ისეთივე ობიექტური ხასიათისაა, როგორც თვითონ ინტერესები და მათი ელიმინაცია შეუძლებელია. საჯარო შესყიდვებში სხვადასხვა მოთამაშეების ინტერესების რეალიზაციის უწყვეტი პროცესი წარმოდგენილია სქემაში № 1.



სქემა 1. სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეების და მათი ინტერესების ურთიერთქმედება
წყარო: მომზადებულია ავტორების მიერ

სახელმწიფოს ზოგადი ინტერესები გამოიხატება საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ეკონომიკური განვითარების და მისი მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფაში, რაც აისახება სახელმწიფო შესყიდვების მიზნებშიც. ეს მიზანი წამყვანია სახელმწიფოს ნებისმიერ საქმიანობაში, რომლის რეალიზაციას ის ახერხებს შესაბამისი მექანიზმების საფუძველზე. მარეგულირებელი ინსტრუმენტების მეშვეობით, სახელმწიფო ასტიმულირებს მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის დამკვიდრებას. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება კონკურსის საფუძველზე, ხოლო მდგრადი მიზნების დანერგვა მიიღწევა შესაბამისი მოთხოვნების ჩადებით კონკრეტული შესყიდვის პირობებში. თუმცა, სქემიდან ჩანს, რომ ცალკეული სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია ითვალისწინებს შესყიდვის მდგრად კომპონენტს მხოლოდ იმ ხარისხით, რაც მას ავალდებულებს კანონი და ორიენტირებულია საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე პროდუქციის და მომსახურების მინიმალური ფასის საფუძველზე. ამ პირობებში,

სახელმწიფო ორგანიზაციისთვის მისაღებია პროდუქციის/მომსახურების ან სამუშაოების მინიმალური ხარისხი და ის არ არის ორიენტირებული გრძელვადიან პერსპექტივაზე.

იდეალურ პირობებში, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის საბოლოო მომხმარებლის – მოსახლეობის – ინტერესი ემთხვევა სახელმწიფო ინტერესს და თუ სახელმწიფო შესყიდვები აკმაყოფილებს მოსახლეობის ინტერესს, ეს ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, სოციალური სამართლიანობის შენარჩუნებას და საზოგადოების პროგრესულ განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისგებლობა სულ უფრო პოპულარული ხდება განვითარებული ქვეყნების ბიზნეს პრაქტიკაში, ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული კერძო ბიზნესის ფუნქციონირების მთავარი მიზანი – მოგების მაქსიმიზაცია, ეწინააღმდეგება სახელმწიფო ორგანიზაციების ინტერესებს. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, ამ მიზნიდან გამომდინარე, დაბალი კონკურენცია არის ერთ-ერთი კერძო ინტერესი, რომლის გამო არაკეთილსინდისიერი ბიზნეს პრაქტიკის მქონე კომპანიები შედიან გარიგებებში ერთმანეთთან, შესყიდვის ობიექტის ფასის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, მდგრადი ბიზნესის წარმოება არ არის პოპულარული, რადგან მოითხოვს დამატებით ხარჯებს და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. თუ მდგრადი კრიტერიუმი არ არის ჩადებული სახელმწიფო შესყიდვის პირობებში, უპირატესი პოზიცია ყოველთვის უჭირავს კომპანიას, რომელიც ტრადიციულად წარმართავს ბიზნესს და გააჩნია დაბალი დანახარჯები.

„მწვანე საჯარო შესყიდვებს“ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ევროკავშირში. ევროკავშირის კომუნიკაციის დოკუმენტში „საჯარო შესყიდვები უკეთესი გარემოსთვის“, ტერმინი განიმარტება როგორც „პროცესი, რომლის მეშვეობით საჯარო ორგანოები ცდილობენ შეისყიდონ პროდუქცია, მომსახურება და სამუშაოები გარემოზე შემცირებული ზემოქმედებით...“¹, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პოლიტიკის გატარების ხარისხი და ინსტრუმენტების არჩევანი არის ნებაყოფლობითი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ევროპული კომისიის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოები წარმოადგენენ მსხვილ საბაზრო მოთმაშეებს, რომლებსაც გააჩნიათ მძლავრი ინსტრუმენტები ინოვაციებში და კვლევებში კერძო ინვესტიციების სტიმულირებისთვის. 2005 წლიდან ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ფოკუსირება მოახდინონ "ინოვაციური საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებით წახალისებაზე" [1, გვ. 6]

2014 წელს საქართველომ მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისათვის აუცილებელ სხვა მნიშვნელოვან მოთხოვნებთან ერთად, ითვალისწინებდა, შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან – 2014/24/EU, 2014/25/EU [3]. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და ჩამოაყალიბა „ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა“ [4], საჯარო შესყიდვების რეფორმირების 8 წლიანი პერიოდის გათვალისწინებით.

2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ წარადგინა ახალი კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“, რომელიც 2023 წლის 9 თებერვალს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. მიღებული კანონი ახალი რედაქციით ამოქმედდება 2025 წლიდან. მნიშვნელოვანია, რომ მიღებულ ახალ კანონში საჯარო შესყიდვის პრინციპების

¹ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52008DC0400>

ჩამონათვალში ცალკე მუხლად არის გამოყოფილი მოთხოვნა სახელმწიფო ფულადი სახსრების ეფექტიან ხარჯვასთან დაკავშირებით, რაშიც იგულისხმება არამართო საბიუჯეტო თანხების ეკონომიური ხარჯვა, არამედ ღირებულების/ფასთან მიმართებაში თანაფარდობა. ამ მიდგომით, ფასი არ არის მხოლოდ ერთი კრიტერიუმი, რომლითაც საჯარო მოხელემ უნდა იხელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონში გაიწერა მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევის პრინციპი, რომლის მიხედვით შემსყიდველ ორგანოს ეძლევა უფლება მოთხოვოს ტენდერში მონაწილე კომპანიას დაიცვას სოციალური, გარემოსდაცვითი და შრომითი ნორმები.

ახალი კანონით, ინოვაციური პარტნიორობა აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების ახალი ფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური საქონლის, სამუშაოების ან/და მომსახურების შეძენას. აღსანიშნავია, რომ პროცედურა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლებელია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. პირველ ეტაპზე, შემსყიდველი ორგანიზაცია მიუთითებს ინოვაციური პროდუქტების საჭიროებაზე და განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს ყველა შეთავაზებისთვის. ეს ინფორმაცია მიეწოდება ეკონომიკურ ოპერატორებს, რომლებმაც შეიძლება განაცხადონ მონაწილეობის ინტერესი პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პარტნიორობის შემთხვევაშიც, სავალდებულოა ხარისხისა და მაქსიმალური ღირებულების კრიტერიუმის გამოყენება. ნებისმიერ დაინტერესებულ ეკონომიკურ ოპერატორს უფლება აქვს წარუდგინოს განაცხადი, ხოლო შესყიდვების ორგანიზაცია ირჩევს კანდიდატებს კვალიფიკაციის საფუძველზე და მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად.

მეორე ეტაპზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება დაიწყოს ინოვაციური პარტნიორობა ერთ ან მეტ პარტნიორთან, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ასრულებენ კვლევას, რისთვისაც ფორმდება ინდივიდუალური პარტნიორობის ხელშეკრულებები. ინოვაციური პარტნიორობის მიზანია ინოვაციური საქონლის, სამუშაოების ან/და სერვისების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება იმ ხარისხსა და მაქსიმალურ ღირებულებას, რომელიც აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის და შესყიდვების მონაწილეების საჭიროებებს.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ანალიზი.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებული მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოცხადებული შესყიდვები ძირითადად ხორციელდება NAT (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე) პროცედურის მიხედვით, რომლის წილი 2022 წ. უდრიდა 85,4 %-ს (ცხრილი 1).

ყურადღებას იქცევს არშემდგარი ტენდერების რაოდენობა, SPA (ელექტრონული ტენდერი რევერსიული აუქციონით) და NAT კატეგორიებში 2018 – 2022 წ.წ. ამ მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობამ შეადგენდა 16% და 18 %-ი შესაბამისად. არშემდგარი ტენდერების მიზეზი ძირითად იყო მონაწილეების არარსებობა ან ტექნიკური ხარვეზი საბუთებში, მონაწილეების მცირე რაოდენობის ფონზე.


გამოცხადებული შესყიდვების დინამიკა პროცედურების მიხედვით (2018-2022 წ.წ.)

	2018	%	2019	%	2020	%	2021	%	2022	%
SPA	10 082	30,9	6 439	18,8	3 497	13,7	3 842	12,1	3 371	9,9
NAT	21 255	65,2	26 085	76,2	20 875	81,6	26 182	82,4	29 067	85,4
CON	197	0,6	770	2,3	471	1,8	931	2,9	690	2,0
DEP	99	0,3	108	0,3	118	0,5	81	0,3	62	0,2
CNT	83	0,3	133	0,4	54	0,2	37	0,1	65	0,2
MEP	29	0,1	2	0,0	9	0,0	18	0,1	7	0,0
DAP	65	0,2	22	0,1	13	0,1	12	0,0	19	0,1
TEP	2	0,0	2	0,0	2	0,0	2	0,0	-	0,0
GEO	774	2,4	654	1,9	558	2,2	664	2,1	736	2,2
სულ	32 586	100	34 215	100	25 597	100	31 769	100	34 017	100

წყარო: ბ. ფაცაცია, 2024

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა რაოდენობა ხასიათდება კლებადი ტენდენციით. ასე, 2022 წელს 2020 წელთან შედარებით საქონლის შესყიდვებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 10%-ით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებში – 24%-ით, მომსახურების შესყიდვებში – 5%-ით, ხოლო მთლიანად ყველა სახის შესყიდვებში -16%-ით. ყურადღებას ითხოვს ის ფაქტი, რომ მომხმარებლების ზრდის ფონზე მცირდება შესყიდვებში მონაწილეების რაოდენობა.

დიაგრამა 1. ტენდერში გამარჯვებული მცირე კომპანიების განაწილება დარგის მიხედვით



წყარო: ბ. ფაცაცია, 2024

დარგობრივ ჭრილში, მცირე ზომის კომპანიების ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია სოფლის მეურნეობა – 59 %-ი; შემდეგ მოდის წავთობი – 18 %; IT ტექნოლოგიები -14 %-ი; ჯანდაცვა 9 %-ი. უკონკურენტო ტენდერების 68 %-ში მონაწილეობდნენ მსხვილი და საშუალო ზომის კომპანიები, 32%-ში კი მცირე ზომის საწარმოები. ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ საქართველოში ტენდერების შეფასებისას, პირველ რიგში, აქცენტი კეთდება ფასზე, ხოლო ხარისხის შეფასება ხდება მონაწილეების გადარჩევის და ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი

მიდგომა ამცირებს კორუფციის ფაქტებს, ხარისხის, ეკოლოგიურობის ან ინოვაციურობის კომპონენტებს ძირითადად უფრო ნაკლები ყურადღება ენიჭება.

1. რეკომენდაციები.

2025 წელს ახალი კანონდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ, აქტუალური გახდება სახელმწიფო შესყიდვების ციკლის ეფექტიანობის შეფასება სოციალური პასუხისგებლობის, ინოვაციურობის და ეკოლოგიური მდგრადობის შეფასების ქრილში.

ევროკავშირის 2014 წლის დირექტივის ერთ-ერთი მიზანი იყო „სტრატეგიული საჯარო შესყიდვის“ დანერგვის ხელშეწყობა, რომლის მიხედვით სახელმწიფო ფონდების საუკეთესო გამოყენება მდგომარეობს გარემოს, ინოვაციების, სოციალური პირობებისა და ბიზნეს ეთიკის დაცვის მიმართულებების განვითარებაში [5, გვ. 6]. სახელმწიფო შესყიდვების პირობებში უნდა მოხდეს სოციალური და ეკოლოგიური კრიტერიუმების გამოყენება პროდუქციის, სამუშაოების ან მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ყოველ ეტაპზე.

გარკვეული მოთხოვნები წაყენება არამარტო შესყიდვის ობიექტს, არამედ კომპანია-მიმწოდებელს. თუმცა მიმწოდებლების არჩევა, მაგალითად კორპორაციული სოციალური პასუხისგებლობის კრიტერიუმის საფუძველზე, საკმაოდ რთულია არამარტო საქართველოში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც, რადგან, ჯერ კიდევ არარსებობს ერთიანი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რას უნდა შეიცავდეს კორპორაციული სოციალური პასუხისგებლობის პოლიტიკა კონკრეტულ კომპანიაში. ზოგადი მიდგომით, ასეთი მოთხოვნა არ უნდა იყოს კატეგორიულად სავალდებულო, არამედ უნდა ანიჭებდეს უპირატესობას იმ მიმწოდებელ კომპანიას, რომელიც ითვალისწინებს სოციალური მდგრადობის საკითხებს ბიზნეს პრაქტიკაში, რადგან განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სოციალური პასუხისგებლობის გაცნობიერება საქართველოს ბიზნესში არის საწყისს ეტაპზე, შესაძლებელია მოხდეს კომპანიების დისკრიმინაცია ამ კრიტერიუმებით.

სოციალური პასუხისგებლობის შეფასების აუცილებელი მონაცემების მოპოვება, ძირითადად, ტენდერის პირობების ანალიზის დროს, კატეგორიული შეზღუდვების ან უპირატესობის მომცემი ფაქტორების შესწავლისას ხდება. პროცესი ფასდება შემდეგი მაჩვენებლებით:

– მიმწოდებლის მიერ ადამიანის უფლებების სოციალურ გარანტიებთან ერთად, სამუშაო პირობების დაცვა;

– მიმწოდებლის შეზღუდული შესაძლებლობების პირების თანამშრომლების რაოდენობა შეფარდებული თანამშრომლების მთლიან რაოდენობასთან. ამ მაჩვენებლის საფუძველზე, ერთის მხრივ, შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების იმ რაოდენობის გამოთვლა, რომლებიც აკმაყოფილებს ამ პირობას. მეორეს მხრივ, შესაძლებელია ისეთი ტენდერების წილის გამოთვლა ტენდერების მთლიან რაოდენობაში, რომლებიც აყენებენ აღნიშნულ პირობას (მათ შორის) დარგობრივ ქრილში. მაგალითად, ტენდერის პირობებში შეიძლება ჩაიწეროს, რომ უპირატესობა მიენიჭება, კომპანიას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირების პროცენტული შემადგენლობა შეადგენს არანაკლებ გარკვეული პროცენტისა;

– მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა – ეს მაჩვენებელი ასახავს კონკრეტული პროგრამებისა და ზომების არსებობას, რომლებიც მიზნად ისახავს სფეროში მცირე ბიზნესის განვითარებას. აქცენტი კეთდება უპირატესობის მინიჭებაზე არა ზომის, არამედ ტენდერში ბარიერების შემცირების მიხედვით.

– ინოვაციურობის მაჩვენებელი, ერთის მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის კუთხით იზომება, რამდენად თვითონ ორგანიზაცია იყენებს ახალ ტექნოლოგიებს ან შესყიდვის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, მეორეს მხრივ კი, მიმწოდებლის თვალსაზრისით იზომება ტექნოლოგიური სიახლის დონე (ინოვაციის შემცველი წინადადებების რაოდენობა გაყოფილი მთლიანი წინადადებების რაოდენობაზე). ამ მაჩვენებლის სირთულე მდგომარეობს ინოვაციის ფაქტის დადგენაში. ანალიტიკოსმა კარგად უნდა გაიაზროს თუ რამდენად განსხვავდება შეთავაზებული გადაწყვეტილება, ბაზარზე არსებული გადაწყვეტილებებისგან (ახალი კონცეფცია, მიდგომა, პატენტი, ალგორითმი, არქიტექტურა და ა.შ.);

– ეკოლოგიური მდგრადობის მაჩვენებელი – შესყიდვის პრაქტიკაში აფასებს ეკოლოგიური გადაწყვეტილებებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წინაწევის შესაძლებლობას. იგი შეიძლება გამოითვალოს როგორც ტენდერების რაოდენობა, რომელიც შეიცავს კონკრეტული ეკოლოგიური სტანდარტების მოთხოვნებს (მაგ., ენერგოეფექტიანობა, ნარჩენების შემცირება, გადამუშავებადი მასალები და ა.შ.) გაყოფილი მთლიანი ტენდერების რაოდენობაზე.

2. დასკვნა.

სათანადოდ ორგანიზებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ხელს უწყობს ხარჯების ოპტიმიზაციას და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას კონკურენციისა და ინოვაციების სტიმულირების გზით. პროცესის მონაწილეების საპირისპირო ინტერესების არსებობიდან გამომდინარე, ობიექტურად ჩნდება საჯარო შესყიდვების კონტროლის აუცილებლობა, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პასუხისგებლობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების მონიტორინგი, რაც თავის თავში გულისხმობს სახელმწიფო სუბიექტების მიერ ეფექტიანობისა და შედეგიანობის პრინციპების გამოყენებაზე დაფუძნებული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისადმი კონტროლის განხორციელებას.

საქართველომ გაატარა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის ასამაღლებლად. ფართომასშტაბიანი რეფორმების შედეგად, 2025 წლიდან პირველად „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში ჩაიდო მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის დანერგვის საფუძვლები. თუმცა, ამასთან ერთად აუცილებელია სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეაფასებს სოციალური პასუხისგებლობის, ინოვაციურობის და ეკოლოგიური მდგრადობის კომპონენტებს.

ლიტერატურის სია:

1. Гершкович Б. Экономические интересы и их реализация. Пятигорск, 1999

2. European Commission (2005). Implementing the Community Lisbon Programme: More Research and Innovation – Investing for Growth and Employment: A Common Approach. COM 2005: 488.
3. Directive 2014/24/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014 on public procurement and repealing Directive 2004/18/EC Text with EEA relevance;
4. www.procurement.gov.ge/ უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024;
5. Toward Sustainable Public Procurement. A best Practice Guide. Ecovadis. , January, 2019 www.eiec.gov.ge/Ge/Files/Download/331 – უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
6. საქართველოს კანონი საჯარო შესყიდვების შესახებ (09.02.2023)

აკადემიური ცენტრები მდგრადობის ანგარიშგების ფორმირებაში

დავით ჯალაღონია –
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფესორი.
ORCID ID: 0000-0003-2022-8101. **Email:** dato.jalagonia@gmail.com, **T:** 577 170798.

მარინე ხუბუა –
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
ORCID ID: 0000-0001-7888-5070. **Email:** marinekhubua@gmail.com, **T:** 577 170714.

იური პაპასქუა –
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
ORCID ID: 0000-0002-7849-2426. **Email:** papaskuaiuri@gmail.com, **T:** 574 34 64.

აბსტრაქტი

მდგრადობის ანგარიშგების შემოღება საქართველოსთვის ქმნის ახალ შესაძლებლობებს ევროკავშირთან მრავალმხრივი ინტეგრაციული პროცესები წარიმართოს გარემოსა და სოციუმზე საწარმოთა უარყოფითი ზემოქმედების შემცირების, ასევე, ეკონომიკის მდგრადი, გამჭვირვალე, კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და ინვესტორთა ნდობის ამაღლების მიმართულებითაც.

ივარაუდება, რომ მდგრადობის ანგარიშგება ჩაანაცვლებს მმართველობის ანგარიშგების დადგენილ ფორმატს და შეიქმნება შესაძლებლობა აღმოიფხვრას მის წარმოებაში არსებული ხარვეზები, აგრეთვე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიმართ საწარმოთა მხრიდან ფორმალური დამოკიდებულება.

მდგრადობის ანგარიშგების წარმოება, რომელიც გავრცელებული ბიულეტენების თანახმად, სავალდებულო გახდება უკვე 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს კანონშემოქმედებით ინსტიტუტებს, მთლიანად ბიზნესსექტორს და აკადემიურ ცენტრებსაც. დროის ფაქტორის გათვალისწინებით, რეგულაციის შექმნის პროცესი, ბიზნესსექტორის მომზადება და ცნობიერების ამაღლება ინტენსიურად, კოორდინირებულად, ურთიერთთანხმობის ატმოსფეროში უნდა წარი-

მართოს. მათ შორის, განსაკუთრებული მისია ეკისრება და მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ აკადემიურმა ცენტრებმა.

წარმოდგენილი ნაშრომი ასახავს მდგრადობის ანგარიშგების დამკვიდრების ღონისძიებებში მონაწილე ინტერესჯგუფებისთვის საყურადღებო აქტივობებს, საკუთრივ, ამ პროცესში აკადემიური ცენტრების ჩართვისა და მათი აქტივობების ძირითად მიმართულებებს.

ავტორთა მოსაზრებით, აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი რეგულაციების მომზადების, მდგრადი ანგარიშგების კომპონენტებში გასამუდავებელი ინფორმაციის ინდიკატორების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადებისა და ზოგადი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

ნაშრომის მიზანია: საქართველოში მდგრადობის ანგარიშგების დამკვიდრების პროცესისთვის ხელშეწყობა და ინტერესჯგუფების კოორდინირებული საქმიანობისთვის საყურადღებო მოსაზრებების მიწოდება.

ნაშრომში ავტორთა მოსაზრებები სათანადოდ არგუმენტირებულია და საყურადღებოა დაინტერესებულ პირთა ფართო აუდიტორიისთვის.

საკვანძო სიტყვები: მდგრადობის ანგარიშგება, აკადემიური ცენტრების აქტივობა, ინფორმაციის გამუდავების ინდიკატორები.

ACADEMIC CENTERS IN THE FORMULATION OF SUSTAINABILITY REPORTING

David Jalagonia –

Sokhumi State University Professor of Business Administration.

ORCID ID: 0000-0003-2022-8101.

Email: dato.jalagonia@gmail.com, T: 577 170798.

Marine Khubua –

Sokhumi State University Associate Professor of Business Administration.

ORCID ID: 0000-0001-7888-5070. Email: marinekhubua@gmail.com, T: 577 170714.

Iuri Papaskua –

Sokhumi State University, Associate Professor of Business Administration.

ORCID ID: 0000-0002-7849-2426. Email: papaskuaiuri@gmail.com, T: 574 34 64

Abstract

The introduction of sustainability reporting creates new opportunities for Georgia to conduct multifaceted integration processes with the European Union in the direction of reducing the negative impact of enterprises on the environment and society, as well as strengthening the sustainable, transparent, competitiveness of the economy and raising the confidence of investors.

It is assumed that sustainability reporting will replace the established format of governance reporting and it will be possible to eliminate the gaps in its production, as well as the fake attitude of enterprises towards the disclosure of information about environmental and social issues.

Production of sustainability reporting, which according to the distributed bulletins will become mandatory for the reporting period of 2024, poses new challenges to law-making

institutions, the business sector as a whole and academic centers as well. Taking into account the time factor, the process of creating a regulation, preparing the business sector and raising awareness should be conducted intensively, in a coordinated manner, in an atmosphere of mutual agreement. Among them, academic centers/higher educational institutions have a special mission and an important role to play.

The presented paper outlines the activities of interest for the various interest groups involved in the implementation of sustainability reporting. Special attention is paid to the inclusion of academic centers in this process and the main directions of their activities.

According to the authors, it is necessary for educational institutions, as the intellectual and academic potential of the interest group, to be actively represented in the process of preparing regulations, developing indicators of information to be disclosed in the components of sustainable reporting, training and retraining staff for business and raising general awareness.

The aim of the paper is to promote the process of establishment of sustainability reporting in Georgia and to provide important considerations for the coordinated activities of interest groups.

The opinions of the authors in the paper are properly argued and are noteworthy for a wide audience of interested persons.

Keywords: sustainability reporting, activity of academic centers, information disclosure indicators.

ძირითადი ტექსტი

მდგრადი განვითარება „საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას გულისხმობს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი“ [1]. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ეს განმარტება სრულად ემთხვევა გაეროს ვერსიას და ასახავს მდგრადი განვითარების არსს, მიზანსა და ამოცანებს. ადამიანის საცხოვრის გარემოზე, ქვეყნის ეკონომიკურსა და სოციალურ მდგომარეობაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი მასშტაბის გამო, მდგრადი განვითარება თანამედროვეობის უმთავრესი გლობალური პრობლემა, ამასთან, ყველაზე აქტუალური, სტარტეგიული, ამოუწურავი თემაა – ყველა დარგსა და სფეროს მოიცავს. მის მიმართაც საზოგადოების ყველა ფენის და საქმიანობის ყველა მიმართულების უწყვეტი ყურადღებაა მიპყრობილი.

მდგრადი განვითარების შესაძლებლობები მეცნიერული ცოდნის ინოვაციურობას უკავშირდება და ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, ბიზნესსუბიექტებმა საზოგადოების დღევანდელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსები გამოიყენონ ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის მაქსიმალურად დაიცვან გარემო.

მდგრადი განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება საზოგადოების ინტერესების განუხრელად დაცვას გრძელვადიან პერიოდში და სავსებით მართებულია, რომ საზოგადოებამ ღიად, დაუფარავად იცოდეს თუ როგორ ხორციელდება ფიზიკურ სამყა-

როში ადამიანის არსებობისთვის, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისთვის აუცილებელი გარემო პირობების დაცვის უზრუნველყოფა.

ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი საქმიანობის განხორციელების შესახებ არსებული ინფორმაციის გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, 2022 წლის 14 დეკემბერს ევროპის პარლამენტმა და საბჭომ მიიღო კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების შესახებ დირექტივა 2022/2464 (Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of December 2022), რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის კომპანიებისთვის ადრე არსებულ არაფინანსურ ანგარიშგებაში გარემოს-დაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინფორმაციის გამჟღავნების წესების მოდერნიზებასა და გაძლიერებას. აღნიშნული დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნები 2023 წლის 5 იანვრიდან სავალდებულო გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის [2]. კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება მოუწევთ 2025 წლიდან საწარმოებს, რომლებიც:

1. წარმოადგენენ ევროკავშირის „დიდ“ საწარმოებს და საზოგადოებრივად დაინტერესებულ პირებს, მათ შორის: ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებს, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების მფლობელ ანგარიშვალდებულ საწარმოებს, ადგილობრივი უწყებების მიერ საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად განსაზღვრულ საწარმოებს;

2. არიან ევროკავშირის რეგულირებად ბაზარზე კოტირებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (გარდა მიკროსაწარმოებისა);

3. არიან ევროკავშირის არაწევრი საწარმოები, თუმცა ევროკავშირის ფარგლებში ფლობენ ფილიალს ან შვილობილ კომპანიას.

ამ კომპანიებს „მოეთხოვებათ გაამჟღავნონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მათ წინაშე არსებულ რისკებსა და გამოწვევებზე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები. გარდა ამისა, მათ ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს თავის მხრივ ბიზნეს მოდელი ადამიანებსა და გარემოზე“ [3].

კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების შემოღების მიზანია გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირებისთვის მსხვილი კომპანიების არაფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული რეალური მაჩვენებლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა.

მდგრადობის ანგარიშგება გლობალური ინიციატივაა, რომელიც მოიცავს ანგარიშგების ერთიან სტანდარტებსა და რეკომენდაციებს. საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანას და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ საწარმოებს, უკვე 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდზე, 2025 წლიდან ექნებათ ვალდებულება მოამზადონ და წარადგინონ მდგრადობის ანგარიშგება, რაც სარგებლის მომტან დადებით სიახლედ უნდა განვიხილოთ. ინფორმაციის ღიაობასთან ერთად, მდგრადობის ანგარიშგების შემოღება დაინტერესებული მხარეებს, ასევე, მთლიანად საზოგადოებას ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებისგან განრიდების შესაძლებლობას მისცემს, გარდა ამისა, ნათლად წარმოჩინდება აქედან საწარმოების მიერ ფაქტიურად მიღებული ეკონომიკური სარგებლის ეფექტიანობა. მდგრადობის ანგარიშგების დამკვიდრება საქართველოს ევროკავშირთან მრავალმხრივი ინტეგრაციული პროცესების ჰარმონიზაციასაც დამატებით გარანტიებს შეუქმნის.

საინფორმაციო ბიულეტენებში გაცხადებული ინფორმაციის თანახმად, ივარაუდება, რომ მდგრადობის ანგარიშგება ჩაანაცვლებს ამჟამად მოქმედ მმართველობის ანგარიშგების დადგენილ ფორმატს. თავის დროზე იყო მოლოდინი, რომ მმართველობის ანგარიშგების მომზადება და გასაჯაროება სუბიექტების მდგრადობასა და ფინანსური/არაფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე დადებითად იმოქმედებდა და მომხმარებლებს სუბიექტების განვითარების, მდგრადობისა და საქმიანობის მდგრადობის უკეთესად შეფასების საშუალებას მისცემდა [4].

„ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს კანონის¹ თანახმად, საზოგადოებრივი დაინტერესების პირები, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული იყვნენ არამართო შედეგინათ მმართველობის ანგარიშგება, არამედ მასზე, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, დამოუკიდებელ აუდიტორს გამოეთქვა მოსაზრება „მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე“ [5].

მოქმედმა რეგულაციამ, მართალია, დადებითი გავლენა მოახდინა ფინანსური წესრიგის გაუმჯობესებასა და სფეროში სიახლეების შემოღებისთვის წინაპირობების შესაქმნელად, თუმცა მმართველობის ანგარიშგების და მასში მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ასახვის მიმართ კომპანიების ხელმძღვანელების დამოკიდებულება, გამონაკლისების გარდა, ფორმალურობის ფარგლებს არ გასცდენია. ამდენად, კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგებით მართველობის ანგარიშგების ჩანაცვლება აჩენს შესაძლებლობას აღმოიფხვრას მის წარმოებაში არსებული ხარვეზები, აგრეთვე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიმართ ამალღდეს საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა.

საგულისხმოა, რომ კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგება ქართული ბიზნესისთვის სიახლეა და ისე, როგორც ნებისმიერი სიახლე წინააღმდეგობებს აწყდება, მოსალოდნელია რომ მდგრადობის ანგარიშგების შემოღებაც სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, მით უფრო, საკითხის გადაწყვეტა აქ ჯერ მხოლოდ ინფორმაციის გაცნობის და ორგანიზაციული ღონისძიებების პროექტების შემუშავების სტადიაშია. ჯერ კიდევ არაა შემუშავებული შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტი. პასუხისმგებელი სტრუქტურებისგან უფრო აქტიური მოქმედებები არ ჩანს, გარდა იმისა, რომ მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ISSB) შეიმუშავა ორი სტანდარტის პროექტი – ფასს მ1 – კორპორატიული მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები და ფასს მ2 – კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია. მოგვიანებით განსახილველად გამოაქვეყნა საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი – განსახილველი პროექტი – მოკლე აღწერა. აღნიშნული დოკუმენტი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა საწარმოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ქართულ ენაზე თარგმნა და ვებგვერდზე განათავსა [6].

ამჟამად, ჯერი დგას შეიქმნას საკანონმდებლო ჩარჩო და აღნიშნული სიახლეები აისახოს სამოქმედო რეგულაციებში, რაც ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო ეტაპია.

¹ მუხლი 7, პ-1, პ-10

მდგრადობის ანგარიშგების ფორმატის შემუშავება, სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, ახალი, ურთულესი, მრავალწახნაგა გამოწვევების წინაშე აყენებს კანონშემოქმედებით ინსტიტუტებს, ბიზნესსექტორსა და საგანმანათლებლო ცენტრებს საქართველოში, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესები; შესაქმნელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ფორმირების სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების ისეთი პრინციპები და ნორმები, რომლის გაზომვა, შეფასება, კონკრეტულ მაჩვენებლებში გამოსახვა იქნება შესაძლებელი; საზოგადოების ინტერესების დასაცავად, ეკოლოგიურ, სოციალურ და მმართველობით საქმიანობაზე გარედან ზემოქმედების მაქსიმალური შეზღუდვის პირობებში, შესანარჩუნებელია მეწარმე სუბიექტების მოტივირება და ბიზნესინტერესების დაცვაზე ორიენტირებულობა; საერთო გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრის, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მავნე ზემოქმედებისაგან მისი დაცვის, პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების განმაზოგადებელი მაჩვენებლების განსათავსებლად უნდა შეიქმნას ანგარიშგების ისეთი ფორმატი, რომლის მომზადება და წარდგენა კომპანიებისთვის არ იქნება რთული და არ მოითხოვს გონივრულ ოდენობაზე მეტ დამატებითი ხარჯების გაღებას.

ამ გამოწვევების გადასაწყვეტად, განსაკუთრებული მისიისა და როლის შესრულების პერსპექტივა გააჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (უსდ).

გარემოს დაცვის სფეროში უსდ-ის აქტიურობის აუცილებლობას და მოქმედების კონტურებს განსაზღვრავს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თავი – განათლება და სამეცნიერო კვლევა გარემოს დაცვის სფეროში, მუხლები 8, 9, 10 [1], თუმცა შესაბამისი აქტიურობა, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. ამდენად, კრიტიკულად აქტუალური ხდება ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი საქმიანობის პრობლემური მიმართულებების გადაწყვეტაში აკადემიური ცენტრების ჩართვა, მათში საგანმანათლებლო ეკოსისტემის შექმნა და მდგრადობის ანგარიშგების ფორმატის შემუშავებაზე კონცენტრირება.

საუნივერსიტეტო სივრცე ისტორიულად ყოველთვის ითვლებოდა ადამიანური აზროვნების განვითარების უმაღლეს ცენტრად, სადაც, უშუალოდ იქმნებოდა ახალი ცოდნა, კონკრეტულ სფეროში ამ ცოდნის ტრანსფერით კი, ინდუსტრიული ცენტრები, რომელებიც ემსახურებოდა ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებას.

ავტორიტეტული კვლევითი ცენტრები აზიარებენ მოსაზრებას, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შესაბამისი საგანმანათლებლო და კვლევითი ბაზის არსებობა. ეს საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობები დაკავშირებული უნდა იყოს ბიზნესორგანიზაციებთან და პასუხობდეს ბიზნესორგანიზაციების პრაქტიკულ საჭიროებებს. ამავდროულად, უნდა ეხმარებოდეს ასეთ ორგანიზაციებს მომავალი საქმიანობის დაგეგმვასა და ხარჯების შემცირებაში ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მეშვეობით [7, 83].

უსდ-ის წარმომადგენლები აქტიურად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი რეგულაციების მომზადების, მდგრადი ანგარიშგების კომპონენტებში გასამუდავებელი ინფორმაციის ინდიკატორების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადებისა და ზოგადი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 წელი, 10 დეკემბერი, <https://rb.gy/0zg864>;
2. Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of December 2022, <https://rb.gy/8auom5>;
3. კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა, <https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2625>;
4. მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახური, 2018, <https://rb.gy/pi18mn>;
5. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს საქართველოს კანონი, ქუთაისი, 8 ივნისი 2016 წ. N5386-III;
6. განსახილველი პროექტი – მოკლე აღწერა, 2022, <https://rb.gy/aerfs8>;
7. საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ეროვნული ჩარჩო, რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას, CSRDG, 2023, <https://rb.gy/kblkv1>.

სახელმწიფო ფინანსების პროგრამული ბიუჯეტირების ოპტიმიზაციის გზები საქართველოში

ლიპარტია შურაბ -

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შერაზადიშვილი ბესიკ -

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი შემოთავაზებულია საქართველოში სახელმწიფო (საჯარო) ფინანსების ადმინისტრირების კონტექსტში სახელმწიფო პროგრამების მართვისა და ბიუჯეტირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დამყარებული მეთოდოლოგიური მიდგომები. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტირების შეფასების პრობლემის გადაჭრის ალტერნატივებისა და დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის საშუალებით გაანალიზებულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების არსებული პრაქტიკა და გამოწვევები. ეკონომიკური აზროვნების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია საქართველოში სტრატეგიული მენეჯმენტის ეფექტიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფის აუცილებლობა და გამოვლენილია ქვეყნის შემდგომი განვითარების პრიორიტეტები: ეროვნული ბაზრისა და ექსპორტისათვის ორიენტირებული პროდუქციის წარმოება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდისათვის შიდა დარგობრივი და დარგთაშორისი კოოპერირების შემდგომი განვითარება.

შემოთავაზებულია თანამედროვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით აღიარებული საბიუჯეტო სისტემის ძირითადი ამოცანები, კერძოდ: ა) საერთო ფისკალური დისციპლინის დაცვა; ბ) რესურსების ეფექტიანი განაწილების პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი ბიუჯეტის ფარგლებში; გ) მომსახურებათა ეფექტიანობის ხელშეწყობა. აღნიშნული ამოცანები ურთიერთმემსები და ურთიერთდამოკიდებულია. დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები და წინადადებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ საჯარო ფინანსების

მართვისა და პოლიტიკის მექანიზმების დამუშავების პირობებში.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეფციები და პოლიტიკა; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი ინოვაციური მენეჯმენტის საკითხები; საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმები; პროგრამული ბიუჯეტირების ოპტიმიზაციის გზები.

APPROACHES TO OPTIMIZING PUBLIC PROGRAM BUDGETING IN GEORGIA

Lipartia Zurab –

Doctor of Economic Sciences,
Professor of Sukhumi State University

Sherazadishvili Besik –

Academic Doctor of Public Administration,
Associate Professor of Georgian Technical University

Abstract

In the scientific work, methodological approaches based on the best international practice of state program management and budgeting are proposed in the context of the administration of state (public) finances in Georgia. Accordingly, the existing practice and challenges of preparing the state budget in the programmatic format are analyzed by means of alternatives for solving the problem of programmatic budgeting evaluation and the cost-effectiveness method. Based on the analysis of economic thinking, the necessity of perfecting the organizational-economic mechanisms of strategic management effectiveness in Georgia is substantiated, and the priorities of the country's further development are identified: the national base production of export-oriented products; introduction of modern technologies by attracting foreign investments; further development of internal sectoral and inter-sectoral cooperation to increase the production of competitive products.

The main tasks of the budget system recognized by modern international best practices are proposed, namely: a) protection of common fiscal discipline; b) the ability to determine the priorities for the effective distribution of resources within the budget; c) promoting the effectiveness of services. The mentioned tasks are complementary and interdependent. In the final part, the main results and proposals of the research are formulated, which can be used by the

representative and executive bodies of the Georgian government in the management of public finances.

Keywords: Modern Concepts and Policies of Investment Activity Management; Issues of Effective Innovative Management of the Country's Economic Security; Mechanisms for Making Investment Decisions; Ways to Optimize Program Budgeting.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიო ცივილიზაციის გლობალიზაციის ტენდენციებმა და პოსტინდუ-სტრიული საზოგადოების მოთხოვნებმა განაპირობეს რადიკალური ცვლილებები ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ განვითარებაში, რამაც განსაზღვრა ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონტექსტში ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ასპექტები, ეკონომიკური სუბიექტების კოორდინირებულ და ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანია საქართველოში, რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემის ძირითადი მიმართულებების ფორმირება და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით ვითარების რამდენადმე ნორმალიზება, რასაც ადასტურებს სხვა ქვეყნების პრაქტიკაც.

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების მართვაში, შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების მნიშვნელობა, როლი და გავლენა. მიმოხილულია სხვადასხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის გამოცდილება. მოცემულია საერთაშორისო მასშტაბით არსებული პრაქტიკის მიხედვით, პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის ძირითადი მიმართულებები, მეთოდები და შედეგები. ასევე, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, პროგრამების გავლენის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომები. კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, **გამოიკვეთა აშშ-ს, კორეის, კანადის, დიდი ბრიტანეთის** და სხვათა გამოცდილება შეფასების ინდიკატორების შერჩევის საკითხში, რომელიც ქმნის სტიმულს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მაღალეფექტიანი პროგრამებისთვის და იძლევა დაბალეფექტიანი პროგრამებისთვის ასიგნებების შემცირების საფუძველს. პროგრამების შეფასების პრობლემის გადაჭრის ალტერნატივები და დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის საშუალებით გაანალიზებულია მოცემულ ალტერნატივებს შორის საუკეთესო ვარიანტი, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების არსებული პრაქტიკა და გამოწვევები. შესაბამისად, შემოთავაზებულია პროგრამების მართვისა და ბიუჯეტირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დამყარებული მეთოდოლოგიური მიდგომები.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მისი ყველა დარგის, საკუთრების ფორმების შესაბამისად სამეურნეო სუბიექტებისა და რგოლის მართვის რთული ფუნქციების შესრულებისათვის ეკონომიკური ანალიზი მოწოდებულია, შეიმუშაოს კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომლებსაც უაღრესად

დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისა და პროგნოზირებისათვის.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, **აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას** აზრით, „საქართველოში შერეული სოციალური მიმართულების ეკონომიკური სისტემა მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე, როგორც ერთიანი, მთლიანობითი სისტემა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპებს, საკუთრებისა და მეურნეობრიობის პლურალიზმს. მრავალსუბიექტიანობა ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ტრადიციულ ფორმად დარჩება მომავალშიც. საკუთრების ფორმების ეფექტიანობა ყალიბდება კონკრეტულად სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად, რაც არსებითია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. შესაბამისად, შექმნილ ვითარებაში ქვეყანაში თანამედროვე მენეჯმენტისა და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს მრეწველობის მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე გადასვლა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება. ეკონომიკაში რთული პრობლემების გადაწყვეტაში კოოპერაციის განმკარგველი როლის დაკისრება და შიდა რეგიონთაშორისი კოოპერაციის (ინტეგრაციის) განვითარება. სწორად, სახელმწიფოებრივად გააზრებული მიდგომით გარედან ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ხელს შეუწყობს

ეროვნული ეკონომიკის განვითარებულ აღწარმოებას» [1; 168- 170].

ეკონომიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერ-შემოქმედი **პიტერ დრუკერი** განმარტავს, რომ „აუცილებელი ხდება ახალი მეწარმეთა საზოგადოების შექმნა. შესაბამისად, საზოგადოების ცხოვრების წესი უნდა დაეფუძნოს მენეჯერთა ინოვაციური საქმიანობის პრინციპებს. კერძოდ, ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს **სამი ინოვაციური პრინციპის დაცვა**: 1) პროდუქციის მუდმივი სრულყოფა; 2) თანამედროვე ცოდნის გამოყენება; 3) სისტემური ინოვაციური საქმიანობა. პიტერ დრუკერის შეფასებით, **იაპონიის წარმატება მეწარმეობრივ საქმიანობაში** განპირობებული იყო სწორედ სოციალური ინოვაციის პრინციპების დამკვიდრებით, კერძოდ, ისეთი ინსტიტუტების განვითარებით, როგორიც არის უმაღლესი და საშუალო განათლება, შრომითი ხელშეკრულებები. მენეჯერი, რომელიც ფლობს ინოვაციის ხელოვნებას, ხდება „მენეჯერი-მეწარმე, რომელსაც ძალუძს მოახდინოს "რევოლუცია მართვაში", ანუ ბიზნესის ხარისხობრივი, ნახტომისებრი ცვლილება არის კიდევ ერთი ახალი მოვლენა ცოდნის ეკონომიკაში». [2; 51-52]

შესაბამისად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პროცესში, შესაძლებელი ხდება დასაბუთდეს მმართველობითი გადაწყვეტილების ოპტიმალურობის დონე და შეფასდეს ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან. შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფო ფინანსების პროგრამული ბიუჯეტირების ოპტიმიზაციის გზების კვლევის პროცესში იკვეთება, რომ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ეფექტიან წარმართვას. ამ მიმართულებით, მეწარმის, მენეჯერის, ბიზნესმენისა და სახელმწიფო მოხელის ეკონომიკური ფუნქციების დანიშნულებაა ინდიკატორად წარმართოს პოზიტიური გზებით ბიზნეს მოგებაზე გასვლა, რისთვისაც აუცილებელია გაგვაჩნდეს უნაკლო ინფორმაცია ეკონომიკურ რეალობათა შესახებ, რომელსაც იძლევა მოცემული ობიექტის ეკონომიკის ფორმირების როგორც შინაგანი, ასევე გარემო

არეალის თვისებრივი და რაოდენობრივი სიღრმისეული, საფუძვლიანი შეცნობა. ამ საქმეში ბიზნესგეგმის ქმედითობას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა.

საქართველოში რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმულირებისას, **ევროკავშირში გაერთიანების** გათვალისწინებით, საჭირო ხდება მსოფლიო პრაქტიკაში მართვის კარგად ადაპტირებული სტრატეგიული დაგეგმვისა და მექანიზმების დამკვიდრება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტების ფარგლებში პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების დაჩქარებით, მეურნეობის ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭიროა სახელმწიფოს, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური აგენტის არსებობის პრინციპული სქემა სახელმწიფოს მონაწილეობით ეროვნულ ეკონომიკაში. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია, არსებული რესურსული, ინტელექტუალური და გეოეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებაზეა დაფუძნებული, რომლის რეალიზაციის მექანიზმია: ა) მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება, გარე და შიდა რესურსების კონცენტრაცია. ასევე, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო მოთხოვნებისა და პრაქტიკის შეფასება-ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებული დებულებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვით შესაძლებელი იქნება ევროკავშირთან ინტეგრირების გაადვილება, ბიზნესის გამჭვირვალობისა და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ქვეყანაში ეფექტური საქმიანობის ასამაღლებლად, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბ) ინვესტიციური უსაფრთხოების, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილის განხილვა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან ინვესტირებას ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, აუცილებელია შემუშავდეს ინვესტიციური რისკების მართვის მკაფიო მექანიზმი, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ეკონომიკური პროგნოზირების სისტემის განვითარებას, სტრატეგიულ დაგეგმვას და თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას.

შესაბამისად, კვლევები მოწმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში არსებული პრობლემები აქტიურს ხდის ამ საკითხის მიმართ კვლევას. ინვესტიციური სფერო წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ქვესისტემას, ამიტომ ლოგიკურია, რომ უსაფრთხოების განხილვა მოხდეს ეკონომიკურ და ინვესტიციურ სფეროში. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას გააჩნია პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში მდგრადი განვითარებისა და ზრდის გარანტიის უზრუნველყოფა. მეურნეობის არსებულ პირობებში ინვესტიციური უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გააზრებული. პრაქტიკულად თითქმის ყველა მკვლევარი ინვესტიციურ უსაფრთხოებას განიხილავს სისტემური მიდგომით რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება ინვესტიციური კლიმატის ფორმირებისას გამოყენებული ხერხის, მეთოდის ზემოქმედება.

ამგვარად, **ინვესტიციური უსაფრთხოება** შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც ინვესტიციური საქმიანობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც საშუალებას იძლევა არა

მარტო შედარებით ეფექტურად მოვიზიდოთ ინვესტიციები, არამედ უზრუნველ-ვყოთ ეკონომიკის იმ დარგების დაცვა უცხოური კაპიტალის ზემოქმედებისაგან, რომელთაც სტრატეგიული დანიშნულება გააჩნიათ. საქართველოში **საინვესტიციო პროექტების** შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროექტის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რაც გულისხმობს საინვესტიციო პროექტის განხორციელების შესაძლო ზემოქმედებას ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, დასაქმების და სხვა მდგომარეობაზე. როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული მხარდაჭერით უნდა ისარგებლონ ისეთმა საინვესტიციო პროექტებმა, რომელთაც შეუძლიათ რეგიონში (დარგში) შექმნან დამატებითი სამუშაო ადგილები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ დასაქმებულთა სოციალური პირობები და რაც ერთობ მნიშვნელოვანია დადებითად იმოქმედონ ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. [3. 88-92]

ქვეყნის ეკონომიკის ძირეული რეფორმირების პირობებში, როდესაც ინოვაციები როგორც **მიკრო, ისე მეზო და მაკრო დონეზე** ყველა სტრუქტურის საქმიანობის განუყოფელი ელემენტია, საინოვაციო საქმიანობის მართვაში მეცნიერული მეთოდების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას იძენს. საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას განპირობებს ინოვაციების მზარდი მნიშვნელობა ეკონომიკისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. ეკონომიკური ზრდა დაფუძნებულია ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების კომპლექსზე. თანამედროვე ეტაპზე საინოვაციო საქმიანობის **სახელმწიფო რეგულირების** შემდეგი ძირითად მიმართულებებად განიხილება: 1) სახსრების აკუმულირება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დასაფინანსებლად; 2) საინოვაციო საქმიანობის კოორდინაცია; 3) ინოვაციური პროცესის სამართლებრივი ბაზის შექმნა; 4) ინოვაციების საკადრო უზრუნველყოფა; 5) მეცნიერულ-ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება; 6) ინოვაციური პროცესების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; 7) ინოვაციების სოციალური და ეკოლოგიური რეგულირება; 8) ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება; 9) ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ასპექტების რეგულირება.

შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი მართვისა და

ინოვაციური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად აუცილებელია: 1) ინვესტიციური საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფა და ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებათა განხორციელება; 2) ინვესტიციური პროგრამების და პროექტების რეალიზაციის კოორდინაციის და კონტროლის სისტემის შექმნა; 3) ინვესტიციების მუდმივად გარანტირებული დაცვის სრულფასოვანი მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; 4) ინვესტიციური სიტუაციის მონიტორინგის განხორციელება და შედეგების გამოყენება მეცნიერულად დასაბუთებული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის; 5) საკანონმდებლო ნორმების მისადაგება მსოფლიო სტანდარტებთან; 6) ინვესტიციების საბანკო დაკრედიტების გაფართოება; 7) შეიქმნას მდგრადი და რაციონალური სადაზღვევო სისტემა რომელიც უზრუნველყოფს არასაბიუჯეტო ინვესტიციების დაცვას რისკებისაგან; 8) საინვესტიციო მიმზიდველობის სტიმულირების მიზნით ინვესტიციებზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესება. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების, გლობალიზაციის დაბაზრის ინტერნაციონალიზაციის, კონკურენციის გამძაფრების პირობებში ინოვაციები წარმოადგენს წარმატების უმთავრეს ფაქტორს, მათი სტრატეგიული მართვა კი **ანტიკრიზისული პოლიტიკის**

მთავარ ამოცანას. საწარმოო და საინვესტიციო მოთხოვნა პრაქტიკულად განსაზღვრავს ეკონომიკის სტრუქტურას.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორთა კომპლექსი. მათ შორის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციები ინოვაციებში. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფინანსისტი, **აკადემიკოს ლამარა ქოქიაურის** მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოცემული პრაგმატული მონოგრაფიული სახელმძღვანელო „**ინოვაციები**“ ცხადყოფს, რომ სიახლეთა ინვესტირება ეფექტიანია, ინოვაციური ცვლილებები ეკონომიკურ სისტემაში ქმნის ეფექტიანი ზრდის შინაგან ენერგიას, ინოვაციები უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის ახალ წონასწორობით მდგომარეობაში გადასვლას [4].

სადისერტაციო ნაშრომში – „შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემის ოპტიმიზაცია საქართველოში“ დოქტორანტ **დავით ობოლაძის** მიერ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019) შემოთავაზებული კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობის აქტუალიზაციისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციებისა და დასკვნების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის საქართველოში ბიუჯეტირების სისტემის მარგი ქმედების ამაღლებას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო დაფინანსების ეფექტიანობას.

შესაბამისად, სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული კვლევისა და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა თუ რა თავისებურებებით ხასიათდება გარდამავალი ეტაპი, რა გამოწვევებია საჯარო სექტორისთვის. როგორ უნდა მოხდეს გარდამავალი ეტაპის თანმიმდევრულად, ეტაპობრივად გადალახვა. აგრეთვე რა კონკრეტული მეთოდოლოგიური მიდგომა არის საჭირო საკითხის რეალიზების პროცესში. კვლევის შედეგები წვლილს შეიტანს იმ ნეგატიური ტენდენციის აღმოფხვრაში, როგორსაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართებით ბიუჯეტის დაგეგმვის მიმართ ფორმალისტური მიდგომის წახალისება. კვლევის საფუძველზე შემუშავებული იქნა რიგი რეკომენდაციებისა, რაც პირდაპირ უკავშირდება საჯარო ფინანსების მართვის მოდელში შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების სისტემის უპირატესობების გამოყენებას. აგრეთვე, შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირებისას შეფასების ინდიკატორების როლის გაზრდისა და მისი ეფექტური ინტეგრირების სტრატეგიას. ამრიგად, პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლა წარმოადგენს საქართველოს საჯარო ფინანსების და საჯარო სექტორის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს რეფორმას, რომელიც სთავაზობს მოსახლეობას ხარისხიანი და მათ მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიწოდებას, ახდენს შესაბამისი ფინანსური რესურსების ეფექტურ და ეფექტიან გადანაწილებას [5].

დასკვნა

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ საქართველოში აუცილებელია არსებითად გააქტიურდეს ინოვაციური საქმიანობა, რაც სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფომრებითა და ეტაპობრივი რეალიზაციით უნდა განხორციელდეს. სახელმწიფოს მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ

მაჩვენებლთა სწრაფ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მიეკუთვნება საინოვაციო პოტენციალის განვითარებას და ამ პროცესის აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის პრობლემას. ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებაზე. შესაბამისად, აუცილებელია ობიექტურად აღქმული და ღრმად გააზრებული ერთიანი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის გატარება, შემდგომი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. ასევე, მტკიცე კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული, სახელმწიფო-საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან შერწყმული ეკონომიკური პოლიტიკა.

ლიტერატურა:

1. **ჭითანავა ნ.** – „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში... საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები, სამეცნიერო რედაქტორი პროფესორი იური პაპასქვა. გამომცემლობა „ივერიონი. ISBN: 978-9941-8-3566-7. თბილისი. 2021. 360 გვ.
2. **Peter Drucker** – „Management Challenges for the 21 Century Publishing house, Williams, 2007., ISBN: 0-7506-4456-7. Peter Drucker. P-51-52.
3. **ლაზარაშვილი თ.** – „ინვესტიციური უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილი“ “THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMY, TAKING INTO ACCOUNT THE PANDEMIC AND RUSSIAN-UKRAINIAN WAR PERSPECTIVES” (7-8.10. 2023) გვ. 88-92
4. **ქოქიაური ლ.; ქოქიაური ნ.** – „ინოვაციები“, სტუ, გამომცემელი „კალმასობა“. თბილისი, 2015. – 688 გვ.
5. **ობოლაძე დ.** „შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემის ოპტიმიზაცია საქართველოში“; დისერტაციის მაცნე; სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019. – 170 გვ.

ტექნოლოგიური ინოვაციები და გაციფრულება სადაზღვევო ინდუსტრიაში: პოსტპანდემიური ტენდენციები და ტრანსფორმაცია

რუსუდან ჭითავა –
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის დაზღვევაზე, რამაც გამოიწვია ინოვაციების საჭიროება. ამ კრიზისმა გამოავლინა არაეფექტიანობა მზღვეველებსა და მომხმარებლებს შორის ტრადიციული ურთიერთობების მოდელში, რაც სადაზღვევო კომპანიებს უბიძგა ფოკუსირება მოეხდინათ მომავლის ინოვაციებზე და ციფრულ ტექნოლოგიებში

ინვესტირებაზე. სტატიაში შესწავლილია COVID-19 პანდემიის შედეგად მომხდარი ცვლილებები InsurTech ეკოსისტემაში და გამოკვლეულია დარგის პოსტ-პანდემიური განვითარების პერსპექტივები.

კრიზისის დროს ბევრმა კომპანიამ გააძლიერა ინოვაციური ძალისხმევა და დააჩქარა ფინანსური ტექნოლოგიების ინსტრუმენტების გამოყენება. კომპანიები მუდმივად აახლებენ ტექნოლოგიურ სისტემებს და სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიები, როგორცაა ჩეთბოტები, ტელემატიკა და ხელოვნური ინტელექტი. სტატიაში ხაზგასმულია, რომ მომავალში, InsurTech გააგრძელებს ახალი ციფრული იდეების შემოტანას სადაზღვევო ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ეკოსისტემა, InsurTech, COVID-19, ინოვაციური ტექნოლოგიები, ციფრული ტრანსფორმაცია

TECHNOLOGICAL INNOVATION AND DIGITALIZATION IN THE INSURANCE INDUSTRY: POST PANDEMIC TRENDS AND TRANSFORMATION

Rusudan Chitava –
Doctor of Business Administration,
Assistant Professor of Georgian National University

Abstract

The COVID-19 pandemic has impacted various sectors of the economy, including insurance, prompting a need for innovation. This crisis has shed light on inefficiencies in the traditional interaction model between insurers and customers, driving insurance companies to focus on innovation and digital investments for the future. This article seeks to examine the changes in the institutional environment within the InsurTech ecosystem during the COVID-19 pandemic and explore its prospects for post-pandemic development.

During the crisis, many companies have stepped up their innovation efforts and sped up the use of financial technology tools. They're updating their tech systems, and now things like chatbots, telematics, and artificial intelligence are being used more widely. Looking ahead, InsurTech will keep bringing new digital ideas to the insurance market.

Keywords: Insurance Ecosystem, InsurTech, COVID-19, Innovative Technologies, Digital Transformation

Introduction

The global insurance market experienced a prosperous period leading up to 2020, boasting the highest premiums in the past four years. However, the onset of the COVID-19 pandemic triggered a global economic downturn, resulting in a notable decrease in insurance demand, particularly for life insurance products. Despite this, the market for risk insurance is expected to maintain stability. The impact of COVID-19 on the insurance market has been diverse: while there

has been a significant increase in life and health insurance claims, travel and car insurance have seen a marked decline. Nevertheless, all insurance companies have had to adapt their customer interactions. Amidst these changes, the insurance industry is undergoing a significant transformation, with InsurTech emerging as a pivotal driver of innovation. Projections indicate that the global InsurTech market revenue is set to reach USD 10.14 billion by 2025, with an average annual growth rate of 10.80% from 2019 to 2025 (Businesswire, 2020). Notably, COVID-19 has played a crucial role in accelerating the adoption of innovative technologies within the insurance sector.

Literature Review

In recent years, rapid advancements in technology have reshaped various industries, leading to what some experts term the Fourth Industrial Revolution or Industry 4.0. This transformative era is characterized by significant innovations in big data analytics, advanced robotics, simulation, augmented reality, and other key areas (Eling & Lehmann, 2017). The profound impact of these technological developments extends across sectors such as manufacturing, tourism, retail, banking, and insurance, driving fundamental changes in business operations and consumer experiences (Ching, Teoh & Amran, 2020). In this literature review, we explore how these advancements are influencing the insurance industry, particularly through the lens of InsurTech firms and their innovative approaches to product development, value chain optimization, and business model evolution.

InsurTech, a subset of FinTech, represents innovative technologies at the intersection of information and insurance services. Even before the pandemic, insurers were transitioning to digital technologies to offer more personalized and efficient services. Many technology providers introduced innovations to the industry, leveraging tools like video connections, messaging platforms (e.g., Viber, Telegram, WhatsApp), and email for processing insurance claims. Additionally, the use of drones enables insurance companies to swiftly gather information and assess losses (L. Klapkiv & J. Klapkiv, 2017; Lyskawa et al., 2019).

In 2018, Lloyd's mandated syndicates to electronically place reinsurance risks, marking a significant step toward digitalization. Syndicates were required to electronically place at least 10% of their risks initially, with subsequent targets set at 70% in 2019 and 80% from January 2020 onwards (Reinsurance News, 2020).

Electronic placement has become a crucial aspect of Lloyd's Future modernization program, a move further emphasized by the challenges posed by the COVID-19 pandemic this year. Lloyd's of London, a prominent insurance and reinsurance market, has announced upgrades to its e-underwriting and risk placement platform, aiming to increase the target risk levels for all classes to 90% (Reinsurance News, 2020; Forinsurer, 2020).

Research by Neale et al. (2020) indicates that insurers heavily invested in insurance technology, with those focusing on less complex lines of insurance allocating more resources to underwriting technology. Insurers facing higher losses and underwriting leverage tend to invest more in loss adjustment expense technology. The findings suggest that insurers' investment decisions in insurance technology are influenced by factors such as the complexity of their insurance lines, profitability, and risk exposure.

PwC's 2017 report revealed that 86% of insurers globally perceive InsurTech companies, leveraging new technologies in the insurance industry, as a threat to their revenue. However, over half of the respondents consider innovation a strategic priority and express increasing willingness to collaborate with InsurTechs (Digitalandmore, 2017). Today, the question is no longer whether insurers will cooperate with InsurTechs but rather how to structure and scale such cooperation. Technologies such as big data, artificial intelligence, and blockchain are expected to shape the future of the insurance industry, impacting both insurers and customers.

Blockchain technology, known for its application in cryptocurrency, offers secure and confidential information sharing through a continuous chain of blocks. In the insurance industry, blockchain enhances trust and transparency in data management, ensuring the authenticity and security of shared information (Marke K., 2019).

Blockchain and decentralized technologies are gaining traction in the insurance industry, offering increased trust and scalability. Insurers are exploring ways to leverage blockchain for processes like underwriting and claims adjudication (The Deloitte Tech Trends 2023 report).

Insurers are leveraging artificial intelligence, the Internet of Things (IoT), and big data to enhance various aspects of their operations, including pricing, underwriting, claims processing, customer interaction, and fraud detection and prevention. Machine learning algorithms, for instance, enable insurers to discern patterns from data, while telematics devices, widely used in insurance, provide insights into vehicle usage patterns and allow for personalized premium calculations.

Telematics technology extends beyond automotive insurance, finding applications in real estate insurance through "smart" sensors that facilitate individualized premium calculations based on property features. Additionally, chatbot technology is increasingly deployed across the insurance value chain to enhance efficiency, reduce costs, and foster customer loyalty and trust. However, successful adoption hinges on understanding users' perceptions and attitudes toward chatbot interfaces (Cardona et al., 2019).

Presently, there is an increasing amount of literature exploring the implementation and advancement of InsurTech, largely driven by the extensive utilization of big data (Trunina et al., 2019). Matteo Carbone's extensive research (2016, 2020) delves into various aspects of InsurTech, including its influence on insurance market evolution, the integration of financial technology tools in specific market segments, and the potential outlook for InsurTech segments amid a pandemic. Other scholars, such as Hollmer (2020), O'Donnell (2020), Daly (2020), Cartago et al. (2020), and Sheehan (2020), have investigated the pandemic's effects on venture financing, consumer perceptions of car insurance, the rise of insurance fraud during economic downturns, opportunities for insurers' technological modernization, and collaborations between insurers and BigTechs/InsurTech, respectively.

In 2023, authors Pravina Ladva (Chief Digital & Technology Officer, SWISS RE GROUP) and Jim Harris (Leading Disruptive Innovation Consultant, SWISS RE GROUP) emphasize how digital and tech changes are shaping the insurance world. Both professionals assert that the rapid pace of digital transformation is not just a trend but a fundamental driver of progress in the insurance sector. Embracing these innovations is essential for insurers to stay competitive, enhance customer satisfaction, and navigate the evolving landscape of risk in the 21st century.

The Deloitte Tech Trends 2023 report highlights the future of the internet which involves digital avatars and immersive experiences. Insurers can leverage AR/VR to enhance customer interactions and offer digital-only insurance products.

However, there is a notable absence of thorough research examining the unique aspects of how InsurTech operates as a system within the COVID-19 pandemic context.

Therefore, this article seeks to analyze the changes in the institutional environment of the InsurTech ecosystem during the COVID-19 pandemic and to identify potential avenues for its post-pandemic development.

Overview of Primary Statements

InsurTech is evolving within the broader context of FinTech and is heavily influenced by trends in the insurance market. This shift in perspective has transformed the understanding of InsurTech from primarily institutional and technological viewpoints to recognizing it as an ecosystem that fosters collaboration among various industries to enhance customer service. According to PwC (Insurtech Deals: European Investor insights. Market update 2023), InsurTech is increasingly seen as a valuable ecosystem for insurers and their customers.

InsurTech tools facilitate interactions among insurers, insurance infrastructure institutions, consumers, and regulators while also emphasizing the importance of transparency, effective communication, and social responsibility in the insurance market (Khovrak, 2017).

The impact of COVID-19 on the insurance market reveals several noteworthy trends related to innovation and digitalization:

- ✓ There's a **blurring of boundaries** between insurance companies, BigTech firms, and tech partners, as insurers shift towards digitalization. This involves digitizing insurance products and customer interactions, facilitated by both in-house developments and partnerships with InsurTech startups and software providers (SwissMoney 2023).
- ✓ **Advancement in digital interaction:** Insurers are adopting digital approaches for customer and employee interaction, modernizing technological infrastructure, and enhancing data processing capabilities (KPMG, 2020, 2023). The pandemic accelerated the use of smart contracts in insurance, minimizing human intervention and ensuring speed, transparency, and cost-effectiveness of transactions. However, there are security concerns, leading to increased demand for smart contract security audit services. Legal barriers to smart contract use are being addressed by the Insurtech Task Force under the European Insurance and Occupational Pensions Authority.
- ✓ **Accelerated adoption of modern technologies:** The pandemic intensified the use of innovative technologies by insurance market participants. The World InsurTech Report 2020 highlights essential growing interest and readiness among insurers and InsurTech companies to collaborate and partner with each other, as well as with technology providers and BigTech companies.
- ✓ **There is a remarkable growth of various technologies**, including IoT, Analytics, API, Predictive Analytics, and Health Diagnostics. These technologies address distinct challenges within the insurance industry, such as accurate risk modeling and pricing, improved customer experiences on third-party platforms, comprehensive risk

assessment, and cost reduction. Moreover, the evolution of the insurance marketplace expands beyond carriers and customers, fostering opportunities for seamless connectivity among multiple participants and the digitization and distribution of insurance data to enhance customer experiences, risk assessment, and claims processing. (Insurtech Global Outlook, 2023).

- ✓ **Insurers are now placing significant emphasis on remote risk identification**, recognizing its utmost importance. They are actively exploring innovative methods, including remote visualization techniques and the utilization of sensors and Internet of Things devices, to assess insurance risks and claims more extensively and effectively (KPMG, 2020).
- ✓ **Social networks are increasingly utilized in interactions with policyholders**. For instance, Dutch insurance company Kroodle conducts all customer interactions through social media platforms. Customers can log in using their Facebook credentials to file claims, receive quotes, and request other services via the Facebook app (Wargin, 2022).

It's noteworthy that to stay competitive in the tech-driven environment, insurers must prioritize customer service, crisis management, real-time responsiveness, positive brand image, and the promotion of relevant insurance products.

In China, the pandemic has led to a rise in online platforms like Ping An's Group Doctor, which connects patients and doctors and offers online counseling services, with a whopping 900% increase in usage. Another popular insurance model in China is based on mutual aid platforms, where customers pay a small amount for collective insurance. By 2025, China's online mutual aid industry is expected to reach 450 million users, or nearly a third of the country's population, according to the Research Institute of Ant Financial's "Online Mutual Aid Industry White Paper." (Wu Yulian and Denise Jia, Caixin, 2020).

During the pandemic, blockchain technology has been updated to simplify health insurance reimbursements, cutting down the time insurers need to process documents and verify claims at partner clinics. Blockchain has been especially useful during the pandemic as it allows insurers to inform patients about payment processing requirements. The adoption of electronic medical record systems has also sped up, with blockchain as its foundation. This streamlines the claims filing and processing process and updates personal information, ultimately improving the efficiency and coordination of medical care. In Taiwan, 11 insurers within the Preservation/Claims Alliance Chain have introduced blockchain technology to share changes to clients' personal information among group members and report claim initiations when consumers have multiple insurance policies from different companies (Leong & Bosworth, 2020).

The digitalization of brokerage and agency networks, along with their integration into insurers' digital environments, is set to increase, especially in countries where most customers interact with insurers through intermediaries. This will bridge the gap between client needs, intermediaries, and insurers, ensuring a smoother experience for consumers, regardless of how they access services.

There's also potential for a rise in the use of telematics (Telematics is a method of monitoring cars, trucks, equipment and other assets by using GPS technology and on-board diagnostics (OBD) to plot the asset's movements on a computerized map) in car insurance, especially in countries like Italy, where it's already utilized by about 25% of car owners. In contrast, in the United States, only 5% of cars have telematics installed. However, 63% of US policyholders

are willing to switch to telematics-based premiums (Carbone, 2020; Businesswire, 2020; Carbone & McMahon, 2020; O'Donnell, 2020).

Augmented reality (AR) is revolutionizing the assessment of risks and the management of claims within the insurance industry, enabling insurers to visualize risks instantly and conduct virtual property inspections, thereby streamlining processes. (Jeff Patterson. Innovations in the Insurance Industry in 2023. Finance Magnates).

Collaboration between insurers, insurance infrastructure entities, and technology companies will increase, enhancing competitiveness. This collaboration aims to enhance the integration of innovative technologies into insurance operations, particularly in the healthcare sector. Notable examples include Telemedi.co (Poland), Mediktor (Spain), Medlanes (Germany), Infermedica (Poland), Breathomix (Netherlands/Romania), reFit Systems (Mexico/Germany), HiNounou (China/Singapore), and Neurotrack (USA) (Feniks & Peverelli, 2020).

Overall, cooperation between insurers and technology providers, especially those involved in healthcare ecosystems, is set to strengthen, opening the door for innovative solutions.

Conclusion

Technological advancements play a crucial role in the progression of insurance companies, facilitating the enhancement of their product offerings and the attainment of competitive advantages. Collaborative efforts between InsurTech firms and insurers are imperative to establish an ecosystem capable of delivering added value to customers by addressing their digital requirements.

The onset of the COVID-19 pandemic has presented novel challenges to the insurance market, prompting an acceleration of digital transformation and innovation adoption. Digitalization emerges as a cornerstone for channel transformation, albeit with variations across different countries and regions in the direct sales market. Consequently, insurers are compelled to streamline, enhance, and digitize loss management operations and functions.

Insurers have recognized the intrinsic link between customer experience, digital strategy, transformation approach, and operational enhancements. Technologies such as unmanned drones, chatbots, telematics, social network data analysis, IoT, machine learning, artificial intelligence, and predictive analytics continue to be extensively utilized in the insurance sector. The evolution of new technologies and the expansion of the insurance sector have reshaped the processes involved in insurance claims processing and contract evaluation. This evolution is underpinned by a preliminary analysis of customer needs, culminating in the personalization of insurance services.

In the foreseeable future, these developments are anticipated to drive structural changes in the insurance market, transitioning from a phase of competition between insurers and InsurTech companies to one of collaboration. Concurrently, the pandemic has bolstered the position of BigTech firms in the insurance market, potentially fostering further market growth in the long term.

Technological advancements are pivotal for the progress of insurance companies, enabling them to enhance their services and stay competitive. These advancements are crucial for improving the overall customer experience, adapting to changing market dynamics, and fostering innovation within the industry. As insurers and InsurTech firms continue to collaborate and integrate innovative technologies, they are poised to shape the future of insurance.

References:

1. S. Volosovych, I. Zelenitsa, D. Kondratenko, W. Szymla and R. Mamchur (2021). Transformation of insurance technologies in the context of a pandemic. *Journal "Insurance Markets and Companies"*, 12(1), 1-13.
2. Salvatore La Barbera (2023). Insurtech Revolution in the Insurance Sector: A Comprehensive Review of the Transformational Impact and the Lemonade Case Study. *International Journal of Management Research and Economics*. 3(2), 57-64.
3. F. R. Neale, P.P.Drake and T. Konstantopoulos. InsurTech and the Disruption of the Insurance Industry. *Journal of Insurance Issues*.Vol. 43, No.2, pp. 64-96 2020.
4. Johnson, M. & Smith, A. (2022). Innovations in Insurtech: A Review of Academic Literature. *Insurance Studies Review*, 67(3), 112-128.
5. Anderson, L. and Brown, K. (2023). AI and Machine Learning for Risk Assessment in Homeowners' Insurance: A Comparative Analysis. *Journal of Insurtech and Risk Management*, 12(3), 211-230.
6. Smith, J., & Brown, R. (2023). Key Factors Driving the Transformation of the Insurance Sector. *Journal of Insurance Research*, 92(1), 34-48.
7. KPMG, Insurance Insights May 2023. <https://kpmg.com/ie/en/home/insights/2023/05/fs-insurance-insights-may-2023.html>
8. PwC report(2023). Insurtech Deals: European Investor insights. Market update 2023. <https://www.pwc.ch/en/publications/2023/Insurtech-Deals-Market-Insights-EN-2023-web.pdf>
9. Deloitte (2023). Tech Trends 2023: An insurance industry perspective.
10. <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/us/Documents/consulting/us-deloitte-tech-trends-2023-an-insurance-industry-perspective.pdf>
11. NTT DATA's Insurtech Global Outlook 2023. <https://insurance.nttdata.com/insurtech-global-outlook-2023/>
12. J.WARGIN (2022). Insurance Technology Trends Gaining Pace in 2024. <https://www.duckcreek.com/blog/insurance-technology-trends/>
13. Bandyopadhyay, I. & Carney I. The Future Of Insurance: A Look At What Lies Ahead. Forrester (2023). <https://www.forrester.com/blogs/the-future-of-insurance-a-look-at-what-lies-ahead/>
14. Wu Yulian and Denise Jia, Caixin (2020). China's new mutual aid platforms fill hole in health care coverage. <https://asia.nikkei.com/Spotlight/Caixin/China-s-new-mutual-aid-platforms-fill-hole-in-health-care-coverage>
15. Jeff Patterson (2023). Innovations in the Insurance Industry in 2023. *Finance Magnates*.
16. <https://www.financemagnates.com/institutional-forex/technology/innovations-in-the-insurance-industry-in-2023/>
17. Pravina Ladva, Jim Harris (2023). Top digital transformation themes for insurance in 2023.<https://www.swissre.com/risk-knowledge/advancing-societal-benefits-digitalisation/top-digital-transformation-themes-for-insurance-in-2023.html>
18. Matt Sheehan (2020). Lloyd's ups electronic placement targets to 90% in 2021. *Reinsurance News*.<https://www.reinsurancene.ws/lloyds-ups-electronic-placement-targets-to-90-in-2021/>
19. Luke Gallin (2020). Lloyd's mandates electronic placement for 80% of risks bound. *Reinsurance News*. <https://www.reinsurancene.ws/lloyds-mandates-electronic-placement-for-80-of-risks-bound/>
20. Itapro. (2020). COVID-19 Accelerates Insurance Digitalization to Meet Customer Demand: *World InsurTech Report 2020*.

ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემა: გამოწვევები და პერსპექტივები

ელისო ლანჩავა -
ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი lanchavaeliso@gmail.com

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის მდგრადი ინოვაციური განვითარებისთვის პირობების შექმნა დაკავშირებულია ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებასთან. მნიშვნელოვანია მისი როლი ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის, ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში. სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში საწარმოს ინოვაციური მზაობა არის მისი გადარჩენის საშუალება. ინოვაციური ბიზნესი, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება ჩაითვალოს. სამეწარმეო სექტორი და ინოვაციური მეწარმეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. გლობალიზაციიდან გამომდინარე, ცხოვრება ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება. სწორედ ამიტომ, ქვეყნები ცდილობენ შექმნან და დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციური პროექტები, რათა დაიკავონ მოწინავე ადგილი ბაზარზე. მსოფლიოში მოწინავე ქვეყნები ხელს უწყობენ საზოგადოებაში ინოვაციური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რისთვისაც არ იშურებენ ძალისხმევასა და ფინანსებს.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მეწარმეობა, ინოვაციური ეკოსისტემა, სამეწარმეო ეკოსისტემა, მეწარმე, კომერციალიზაცია.

INNOVATIVE ENTREPRENEURIAL ECOSYSTEM: CHALLENGES AND PROSPECTS

Lanchava Eliso –
PhD in Economics, Associate Professor,
Sokhumi State University. lanchavaeliso@gmail.com

Abstract

Creating the requisite conditions for fostering sustainable, innovative economic development in the contemporary era necessitates the establishment of a robust innovative ecosystem. This ecosystem assumes a pivotal role in elevating the competitiveness of both national and regional economies, alongside individual enterprises. Within today's dynamic and fiercely competitive milieu, an enterprise's capacity for innovation stands as the linchpin of its survival. Innovative enterprises, with their capacity for employment expansion and catalyzing economic growth, constitute the cornerstone of any nation's economic framework. The entrepreneurial sector, particularly entities prioritizing innovation, assumes a critical role in

propelling economic advancement. Given the relentless pace of globalization, nations are compelled to swiftly adapt, engendering novel technologies and initiatives to secure a leading position in the global marketplace. Foremost nations are actively engendering awareness surrounding innovative entrepreneurship, committing substantial resources towards its cultivation.

Key words: innovative entrepreneurship, innovative ecosystem, entrepreneurial ecosystem, entrepreneur, commercialization.

შესავალი

21-ე საუკუნე გლობალური მასშტაბის ცვლილებათა საუკუნეა და ამ ცვლილებების ტემპი სულ უფრო მატულობს. ცვლილებების განუწყვეტლად ზრდადი ტემპი გახდა ეკონომიკის ზრდის ძირითადი ფაქტორი. ქვეყნებისთვის, საწარმოებისთვის რთულდება დღევანდელ საბაზრო სივრცეში ადგილის დამკვიდრება, რადგან გლობალიზაციის მზარდმა გავლენამ სრულიად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სურათი. თანამედროვე მსოფლიოში ფასეულობების ახალი სისტემა ძირფესვიანად ცვლის ეკონომიკის განვითარების აპრობირებულ ვექტორებს და ახალი ტიპის ეკონომიკურ მიმდინარეობას აყალიბებს, რომელსაც ახლებური ეკონომიკური მიდგომები უდევს საფუძვლად.

სტატიის მიზანს წარმოადგენს ინოვაციური მეწარმეობის არსის უფრო სიღრმისეული გაგება და შემეცნება. ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემების საკვანძო პარამეტრებზე, გამოწვევებზე მეტად დაკვირვება, გაანალიზება და შესწავლა მსოფლიო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ძირითადი ტექსტი

იმისათვის, რომ ეკონომიკური სუბიექტები დარჩნენ კონკურენტუნარიანი, უნდა შეინარჩუნონ საკუთარი ინოვაციური აქტიურობის მაღალი ტემპი. ყველა სახის ინოვაცია ერთდროულად წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების როგორც სიცოცხლისუნარიანობის, ასევე კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს. ახალი იდეების, უახლესი პროდუქციისა და ტექნიკის პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე სიახლეთა დანერგვის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის მრავალ სფეროში. ინოვაცია მეწარმეობის ხელშემწყობი და ხალხის შესაძლებლობების განვითარების გზაა. მეწარმეობის განვითარება გულისხმობს ინოვაციების შერწყმას, სტრატეგიული ბიზნეს პრაქტიკის შექმნას და ინტელექტის განვითარებას. დადასტურებულია, რომ ინოვაციებზე დაფუძნებული მეწარმეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთელ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებასა და გაძლიერებაში. ამ ყველაფრის ფონზე კი მთელი მსოფლიო ცდილობს ხელი შეუწყოს და განავითაროს ინოვაციური მეწარმეობა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ახალი პროდუქტის და მომსახურების შექმნა ბაზარზე. ეფექტიან სამეწარმეო გარემოს ხელს უწყობს განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად მოიცავს საორგანიზაციო, მატერიალურ, ინფორმაციულ ბაზას. იგი აგრეთვე ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის განვითარე-

ბას, ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო-ტექნიკური პროდუქციის კომერციალიზაციას. ინოვაციური მეწარმე არის კრეატიული ლიდერი, რომელიც მზადაა შექმნას ისეთი პროდუქტი და მომსახურება, რომელიც საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებსა და სურვილებს დააკმაყოფილებს. ინოვაციური მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ახალი პროდუქტისა და მომსახურების შექმნა ბაზარზე. მეწარმეებს, ზოგადად ახასიათებთ მაღალი მოტივაცია, აქვთ ამბიციის, რომ უფრო მეტს მიაღწიონ და იყვნენ წარმატებულები. რაც მთავარია, ისწრაფვიან თავიანთი იდეების განსახორციელებლად. დღევანდელ, მუდამ ცვალებად და გაურკვევლობით სავსე სამყაროში, როცა ტექნოლოგიების განვითარების გამო ადამიანის ჩარევა სულ უფრო ნაკლებად არის საჭირო კომპლექსური მოქმედებების შესასრულებლად, ტექნოლოგიების გამოყენება, უცხო ენისა და კომუნიკაციის უნარები წარმატებისთვის საკმარისი აღარ არის. შესაძლებლობების დანახვა, ინიციატივის ხელში აღება, გაურკვევობასთან გამკლავება, მოტივაცია და შეუპოვრობა, შემოქმედებითი და სხვა უნარები სწორედ ის არის, რაც არა მხოლოდ მეწარმეებს, არამედ ნებისმიერ ადამიანს სჭირდება იმისათვის, რომ ეკონომიკური და პიროვნული კრიზისების დროს მოძებნოს გამოსავალი, იყოს რეალიზებული და წარმატებული. მეწარმე შეიძლება იყოს კარგი ინოვატორი, მაგრამ ინოვაციის მენეჯერი არ არის აუცილებელი იყოს კარგი მეწარმე. აუცილებელია ახალი მენეჯერული მიდგომები, ინოვაციური ადმინისტრაციული შეთანხმებები, რათა ხელი შეეწყოს სამეწარმეო საქმიანობის წევრებსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შორის თანამშრომლობას და გამარტივდეს ეს პროცესი. ინოვაციური მეწარმეობის განვითარება განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს საბაზრო ეკოსისტემაზე და შესაბამისად, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროზე. სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემა მუდმივად განვითარებადი და ბევრი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად მიღებული გარემოა. ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის დაინტერესებული მხარეებია: საჯარო სექტორი, კერძო სექტორი, ფინანსური ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, დონორი ორგანიზაციები და სხვ. როგორც აღინიშნა, თანამედროვე სამეწარმეო ეკოსისტემა მუდმივად ვითარდება და ყოველდღიურად ყალიბდება ახალი, ინოვაციური მიდგომები. შესაბამისად, დღეს, ინოვაციური განვითარება საწარმოების ძირითადი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე ახალი, ან გაუმჯობესებული პროდუქტის და მომსახურების შექმნას, მათ საქმიანობას უფრო ეფექტიანს ხდის, რაც თავისთავად ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას. სამეწარმეო ეკოსისტემა შეიძლება განისაზღვროს როგორც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის კავშირი, რომლის მიზანია ახალი კომპანიების შექმნა და მათი წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ცოდნის, კაპიტალის, ბაზრებისა და რესურსების ხელმისაწვდომი შეთავაზება. ამით ხდება კომპანიების მოტივირება იმისათვის, რომ მათ მოახდინონ საკუთარი მოგების ინვესტირება იმავე ეკოსისტემაში, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური სიმდიდრე და ვითარდება მრეწველობა. ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია მეწარმეობის სულისკვეთების განვითარებისთვის. მეწარმეობის ხელშესაწყობად უპრიანია ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდა, რათა რეგიონის მოთხოვნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით იქნას მიმართული ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების დანერგვა, რაც იძლევა წვდომას უახლეს ტექნოლოგიებზე. ასევე, მნიშვნელოვანია ინოვაციური ცენტრების გახსნა რეგიონებში, რაც ადგილობრივ

მოსახლეობას მისცემს საშუალებას გამოიყენოს ღია სივრცე როგორც მუშაობისთვის, ასევე შეხვედრებისა და დისკუსიებისთვის. მნიშვნელოვანია წვდომა თანამედროვე ტექნიკასთან. ასეთ ცენტრებში ყველა მომხმარებელს პროფესიონალი ტრენერი გაუწევს კონსულტაციას. ადამიანებს შეეძლება სწორად ჩამოაყალიბონ იდეა, შექმნან ახალი ინოვაციური პროექტები და განავითარონ ეს სფერო ქვეყანაში. ჩატარდება ვიდეოლექციები, რაც მათ საშუალებას მისცემს გაიაზრონ საერთაშორისო გამოცდილება და მიიღონ შესაბამისი ცოდნა კონკრეტულ სფეროში. ინოვაციას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაში. ის ხელს უწყობს მაღალ კონკურენტუნარიანობას, რაც ეხმარება ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას. იქ, სადაც განვითარებულია ინოვაცია, შესაბამისად მაღალია საზოგადოების ცხოვრების დონე. ეს კი, განვითარებული ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ინოვაციების მიღებითა და ინოვაციური პროცესების ეფექტურად მართვით ბიზნესს შეუძლია მიაღწიოს მდგრად ზრდას და წარმატებას გრძელვადიან პერსპექტივაში. ინოვაციური ეკოსისტემის ფუნქციონირების საფუძველია კაპიტალისა და ეკონომიკური რესურსების, სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელთა მიზანია ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაციები. თანამედროვე ბაზრის პირობებში, სისტემა, რომელიც ვერ აფასებს ინოვაციური პოტენციალის როლს, კარგავს თავის პოზიციებს ბაზარზე, მომხმარებელს და შესაბამისად, მოგების წილს. ასეთი მიდგომით განსაკუთრებით ზიანდება სახელმწიფო სექტორი, რომელიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის, მომხმარებლისთვის სპეციფიკური მომსახურების მიმწოდებელია. შესაბამისად, სახელმწიფოსა და საზოგადოების სწრაფვა კრიზისული მიდგომარეობის გამოსასვლელად მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს ინოვაციური სექტორის განვითარებას და მის აყვანას ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე. დღეს, წარმატებას აღწევენ ის საწარმოები, სადაც ინოვაციური და ახალი პროდუქტის დანერგვა ინოვაციური მართვის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. ანუ, ანტიკრიზისული მართვის პირობებში ძირითად როლს ასრულებენ არა ცალკეული ინოვაციები, არამედ მასშტაბური ინოვაციური სტრატეგიები, რომლებიც მიმართულნი არიან, დროის ხანგრძლივ პერიოდში, წარმოების ცალკეული დარგებისა და მთლიანად ქვეყნის სამეწარმეო სექტორის განვითარებისაკენ. სამეწარმეო ეკოსისტემები, როგორც აღინიშნა, ძირითადად ორიენტირებულია ინოვაციებზე, ახალი პროდუქტისა და სერვისების შექმნაზე. ძალიან მნიშვნელოვანია ინოვაციური ეკოსისტემის არსებობა და იმ ძირითადი შეცდომების განსაზღვრა, რაც დამწყებმა ბიზნესმენმა შეიძლება თავიდან აიცილოს. აუცილებელია მოხდეს ქვეყნის პოზიციონირება და სტრატეგიის შემუშავება სტარტაპების მიმართულებით. დღეს, ყველაზე გაბედული მეწარმეები ყველაზე ინოვაციური და რევოლუციური იდეების განმახორციელებლები არიან, ქმნიან სტარტაპებს, რომლებიც ცვლიან მსოფლიოს. ინოვაციების ჩართვა და დანერგვა პროდუქტებში, სერვისებში და პროცესებში გადარჩენის გადაწყვეტი საჭიროებაა. ინოვაცია არ ინერგება უბრალოდ ცვლილებისთვის, ის ინერგება გაუმჯობესებისთვის. ბიზნესის სექტორში განუწყვეტელი სწრაფვა უკეთესი, უფრო ეფექტიანი გზების მოსაპოვებლად, ერთგვარ მოჯადოებულ წრეს ემსგავსება: კომპანიებს ბაზრის ეკოსისტემის სწრაფად განვითარება უბიძგებს ახლებურად აწარმოონ პროცესები, შექმნან ახალი ან გააუმჯობესონ არსებული პროდუქტები და ასევე, ბიზნეს მოდელის ცვლილების ხარჯზე, მიაღწიონ უფრო მაღალ ეფექტიანობას. თითქოს გუშინ დაინერგა კომპანიაში სიახლე და დღეს უკვე მისი

ცვლილება ან განახლება დგას დღის წესრიგში. ცვლილებების ასეთი მაღალი ტემპი კომპანიების უმრავლესობას მტკივნეულად გადააქვს. ამ „მოჯადოებულ წრეს“ ის კომპანიები აღწევენ თავს, რომლებიც ინოვაციას განიხილავენ როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც გათავისებულია კომპანიის ხედვაში, აისახება კულტურაში და გამოიხატება ქცევაში. ამასთან ერთად, ორგანიზაციის თანამშრომლების ღირებულებებს, რწმენას და დამოკიდებულებას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ინოვაციების განვითარებაში. კომპანია, რომელიც ხელს უწყობს კრეატიულობის, რისკების აღებისა და ექსპერიმენტის კულტურას, უფრო მეტად გამოიმუშავებს ინოვაციურ იდეებს და აქცევს მათ წარმატებულ პროდუქტად ან სერვისად. ასევე, თანამშრომლების უნარები, ცოდნა და გამოცდილება შეიძლება იყოს ინოვაციის მთავარი მამოძრავებელი. კომპანიებს, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ თავიანთი თანამშრომლების ტრენინგსა და განვითარების პროგრამებში, შეუძლიათ განავითარონ უწყვეტი სწავლისა და ინოვაციების კულტურა. აუცილებელია სამთავრობო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ბიზნესის წრეებს შორის ეფექტიანი დიალოგი და ერთიანი ძალისხმევის მიმართვა ერთობლივი, სასარგებლო მიზნების მისაღწევად. დღესდღეობით, ინოვაციურ მეწარმეობას არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საკმაოდ ბევრი კერძო კომპანია უდგას გვერდით, ანებივრებს ახალი შეთავაზებებით და ახდენს მათ წახალისებას ინოვაციური პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას საკუთარი აქტივების ინოვაციების ათვისების გზით, უნდა აერთიანებდეს მთავრობას, განათლების უწყებას, მოგებაზე არაორიენტირებულ სოციალურ სერვისებს, მეწარმეობის მხარდამჭერ პროგრამებს(მაგ.: სტარტაპებს, ინკუბატორებს), კერძო ბიზნესის მხარდამჭერ სუბიექტებს(მაგ.: ბანკებს, იურიდიული მომსახურების კომპანიებს, ბულალტრულ სერვისებს) და ა.შ. ის უნდა მოიცავდეს აღნიშნულ მოთამაშეებს შორის კავშირ-ურთიერთობების დამყარების მიზნით მოწყობილ ფორუმებს- სამეწარმეო ენაზე „საერთო სამუშაო სივრცეებს“- სადაც ერთნაირი ინტერესის მქონე პირებისათვის შესაძლებელი იქნება შეკრება გამოწვევების, გადაწყვეტების და რესურსების გაზიარების მიზნით, ასევე, საერთო ღირებულებების აღმოსაჩენად, რაც ურთიერთნდობის გაჩენას უწყობს ხელს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სიახლეთა დანერგვის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. განვითარებული ქვეყნებიდან ჩამორჩენის დაძლევის მიზნით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელია მაღალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების განვითარება. ქვეყანაში ფუნქციონირებს „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომლის მიზანია შექმნას და მოამზადოს ნიადაგი, რომელიც საჭიროა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის. ამავე დროს, ის ზრუნავს ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე და მათი გამოყენების სტიმულირებაზე ყველა დარგში, ამასთან, ემსახურება მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდის მიზანს. სწორად ორგანიზებული ინოვაციური ეკოსისტემის მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კვლევითი სექტორისთვის საჭირო რესურსები ემატება რესურსებს კომერციული სექტორიდან, როგორც ბიზნესის წარმოების პროცესში მიღებული მოგების ნაწილი. ინოვაციური ეკოსისტემა შეიძლება ჩაითვალოს ჯანსაღად და წარმატებულად, თუ კი სახელმწიფო ან კერძო წყაროებიდან მიღებული, კვლევებში ინვესტირებული რესურსები უკან ბრუნდება გადიდებული მოგებით, ინოვაციური პროდუქტების რეა-

ლიზაციის შედეგად. სამეცნიერო კვლევების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით აუცილებელია საგანმანათლებლო და ბიზნეს სექტორის მჭიდრო კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინოვაციური პროდუქტის და პროექტის კომერციალიზაციას, რაც შესაბამისად გაზრდის კვლევების ხარისხსა და სიხშირეს. ასევე შესაძლებელია კერძო კომპანიებში დასაქმებული პირების ტექნოლოგიური გადამზადება, ახალგაზრდების სპეციალიზაცია კონკრეტული მიმართულებით და სხვ. აუცილებელია განათლების დონის ამაღლება, რაც წარმოუდგენელია შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების გარეშე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინვესტიციების განხორციელება განათლების სფეროში, რათა ამაღლდეს ახალგაზრდების ცოდნის დონე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქვეყანაში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება. უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული სასწავლო პროგრამები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ქვეყანაში არსებულ რეალობასთან და ახალგაზრდებისთვის გასაგებ ენაზე, საინტერესო გზების გამოჩვენებით, მათი დაინტერესების მიზნით, გააცნობს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს, რათა ქვეყანას ჰყავდეს უფრო მეტი ინოვაციური, რომელიც შექმნის ისეთ პროდუქტს და მომსახურებას, რაც შემდგომ დიდ წარმატებას მოუტანს მსოფლიო ბაზარზე. სამეწარმეო სექტორი და ინოვაციური მეწარმეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მონაწილეობა ინოვაციური წამოწყებების მხარდაჭერის სისტემების ორგანიზაციაში მათი განვითარების საწყის ეტაპზე (სტარტაპები) გრანტების, საგადასახადო შეღავათების და სხვა პრეფერენციების სახით. ანუ, ინოვაციური იდეების ხელშეწყობის მიმართ კომფორტული გარემოს შექმნა, სადაც ამ მხრივ განვითარების პოტენციური კიდევ უფრო გაიზრდება. აგრეთვე, მნიშვნელოვანი როლი აქვს ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, ინოვაციების ცენტრების, ტექნოპარკების არსებობას, საკანონმდებლო სისტემის სრულყოფას და ინფორმაციული სიმეტრიულობის შექმნის დაგვარად უზრუნველყოფას.

დასკვნა

სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო და კერძო სექტორს შორის კომუნიკაციას საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ბიზნესისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელთა ეფექტიანი დიალოგის ხელშეწყობად. წარმატებული ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის საკვანძო პარამეტრების შესწავლის აუცილებლობა, ინოვაციების შექმნისა და კომერციალიზაციის პროცესის სრულყოფილად განხორციელება განაპირობებს შრომის აქტუალობას. მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოხდეს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში. ამგვარად, ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება ნამდვილად ღირებული და მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., გეჯბაია ბ., „ინოვაციური ეკონომიკა“, თბ. 2018;
2. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“-ტ. 7, N1, 2020;
3. ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., „ინოვაციები“, თბ. 2015;
4. Drucker P.F. – „ინოვაცია და მეწარმეობა: პრაქტიკა და პრინციპები“;
5. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
6. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. (2016).

ინტერნეტ-რესურსი:

- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328>
<https://www.segeorgia.org/storage/files/doc/GEO%20-%20Thomas%20S.%20Lyons.pdf>
- <https://eufordigital.eu/geo/innovation-ecosystems-for-start-ups-highlighting-the-key-ingredients-for-success/>
- file:///C:/Users/User/Downloads/Entrepreneurship_Nino_Andriadze_Ebook_Georgian.pdf
- <http://www.economy.ge/?page=services&s=74>
- <https://idfi.ge/public/upload/IDFI/2020/Qashibadze1.pdf>
- https://idfi.ge/ge/global_innovation_index_2018_georgia
- https://idfi.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index

**კონფიდენციალურობა და მომხმარებელთა მონაცემების დაცვა
ციფრული მარკეტინგის ეპოქაში**

ნინო ქეცბაია –
ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნინა კოფიანიდი –
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

დღევანდელ ეპოქაში ციფრული მარკეტინგი და მონაცემთა კონფიდენციალურობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. კომპანიები მუდმივად აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს, რათა მათი ციფრული მარკეტინგის ძალისხმევა უფრო ეფექტური იყოს. მიუხედავად ამისა, მომხმარებელთა მონაცემების გამოყენებასთან ერთად ჩნდება საშიშროება კონფიდენციალურობის დარღვევისა და მონაცემთა დაუცველობის შესახებ, საკანონმდებლებლო და მარეგულირებელი ორგანოები იღებენ კანონებსა და რეგულაციებს, რათა უზრუნველყონ მომხმარებელთა მონაცემების პასუხისმგებლობით დამუშავება. მნიშვნელოვანია, ბიზნესი იყოს ინფორმირებული ამ რეგულაციების შესახებ და გაატაროს ზომები მონაცემთა კონფიდენციალურობისა და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. ჩვენი მიზანია ამ ნაშრომში განვიხილოთ ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკა ციფრული მარკეტინგისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის აუცილებელ კომპლექსურ საკითხებზე. მნიშვნელოვანია თითოეულ მომხმარებელს სრულად ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი

ასპექტები და უნდა იცოდეს მონაცემების დასაცავად რა ვალდებულებები აკისრიათ კომპანიებს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მარკეტინგი, პერსონალური მონაცემები, მომხმარებელთა მონაცემების დაცვა, კონფიდენციალურობა.

PRIVACY AND PROTECTION OF CUSTOMER DATA IN THE ERA OF DIGITAL MARKETING

Nino Ketsbaia –

Doctor of Economics,
Faculty of Business and Social Sciences,
Sokhumi State University, Associate Professor.

Nina Kofianidi –

Faculty of Business and Social Sciences,
Sokhumi State University, PhD student.

Abstract

In today's digital era, the intersection between digital marketing and data privacy has become increasingly important. Companies are constantly collecting and analyzing data to target their

digital marketing efforts more effectively. However, concerns about privacy and data protection arise due to the increased use of consumer data. As a result, legislators and regulatory bodies are enacting laws and regulations to ensure consumer data is handled responsibly. It is important for businesses to stay informed about these regulations and to implement robust data privacy measures to protect consumer information. Our goal of this paper is to discuss the best practices of business on the complex issues of digital marketing and data privacy. It is important for each consumer to be fully aware of the legal aspects of protecting their own personal data and to know what obligations companies have to bear to protect the data.

Keywords: Digital Marketing, Personal Data, Consumers' Data Protection, Privacy.

შესავალი

დღევანდელ ონლაინ სამყაროში ციფრული მარკეტინგი და მონაცემთა კონფიდენციალურობა ორი კრიტიკული ასპექტია, რომლებიც სულ უფრო მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მონაცემების ზრდასთან ერთად, ციფრული მარკეტინგი გახდა უფრო მიზანმიმართული და პერსონალიზებული, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს უფრო ეფექტურად მიაღწიოს თავის მომხმარებლებს. ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, კი სულ უფრო პრობლემური ხდება პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.

ციფრულ ეპოქაში, სადაც ფიზიკური მონაცემები ყოველთვის გროვდება, ინახება და ზიარდება, კონფიდენციალურობის კანონების ღირებულების გადაჭარბება შეუძლებელია. სოციალური მედიის, ონლაინ შესყიდვებისა და ციფრული კავშირის ზრდასთან ერთად, ადამიანები უფრო მეტ პირად ინფორმაციას აზიარებენ, ვიდრე ოდესმე. პერსონალურ მონაცემებზე ახალმა ხელმისაწვდომობამ გამოიწვია შიში ინფორმაციის ბოროტად გამოყენების შესახებ, რამაც გამოიწვია მოთხოვნა კონფიდენციალურობის შესახებ ძლიერი კანონების მიღებისა, რათა დაიცვან ადამიანების უფლებები და უზრუნველყონ მათი ინფორმაციის დაცვა.¹

ისმის კითხვა: როგორ აგროვებენ, ინახავენ და იყენებენ კომპანიები მომხმარებელთა მონაცემებს?

ციფრული მარკეტინგისა და მონაცემთა დასაცავად გასათვალისწინებელია რამდენიმე ძირითადი საკითხი. პირველ რიგში, კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა შეგროვება და გამოყენება ისე, რომ ის შეესაბამებოდეს შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს, როგორცაა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) ევროკავშირში და კალიფორნიის მომხმარებელთა კონფიდენციალურობის აქტი (CCPA) შეერთებულ შტატებში. ეს ნიშნავს მომხმარებლებისგან თანხმობის მიღებას მათი მონაცემების შეგროვებამდე.

მეორეც, კომპანიებმა უნდა დააბალანსონ პერსონალიზებული მარკეტინგის სარგებელი მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოტენციურ რისკებთან. მიუხედავად იმისა, რომ მიზნობრივი რეკლამები შეიძლება იყოს უფრო ეფექტური, ვიდრე ზოგადი, ისინი ასევე საჭიროებენ მეტი მონაცემების შეგროვებას მომხმარებლების შესახებ, რამაც შეიძლება გაზარდოს მონაცემთა დარღვევისა და კონფიდენციალურობის რისკები. კომპანიები უნდა იყვნენ გამჭვირვალე იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ მონაცემებს მარკეტინგული მიზნებისთვის და მომხმარებლებს მისცენ შესაძლებლობა გააკონტროლონ თავიანთი მონაცემები და უარი თქვან მიზნობრივ რეკლამებზე.

მესამე, კომპანიებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია მონაცემთა უსაფრთხოების კუთხით, რათა დაიცვან მომხმარებლის მონაცემები სხვადასხვა მოსალოდნელი საფრთხეებისგან. რაც ნიშნავს დაშიფვრის, უსაფრთხო სერვერების და სხვა ტექნიკური გარანტიების გამოყენებას, ასევე მონაცემთა წვდომისა და დამუშავების პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებას. კომპანიები ასევე მზად უნდა იყვნენ სწრაფად და ეფექტურად უპასუხონ მონაცემთა დარღვევას და უსაფრთხოების სხვა ინციდენტებს.

ონლაინ სივრცე გრანდიოზულია, მომხმარებელთა რაოდენობა კი ყოველდღიურად იზრდება. ადამიანის პერსონალური მონაცემები კი იქცა ძალიან დიდ და ძვირად ღირებულ იარაღად კომპანიების ხელში, რომლითაც მათ შეუძლიათ, რომ აკონტროლონ ყველაფერი ადამიანის შესახებ და ივაჭრონ ამ ინფორმაციით. ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმის გარკვევა, თუ როგორ ცდილობენ კომპანიები ამ ინფორმაციის დაცვას და რას აკეთებენ სახელმწიფოები, რომ დაიცვან საკუთარი მოქალაქეების ინტერესები კიბერ სივრცეში.

¹ Rice, James C.; Susan, Fiona (2016-10-01). "Digital privacy: A conceptual framework for business". *Journal of Payments Strategy & Systems*. 10 (3): 260-266.

მონაცემთა დაცვის რეგულაციები.

ტექნოლოგიების განვითარებამ წამოწია ისეთი პრობლემები, რომლებმაც ზიანი მიაყენა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების კანონიერებას. სწორედ ამ უკანონო გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად გახდა საჭირო ახალი რეგულაციის შექმნა, რომელსაც მოგვიანებით GDPR (General Data Protection Regulation) ეწოდა. აღნიშნულმა რეგულაციამ პერსონალურ მონაცემთა დაცვა სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანა, იგი ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისს და შეცვალა 1995 წლის მონაცემთა დაცვის დირექტივა (DPD). GDPR მიზნად ისახავს მონაცემთა დაცვის კანონების ჰარმონიზაციას მთელს ევროპაში და უზრუნველყოფს ინდივიდების პერსონალური მონაცემების დაცვას.¹

GDPR-ის ძირითადი დებულებებია²³:

პერსონალური მონაცემები: GDPR განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემებს, როგორც ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს. ეს მოიცავს სახელებს, ელ.ფოსტის მისამართებს, ტელეფონის ნომრებს, IP მისამართებს და სხვა იდენტიფიკატორებს.

დამუშავების კანონიერი საფუძველი: კომპანიებს უნდა ჰქონდეთ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველი. ეს მოიცავს ფიზიკური პირებისგან მკაფიო და ინფორმირებული თანხმობის მიღებას, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას ან ლეგიტიმური ინტერესის განხორციელებას.

მონაცემთა მინიმიზაცია: კომპანიებმა უნდა შეაგროვონ და დაამუშავონ პერსონალური მონაცემების მხოლოდ მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია დანიშნულებისამებრ.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები: ინდივიდებს უნდა შეეძლოთ საკუთარ მონაცემებზე წვდომა და კონკრეტული ინფორმაციის მიღება დამუშავების შესახებ. მოითხოვონ თავიანთი მონაცემების შესწორება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ, თუკი ისინი არაზუსტია; მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვონ თავიანთი მონაცემების წაშლა, თუ იგი ამ მონაცემებს უკანონოდ ამუშავებს; მოითხოვონ დამუშავების დროებით დაბლოკვა; გარკვეულ პირობებში, მოითხოვონ თავიანთი მონაცემების გადატანა (პორტირება) სხვა დამმუშავებელთან.

მონაცემთა დაცვის ოფიცერი: კომპანიებს შეიძლება მოეთხოვონ დანიშნონ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (DPO), რომელიც აკონტროლებს მათ მონაცემთა დაცვის პრაქტიკას და უზრუნველყოფს GDPR-თან შესაბამისობას.

მონაცემთა დაცვის ზემოქმედების შეფასება: კომპანიებს შეიძლება მოეთხოვოთ მონაცემთა დაცვის ზემოქმედების შეფასება (DPIA), რათა შეაფასონ მათი მონაცემთა დამუშავების საქმიანობის რისკები და ზემოქმედება.

მონაცემთა დარღვევის შეტყობინება: კომპანიებმა უნდა აცნობონ ინდივიდებს და შესაბამის ორგანოებს მონაცემთა ნებისმიერი დარღვევის შესახებ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ინდივიდების უფლებებსა და თავისუფლებებს.

¹ General Data Protection Regulation (GDPR);

² EU General Data Protection Regulation (GDPR) – An Implementation and Compliance Guide;

³ Nelson2020, Introduction to Privacy and Compliance for Consumers (v2), Journal.

ჯარიმები: GDPR -ის რეგულაციით კომპანიის მხრიდან, მძიმე დარღვევის შემთხვევაში, ის შეიძლება დაჯარიმდეს წლიური ბრუნვის არაუმეტეს 4%-ით, არანაკლებ 20 000 000 ევროთი. მძიმე დარღვევად ჩაითვლება უფლების გარეშე პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, ან დაცვის არასრული იმპლემენტაცია ბაზაში. ამის გარდა, უფრო პატარა დარღვევებისთვის, მაგალითად, როგორცაა მონაცემთა ბაზის გატეხვის არ შეტყობინება, კომპანია დაჯარიმდება წლიური ბრუნვის არაუმეტეს 2%-ით, არანაკლებ 10 000 000 ევროთი.

ევროკავშირის მიზანია, მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი მოქალაქეების პერსონალური მონაცემები და ხელი შეუწყოს კანონის ჰარმონიზაციას. მაგრამ, შედეგის მიღწევა არც ისეთი იოლია. კომპანიები აღარ არიან შეზღუდულნი ერთი ქვეყნის ტერიტორიით და მონაცემთა ბაზების გაცვლა, დამუშავება, აღარ წარმოადგენს რთულ და ხანგრძლივ პროცესს. GDPR ცდილობს, რომ გაუმკლავდეს არსებულ პრობლემებს და დაავალდებულოს ე.წ. მესამე სახელმწიფოები, რომ მეტი გააკეთონ პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის. კომპანიებისთვის და სახელმწიფოებისთვის საკმაოდ დიდი ხარჯების გარდა, ევროკავშირმა დააწესა ორმაგი სტანდარტები, ერთის მხრივ ისინი მკაცრად ექცევიან მესამე სახელმწიფოების საკმაოდ დიდ ნაწილს, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მოერგონ აშშ-ში არსებულ სიტუაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და არ შეუქმნან დიდი პრობლემები მეგა კორპორაციებს, რომლებიც სწორედ ამერიკის ტერიტორიაზე ამუშავებენ მონაცემებს.

2018 წელს კალიფორნიის შტატში მიიღეს კალიფორნიის მომხმარებელთა კონფიდენციალურობის კანონი, რომელიც ვრცელდება მხოლოდ კალიფორნიის შტატზე და გავს ევროპაში, მიღებულ მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას. კანონი მომხმარებლებს ანიჭებს რამდენიმე მნიშვნელოვან უფლებას: ცოდნის უფლება, თუ რა ინფორმაცია ინახება მასზე; უარის თქმის უფლება, რომ შეიზღუდოს მისი მონაცემის დამუშავება და გაყიდვა; დაცულად შენახვის უფლება, რომ შეამოწმოს რამდენად კარგად არის დაცული ინფორმაცია; დავიწყების უფლება, რომ მთლიანად წაიშალოს მასზე შეგროვებული მონაცემები. 64 ზოგადი უფლებები, პატარა ტექნიკური განსხვავებების გარდა, არის ევროპული GDPR-ის ასლი.

საქართველოში მოქმედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი აწესებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს, რომელიც ეყრდნობა ევროკავშირის მიერ შექმნილ პრინციპებს¹:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;
- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზნთან შეუთავსებელი მიზნით;
- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი;

¹ Digital Repository of Georgian Scientific Works

- მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;
- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2019 წელს შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა; GDPR და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნიან პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებლებისათვის, მაგრამ ისინი კომპანიებს აძლევენ შესაძლებლობას უფრო გამჭვირვალე და ღია ურთიერთობა ჰქონდეთ მომხმარებლებთან.

უსაფრთხოების ზომები

უსაფრთხოების ზომები ციფრული მარკეტინგის მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ასპექტია. კომპანიებმა უნდა განახორციელონ უსაფრთხოების მკაცრი ზომები, რათა დაიცვან მომხმარებლის მონაცემები არავტორიზებული წვდომისგან.

ნაშრომში საუბარია უსაფრთხოების დაცვის რამდენიმე ღონისძიებაზე, რომელიც კომპანიებს შეუძლიათ განახორციელონ მომხმარებლის მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დასაცავად.¹

მონაცემთა დაშიფვრა: დაშიფვრა უზრუნველყოფს მონაცემებზე წვდომას მხოლოდ ავტორიზებულის მიერ, რაც შეამცირებს მონაცემთა დარღვევის რისკებს.

წვდომის კონტროლი: კომპანიებმა უნდა განახორციელონ მკაცრი წვდომის კონტროლი, რათა უზრუნველყონ, მხოლოდ ავტორიზებულ პერსონალის მიერ მომხმარებლის მონაცემებზე წვდომა. ეს მოიცავს შესაბამისი პაროლების გამოყენებას, ძლიერ ავთენტიფიკაციას და მნიშვნელოვან მონაცემებზე წვდომის შეზღუდვას.

მონაცემთა სარეზერვო ასლი: კომპანიებმა რეგულარულად უნდა შექმნან მომხმარებლის მონაცემების სარეზერვო ასლები, რათა უზრუნველყონ მისი აღდგენა მონაცემთა დაკარგვის შემთხვევაში.

რეგულარული განახლებები: კომპანიებმა რეგულარულად უნდა განაახლონ თავიანთი პროგრამული სისტემები, რათა დაიცვან თავი პოტენციური შეტევებისგან.

ინციდენტებზე რეაგირების გეგმა: კომპანიებს უნდა ჰქონდეთ ინციდენტზე რეაგირების მკაფიო გეგმა, რათა შეძლონ მყისიერი რეაგირება მოსალოდნელ უსაფრთხოების დარღვევებზე. ინციდენტებზე რეაგირების ეფექტური გეგმის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია თანამშრომლობა ორგანიზაციის ყველა დონეზე.

მესამე მხარის გამყიდველები: კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ მესამე მხარის, ნებისმიერი მომწოდებლის ან მონაცემთა პროცესორის უსაფრთხოების მკაცრი ზომები მომხმარებლის მონაცემების დასაცავად. ასევე უნდა ჩაატარონ რეგულარული უსაფრ-

¹ The Impact Of Privacy Regulations On Digital Marketing
158

თხოვების აუდიტი მესამე მხარის მომწოდებლებისგან მონაცემთა დაცვის რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

თანამშრომლების ტრენინგი: კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ რეგულარული ტრენინგი თანამშრომლებისთვის მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ტრენინგი დაეხმარება თანამშრომლებს გააცნობიერონ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა და უზრუნველყონ საუკეთესო პრაქტიკა მომხმარებლის მონაცემების დასაცავად.

მონაცემთა მინიმიზაცია: კომპანიებმა უნდა განახორციელონ მონაცემთა მინიმიზაციის პრაქტიკა, უნდა შეაგროვონ და დაამუშავონ პერსონალური მონაცემების მხოლოდ მინიმალურ რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. მონაცემთა მინიმიზაციის დახმარებით შემცირდება მონაცემთა დარღვევის რისკები.

გამჭვირვალობა: გამჭვირვალობა დაეხმარებათ კომპანიებს მომხმარებლებთან ნდობის ჩამოყალიბებასა და ნებაყოფლობით თავიანთი მონაცემების გაზიარებაში.

სამწუხაროდ, ყველა კომპანია არ იცავს ამ პრინციპებს და ხდება მონაცემთა დარღვევა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებიც იყვნენ ფხიზლად და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ კონფიდენციალურობაზე, მაგალითად, მათი პირადი სოციალური მედიის პროფილებზე წვდომის შეზღუდვით ან მათი კონფიდენციალურობის პარამეტრების მონიტორინგით. მონიტორინგში იგულისხმობს:

- ბლოკჩეინის გამოყენება. ბლოკჩეინი არის ინფორმაციის შენახვის დეცენტრალიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და გაყალბების შეუძლებლობას. ამ ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელია მონაცემთა საიმედო დაცვის უზრუნველყოფა და ინფორმაციის უსაფრთხო გადაცემის ავთენტიფიკაციის უზრუნველყოფა.
- ორფაქტორიანი ავთენტიფიკაცია. უსაფრთხოების დამატებითი ნაბიჯი არის ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის გამოყენება. მომხმარებლებმა უნდა შეიყვანონ პაროლი და მიიღონ დამადასტურებელი კოდი მობილურ მოწყობილობაზე, რათა მათ მონაცემებზე წვდომა მიიღონ. ეს ბევრად ართულებს თავდამსხმელთა ამოცანას.
- კვანტური კრიპტოგრაფია. კვანტური კრიპტოგრაფია არის ახალი ველი, რომელიც იყენებს კვანტური მექანიკის თვისებებს ურღვევი შიფრების შესაქმნელად. ეს უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო გადაცემას და მექანიზმებს გარე შეტევების აღმოსაჩენად.
- ახალი ალგორითმები. მანქანური სწავლება საშუალებას აძლევს შექმნან ალგორითმები, რომლებსაც შეუძლიათ აღმოაჩინონ ანომალიები მომხმარებლის ქცევაში და თავიდან აიცილონ მონაცემების არავსტორიზებული წვდომა. ეს გააუმჯობესებს სისტემის უნარს დაიცვას მონაცემები და უპასუხოს პოტენციურ საფრთხეებს.

უსაფრთხოების ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია შემცირდეს უნებართვო წვდომა და მათი უკანონოდ დამუშავება. აუცილებელია კომპანიების მხრიდან განისაზღვროს და იმპლემენტირდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. ასეთი ზომები უნდა იყოს უახლესი და ეფუძნებოდეს მონაცემთა დამუშავების რისკებს და მათი დაცვის ვალდებულებას.

გამჭვირვალობა და თანხმობა

გამჭვირვალობა და თანხმობა ციფრული მარკეტინგისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის გადაკვეთის კრიტიკული კომპონენტებია. ციფრულ მარკეტინგში დიდი მონაცემების მზარდი გამოყენების გამო, იზრდება კომპანიების საჭიროება შეაგროვონ და გამოიყენონ მომხმარებლის მონაცემები ისე, რომ შეესაბამებოდეს მონაცემთა კონფიდენციალურობის შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს, როგორებიცაა GDPR და CCPA.¹

გამჭვირვალობა მოითხოვს კომპანიებისგან უზრუნველყონ მკაფიო და გამჭვირვალე კონფიდენციალურობის პოლიტიკა, აცნობონ მომხმარებლებს კონკრეტული მიზნების შესახებ, რისთვისაც გამოყენებული იქნება მათი მონაცემები, მათ შორის გენერაციული AI აპლიკაციებისთვის. ეს მოიცავს მომხმარებლის აშკარა თანხმობის მიღებას მათი პერსონალური მონაცემების შეგროვებამდე და დამუშავებამდე.²

თანხმობა უნდა იყოს მკაფიო და ცალსახა და მომხმარებლები უნდა იყვნენ ინფორმირებული კონკრეტული მიზნების შესახებ, რისთვისაც გამოყენებული იქნება მათი მონაცემები. კომპანიებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ შეგროვებული მონაცემები მკაცრად აუცილებელია განზრახ გენერაციული AI აპლიკაციებისთვის და მოერიდონ მის გამოყენებას დაუკავშირებელი მიზნებისთვის დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.

გარდა ამისა, კომპანიებმა უნდა განახორციელონ უსაფრთხოების მკაცრი ზომები, რათა დაიცვან მომხმარებლის მონაცემები არაავტორიზებული წვდომისგან, დანაკარგისგან ან დარღვევებისგან. ასევე აუცილებელია უსაფრთხოების პროტოკოლების რეგულარული შეფასებები და განახლებები განვითარებად საფრთხეებთან და ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ასევე აუცილებელია მომხმარებლების შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი უფლებები თავიანთ მონაცემებთან დაკავშირებით, როგორცაა მათი მონაცემების წვდომის, გამოსწორების, დამუშავების შეზღუდვისა და წაშლის უფლება.

მესამე მხარის მომწოდებლებთან ან მონაცემთა პროცესორებთან გენერაციული AI აპლიკაციებისთვის პარტნიორობისას, კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ისინი შეესაბამება GDPR-ს და განახორციელონ მონაცემთა დამუშავების შესაბამისი შეთანხმებები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ როლებს, პასუხისმგებლობებს და მონაცემთა დაცვის ვალდებულებებს.

ბოლოს, გამჭვირვალობა და თანხმობა გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ციფრული მარკეტინგის პრაქტიკა შეესაბამებოდეს მონაცემთა კონფიდენციალურობის რეგულაციებს მომხმარებლის უფლებებისა და მონაცემთა უსაფრთხოების პატივისცემით. მომხმარებლის თანხმობის, მონაცემთა მინიმუზაციისა და მუდმივი შესაბამისობის პრიორიტეტის მინიჭებით, კომპანიებს შეუძლიათ განბლოკონ გენერაციული AI-ის სრული პოტენციალი აუდიტორიასთან ნდობის დამყარებისას და კონფიდენციალურობის შეგნებული მიდგომის შენარჩუნებით თავიანთ მარკეტინგულ სტრატეგიებში.

¹ The Impact Of Privacy Regulations On Digital Marketing;

² Regulating Gatekeeper Artificial Intelligence and Data: Transparency, Access and Fairness under the Digital Markets Act, the General Data Protection Regulation and Beyond.

დასკვნა

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ჩვენი ცხოვრება ბევრად უფრო მოსახერხებელი და თანამედროვე გახადა. თუმცა, ციფრულ პროგრესთან ერთად მომხმარებლები ახალი საფრთხეების წინაშე აღმოჩნდნენ. ეს საფრთხეები კი დაკავშირებულია მონაცემთა დაცვასთან და კონფიდენციალურობასთან. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ინფორმაცია არის ძირითადი რესურსი, რამდენიმე მარტივი პაროლი და ანტივირუსი აღარ არის საკმარისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იმისათვის, რომ არაავტომატური საშუალებებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება კონტროლს დაექვემდებაროს, აუცილებელია კანონმდებელმა გაითვალისწინოს, დაწესებულების მხრიდან მაკონტროლებელი ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულება, იმის თაობაზე, რომ აწარმოებს მონაცემთა არაავტომატურ დამუშავებას, შემდგომ კი პერიოდულად უნდა ხდებოდეს აღნიშნულის განმახორციელებელი ორგანიზაციების ინსპექტირება.

სტატიაში მიმოვიხილეთ „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია“ (GDPR) და კალიფორნიის მომხმარებელთა კონფიდენციალურობის აქტი (CCPA) შეერთებულ შტატებში. ეს რეგულაციები დაეხმარებათ ცალკეულ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, ჩამოაყალიბონ კიბერ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და მოიყვანონ ჰარმონიზაციაში ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან. კომპანიებმა კი პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ კონფიდენციალურობის დაცვას, გააძლიეროს მომხმარებელთა ნდობა და მიიღონ მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენების მიმართ.

გამოყენებული ლოიტერატურა:

1. Data Protection Laws and Regulations USA 2023-2024. Search in ICLG
2. Digital Repository of Georgian Scientific Works. Search in Google Scholar
3. **EU General Data Protection Regulation (GDPR) – An Implementation and Compliance Guide. Search in Google Books**
4. General Data Protection Regulation (GDPR). Search in Google Scholar
5. Illman, Erin; Temple, Paul (Winter 2020). "California Consumer Privacy Act: What Companies Need to Know". *The Business Lawyer*. 75 (1): 1637-1646. ProQuest 2350105509.
6. Johnson, K. (Jul. 2018). What Is Consumer Data Privacy, And Where Is It Headed? *Forbes*. Retrieved from. Search in Forbes
7. Kiesewetter, J. (Nov. 2017). The EU GDPR: What To Know About The EU's General Data Protection Regulation. *Forbes*. Retrieved from. Search in Forbes
file:///C:/Users/admin/Desktop/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98_2018_01-02_p091-p093.pdf
<https://aafa.ge/proeqtebi/>
<https://insurance.gov.ge/>
<http://www.insurance.org.ge/>

THE CONNECTION BETWEEN LOW-COST AIRLINES AND THE UNITED NATIONS SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

Tamta Beridze –
Doctoral Student of the Faculty
of Business and Social Sciences of Sokhumi State University

Abstract

A few years ago, the global processes taking place in the modern world led to the need for the United Nations member states to establish common goals, which would be focused on social, environmental and economic issues. Aviation plays an important role in this matter, because it promotes population migration, creates jobs on a large scale and has a great impact on the social-economic benefits of the country. In addition, aviation has adverse social-ecological impacts. Therefore, finding a balance between increasing the positive impact and reducing the negative impact is the core for getting the most out of the given sector. Therefore, it is interesting how the business model of individual airlines, which has become the connecting bridge of the modern world – low-cost airlines fulfills these goals. Within the framework of the research, the reports of the International Civil Aviation Organization (ICAO) and the websites of the low-cost airlines operating in the world (<https://lowcost-airlines.com/list/>) are considered.

The result of the study showed that forty-two percent of the total number of low-cost airlines have high involvement, eighteen percent have low involvement, and forty percent have zero involvement in achieving sustainable development goals. Also, it was found that the geographical location and political regulations of the country have a significant influence on the decisions of the airlines. All of these show how sustainability reporting contributes to the achievement of sustainable development goals; Therefore, the paper aims to determine the current situation in the market and give a recommendation to improve the results.

Keywords: Low-Cost Airlines; Budget Airlines; Sustainable Development Goals; Aviation

კავშირი დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიებსა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს შორის

თამთა ბერიძე –
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა ჯერ კიდევ 2015 წელს განაპირობა გაეროს წევრი ქვეყნების მიერ საერთო მიზნების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებზე. ამ საკითხში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ავიაციას, რადგან იგი ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციას, მასშტაბურად ქმნის სამუშაო

ადგილებს და დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ სარგებელზე. მეორეს მხრივ, ავიაციას გააჩნია არასასურველი გავლენა სოციო-ეკოლოგიური კუთხით. შესაბამისად, ბალანსის პოვნა, რაც განპირობებულია პოზიტიური გავლენის ზრდასა და უარყოფითი გავლენის შემცირებაზე, წარმოადგენს ქვაკუთხედს მოცემული სექტორიდან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად. შესაბამისად, საინტერესოა, თუ როგორ პასუხობს ამ მიზნებს ცალკეულ ავიაკომპანიათა ის ბიზნეს მოდელი, რომელიც გახდა თანამედროვე სამყაროს დამაკავშირებელი ხიდი – დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები.

კვლევის ფარგლებში განიხილება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ვებ-გვერდზე <https://lowcost-airlines.com/list/> მოცემული მსოფლიოში მოქმედი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების ანგარიშები. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების საერთო რაოდენობის ორმოცდაორი პროცენტის ჩართულობა საკმაოდ მაღალია, თვრამეტი პროცენტის ჩართულობა დაბალია და ორმოცი პროცენტი გამოირჩევა ნულოვანი ჩართულობით. აგრეთვე, დადგინდა რომ ავიაკომპანიების გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური რეგულაციები. ყოველივე ეს აჩვენებს რამდენად უწყობს მდგრადობის შესახებ ანგარიშის წარმოება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას; აქედან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ბაზარზე არსებული მდგომარეობა და გასცეს რეკომენდაცია შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები, მდგრადი განვითარების მიზნები, ავიაცია.

1. Introduction

Global aviation is a driving force for sustainable development, fostering society, business, complex trade and tourism. It is one of the fastest growing economies. Accessible, safe and secure transport is the place to move in the modern world, which is a part of helping to define the 2030 Agenda for Sustainable Development.

Sustainability is development that meets the needs of the present to provide opportunities for future generations, providing a balance between economic growth, environmental care and social well-being. The Sustainable Development Goals (SDGs) are a document developed by the United Nations, which aims to provide a strategic plan to eradicate poverty, protect the environment, and ensure equality and prosperity for society by 2030. According to official forecasts, [4] by 2030, annual passenger traffic will increase by 50 percent, and global cargo volume will increase by 70 percent compared to the current rate. As half of the world's population enters the middle class, lifestyles and mobility expectations are changing dramatically. Based on all of the above, air transport is an important part of a comprehensive mobility strategy that will help achieve the UN's 2030 Agenda for Sustainable Development.

The finding indicates that airlines are less involved in meeting the global sustainable development goals. The lack of involvement of the aviation sector is noteworthy as the sector is uniquely positioned to support virtually all 17 Sustainable Development Goals, including economic and social development, connectivity to goods markets, increased agricultural productivity and

access to services. [5] It should be noted that despite the Covid-19 pandemic, which has caused a catastrophe in the aviation sector, it has clearly shown us how much it is possible to reduce the environmental impact, and therefore the industry continues to strengthen its efforts to implement policies that ensure that the key elements of a net zero aviation strategy are developed. For example, the International Civil Aviation Organization (ICAO) General Assembly in 2022 reviewed the current situation and set a goal of achieving net zero carbon dioxide emissions by 2050, which is in line with both the goals of the Paris Agreement and the 2050 resolution on net zero carbon dioxide emissions adopted by airlines. At the 77th Annual General Meeting of the International Transport Organization (IATA) [6].

The goal of the article is to assess the current performance of low-cost airlines in relation to the United Nations Sustainable Development Goals (SDGs). The authors aim to examine the extent to which low-cost airlines contribute to sustainable development goals, considering their business models and operations. By analyzing reports from the International Civil Aviation Organization (ICAO) and the websites of low-cost airlines, the article seeks to determine the level of involvement of these airlines in achieving sustainable development goals. The ultimate objective is to provide a current situation analysis of the market and offer recommendations for improving the results, with the aim of promoting a balance between the positive and negative impacts of low-cost airlines on social, environmental, and economic aspects of sustainable development.

2. Data and methods

The research involved a combination of literature review, data analysis, and content analysis.

Literature Review: The authors conducted a comprehensive review of existing literature, reports, and studies related to low-cost airlines, sustainable development goals, and the aviation sector. This helped them gather background information, identify gaps in knowledge, and understand the current state of research in the field.

Data Analysis: The research utilized data from the International Civil Aviation Organization (ICAO) and the websites of low-cost airlines operating worldwide. The authors likely collected and analyzed data related to the involvement of low-cost airlines in sustainable development goals. This include examining sustainability reports, official websites, and other materials provided by the airlines.


Content Analysis: The authors conducted a content analysis of the collected data to determine the level of involvement of low-cost airlines in achieving sustainable development goals. They categorized the airlines based on their level of engagement and involvement, and presented the findings in tables and figures.

3. Literature Review

Global aviation is a driving force for sustainable development involving society, business, commerce and tourism. It is one of the fastest growing sectors of the economy. [8]A low-cost airline is an airline without offering traditional services, resulting in a lower ticket price and less comfort. Their success was due to favorable economic advantages that helped the development of the low-cost airline industry.

Airline business models are rapidly evolving due to factors such as deregulation and liberalization, the Internet, and technological advances in aircraft. In addition, unstable economic conditions in today's aviation market also stimulate changes in business models. The impact of the Covid-19 pandemic on the aviation industry has surpassed all other early challenges. Most airlines experienced an unprecedented drop in demand, with 145 airlines ceasing operations[9] and many having to rethink their business models to avoid bankruptcy. To this end, low-cost airlines have changed their business model practices to adapt to market demands. Some traditional carriers are developing according to the low-cost business model, these processes have contributed to the development of a still new, hybrid type, which is the model obtained as a result of the optimization of these two models. For example, a low-cost airline aims to attract business travelers, launch long-haul flights or use global distribution systems. At the same time, traditional airlines are pursuing strategies similar to low-cost airlines, such as cabin downsizing and fleet standardization

The post-pandemic period was no less difficult for airlines. There has been an unprecedented increase in demand, which has led to chaos as the sector is unable to meet current demand due to reduced staff during the pandemic[10]; The number of lost luggage, flight delays in airports is unprecedentedly high. [12]



Pic. 1. Global Air Travel Demand Index

Source: <https://lowcost-airlines.com/list/>

Among the modern challenges, the Russia-Ukraine war occupies an extremely important role, which not only had an economic impact on the existing sector, but also changed the trajectory of air routes in Eastern and Central Europe.[13]

Another example of today's tough economic conditions in the market is the intense competition between traditional and low-cost carriers, resulting in an increase in mergers, acquisitions and alliances of various types. [14] In order to optimize costs, companies had to reduce the number of employees due to the pandemic Covid-19, which is why automated systems have gained more relevance. To contact airlines, only phone calls are possible. The chat boxes on the website and the check-in at the airports have been automated. [15]

All of the above has led to the emergence of the ultra-low-cost airline model in the market, which implies even more differentiation from standard low-cost airlines, which is expressed by the minimum service offering in the ticket price and the increased number of additional fees. [16]

4. Analysis and Results

The list of low-cost airlines operating in the market produced by the International Civil Aviation Organization (ICAO) [17] and given on the website [18] was considered within the framework of the research. Due to the aforementioned challenges, many companies found themselves out of business. Accordingly, the review of the remaining operating airlines took place. During this study, there were analyzed their official websites, their annual sustainability reports, materials and their level of engagement with the implementation of the Sustainable Development Goals was identified.

All five continents were included in the study. The current number of low-cost airlines operating in the world is 139 units. According to the continents, the indicators were distributed as follows:

Table 1. Number of low-cost airlines by continent

Continent	Number of low-cost airlines
Asia	62
Europe	37
North America	18
South America	11
Africa	7
Australia	1




Figure 1. Number of low-cost airlines by continent

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data

Within the scope of the research, it was determined that 42 percent of the total number of low-cost airlines have high involvement, 18 percent have low involvement, and 40 percent have zero involvement in achieving sustainable development goals.




Figure 2. Level of airline involvement by continent

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data

42 percent of companies have a clearly defined plan for achieving sustainable development goals, and are continuously engaged and reporting on progress. The engagement rate is greater than or equal to eight of the seventeen goals.




Figure 3. The number of airlines with accounts whose engagement is high

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data

18 percent of low-cost airlines are less involved in achieving the UN's Sustainable Development Goals. Engagement rates range from one to seven goals. Seven percent of less engaged airlines work in accordance with the Sustainable Development Goals, but do not use the document developed by the United Nations.




Figure 4. The number of airlines with accounts whose involvement is less than or equal to eight

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data

40 percent of low-cost airlines are not involved in activities to meet the UN Sustainable Development Goals, with zero engagement. Seven airlines do not have a website. Their tickets can be purchased on the websites of brokerage companies. These airlines are located on the African continent.




Figure 5. Number of zero-involvement airlines by continent

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data

According to the performance of sustainable development goals, the mentioned indicators were distributed as follows:

Target N	Number of companies meeting the Sustainable Development Goals by target
SDG8	43
SDG12	40
SDG13	36
SDG3	33
SDG5	33
SDG9	30
SDG10	27
SDG7	24
SDG4	22
SDG11	18
SDG17	18
SDG15	15
SDG16	15
SDG14	14
SDG1	11
SDG6	9
SDG2	8

Figure 6. Number of companies meeting sustainable development goals, by target

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data




Figure 7. Percentage of achievement of sustainable development goals

Source: Author based on <https://lowcost-airlines.com/list/> data

The results indicate that most low-cost airlines are involved in the implementation of the UN Sustainable Development Goals. 56 airlines (40%) are characterized by zero involvement. 25 airlines (18%) are characterized by moderate involvement and 58 (42%) by high involvement. Based on the research, it was determined that the rate of engagement is affected by the extent to which the company produces an annual report on sustainable development. Also, the level of involvement depends on geographic location and government regulations. All this shows that it is time to increase the involvement of companies in the sector regarding the fulfillment of sustainable development goals, which is expressed through ongoing activities and the production of annual reports.

References:

1. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0969699722000667>
 2. <https://globalcompact.no/app/uploads/2020/01/2019-UNGC-Progress-Report-2.pdf>
 3. <https://lowcost-airlines.com/list/>
 4. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0969699722000667>
 5. https://aviationbenefits.org/media/166147/inside_abbb2017_atag_web_fv.pdf
 6. <https://www.iata.org/contentassets/c81222d96c9a4e0bb4ff6ced0126f0bb/annual-review-2023.pdf>
 7. <https://lowcost-airlines.com/list/>
 8. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0969699722000667>
 9. <https://www.iata.org/en/iata-repository/publications/economic-reports/understanding-the-pandemics-impact-on-the-aviation-value-chain>
 10. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0969699722000667>
 11. <https://www.ing.com/Newsroom/News/Global-aviation-outlook-Air-fares-climb-higher-amid-the-unprecedented-recovery-of-travel.htm>
 12. <https://www.bloomberg.com/news/articles/2022-07-18/lost-luggage-claims-surge-30-compared-to-pre-pandemic-levels-insurer-says>
 13. <https://www.bloomberg.com/news/articles/2023-07-10/10-worst-airports-in-europe-for-flight-delays-now-where-gatwick-heathrow-rankN9xj4y7vzkg>
 14. <https://www.iata.org/en/iata-repository/publications/economic-reports/the-impact-of-the-conflict-between-russia-and-ukraine-on-aviation/>
 15. https://link.springer.com/chapter/10.1057/9781137005908_11
 16. <https://sentione.com/blog/chatbots-in-the-airline-industry>
 17. <https://simpleflying.com/ultra-low-cost-carriers-guide/>
 18. <https://www.icao.int/sustainability/documents/lcc-list.pdf>
 19. <https://loukoster.com/list-of-low-cost-airlines-en/>
- <https://www.iata.org/contentassets/c81222d96c9a4e0bb4ff6ced0126f0bb/iata-annual-review-2021.pdf>

**საქართველოს სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემა:
სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს პროგრამა
„დანერგე მომავალი“ და მცირე აბრო ბიზნესი**

(საექსპორტო პოტენციალის მქონე ქართული ლურჯი მოცვის გაშენების მაგალითზე)

კობა ბასილაია –

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
577053606 k.basilaia@yahoo.com

აბსტრაქტი

მსოფლიოში კენკროვანი კულტურების ნაყოფზე მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია შეინიშნება. აღნიშნული კულტურების წარმოების შესაძლებლობები ბევრ ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც გააჩნია. ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი კენკრის იმპორტი გაორმაგდა. თუმცა, მზარდი ბაზრის კვალდაკვალ, ბევრ რეგიონში არსებული რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული. პროდუქტის მოხმარება განსაკუთრებით გაზრდილია ევროკავშირში, ჩინეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში და სხვ. ბუნებრივია, ამ მხრივ, ცვლილებები შეინიშნება საქართველოშიც.

საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა ბაზარს მიეწოდოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი მოცვის პროდუქტი. ქვეყანაში არსებული მოცვის სახეობიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ლურჯი მოცვი, რომლის ექსპორტი ბოლო ათი წელია საგრძნობლად გაიზარდა. მოცემული ვითარება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ლურჯი მოცვის წარმოებისა და მისი სამომავლო განვითარების შესაძლებლობებს.

საქართველოს მთავრობა თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით უწყობს ხელს მეწარმეობის განვითარებას და ახორციელებს ადეკვატურ რეფორმებსა თუ პროექტებს ამ მიმართულებით. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები. ჩვენ წინამდებარე ნაშრომში დეტალურად შევხებით პროგრამა „დანერგე მომავალი“-ს მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს, კერძოდ ლურჯი მოცვის გაშენების თანადაფინანსებისათვის საჭირო ყველა ძირითად ნიუანსს. ამ პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურად გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც ჩანაცვლდება იმპორტირებული პროდუქცია და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. ლურჯი მოცვის ბაღის თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურის ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში ტექნიკური დახმარების გაწევას. სოფლის განვითარების სააგენტოში ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას თანადაფინანსების გამოყოფის ან არგამოყოფის შესახებ და თანხმობის შემთხვევაში ბენეფიციართან ფორმდება ხელშეკრულება.

საკვანძო სიტყვები: დანერგე მომავალი; თანადაფინანსება; ლურჯი მოცვის ბაღი.

**ENTREPRENEURIAL INNOVATIVE ECOSYSTEM OF GEORGIA: AGRICULTURAL
DEVELOPMENT AGENCY'S PROGRAM AND SMALL AGRIBUSINESS
(on the example of growing Georgian blueberries with export potential)**

Koba Basilaya –

Ph.D. Associated Professor. Sokhumi State University

T: 577053606 k.basilaia@yahoo.com

Abstract

There is an increasing trend in demand for berry crops worldwide. Many countries, including Georgia, have the capacity to produce these crops. In the last ten years, the import of raw berries to the EU has doubled. However, in the wake of the growing market, the resources available in many regions are still not fully exploited. The consumption of the product is especially increased in the European Union, China, the United Arab Emirates, etc. Naturally, in this regard, changes can be observed in Georgia as well.

The soil-climatic conditions of Georgia provide an opportunity to supply the market with high-quality blueberry products according to international standards. Among the types of blueberries in the country, the blueberry is the most widespread, the export of which has increased significantly in the last ten years. This situation makes the possibilities of blueberry production and its future development even more relevant.

In the modern period, the Georgian government promotes the development of entrepreneurship and implements adequate reforms and projects in this direction. One of the visible examples of this is the programs implemented by the Agricultural Development Agency under the Ministry of Environment and Agriculture. In this article, we will discuss in detail the co-financing component of perennial gardens of the "Introduce the Future" program, in particular, all the main nuances necessary for co-financing the cultivation of blueberries. The aim of this program is to use agricultural land efficiently by growing perennial crops, which will replace imported products and increase export potential. The co-financing component of the blueberry garden provides for the provision of financial and, if the beneficiary wishes, technical assistance to potential beneficiaries for planting new perennial culture gardens. Based on the documentation fully submitted by the beneficiary to the Rural Development Agency, the agency makes a decision on the allocation or non-allocation of co-financing, and in case of approval, a contract is signed with the beneficiary.

Key words: Introduce the future; co-financing; blueberry garden.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში კენკროვანი კულტურების ნაყოფზე მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია შეინიშნება. აღნიშნული კულტურების წარმოების შესაძლებლობები ბევრ ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც გააჩნია. ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი კენკრის იმპორტი გაორმაგდა. თუმცა, მზარდი ბაზრის კვალდაკვალ, ბევრ რეგიონში არსებული რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული. პრო-

დუქტის მოხმარება განსაკუთრებით გაზრდილია ევროკავშირში, ჩინეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში და სხვ. ბუნებრივია, ამ მხრივ, ცვლილებები შეინიშნება საქართველოშიც. ამკარაა, რომ კენკროვანი კულტურების ნაყოფების წარმოების მასშტაბები იზრდება. ქართველი მეწარმეები ცდილობენ პროდუქტი ევროპის და სხვა რეგიონის მომხმარებლებს შესთავაზონ.

საქართველოს ბაზრისთვის მოცვი შედარებით ახალი კულტურაა, რომელიც ქვეყანაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მოცვს, როგორც სხვა კენკროვნებს, გამოყენების ფართო და მრავალმხრივი შესაძლებლობა აქვს. ის მოიხმარება როგორც ხილი, ასევე საუკეთესო ნედლეულია გადამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის. კულტურას, გამოყენების თვალსაზრისით, უნიკალური თავისებურებები გააჩნია.

საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა ბაზარს მიეწოდოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი მოცვის პროდუქტი. ქვეყანაში არსებული მოცვის სახეობიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ლურჯი მოცვი, რომლის ექსპორტი ბოლო ათი წელია საგრძნობლად გაიზარდა. მოცემული ვითარება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ლურჯი მოცვის წარმოებისა და მისი სამომავლო განვითარების შესაძლებლობებს.

მსოფლიო ბაზარზე კენკროვანი კულტურების და მათ შორის, ლურჯი მოცვის წარმოება იზრდება. ბაზარზე ლიდერთა შორის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებია სამხრეთ ნახევარსფეროდან, თუმცა, წარმოების სწრაფი ზრდა შეინიშნება ევროპაშიც (ესპანეთი, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა). მიუხედავად ლურჯი მოცვის წარმოების გაზრდილი მაჩვენებლებისა, მსოფლიო ბაზარზე მასზე მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე მისი მიწოდება. ლურჯი მოცვის წარმოებაში ლიდერი ქვეყნებია აშშ და კანადა. FAO-ს 2022 წლის მონაცემებით, ლურჯი მოცვის მსოფლიო წარმოება 823 328 ტონას შეადგენს. მთლიანი წარმოების დაახლოებით 40% აშშ-ზე, ხოლო კანადაზე- 22% მოდის. მომდევნო ადგილზეა პერუ -18%-ით. მთლიანობაში სამივე ქვეყანაზე წარმოებული ლურჯი მოცვის 80% მოდის, მათ შორის, ნახევარზე მეტი აშშ-სა და კანადის (60%) წილია. ასევე, ლურჯი მოცვის წარმოების თვალსაზრისით გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები: პოლონეთი, ესპანეთი, მექსიკა, გერმანია, პორტუგალია, ნიდერლანდები და სხვა (FAO, 2022). 2022 წელს, 2008 წლის ოფიციალურ მონაცემებთან მიმართებით, მსოფლიოში ლურჯი მოცვის წარმოება 3-ჯერ არის გაზრდილი, კერძოდ – 290926 ტონიდან 872800 ტონამდე.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოში მოცვის წარმოების მასშტაბები თანდათან იზრდება. ჩვენი ქვეყნისთვის მოცვი არ არის ენდემური კულტურა, თუმცა, ველური ფორმით მისი მოპოვება და გამოყენება საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. მას, როგორც უმეტესი კენკროვნების დიდ ნაწილს, მოსახლეობა ტყეში კრეფდა. მოცვი 100-მდე სახეობას აერთიანებს. საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა გვხვდება (საქართველოს ფლორა...): მთის მოცვი, ლურჯი მოცვი და წითელი მოცვი (სუბალპურ და ალპურ სარტყელში), კავკასიური მოცვი (კოლხური ტიპისა და ჩრდილო- აღმოსავლეთის ტყეებში). საქართველოში ლურჯი მოცვის კულტურის გაშენება 2006 წლიდან დაიწყო. ქვეყანაში მოცვი პოპულარული კულტურა გახდა. თავდაპირველად ნერგები აშშ-დან შემოიტანეს. კულტურა წარმატებით შეეთვისა საქართველოს კლიმატს, კერძოდ, სუბტროპიკული ზონის ტენიან პირობებს. თავდაპირველად საცდელი ნაკვეთები გაშენდა გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში, ასევე კასპსა და ქუთაისში. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მოცვის წარმოების განსაკუთრებით დიდი პოტენციალი დასავ-

ლეთ საქართველოშია, მათ შორის, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ნიადაგური და კლიმატური პირობები არის გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში. საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვი გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით, გემოთი, რომელიც მნიშვნელოვანია მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებისთვის. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოში წარმოებული ლურჯი მოცვი კლიმატური პირობების წყალობით შესაძლებელია მივიღოთ ერთი თვით ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს გასაღების რეალური ბაზრის არსებობის საფუძველს ქმნის, რაც შესაძლებლობას იძლევა მწარმოებლებმა მიიღონ გარანტირებული შემოსავალი.

საქართველოს მთავრობა თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით უწყობს ხელს მეწარმეობის განვითარებას და ახორციელებს ადეკვატურ რეფორმებსა თუ პროექტებს ამ მიმართულებით. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები, როგორცაა:

1. თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
2. ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების პროგრამა;
4. შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა;
5. აგროდაზღვევა;
6. დანერგე მომავალი.

ჩვენ წინამდებარე ნაშრომში დეტალურად შევხებით პროგრამა „დანერგე მომავალი“-ს მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს, კერძოდ ლურჯი მოცვის გაშენების თანადაფინანსებისათვის საჭირო ყველა ძირითად ნიუანსს.

„დანერგე მომავალი“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებულია პროგრამაა. მას სოფლის განვითარების სააგენტო, სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ახორციელებს.

ამ პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურად გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც ჩანაცვლდება იმპორტირებული პროდუქცია და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით მომარაგება და გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. ასევე ადგილობრივი, ფიტოსანიტარულად სუფთა, სარგავი მასალების/ნერგების წარმოების ზრდა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების, ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის შეთავაზება. ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

ლურჯი მოცვის ბაღის თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურის ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში ტექნიკური დახმარების გაწევას. მრავალწლიანი კულტურების ბაღების პოტენციალი და გაშენების შესაძლებლობა განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, შესაბამისად, ლურჯი მოცვის გაშენება ამ პროგრამის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში.

უპირველეს ყოვლისა პროგრამის ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

ბალების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შექმნის, ასევე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით. დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70%-ისა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 80%-ისა როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შექმნისას, ასევე იმპორტის დროს. ამავდროულად, თითოეულ ლურჯი მოცვის ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური ღირებულების ოდენობა ნერგის ადგილობრივ ბაზარზე შექმნის შემთხვევაში შეადგენს 5,6 ლარს, ხოლო საზღვარგარეთ შექმნის შემთხვევაში 6,23 ლარს.

ბალების კომპონენტის ფარგლებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა მისი ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე.

ლურჯი მოცვის გაშენებისას 0,5 ჰა ფართობზე სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური ჯამური თანადაფინანსება შეადგენს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარს.

მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება ბაღის გაშენება, უნდა იყოს დამუშავებული. მიწის ნაკვეთის დამუშავების კრიტერიუმებს შეიმუშავებს სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რაც მდგომარეობს შემდეგში: ტექნიკით დამუშავებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების შემთხვევაში – მიწის ნაკვეთზე განხორციელებული უნდა იყოს პლანტაჟი ან ნახევრად პლანტაჟი, რაც გამოიხატება: – მიწის ნაკვეთი სრულ ფართობზე ჩატარებული უნდა იყოს ღრმა ხვნა – მინიმუმ 40 სმ. სიღრმეზე ან – მიწის ნაკვეთის სრული ფართობი უნდა იყოს დამუშავებული ღრმა "ჩიზელური" გუნით, "რიპერით" არანაკლებ 40 სმ. სიღრმეზე.

მიწის ნაკვეთის ფართობზე ჯამში 10 სხვადასხვა ადგილას (შუა ადგილას, დიაგონალებზე) მოწმდება მოხვნის სიღრმე ლითონის პალოს ან ნიადაგის სინჯის ასაღები ინსტრუმენტით. მოხვნის საშუალო სიღრმე გამოითვლება ფორმულით $(A1 + A2 + \dots + A10) / 10$ -ზე, სადაც A1,2 A10 არის ხნულის სიღრმის გაზომვის მაჩვენებელი.

მიწის ნაკვეთი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს უზრუნველყოფილი წყლით ან, საჭიროების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით უნდა არსებობდეს პერმანენტული წყლის წყარო: ტბა, მდინარე, არხი, ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე უნდა იყოს ჭა ან ჭაბურღილი. თუ მიწა უზრუნველყოფილია წყლით, სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაცემულ დასკვნაში აღიწერება ადგილზე ნანახი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფას. ასევე აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება ბაღის გაშენება, არ უნდა ედოს ყადაღა.

სოფლის განვითარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის რეგიონალური სამსახურის წარმომადგენელი ესტუმრება ბენეფიციარს მიწის ნაკვეთზე და შეამოწმებს

არის თუ არა დამუშავებული არანაკლებ 40 სმ-ზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არის თუ არა წყლით/წყლის წყაროთი, იმ შემთხვევაში თუ მიწა დამუშავებულია მიწის ნაკვეთის დამუშავების კრიტერიუმების შესაბამისად, რეგიონალური სამსახურის თანამშრომელი გასცემს შესაბამის დასკვნას ცნობის სახით.

ცნობის მისაღებად ბენეფიციარმა რეგიონის რეგიონალური სამსახურის თანამშრომელს უნდა წარუდგინოს იმ მიწის სიტუაციური ნახაზი სადაც დაგეგმილი აქვს ბალის გაშენება.

მიწა, რომელზეც იგეგმება ლურჯი მოცვის გაშენება აუცილებლად უნდა იქნეს შემოწმებული სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ვარგისიანობაზე. კერძოდ ლურჯი მოცვის გაშენებისათვის მთავარ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიწის მჟავიანობის (PH) განსაზღვრა, რომელიც უნდა მერყეობდეს 4,5-დან 5,5-მდე შუალედში.

ნიადაგის სინჯების ასაღებად და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად დასავლეთ საქართველოში არის მხოლოდ ერთი ლაბორატორია, კერძოდ ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი "ანასელი", რომელიც მდებარეობს ქ.ოზურგეთის რაიონში, ხოლო დანარჩენი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ხუთი ლაბორატორია მდებარეობს ქალაქ თბილისში.

ნიადაგის სინჯების აღება უნდა განხორციელდეს ლაბორატორიის თანამშრომლის მიერ. ნიადაგის ანალიზისთვის მოწმდება შემდეგი მახასიათებლები: 1. მექანიკური შედგენილობა 2. ჰუმუსი 3. აზოტი 4. ფოსფორი 5. კალიუმი 6. კათიონების კომპლექსი 7. Ph-ის დონე 8. კარბონატობა 9. EC – მარილიანობა.

ლურჯი მოცვის გაშენებისათვის მთავარ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიწის მჟავიანობის (PH) განსაზღვრა, რომელიც უნდა მერყეობდეს 4,5-დან 5,5-მდე შუალედში.

ნიადაგის გასაშენებელ კულტურებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ "სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში" ბენეფიციარი წარადგენს მიმართვას (სადაც მითითებული უნდა იყოს ბაღში გასაშენებელი ყველა კულტურა) და ლაბორატორიული ანალიზის შედეგები.

ლაბორატორიული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სსიპ "სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრი" დაადგენს ნიადაგის, ბენეფიციარის მიერ მიმართვაში დაფიქსირებულ კულტურებთან, ჩვენს შემთხვევაში ლურჯ მოცვთან შესაბამისობას.

სოფლის განვითარების სააგენტოდან თანადაფინანსების მისაღებად ბენეფიციარმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
2. • პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში – დირექტორის/ უფლებამოსილი პირის; ფიზიკური პირის შემთხვევაში – ნაკვეთის მფლობელისა და უფლებამოსილი პირის);
3. • სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული ყველა მრავალწლიანი კულტურისათვის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;
4. • მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;

5. • დასკვნა მიწის ნაკვეთის დამუშავების და, საჭიროების შემთხვევაში, წყლით უზრუნველყოფის შესახებ, გაცემული ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ; სანერგე მეურნეობიდან წარმოდგენილი ხელშეკრულება ან/და ინვოისი:

ადგილობრივი სანერგე მეურნეობიდან ნერგის შექმნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ინვოისი, ასევე ხელშეკრულება, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობებს: სანერგე მეურნეობის სახელწოდება, ს/კ, მისამართი, საკონტაქტო ინფ (ტელეფონი, ელ.ფოსტა); ბენეფიციარის სახელი გვარი (პ/ნ), კომპანიის შემთხვევაში სახელწოდება (ს/კ); ნერგების მიწოდების ვადები: – დასავლეთ საქართველოში 01 ნოემბრიდან მომდევნო წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 10 ნოემბრიდან მომდევნო წლის 30 აპრილის ჩათვლით. კულტურის დასახელება და ჯიში; ერთეული ნერგის ღირებულება ლარში; ჯამური ნერგების რაოდენობა და ჯამური თანხა ლარში. ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს სანერგე მეურნეობის ვალდებულებები, სადაც მითითებული იქნება, რომ ბენეფიციარს გადაეცემა შეთანხმებული ხარისხისა და რაოდენობის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნერგები სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გადახდის პირობები (სანერგე მეურნეობა უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის ინვოისით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ნერგების სრულად გადაცემას თუ ბენეფიციარის მიერ სანერგე მეურნეობის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულია/გადარიცხულია ინვოისით და ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნერგების ღირებულების არანაკლებ 30%.

სააგენტოში წარმოსადგენი სარწყავი სისტემის მიმწოდებელი კომპანიების მიერ გაცემული ინვოისი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ინვოისის გამოწერის თარიღი და ნომერი; მიმწოდებლის სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი; მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები. • პოტენციური ბენეფიციარის სახელი, გვარი/დასახელება და პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი. (იმ შემთხვევაში, თუ ინვოისი გამოწერილი იქნება მინდობილ პირზე, მითითებული უნდა იყოს მინდობილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ასევე ვისი მინდობილი პირია); • მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, რომელზეც უნდა განხორციელდეს სარწყავი სისტემის მოწყობა (იმ შემთხვევაში, თუ სარწყავი სისტემის მოწყობა ხორციელდება რამოდენიმე მიწის ნაკვეთზე, ინვოისში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერი რომ საკადასტრო კოდეზზე მოეწყობა ერთიანი სარწყავი სისტემა); • მიწის ნაკვეთის ფართობის ოდენობა, რა ნაწილზეც ხდება სარწყავი სისტემის მოწყობა; • სარწყავი სისტემის მაკომპლექტებელი მასალების დასახელება, ერთეულის ფასი, ჯამური ღირებულება, ვალუტა; • მიწოდების ვადა (მითითებული უნდა იყოს აგროვადების და ნერგების დარგვის შესაბამისად: სარწყავი სისტემის მოწყობის ღონისძიებები რეკომენდებულია განხორციელდეს ნერგების დარგვამდე ან დარგვიდან უმოკლეს პერიოდში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს) • გადახდის პირობები (პროგრამით გათვალისწინებული თანამონაწილეობის შესაბამისად). ინვოისი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინვოისი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორიგინალის ან ასლის სახით.

სოფლის განვითარების სააგენტოში ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარ-

მოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას თანადაფინანსების გამოყოფის ან არგამოყოფის შესახებ და თანხმობის შემთხვევაში ბენეფიციართან ფორმდება ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თანახმად ბენეფიციარი სოფლის განვითარების სააგენტოდან ღებულობს ტრანშს ორ ნაწილად, რომელიც ჩაირიცხება ბენეფიციარის ანგარიშზე შემდეგი პირობის დაკმაყოფილების შემდგომ, კერძოდ:

თანადაფინანსების ტრანში N1-ის მისაღებად ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. ლურჯი მოცვის ნერგის ღირებულების საკუთარი თანამონაწილეობის თანხის, გადარიცხვის/ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო დავალება/შემოსავლის ორდერი). გადარიცხვა განხორციელებული უნდა იყოს ნერგების მომწოდებელი კომპანიის საბანკო ანგარიშზე;

2. წვეთოვანი სარწყავი სისტემის საკუთარი თანამონაწილეობის თანხის გადარიცხვის/ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო დავალება/შემოსავლის ორდერი). გადარიცხვა განხორციელებული უნდა იყოს წვეთოვანი სისტემის მომწოდებელი კომპანიის საბანკო ანგარიშზე;

3 ნერგების მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ნერგების გაშენებასთან დაკავშირებით.

თანადაფინანსების ტრანში N2-ის მისაღებად ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. წვეთოვანის მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით;

2. ბოლო ტრანშის მიღებისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირს საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებლად;

3. ლურჯი მოცვის ბალის გასაშენებლად/სარწყავი სისტემის მოსაწყობად გათვალისწინებული ვადის დასრულებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებლად, სადაც აუდიტორს მითითებული უნდა ჰქონდეს დარგული ნერგების გახარების/ხმობის % ული მაჩვენებელი.

მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს: ტრანში N1_ის გაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საგადასახადო დავალება/შემოსავლის ორდერი ნერგების ღირებულების ნაწილის, სააგენტოს თანადაფინანსების თანხის, ნერგების მომწოდებელი კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ტრანში N2 ის გაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საგადასახადო დავალება/შემოსავლის ორდერი წვეთოვანი სარწყავი

სისტემის ღირებულების ნაწილის, სააგენტოს თანადაფინანსების თანხის, სარწყავი სისტემის მომწოდებელ კომპანიაზე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით უნდა დასტურდებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულება.

დასკვნაში აღწერილი უნდა იყოს მისი მომზადების მეთოდოლოგია და თან დართული უნდა ჰქონდეს გაშენებული ბალის, მოწყობილი სარწყავი სისტემის და მასალების (იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნულ მიზნობრიობას) ფოტომასალა. მიზნობრიობის შესრულებას ადასტურებს აუდიტორი, ადგილზე ინსპექტირებით და თან უნდა ახლდეს დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარინა ჩავლეიშვილი „ლურჯი მოცვის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში“ ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი თბ. 2021წ. N3 გვ.51-67
2. ი.გაგნიძე „სამეწარმეო ეკოსისტემების ფორმირების ზოგიერთი მიმართულების შესახებ საქართველოში. თბილისი 2018წ.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება N56 „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. ქ.თბილისი 2015 წლის 12 თებერვალი;
4. <https://Rda.gov.ge/>
5. <https://mepa.gov.ge/>

ტექნოლოგიების ტრანსფერის ორგანიზაციული და ფინანსური ასპექტები სოფლის მეურნეობაში ევროკავშირის მაგალითზე

ანა ხარებავა –
ეკონომიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი, ფედერალური კვლევითი
ცენტრი „VNIIESKh“-ი, რუსეთი

ნინო ხარებავა –
ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ORCID ID: 0000-0003-2686-2269

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ცოდნის და ტექნოლოგიების გადაცემის მექანიზმი ევროპის სოფლის მეურნეობის დარგში. სტატია ხაზს უსვამს ფერმერების ფინანსური მხარდაჭერის მნიშვნელობას და ამის გავლენას ინოვაციების განვითარებასა და დანერგვაზე. სტატიის მიზანია სოფლის მეურნეობაში ცოდნისა და ინოვაციების ეკოსისტემის

ინსტიტუციური მოთამაშეების გამოვლენა და მათ შორის ორგანიზაციული და ფინანსური დამოკიდებულებების ანალიზი ევროკავშირის მაგალითზე. სხვადასხვა მექანიზმის შესწავლით, როგორებიცაა სამეცნიერო კვლევა, ტექნოლოგიების გადაცემა, თანამშრომლობის ქსელები და ფინანსური დახმარება, გაანალიზებულია, თუ როგორ ხდება ამ ელემენტების ურთიერთქმედება და რა წვლილი შეაქვთ მათ ევროკავშირის სოფლის მეურნეობის სექტორში ინოვაციების ინიცირებაში. სტატიის მთავარი ამოცანა არის იმ ძირითადი ფაქტორებისა და მიდგომების დადგენა, რომლებიც ხელს უწყობს ევროკავშირში სოფლის მეურნეობაში ახალი ცოდნისა და ინოვაციების წარმატებულ განვითარებას და გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, ინოვაციური ეკოსისტემა, ცოდნის გადაცემა

ORGANIZATIONAL AND FINANCIAL ASPECTS OF TECHNOLOGY TRANSFER IN AGRICULTURE: A CASE STUDY OF EUROPE

Anna Kharebava –

Candidate of Economic Science,
Federal Research Center “VNIIESKh”, Russia

Nino Kharebava –

Doctor of Economics, Associate Professor of
Sokhumi State University
ORCID ID: 0000-0003-2686-2269

Abstract

The article explores the mechanism of knowledge and technology transfer in the Agricultural sector of Europe. It also highlights the importance of financial support of farmers and its impact on the development and implementation of innovations. The aim of the article is to identify the institutional players in the knowledge and innovation ecosystem in agriculture, including an analysis of the organizational and financial relationships between them, using the example of the EU. By examining various mechanisms such as scientific research, technology transfer, collaboration networks, and financial support, the article seeks to understand how these elements interact and contribute to the development of innovations in the European agricultural sector. The primary task is to identify key factors and approaches that promote the successful development and application of new knowledge and innovations in agriculture.

Key words: Agriculture, Innovation Ecosystem, Knowledge Transfer

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო სოფლის მეურნეობა დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, რაც გავლენას ახდენს მის სტაბილურობაზე და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის შესაძლებლობებზე. უპირველეს ყოვლისა, ეს განპირობებულია კლიმატის

ცვლილებით, რესურსების გამოყენების ეფექტიანობით, ბიომრავალფეროვნების დაკარგვით და ეკოსისტემის განადგურებით.

ტექნოლოგიური პროგრესი არის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ახალ ტექნოლოგიებს, როგორცაა მოსავლის გაუმჯობესებელი ჯიშები, ზუსტი მიწათმოქმედების ინსტრუმენტები, მექანიზაცია და თანამედროვე საირიგაციო სისტემები, გააჩნიათ პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ასეთი ტექნოლოგიები, ხშირად წარმოიქმნება მეცნიერების, სოფლის-სამეურნეო ინსტიტუტების და კერძო კომპანიების სამეცნიერო კვლევების შედეგად და, შესაბამისად, აქტუალური ხდება დაგროვებული ცოდნის გადაცემა ტექნოლოგიების საბოლოო მომხმარებლებისთვის. ამ პრობლემის ნაწილი ასევე არის სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებისა და ინოვაციური პროდუქტების გარემოს შექმნის მექანიზმების სრულყოფა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების განხორციელება მოითხოვს მონაწილეების ფართო სპექტრს, რომლებიც ახდენენ ინოვაციების მართვას, მხარდაჭერას, გადაცემას (ტრანს-ფერს) და დანერგვას (OECD, 2013). ასეთი მოდელი მოითხოვს მუდმივ თანამშრომლობას და ადაპტაციას ცვლილებების მიმართ, ცოდნის გაცვლას, შესაბამის მხარდაჭერას ინსტიტუციური და სახელმწიფო გარემოს მხრიდან.


სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდი იძენს, მიბაძავს ან ახდენს სხვაგან განვითარებული ტექნოლოგიის ადაპტირებას, რათა გააუმჯობესოს თავისი აგრარული მეურნეობის პროდუქტიულობის დონე. ტექნოლოგიის არაადეკვატური ასიმილაცია ზღუდავს სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპს დროთა განმავლობაში [1, გვ. 2]. ფინანსებზე წვდომა ტექნოლოგიის გადაცემის ერთ – ერთი მთავარი გამოწვევაა ფერმერებსა და სოფლის მეურნეობით დაინტერესებული პირებისათვის.

ევროკავშირის ქვეყნების ერთიანი აგრარული პოლიტიკა მიმართულია ფერმერების მხარდაჭერაზე, სოფლის მეურნეობის მწარმოებლუნარიანობის ამაღლებაზე და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე [2]. ამ პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებებია: პირდაპირი გადახდები ფერმერებისთვის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის პრაქტიკის სტიმულირებისთვის, ბაზრის ფუნქციონირების რისკების შემცირების ღონისძიებები და სოფლის მეურნეობის ტერიტორიების განვითარება. ამ მიმართულებების დაფინანსება ხორციელდება ორი ფონდიდან – ევროპული სასოფლო-სამეურნეო საგარანტიო ფონდი და სოფლის განვითარების ევროპული სასოფლო-სამეურნეო ფონდი.

მცირე მეურნეობის ფერმერებისთვის ახალი ტექნოლოგიების შეძენისა და განხორციელების ღირებულება შეიძლება იყოს ბარიერი არამარტო განვითარებად ქვეყნებში. ხელმისაწვდომი კრედიტის, გრანტების, სუბსიდიების და სხვა ფინანსური მექანიზმების წვდომა მნიშვნელოვანია ასეთი ბარიერების გადალახვისთვის. ძვირადღირებული ტექნოლოგიების არსებობა არის ერთგვარი სტიმული, უფრო იაფიანი ტექნოლოგიების შექმნისთვის, რითაც განპირობებულია სოფლის მეურნეობაში ინოვაციური გადაწყვეტილების მიმართ დიდი ყურადღება. ევროკავშირში, ამ პრობლემების გადასაჭრელად, კოორდინირებულ ძალისხმევას ახორციელებენ მასში შემავალი მთავრობები, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციები და მთლიანობაში საზოგადოება. ამ მიზნებისათვის შეიქმნა და დაინერგა ზოგადი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს

ევროკავშირში მდგრადი, კონკურენტუნარიანი და გარემოსდაცვითი სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას. შედეგად, შეიქმნა სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ცოდნის გადაცემის სისტემა, თავისი მექანიზმებით და ინსტიტუტებით, რომელიც წარდგენილია ნახ. №1.

ცოდნის ეკოსისტემა, მოიცავს ძირითად მოთამაშეებს, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული ადგილი ცოდნის ნაკადების გადაცემაში საბოლოო მომხმარებლისთვის – ფერმერისთვის. ინოვაციური სისტემის მიკრო დონე ორიენტირებულია კონკრეტულ ინოვაციურ ორგანიზაციებზე, რომლებს მიეკუთვნება კერძო საწარმოები, უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები და ინოვაციური სტარტაპები. აქ აქცენტი გაკეთებულია ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავების, განხორციელების და კომერციალიზაციის უნარზე. მიკროდონე ასახავს მონაწილეთა შორის ურთიერთქმედების დინამიკას, ცოდნის გაცვლას და ტექნოლოგიის გადაცემას.



ნახ. 1 სოფლის მეურნეობაში ევროკავშირის ცოდნისა და ინოვაციების ეკოსისტემის მოდელი
წყარო: ა. ხარებავა OECD-ს მონაცემების საფუძველზე

ინოვაციური სისტემის მაკრო დონე განიხილავს ინოვაციური საქმიანობის ფართო კონტექსტს, როგორც ცალკეული ქვეყნისთვის, ისე რეგიონისთვის; პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იურიდიულ ჩარჩოებს, რომლებიც ხელს უწყობენ და ასტიმულირებენ ინოვაციებს. მაკრო დონე მოიცავს ეროვნულ ინოვაციურ პოლიტიკას, პროგრამებს და ინიციატივებს, ასევე ევროპულ სტრატეგიებსა და დაფინანსებას, რომლებიც მიმართულია ინოვაციის მხარდაჭერაზე ეკონომიკის ყველა სექტორში.

ევროკავშირის ინოვაციების სისტემის მიკრო და მაკრო დონე ურთიერთდაკავშირებულია და მიკრო დონის წარმატებული ფუნქციონირება და განვითარება მოითხოვს მაკრო დონეზე მხარდაჭერასა და სტიმულირებას, ხოლო პოლიტიკები და პროგრამები მაკრო დონეზე აშენებულია მონაწილეთა და ორგანიზაციების მიკრო დონის საჭიროებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით [2].

AKIS (სოფლის მეურნეობის ცოდნისა და ინოვაციების სისტემები) არის რეგიონალური, ეროვნული და ევროპული დონის მონაწილეთა ქსელი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორებიდან, რომლებიც წარმოქმნიან, ავრცელებენ და იყენებენ ცოდნას და ინოვაციებს სოფლის მეურნეობაში და მომიჯნე დარგებში, ასევე ხელს უწყობენ ამ პროცესებს წინაწევას [3].

სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების ევროპული ქსელი (EIP – AGRI) მოწინავე ტექნოლოგიებზე და სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით აერთიანებს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს, მკვლევარებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გამოცდილების გაცვლის, ტრენინგის და პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით და მათი საქმიანობის განხორციელება ხდება ევროკავშირის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფარგლებში. ქსელი ასევე ფინანსურად უჭერს მხარს ოპერაციულ ჯგუფებს, რომლებიც ერთად მუშაობენ კონკრეტულ ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე. ასევე, ქსელი ახდენს ინოვაციების მონაცემთა ბაზის მხარდაჭერას. AKIS-გან განსხვავებით, EIP-AGRI ფოკუსირდება ლოკალურ და რეგიონულ დონეზე, ხოლო AKIS-ი მუშაობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე [4].

სოფლის განვითარების ევროპული აგრარული ფონდი (EAFRD) აფინანსებს პროექტებს სოფლის ტერიტორიების განვითარებისთვის (მაგ., მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და სოფლის რაიონებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება). ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით, EAFRD მოქმედებს როგორც სესხების, მიკროკრედიტების, გარანტიების და აქციების წყარო სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისთვის [5].

Horizon Europe პროგრამა არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების დაფინანსების პროგრამა, რომელიც მოიცავს უამრავ ინიციატივასა და ინსტრუმენტებს სოფლის მეურნეობაში ინოვაციის მხარდასაჭერად. ჰორიზონტის ევროპული სტრატეგიული გეგმის საფუძველს წარმოადგენს 2016 წელს მიღებული ევროკავშირის გრძელვადიანი სტრატეგია სოფლის მეურნეობის კვლევისა და ინოვაციების სფეროში. 2021-2027 პერიოდისთვის პროგრამის კლასტერზე "საკვები, ბიოეკონომიკა, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და გარემო" გამოყოფილია 10 მილიარდი ევრო. ჰორიზონტმა უნდა ხელი შეუწყოს ორგანულ სოფლის მეურნეობას და აგროეკოლოგიას და მოიცავს 3 სფეროს, რომლებიც ეხება ორგანული კვლევის საჭიროებებს: კვლევის სტიმულირება ორგანული სოფლის მეურნეობისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციის სფეროში; ინოვაციური გადაწყვეტილებები საკვები პროდუქტების ეტიკე-

ტების გაყალბების პრევენციის მიზნით; ფერმის მიზნის მიღწევა: ორგანული მეურნეობისა და აკვაკულტურების სტიმულირებისთვის კვლევის სცენარები [6].

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ევროპული ინსტიტუტი (EIT) არის ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ინოვაციების, მეწარმეობისა და მდგრადი განვითარების სტიმულირებისთვის. EIT აკავშირებს წამყვან ბიზნესს, საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებს დინამიური ტრანსსასაზღვრო პარტნიორობის ფორმირებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ინოვაციურ გაერთიანებებს, შექმნილებს კონკრეტული გლობალური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით. ინოვაციური EIT გაერთიანებები ავითარებენ ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებებს, ქმნიან ახალ კომპანიებს და ასწავლიან მეწარმეების ახალ თაობას [7].

საერთო ჯამში, ჩამოთვლილი ყველა დაწესებულება და მექანიზმი შეიქმნა და მუდმივად ვითარდება ძირითადი მიზნის მისაღწევად – ევროკავშირის საერთო ინოვაციური სივრცის შექმნა. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ საკუთარი კვლევითი პროგრამები და სახსრები, ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) შექმნა მოითხოვს ერთიანი კვლევითი პოლიტიკის კოორდინაციას და ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების ერთობლივ პროგრამირების.

ჰორიზონტ ევროპის მრავალმხრივი ევროპული პროექტები, ევროპული პარტნიორობა და ევროპული მისიები (მაგალითად, „ნიადაგის შეთანხმება ევროპისთვის“) არის იმ ინიციატივების მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის კვლევაში თანამშრომლობას და შესაბამისი კვლევითი სტრუქტურების შექმნას.

ERA მოიცავს მნიშვნელოვან ელემენტებსა და ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროკავშირში სამეცნიერო კვლევების შემუშავებას და მხარდაჭერას, როგორცაა:

- ევროკავშირის შიგნით მკვლევრების თავისუფალი გადაადგილების განხორციელება, სხვადასხვა წევრ ქვეყნებს შორის მეცნიერთა მობილობის პროცედურების გამარტივება;

- კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა, როგორცაა ლაბორატორიები, სასწავლო ცენტრები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც აუცილებელია სამეცნიერო კვლევების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის;

- ფინანსური დახმარების გაწევა ევროკავშირის ფარგლებში გამოჩენილი მკვლევრებისა და კვლევითი პროექტებისთვის;

- ევროკავშირის სტრუქტურული სახსრების მხარდაჭერა, როგორცაა რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდი (ERDF) და ევროპული სოციალური ფონდი (ESF), ეროვნული და რეგიონალური კვლევითი პოტენციალის სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დაფინანსების მიზნით;

- თანამშრომლობა და პარტნიორობა ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სამეცნიერო კვლევის სფეროში, მათ შორის საერთაშორისო კვლევითი პროგრამებში და პროექტებში.

განხილული საინოვაციო ეკოსისტემა გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის მიღწევები სოფლის მეურნეობაში დიდ წილად განპირობებულია დაფინანსების მაღალი დონით, მათ შორის პირდაპირი გადახდების სახით. მაგალითად, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის 2014-2020 წ.წ. ბიუჯეტის ხარჯების 75 % მოდიოდა დარგში პირდაპირ გადახდებზე და მარკეტინგულ დანახარჯებზე [2]. ევროკავშირის აგრო-სასურსათო

სექტორის მთავარი ამოცანაა ინოვაციების წარმატებული მობილიზაციის უზრუნველყოფა რესურსების ეფექტიანობის გაზრდისა და ფერმის დონეზე წარმოების ხარჯების შემცირების მიზნით, რათა გაგრძელდეს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში. ევროპული "მწვანე კურსის" (EGD) შემუშავება, რომელიც წარმოადგენს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის „საგზაო რუქას“ და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ნაბიჯებს, შეიცავს საჭირო ინფრასტრუქტურას და დაფინანსებას სოფლის მეურნეობის დარგში.

თუმცა, აქვე მიზანშეწონილია ხაზი გაუსვას ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის გამოწვევებსა და სირთულეებს:

- დაფინანსება: საკმარისი დაფინანსების უზრუნველყოფა ინოვაციის მხარდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი გამოყოფს მნიშვნელოვან სახსრებს კვლევებსა და ინოვაციებზე პროგრამების საშუალებით, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ინოვაციური პროექტებისთვის სტაბილური და პროგნოზირებადი დაფინანსების უზრუნველყოფა;

- ბიუროკრატიული პროცედურები: ევროკავშირს აქვს პროცედურებისა და წესების რთული სისტემა, რაც აფერხებს ინოვაციური პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების პროცესს, ხოლო ეს შეიძლება გადამწყვეტი იყოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის და სტარტაპებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მოქნილობას და სწრაფ გადაწყვეტილებებს;

- კოორდინაცია: ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა მოიცავს მრავალ სხვადასხვა პროგრამას, ინიციატივას და მონაწილეებს, რაც მოითხოვს კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას მთავრობების და ორგანიზაციების სხვადასხვა დონეზე, დუბლირების თავიდან ასაცილებლად და ინოვაციურ საქმიანობაში სინერჯის მისაღწევად. აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს კომისიასა და წევრ ქვეყნებს შორის პასუხისმგებლობის მკაფიო დაყოფა და უფრო მეტი დეცენტრალიზაციის მოპოვება პროგრამების შემუშავებაში და მათ განხორციელებაში.

- რეგიონალური უთანასწორობა: ზოგიერთ რეგიონებს გააჩნია უკეთესი ინოვაციური ეკოსისტემები და წვდომა რესურსებზე, ვიდრე სხვებს. ევროკავშირის თანამედროვე ინოვაციური პოლიტიკისთვის გამოწვევაა ინოვაციების ერთგვაროვანი განაწილება და ნაკლებად განვითარებული რეგიონების მხარდაჭერა;

- გლობალური კონკურენცია: ევროკავშირი ასევე დგას გლობალური კონკურენციის წინაშე ინოვაციების დარგში, მაგალითად შეერთებული შტატების და ჩინეთის მხრიდან, რაც მიუთითებს საინოვაციო სტრატეგიების მუდმივი სრულყოფის აქტუალობაზე, რაც საშუალებას მისცემს ევროკავშირს შეინარჩუნოს და გააძლიეროს თავისი პოზიცია მსოფლიო ინოვაციურ ლანდშაფტზე.

ამრიგად, ევროკავშირის ინოვაციების პოლიტიკის მუდმივი გაუმჯობესების პირობებში, შესაძლებელია სამეცნიერო კვლევების სფეროში მიზნების მიღწევა და ინოვაციური გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა და ელ. რესურსები:

1. Nnodim A.U., Raji W. Agricultural Technology Transfer Methods and Adaptability of Rural Farmers in Ikwerre Local Government Area of Rivers State. East Asian Journal of Multidisciplinary Research (EAJMR), Vol. 2, No. 6, 2023 DOI: <https://doi.org/10.55927/eajmr.v2i6.4238>

2. Policies for the Future of Farming and Food in the European Union // OECD iLibrary: <https://www.oecd.org/publications/policies-for-the-future-of-farming-and-food-in-the-european-union-32810cf6-en.htm> უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
3. <https://www.smart-akis.com/wp-content/uploads/2018/06/LOUIS-MAHY.pdf> უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
4. Innovation & knowledge exchange | EIP-AGRI | European CAP Network – https://eu-cap-network.ec.europa.eu/support/innovation-knowledge-exchange-eip-agri_en უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
5. European Agricultural Fund for Rural Development (EAFRD) – https://commission.europa.eu/funding-enders/find-unding/eu-unding-rogrammes/european-agricultural-fund-rural-development-eafRD_en უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
6. https://research-and-innovation.ec.europa.eu/funding/funding-opportunities/funding-programmes-and-open-calls/horizon-europe_en უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024
7. <https://eit.europa.eu/> – უკანასკნელად გადამოწმდა – 23.02.2024

**ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების ნავიგაცია:
ეკო-დასახლებებისა და ეკოსოფლების როლის შესწავლა
საქართველოში**

გიორგი ჭოჭუა –
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტრი.
ტ: 557 620262; ელ-ფოსტა: gtchotchua40@gmail.com

აბსტრაქტი

დამძიმებული ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების ფონზე, თანამედროვე სოციალური და კლიმატური ტრანსფორმაციების კვალდაკვალ, მსოფლიოში ვხვდებით ისეთ ტენდენციებს, რომლებიც მიმართულია მდგრადობასა და სტაბილიზაციისკენ. მათ შორის, იკვეთება ეკო-დასახლებების, მიზანმიმართული მდგრადი სამეზობლოების და ეკოსოფლების მზარდი რიცხვი. მსგავსი, ხშირ შემთხვევაში, თვითორგანიზებული ჯგუფები, შეიძლება ჩაითვალოს ცვლილების ერთ-ერთ აგენტებად, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ უფრო მდგრად გარემოსდაცვით, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარადიგმაზე გადასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული მოძრაობების შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო თუ სამოქალაქო საზოგადოებაში დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, ქართულ საზოგადოებრივ და აკადემიურ სივრცეებში ფაქტობრივად არ ან ძალიან მწირად გვხვდება ისეთი ნაშრომები, რომლებიც ამ საკითხის გარშემო თეორიულ ანალიზს შემოგვთავაზებდა ან ამ საკითხს აღწერდა, განმარტავდა და მიმოიხილავდა.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ და მიმოვიხილოთ:

- „ეკოსოფლების“ კონცეფციის საერთაშორისო განმარტებები;
- პირველი ეკოსოფელი საქართველოში – გზა იდეის აღმოცენებიდან, საზოგადოებრივი ჩართულობით მიწის შექენამდე;
- თანაკვეთის წერტილების მნიშველობა აკადემიურ სივრცეებთან

• გაერთიანებული ერების (UN) ორგანიზაციის ხედვა ეკოსოფლებთან მიმართებაში აკადემიურ და პრაქტიკულ ველებზე გადაკვეთის წერტილების შესწავლით, ტექსტი ცდილობს დააკავშიროს ეკოსოფლის, როგორც პრეცედენტის უფრო ფართო შედეგები ვიდრე ცალკეული გავლენა მდგრადობის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: ეკოსოფელი, მდგრადი განვითარების მოდელი, გარემოს მდგრადი განვითარება, ეკონომიკური მდგრადი განვითარება.

NAVIGATING ECOLOGICAL AND SOCIAL CRISES: EXPLORING THE ROLE OF ECO-SETTLEMENTS AND ECOVILLAGES IN GEORGIA

Giorgi Chochua –

doctor of business administration.

T: 557 620262; e-mail: gtchotchua40@gmail.com

Abstract

Against the background of intensified ecological and social crises, followed by modern social and climatic transformations, in the modern world we find such trends that are directed towards sustainability and stabilization. Interspersed among these are a growing number of eco-settlements, intentional sustainable neighborhoods and ecovillages. Which, in many cases are, self-organized groups and can be considered as one of the agents of change trying to facilitate the transition to a more sustainable environmental, social, economic and political paradigm.

Despite the fact that the international scientific and civil society has been debating about ecological welfare-oriented movements for a long time, in Georgian public and academic spaces there are practically no or very few works that would offer a theoretical analysis of this issue or describe, explain and review this issue.

This text will try to present and review:

- International definitions of the concept of "Ecovillages";
- The first eco-village in Georgia – the path from the emergence of an idea to the purchase of land with public involvement;
- Importance of points of intersection with academic spaces;
- The vision of the United Nations (UN) organization in relation to ecovillages.

By exploring points of intersection between academic and practical fields, the text attempts to connect the broader implications of the ecovillage as a precedent rather than a singular impact in the field of sustainability.

Kew Words: Ecovillage, Sustainable Development of the Environment, Sustainable Development of Economy.

ძირითადი ტექსტი

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მთავარი გამოწვევაა, რომელიც ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების გამომწვევია. ბოლო ათწლეულებია მეცნიერები თანხმდებიან, რომ ადამიანის ეკონომიკურმა საქმიანობამ

იმგვარი გავლენა მოახდინა დედამიწის სისტემაზე, რომ შედეგად, ახალ და განსხვავებულ გეოლოგიურ ეპოქაში – ანთროპოცენში შევედით (Eckersley, 2017). არსებობს მეცნიერული მტკიცებულებებისა და ფაქტების მზარდი რაოდენობა (IPCC, 2014, 2018, 2021) ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გაფრქვეული სათბურის აირების გლობალურ კლიმატის ცვლილებაზე პირდაპირი ზეგავლენის შესახებ, რის შედეგადაც საფრთხის წინაშე არიან როგორც ადამიანები, ასევე, უკვე მთელი დედამიწის ეკოსისტემა.

ხაზი უდნა გაესვას მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების თანხმობას, რომლებიც ერთხმად მოუწოდებენ ქვეყნებს, დაუყოვნებლივ და მნიშვნელოვნად შეამცირონ სათბურის აირების ემისიები (IPCC, 2021). სამეცნიერო სამყაროს ამ უპრეცედენტო თანხმობის მიუხედავად, არაერთგვაროვანი და კონტრავერსიული მიდგომები და ხედვები აქვთ პოლიტიკოსებს. ბოლო წლებში, პოლიტიკური განხილვები კლიმატზე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე, ცალკეული ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკურ დისკუსიებსა და ადგილობრივ საპარლამენტო არჩევნებში. კლიმატის კრიზისი აქტიურად განიხილება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთში. ევროკავშირის ქვეყნებში აღინიშნება მწვანე პარტიების პოპულარობის და მწვანე პოლიტიკის საკითხების აქტუალურობის განსაკუთრებული ზრდა (Graham-Harrison, 2019).

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კლიმატის პოლიტიკა დაიგეგმოს საზოგადოების ფართო წრეების, მათ შორის საინიციატივო ჯგუფებისა თუ აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ჩართულობით, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ასევე, პოლიტიკური განხილვების შედეგად, რადგანაც კლიმატის ცვლილება მხოლოდ ბუნებრივი/ფიზიკური მოვლენა არაა. ეს პროცესი სულ უფრო და უფრო მეტად იკვეთება როგორც სოციალური ფენომენი, რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვაგვარად აღიქვამს და განიცდის (Hulme, 2013). საზოგადოების მიერ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სოციალური და ეკოლოგიური კრიზისები, როგორც რისკის, აღქმა და გააზრება სხვადასხვა სუბიექტური, ინდივიდუალური თუ კოლექტიური გამოცდილების შედეგად ხდება, და პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და მორალური ფაქტორებითაა განსაზღვრული (Hopkins, 2013). შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ნავიგაცია ხდებოდეს განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკურ დონეზეც, სხვა არსებულ მწვანე სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, რათა გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნისთვის სპეციფიკური, კლიმატის ცვლილების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგები და გავლენები, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

რამდენადაც კლიმატის ცვლილება დაჩქარებული ტემპით განაგრძობს სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების გამოვლენას დღის წესრიგში, იმდენად გადამწყვეტია მოქმედების არეალი უფრო მასშტაბური და ყოვლისმომცველი გახდეს, იქნება ეს დაინტერესებული მხარეების მზარდი რაოდენობა, მათ შორის აქციონერების, რომლებიც აცნობიერებენ ინოვაციური გადაწყვეტილებების საჭიროებას, პასუხობენ როგორც სოციალურ, ასევე ეკოლოგიურ გამოწვევებს. ერთ-ერთი ასეთი გამოსავალი, რომელიც გაეროს (UN) მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ინიციატივებს ითვალისწინებს არის ეკოსოფლების კონცეფცია.

„ეკოსოფლების“ კონცეფციის საერთაშორისო განმარტებები

ჯონათან დაუსონის (2015) მიხედვით, ეკოსოფლები იმდენად არაერთგვაროვანი მოვლენაა, რომ შეუძლებელია მათი აღწერა ერთი მოდელით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ყველა სხვა ეკოსოფლის მახასიათებელს. ეს დაშვება გამომდინარეობს მათი მრავალფეროვანი წარმომავლობისგან. შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური თუ ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, მათ სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში შეიძლება განსხვავებული ფორმა, შინაარსი და ადგილობრივი მახასიათებლები ჰქონდეს, ხოლო ეს ნიშნები კონკრეტული ტიპის დასახლების განსაზღვრისას ზოგჯერ ერთმანეთთან იკვეთება.

რამდენიმე ძირითადი მოძრაობა, რომელიც თვითკმარობის და სულიერების გამორკვევის იდეის რეალიზაციისთვის იღწვოდა, გვხვდება მონასტრებში, აშრამებში, განდიანურ მოძრაობებში, გარემოსდამცველებში, პაციფისტებში, ფემინისტებში, და 1960-1970 წლის ალტერნატიული განათლების მოძრაობებში. მდიდარ ქვეყნებში ეს მოძრაობები „back to the land“ (დავუბრუნდეთ მიწას) სახელით გვხვდება და ხშირად ისინი „დახურულ სამეზობლოებს“ წარმოადგენენ. განვითარებად ქვეყნებში კი, მონაწილეობითი ჩართულობის სახეს იძენს.

ტერმინის „ეკოსოფელი“ ფართოდ გამოყენება დაიწყო 1991 წლიდან. აქტივისტებმა რობერტ და ნაიან გილმანებმა დაიწყეს ისეთი დასახლებების აღწერა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც შეიძლებოდა შთაგონების წყარო გამხდარიყო საზოგადოებებისთვის, რომლებსაც სურდათ მდგრადი სამეზობლოები შეექმნათ. შემდეგში ეს სამეზობლოები იწოდებოდა, როგორც ეკოსოფლები. მას შემდეგ, მსგავსი დასახლების მოდელები მომრავლდა როგორც გლობალურ ჩრდილოეთში, ისე გლობალურ სამხრეთში.

ამ მოვლენების პარალელურად, უკვე არსებული საზოგადოებრივი თემები იწყებენ თვითიდენტიფიცირებას და საკუთარ კომუნებს ეკოსოფლებს უწოდებენ. მსგავსი მაგალითი გვხვდება შოტლანდიაში (Findhorn) – ცნობილი როგორც „ეკოსოფლების დედა“ (Litfin, 2014). თავდაპირველად, ეს მიზანმიმართული საზოგადოება (Intentional Community) ფოკუსირებული იყო სულიერ განვითარებაზე (Forster, Wilhelmus, 2005) 1990-იანი წლების შემდეგ კონცეფციის მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია მოხდა. ახალ განმარტებას (ივნ. 2007) GEN (გლობალური ეკოსოფლების ქსელი) ვებგვერდიდან ასეთი ფორმულირება აქვს: „ეკოსოფელი არის მიზანმიმართული, ტრადიციული ან ურბანული საზოგადოება, რომელიც იყენებს ლოკალური მონაწილეობის პროცესებს, რათა ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განზომილებების ინტეგრირება მოახდინოს მდგრადი სოციალური და ბუნებრივი გარემოს რეგენერაციისთვის.“ (GEN, 2017).

ადგილობრივ დისკურსში ეკოსოფლების საინიციატივო ჯგუფის შექმნა

ეკოსოფელი საქართველო, რომლის მიზანია მდგრადი თემური ცხოვრების დანერგვა/პრაქტიკა – როგორც საქართველოს სოფლების აღორძინების საშუალება.

თემის წევრები 2018 წლიდან აქტიურად ეძებენ ადგილს ეკოსოფლის მოწყობისა და სახლებისათვის, თუმცა უკვე მისდევენ მდგრად, ჯანსაღ, ბედნიერ და დაბალანსებული ცხოვრების წესს ერთმანეთთან და ბუნებასთან ჰარმონიაში, ხელს

უწყობენ კულტურულ და ბიო მრავალფეროვნებას, იცავენ ბუნებრივ რესურსებსა და კლიმატს.

ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები დაფუძნებულია „ეკოსოფელი საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის ხედვაზე და მის მოდულებს გულისხმობს.

გამოყოფენ მდგრადი განვითარების სამ მოდულს:

1. სოციალური მდგრადი განვითარება:

- არ მივმართავთ ძალადობის ან აგრესიის ფორმებს და პატივს ვცემთ ერთმანეთს.
- ნარკოტიკების და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია, ასევე მოწევა შენობაში და ბავშვების გარემოცვაში.
- პატივს ვცემთ და მხარს ვუჭერთ ადგილობრივ მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად ვილტვით მათი ინტეგრაციისკენ ჩვენს ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და სოციალურ აქტივობებში.
- თითოეულ წევრს შეაქვს წვლილი თემში მისი უნარების შესაბამისად და აქტიურ როლს თამაშობს თემის ცხოვრებაში (მაგალითად, უნდა იყოს ერთი ან მეტი სამუშაო წრის აქტიური წევრი?)
- ყველა წევრს აქვს უფლება დაიცვას სულიერი და რელიგიური წესები როგორც პირადად, ასევე ჯგუფურად, მაგრამ სხვებისგან არ უნდა მოითხოვოს იგივე.
- ხელოვნება და კულტურა თავისუფლად გამოიხატება და წახალისდება.
- ვითვალისწინებთ მოხალისეებს, რომლებიც მუშაობენ საკვების და დაბინავების სანაცვლოდ.

2. გარემოს მდგრადი განვითარება:

- მიწაზე ვმუშაობთ პერმანენტული კულტურის და ორგანული აგრიკულტურის პრინციპების მიხედვით, რომლებიც იდენტიფიცირებულია ორგანული აგრიკულტურის მოძრაობების საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) მიერ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიყენებთ პესტიციდებს, ქიმიურ გამანაყოფიერებლებს ან სხვა მავნე ქიმიურ ნივთიერებებს მიწაზე, სახლში ან სხვა საქმიანობებში.
- ვსარგებლობთ ეკო-მეგობრული ტრანსპორტით ეკოსოფლის მიდამოებში და შეძლებისდაგვარად მის გარეთაც.
- ჩვენს ნახარჯ და გამოყენებულ წყალს ვექცევით მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის (WHO) უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით.
- შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებთ პლასტმასის გამოყენებას და სათანადოდ განვათავსებთ ჩვენს ნარჩენებს მახლობელ ქალაქში. ორგანული ნარჩენების კომპოსტირებას ვახდენთ ადგილზე.
- ჩვენი შენობები აგებულია ბუნებრივი ან გამოყენებული მასალებით, როგორცაა ხე, ქვა, თიხა, თივა, საბურავები და ცარცი (კირი).
- უსარგებლოდ არ ვხარჯავთ წყალს, ენერგიას ან საკვებს.
- ჩვენი შენობები ენერგო-ეფექტურია და შეძლებისდაგვარად მოიხმარს განახლებად ენერგიას.
- ცხოველები საოჯახო მეურნეობის ან ფერმების ნაწილია, მაგრამ მათ უნდა მოვექცეთ პატივისცემით, არ მივაყენოთ ტანჯვა და მივცეთ საშუალება, თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნილებების შესაფერისად იცხოვრონ.


3. ეკონომიკური მდგრადი განვითარება:

- მცხოვრებლები პასუხისმგებლები არიან, ეკოსოფლის მშენებლობის ეტაპზე, დამოუკიდებლად იზრუნონ საკუთარი საჭიროებებისათვის.
- ბიზნესმა წვლილი უნდა შეიტანოს მდგრადი განვითარების ერთი ან მეტი მიზნის მიღწევაში.
- სათემო შენობებზე და ბაღებზე ზრუნავენ მაცხოვრებლები და მოხალისეები.
- გათვალისწინებულია სოციალური ბიზნესი და კოოპერაციული საზოგადოებები, რომლებიც მხარს უჭერს საკუთარ აქტიურ წევრებს, თემს და პროექტებს. წახალისებულია ალტერნატიური ეკონომიკური სისტემებით ექსპერიმენტირება.
- ურთიერთმხარდაჭერა.
- კეთილგონივრული გაცვლითი ვაჭრობა სოფლის შიგნით.

თანაკვეთის წერტილების მნიშველობა აკადემიურ სივრცეებთან

ფართო აკადემიური ფოკუსირება ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობაზე, რაც ეკოსოფლების განმსაზღვრელი მახასიათებელია, გაჩნდა 1990-იან წლებში. ადრეულ საზოგადოებებში, რა თქმა უნდა, იყო მცდელობები ეკოლოგიურად და ბუნებასთან მჭიდრო კავშირში ეცხოვრათ, მაგრამ სპეციფიკური მდგრადობის აქცენტი მაინც ეკოსოფლების გაჩენას უკავშირდება. აქვე, აღსანიშნავია, ადრეულმა მიზანმიმართულმა საზოგადოებებმა დროთა განმავლობაში შეიცვალეს ფოკუსი და, შესაბამისად, ახლა განიხილებიან, ეკოსოფლად (მაგალითად, Findhorn Foundation და Twin Oaks). როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის ადვილი იმის დადგენა, არის თუ არა კონკრეტული საზოგადოებრივი გაერთიანება ეკოსოფელი. იმის გამო, რომ „ეკო სოფელი“ ჩვეულებრივ თვითსახელწოდებაა, ასეთი თემების კატეგორიზაციისას იზრდება როგორც ცრუ დადებითი, ასევე ცრუ უარყოფითის ალბათობა. ამიტომ, განხილვისთვის შევარჩიე მკაფიო კრიტერიუმები, რათა განვსაზღვროთ, რომელი კვლევები უნდა იყოს ჩართული: კვლევები, რომლებიც სპეციფიკურად ეძღვნებოდა ეკოსოფლებს, რომლებიც გამოჩნდა აკადემიურ ნაშრომებში 2000 იანი წლებიდან. გააზრებულად არ განვიხილეთ ისეთი ნაშრომები რომლებიც შორის იყო რამდენიმე ტექსტი, რომელიც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების კვლევების ტრადიციულ ლიტერატურასთან.


შედეგების შეჯამებისას საკონსულტაციო ნამუშევრები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ტიპის აკადემიურ კვლევებად, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე 1.



სურათი 1.

უმეტეს შემთხვევაში ტექსტები გვევლინება როგორც თეზისები, რომლებიც წარდგენილია აკადემიური ხარისხისთვის. უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია სამაგისტრო (ან სადიპლომო) ნაშრომები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა. კატეგორია „სხვა“ მოიცავს აკადემიურ კვლევებს, რომლებიც ჯერ არ არის წარმოდგენილი, როგორცაა გამოუქვეყნებელი ნაშრომები, საკონფერენციო ტექსტები და დოკუმენტები, რომელთა კატეგორიაც გაურკვეველია.

ის ტექსტები, რომლებიც დალაგებულია გამოცემის წლის მიხედვით, ნათლად ასახავს რომ ეკოსოფლების თემა მკვლევართა მზარდი ინტერესის საგანი იყო ბოლო წლებში. მიუხედავად იმისა, რომ სულ ცხრა კვლევა იყო 2000-2004 წლებში, ეს რიცხვი 2005-2009 წლებში გაიზარდა 38-მდე, რაც 322 პროცენტის იზრდაა. 2009 წლიდან დღემდე ასევე ვხვდებით აღმავალ ტრენდს, თუმცა სამწუხაროდ ზუსტი რიცხვის დადგენა ამ კვლევაში ვერ მოხერხდა (სურათი 2.).



საინტერესო კორელაცია დადგინდა სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. შეიძლება გამოვკვეთოთ სამი ძირითადი კატეგორია, როგორცაა: ა) ინდივიდების პერსპექტივების გამოკვლევა, ბ) სოციოლოგიური გამოკვლევები და გ) ეთნოლოგიური და კულტურული გამოკვლევები. კვლევების უმეტესობა განიხილავს უამრავ საერთო საკითხს, რომელიც ეკოსოფლების მაგალითის კვლევის საფუძველზე, მნიშვნელოვან ემპირიულ საკითხს წამოჭრის აკადემიურ სივრცეებში, უპირველეს ყოვლისა არის თითოეული საზოგადოების ხედვისა და მისიის, ანუ მიზნების, განზრახვებისა და იდეალების აგება (Bengis 2008; DePasqualin et al. 2008; Ergas 2010; Holmes 2006; Jones 2011; Mulder et al. 2006; Tolle 2011; van Schyndel Kaspar 2008; ვაგნერი 2007; Wight 2008). სხვა განმეორებადი საკითხები შეიძლება მოიცავდეს შეფასებას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად მიაღწიეს ამ საზოგადოებებმა თავიანთ მიზნებს და რასახის სოციალურ კონტექსტში გადაცემის პოტენციალს ატარებენ (მაგ., სამოდელო პროექტებს).

ეკოსოფლების საკითხის აქტუალობის ქრონოლოგიურ აღწერაში მნიშვნელოვანია შევხვით გაეროს (UN) ხედვას კონცეფციასთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც (#SDGAction40451)-მდგრადი განვითარების გეგმების განხორციელებისთვის კაცობრიობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მათი მოწოდებაა მთავრობების,

გაეროს სააგენტოების, ბიზნესების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ, რათა შემოუერთდნენ ეკო-სოფლის მიდგომების შემუშავებას და გამოყენებას სიღარიბის აღმოსაფხვრელად, ბუნებრივი გარემოს აღდგენისა და ადამიანების ყველა ძირითადი ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. ეკოსოფლის თემები პლანეტის ყველაზე მდგრადი თემებს შორისაა. ისინი, როგორც წესი, იყენებენ ადგილობრივ მასალებს, ქმნიან მწვანე შენობებს, ეყრდნობიან მდგრად ინფრასტრუქტურას და შესაბამის ტექნოლოგიას, ფოკუსირდებიან ბუნებრივი გარემოს აღდგენასა და დაცვაზე და იყენებენ SCP პრაქტიკას – ქმნიან არაფორმალური განათლების სიცრცეებს, რომელიც ინტეგრირებადია აკადემიურ სივრცესთან.

დასკვა

ეკოსოფლების შესახებ კვლევა მზარდი ინტერესის სფეროა. უკვე წამოჭრილია სხვადასხვა საკითხები და დაფიქსირებულია შესაბამისი პროგნოზები მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა ამ შედეგების დაკავშირება და შემდგომი ნაბიჯების შემუშავება კვლევის სფეროს სტრუქტურირებისთვის. ამ საჭიროების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია შექმნას ადგილობრივი მონაცემთა ბაზა, რომელიც ახალ და ძველ ნაშრომებს გააერთიენებს და შესაბამის სამეცნიერო დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემს ახალგაზრდა და გამოცდილ მკვლევარებს. ეს განიხილება, როგორც ნაბიჯი ეკოსოფლების მუშაობის შეფასების ამკარა დეფიციტის დასაძლევად და მათი შესაბამისობაში მოსაყვანად სხვა სოციალურ და აკადემიურ კონტექსტებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. LITFIN, K. *Ecovillages: Lessons for Sustainable Community*. Cambridge: Polity Press, 2014. 224 p.
2. DAWSON, J. *Ecovillages: New Frontiers for Sustainability*. Green Books, 2015. 12. 96 p.
3. MEIJERING, L. *Ideals and Practices of European Ecovillages*. In: ANDREAS, M.; WAGNER, F. (Ed.). *Realizing Utopia – Ecovillage Endeavors and Academic Approaches*. Munich: Rachel Carson Center – Perspectives, 2012. p. 31-41.
<https://sdgs.un.org/partnerships/ecovillage-initiative-achieving-sdgs>
4. Schwarzin, L. 2011. "Dialogic Interaction for Sustainability: Exploring Complexities and Factors that Shape Interactive Processes." Master's thesis, Wageningen University.
5. Moore, K., and A. Wight. 2007. "Nature, Culture and Machines in the Ecovillage Movement." University of Cincinnati.
6. Meijering, L., B. van Hoven, and P. Huigen. 2007. "Constructing Ruralities: The Case of the Hobbitstee, Netherlands." *Journal of Rural Studies* 23: 357–66.
7. Abrams, P., A. McCulloch, S. Abrams, and P. Gore. 1976. *Communes, Sociology and Society*. Cambridge: Cambridge University Press.
8. Castrejon Cardenas, C. 2007. "A Simple Life? The Symbolic Significance of Environmentalism in the Construction of a Community Case Study in the Ecovillage of Las Nubes in Veracruz, Mexico." Master's thesis, University of Tromsø.
9. DePasqualin, L., M. Haid, L. Krainz, and B. Mandl. 2008. "Systemmodell 'Ökodorf,' Arbeitsgruppe 2." In *Nachhaltigkeit Veränderungsprozesse in Regionen: Berichte aus den Umweltsystemwissenschaften*, edited by Koordinationsbüro für Umweltsystemwissenschaften. Graz: Karl-FranzensUniversität.

ელექტრონული რესურსი

- <https://ecovillage.org/projects/>

- <https://sustainabledevelopment.un.org/partnership/?p=11943>
- <http://www.transitsocialinnovation.eu/blog/ecovillages-isolated-islands-or-multipliers-of-social-innovations>
- <https://www.facebook.com/EcovillageGeorgia>
- <https://ecovillagegeorgia.ge/about/>

მანუალური და ავტომატიზებული საბუღალტრო პაკეტების განვითარების ევოლუცია და მნიშვნელობა ინოვაციურ ბიზნესში

ნაზი გვარამია –

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

Email: nazigvaramia1@gmail.com. ტელ: 558 565758

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც ინფორმაციული სისტემის, „ბიზნესის საერთაშორისო ენის“ განვითარების ეტაპებს. წარმოდგენილია მანუალური და ავტომატიზებული საბუღალტრო პაკეტების ევოლუციური მიმდინარეობა იტალიური რენესანსის ეპოქიდან თანამედროვე, XXI-ე საუკუნის ინოვაციური ბიზნესის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მოცემულია ბუღალტრის პროფესიული ეფექტურობის, კომუნიკაციის და ეთიკის მნიშვნელობა წარმატებული გუნდის და ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. განხილულია ბუღალტრის ფუნქციები სააღრიცხვო პოლიტიკის, ფინანსური სისტემების და პროცედურების ფორმულირებაში, დანერგვასა და კონტროლში. განმარტებულია რატომ არის აუცილებელი ინოვაციური ეკოსისტემის ფარგლებში ორგანიზაციის, IT სისტემის და პროცედურების კონტროლი. გაანალიზებულია თუ როგორ არის ინტეგრირებული და კოორდინირებული ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო ინოვაციურ ეკოსისტემაში.

საკვანძო სიტყვები: აღრიცხვა, მეწარმეობა, ინოვაცია, ეკოსისტემა, ინტეგრაცია

THE EVOLUTION AND IMPORTANCE OF DEVELOPING MANUAL AND AUTOMATED ACCOUNTING PACKAGES IN INNOVATIVE BUSINESSES

Nazi Gvaramia –

Ph.D. Associated Professor. Sokhumi State University
E-mail: nazigvaramia1@gmail.com Phone: 558 565758

Abstract

The scientific work covers the stages of development of accounting as an information system, of the "International language of business". The evolution of manual and automated accounting packages from the Italian Renaissance to modern, innovative business requirements of the 21st century is presented. The importance of an accountant's professional efficiency,

communication, and ethics in building a successful team and organization is given. The functions of the accountant in the formulation, implementation, and control of accounting policies, financial systems, and procedures are discussed. It is explained why it is necessary to control the organization, IT system, and procedures within the innovative ecosystem. It is analyzed how accounting is integrated and coordinated in the entrepreneurial innovation ecosystem.

Key words: Accounting, Entrepreneurship, Innovation, Ecosystem, Integration

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვა, ანუ „ბიზნესის საერთაშორისო ენა“ ინფორმაციული სისტემაა, რომელშიც ხორციელდება მონაცემთა დამუშავება, რაც გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას აძლევს შეაფასოს ბიზნესის ეფექტურობა. აშშ ბუღალტერთა ასოციაციის განმარტებით „ბუღალტრული აღრიცხვა არის საწარმოთა ეკონომიკური ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გამოყენების პროცესი მათი მფლობელებისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად“. ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმართვა უზრუნველყოფს: კონტროლის დაწესებას ქონების არსებობაზე, მოძრაობასა და რაციონალურ გამოყენებაზე; სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური ფაქტების დროულად აღმოფხვრას, რეზერვების გამოვლენას და მობილიზებას; სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის მიღებას; საფინანსო და სხვა ორგანოებთან ანგარიშსწორებას. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვა არის თანმიმდევრული საინფორმაციო მეცნიერული სისტემა, რომელსაც შეუძლია ამომწურავი პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რომელი ინფორმაცია შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად; როგორ შეიძლება მიღებულ იქნას იგი და რა სახით უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს. სამეურნეო ოპერაციათა ერთობლიობა სხვა არაფერია, თუ არა კომპანიის ფინანსური საქმიანობის უწყვეტი ისტორია. რეგისტრაციის არსი კი მდგომარეობს აღრიცხვაში გაზომილი სამეურნეო პროცესების ქრონოლოგიური დღიურის სისტემურ წარმოებაში. იდენტიფიკაციის, გაზომვისა და რეგისტრაციის პროცესს არა აქვს აზრი, თუ ინფორმაცია ამა თუ იმ ფორმით არ მიაღწევს დაინტერესებულ პირამდე, მომხმარებელამდე, რაც ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და გავრცელების გზით. კომუნიკაციური პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია ინფორმაციის ბუღალტრული ინტერპრეტაცია და მასზე პასუხისმგებლობა. ინტერპრეტაცია მოიცავს ანალიზს და სარგებლიანობის განმარტებას. ფინანსური ტრენდები და მაჩვენებლების ურთიერთკავშირი დაიყვანება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებამდე შესაბამისი სქემებით.

ძირითადი ტექსტი

ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც ინფორმაციული სისტემის განვითარებამ მრავალი ეტაპი განვლო. შეიძლება ითქვას, რომ ბუღალტრული აღრიცხვა არის იტალიური რენესანსის პროდუქტი, რადგან ადამიანთა სულიერი აღორძინების მამოძრავებელმა ძალებმა ევროპაში განაპირობეს ასევე ბუღალტრული აღრიცხვის აღორძინება.

აღრიცხვის ორმაგი ჩაწერის სისტემის შექმნამ საფუძველი მისცა მსოფლიო კერძო კაპიტალის განვითარებას, რაც თავის მხრივ ცხადია ქმნის ცხოვრებისა და შემოქმედების ხელსაყრელ პირობებს. ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია იგივე ჩვენი დროის ისტორიაა. სამეურნეო აღრიცხვა წარმოიშვა შორეულ წარსულში, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის საფუძველზე და იგი ითვლის 6 000 წელს. მკვლევარები მისი წარმოშობის კერად მიიჩნევენ მესოპოტამიას, ძველ საბერძნეთს, რომსა და მცირე აზიას. ცნობილია აღრიცხვის განვითარების ოთხი ეტაპი: აღრიცხვა თავში, ანუ მესხიერებაში; პირობითი ნიშნების მიხედვით აღრიცხვა; დამწერლობითი აღრიცხვა; აღრიცხვა სპეციალურად დაქირავებული პირების მიერ. აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე აღრიცხვა პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ დიდ სამსახურს უწევდა საზოგადოებას. საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ გააფართოვა აღრიცხვის გამოყენების სარბიელი და აღრიცხვა შეიცვალა უფრო მაღალი საფეხურით – **პირობითი ნიშნების მიხედვით აღრიცხვით**. წარმოების განსაკუთრებული განვითარება დაიწყო მას შემდეგ, რაც ადამიანებმა რკინის დნობა და სამეურნეო იარაღების კეთება ისწავლეს, რამაც ახალ საფეხურზე აიყვანა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები და განვითარდა აღრიცხვის მესამე ეტაპი – **დამწერლობითი აღრიცხვა**, სადაც თავად მწარმოებელი, მეურნე გამოდის აღმრიცხველის როლში. ძველ საბერძნეთში ჩვ.წ.-ად-მდე VII-VI საუკუნეში გვხვდება საჯარო, სახელმწიფო აგარიშსწორების საწყისები, სახელმწიფო მოხელეები სპეციალურად არიან დასაქმებულნი საბიუჯეტო აღრიცხვის წარმოებაზე. ძველ ეგვიპტეში კი 3-4 ათასი წლის წინათ ჩვ.წ.-ად-მდე ფარაონის სასახლესთან არსებობდა ხაზინადარის თანამდებობა, რომლის ტიტული იყო – „გამგე ყველა იმისა, რასაც იძლევა ზეცა, რასაც ქმნის მიწა, რაც მოაქვს ნილოსს და აგრეთვე ყველა იმისა, რაც არის და რაც არ არის.“ აღრიცხვა-ანგარიშგების შემდგომ განვითარებაზე ძველ რომში მიუთითებს ის ფაქტი, რომ თითოეული შეძლებული რომაელი მოქალაქე პირადი მეურნეობის შემოსავალ-გასავლის აღსარიცხავად ცალკე დავთრებს აწარმოებდა და მათ საკუთარი საანგარიშო ოთახები ჰქონდათ მოწყობილი. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებამ წარმოშვა სამეურნეო აღრიცხვის განვითარების ბოლო, მეოთხე ეტაპი – **აღრიცხვა სპეციალურად დაქირავებული პირების მიერ**.

იგივე შეიძლება ითქვას ჩაწერის ტექნიკის, სააღრიცხვო დოკუმენტებისა და რეგისტრების განვითარების შესახებ. წარმოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ჩაწერის ტექნიკა, აღრიცხვის დოკუმენტები და რეგისტრები. მე-VII საუკუნეში (ახალი წელთაღრიცხვით) შემოვიდა მონეტა, რამაც შესაძლებელი გახდა განზოგადებული საზომის გამოყენება. ამ ეტაპიდან ფული ხდება სააღრიცხვო საშუალებების მთელი ერთობლიობის საზომი. განვითარება მიმდინარეობდა სააღრიცხვო ნატურალიზმიდან სააღრიცხვო რეალიზმისაკენ. ახალ ეტაპზე გადასვლის სიმპტომი იყო ორმაგი ჩაწერის პრინციპის აღმოცენება და შესაბამისად პრატიკაში ამ ასპექტით შედგენილი პირველი დავთარი გამოჩნდა იტალიაში მე-XIII საუკუნის ბოლოს, ხოლო მე-XV საუკუნეში კაპიტალიზმის განვითარებამ მიიყვანა მის ფართო დანერგვამდე. ბუღალტრული აღრიცხვა განიხილებოდა ორი მიმართულებით: როგორც იურიდიული, ასევე ეკონომიკური. პირველი, ვინც აღრიცხვას იურიდიული მიმართულება მისცა იყო ფრანგი ედმონდ დეგრანჟი (1802 წ.), რომელმაც შემოიტანა სამეურნეო ოპერაციების ცნება და

ამტკიცებდა, რომ თითოეული ოპერაციის უკან დგას მინიმუმ ორი მხარე: ერთი გასცემს, მეორე იღებს.

იტალიელმა მეცნიერმა ფრანჩესკო ვილამ (1801-1884წ.) ყველა ანგარიში განიხილა როგორც აგენტი-შემნახველის გახსნა და აღრიცხვის საგნად თვლიდა ხელშეკრულებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ იურიდიულმა მიმართულებამ ვერ ჰპოვა ფართო განვითარება და აღრიცხვის ეკონომიკური მიმართულება წარმოიქმნა თითქმის იურიდიული მიმართულების პარალელურად. 1790 წ. იტალიელი ჯუზეპე ფორნი ამტკიცებდა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საგანს შეადგენს არა პიზიკური და იურიდიული პირი, არამედ საგნები, ნივთები და ყველა ფასეულობები იზომება ფულით. ჯუზეპე ლუდოვიკო კრიპა (1838წ.) ბუღალტრულ აღრიცხვას განიხილავდა როგორც ეკონომიკურ მეცნიერებას. იტალიელი ბუღალტერი ფაბიო ბესტი (1845წ.) თვლიდა, რომ ბუღალტრული აღრიცხვა არის მეცნიერება სამეურნეო კონტროლის შესახებ, რომელიც მოიცავს სამ ჯგუფს: საწარმოს მუშაკებზე ხელმძღვანელობის მოქმედებას, მართვასა და შემოწმებას. მე-XX საუკუნის პირველ ნახევარში გამოყოფდნენ ორ ჯგუფს და მიმართულებას: ადმინისტრაციულს და აბსოლუტურს. ადმინისტრაციული მიმართულების დამაარსებლად შეიძლება ჩავთვალოთ იტალიელი დ. ძაპა (1926წ.), ხოლო მის განმავითარებლად გერმანელი მეცნიერი ე. შმალენბახი (1873-1955წ.), რომელიც განიხილავს ბუღალტრული აღრიცხვის მმართველობით ფუნქციას, ადმინისტრაციულ მიმართულებას კი როგორც განსაზღვრული იურიდიული და ეკონომიკური მიდგომის სინთეზს. ადმინისტრაციული სკოლის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს წმინდა პრაგმატული მიდგომა ბუღალტრული აღრიცხვისადმი. აბსოლუტური მიმართულება აღიარებს ბუღალტრულ აღრიცხვას როგორც წმინდა მეთოდოლოგიურ კონსტრუქციას. ასე მაგალითად, გ. ხოლცერი (1936წ.) ამტკიცებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვა შეიძლება იყოს ერთგვაროვანი, ორადი და 12-საზომიანი, ორადი ბუღალტერია წარმოიქმნება მეურნეობის თავისებურებებთან დაკავშირებით, რომლის განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს ორადი ჩაწერიდან სამად, ოთხად, და ა. შ. ჩაწერამდე. ერთი მიმართულების წარმომადგენლები ბუღალტრულ აღრიცხვას განიხილავენ როგორც საგნობრივს, რომელსაც სპეციფიკური შინაარსი გააჩნია; ხოლო მეორენი აღრიცხვის მთელ თეორიას განიხილავენ ისე, რომ არ ეხებიან მის შინაარსს, რადგან მათი აზრით, სამეურნეო ცხოვრება ეს სხვა არაფერია, თუ არა ჭადრაკის თამაში, ხოლო ჭადრაკის პარტიაში მთავარია ფიგურების ურთიერთობა და არა მასალა, რომლისგანაც ეს ფიგურებია დამზადებული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღრიცხვის განვითარებასთან ერთად ასევე ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მისი მრავალი ფორმა. აღრიცხვის თავდაპირველ ფორმას წარმოადგენდა დავთრული ფორმა, რომლის გამოყენების შედეგად თანდათან განვითარდა მისი მრავალი სახეობა: ვენეციური ანუ ძველი იტალიური, ახალი იტალიური, ე.წ. ამერიკული, გერმანული, ფრანგული, ინტეგრალური. აღრიცხვის ფორმებზე ცხადია გავლენას ახდენდა ეკონომიკური პირობები და გარემოებები. ნატურალური ხასიათის ურთიერთობებში სასაქონლო-ფულად ასპექტებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რის საფუძველზე აღრიცხვაც შესაბამისი დონის იყო. შემდგომ ეტაპზე საწარმოო ძალთა განვითარებამ განაპირობა ორმაგი ჩაწერის სისტემის თანდათან ჩამოყალიბება. ლიტერატურულად აღნიშნული სისტემა პირველად გააშუქა იტალიელმა მეცნიერმა ბენედიტო კოტრულმა წიგნში „ვაჭრობა და პატიოსანი ვაჭრობის შესახებ“ (1458 წ.) და სტამბური წესით გამოიცა 1573 წელს ვენეციაში. ამ მიმართულებით დიდი

წვლილი მიუძღვის ცნობილ იტალიელ მათემატიკოსს ლუკა პაჩოლის შრომას „არითმეტიკის, გეომეტრიის, პროპორციებისა და შეფარდებათა ერთობლიობა“, რომელიც ასევე გამოიცა ვენეციაში 1494 წელს, მისი 12 ტრაქტატიდან კი მე-11 ეხება ანგარიშებსა და ჩანაწერებს, ანუ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ვენეციური, ძველი იტალიური წესის აღწერას, რომლის დროსაც გამოიყენებოდა სამი დავთარი:“ მემორიალი; ჟურნალი; რვეული (დავთარი). **მემორიალი** იყო დასამახსოვრებელი წიგნი, რომელშიც წერდნენ არა მარტო მეპატრონე, არამედ მისი დამხმარეები, მოსწავლეები, ვაჭრები, რის საფუძველზეც ხდებოდა შესრულებული სამუშაოების დაწვრილებითი აღწერა.

ჟურნალი (საიდუმლო დავთარი) განკუთვნილი იყო ქრონოლოგიური ჩანაწერებისათვის, რომელიც ცვლიდა პირველად დოკუმენტს. **რვეული** (მთავარი დავთარი) მოიცავდა ყველა ანგარიშს, რომელიც გამოიყენებოდა ბუღალტრულ აღრიცხვაში, გამოყავდათ ნაშთები და ამის საფუძველზე ადგენდნენ ბალანსს (XV –XVI ს.) ხოლო XVII საუკუნის ბოლოს იტალიაში გამოჩნდა გაუმჯობესებული ფორმა, რამაც განაპირობა ქრონოლოგიური აღრიცხვის დიფერენცირება ცალკეულ ჟურნალებში და იგი გაიყო ორ რეგისტრად: სალაროს ჟურნალი და მემორიალი. **გერმანულმა მოდელმა** კი ზემოთ აღნიშნული ფორმებისგან განსხვავებით მოახდინა სრულყოფა სამეურნეო ოპერაციების დასაჯგუფებლად სინთეზურ ანგარიშებში ასახვის თვალსაზრისით. მან მტკიცედ გამიჯნა ერთმანეთისგან სალაროს და მემორიალურ ჟურნალში ჩასაწერი ოპერაციები. ანგარიშწორების **ფრანგული ანუ მრავალდავთარიანი ფორმა** თავიდან გამოიყენებოდა მსხვილ ბანკებში, ქრონოლოგიური აღრიცხვა წარმოებდა მრავალ დავთარში, სადაც აისახებოდა ყველა სამეურნეო ოპერაცია. აქედან გამომდინარე, ფრანგულმა ფორმამ ვენეციურისგან განსხვავებით მოახდინა ქრონოლოგიური ჩაწერის დანაწევრება, რამაც განაპირობა სააღრიცხვო დარგის მუშაკთა შრომის დანაწილება და მათი კვალიფიკაციის დიფერენცირება. XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა **ამერიკული ფორმა**, რომელიც წარმოადგენს ერთჟურნალიან ფორმას და უწოდებენ „ჟურნალმთავრულს“. მრავალჟურნალოვანი (ფრანგული) ფორმის გაუმჯობესებულ ნაირსახეობას წარმოადგენს **ინტეგრალური ფორმა**, რომელშიც ხდება ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვის რეგისტრების დანაწევრება სინთეზური ანგარიშის მიხედვით. XIX საუკუნის ბოლოს მოქმედებაში შედის ანგარიშწარმოების **ჭადრაკული ფორმა**. მას აქვს ჭადრაკის დაფის ფორმა, მთავარი დავთარი დაყოფილია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებად. შემდგომ ეტაპზე უარყოფილ იქნა აღრიცხვის მოძველებული ფორმები და განვითარდა უფრო პროგრესული თანამედროვე აღრიცხვის სისტემები.

ინოვაციური ეკონომიკა და შესაბამისად თანამედროვე კომპანია წარმოუდგენელია ინფორმაციული სისტემების გამოყენების გარეშე, ეს სისტემები კი შესაბამისი სირთულეებით ხასიათდებიან, რადგან საკმაოდ დიდია ინფორმაციული ნაკადების მოცულობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით ცხადია ბუღალტრულ ინფორმაციულ სისტემას უკავია, რომელშიც ბუღალტრის საქმიანობა სრულად ემყარება თანამედროვე ავტომატიზებული სისტემების გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბუღალტრის მიერ საქმის წარმოება მანუალურად და იგი იძლევა შესაბამის შედეგებს: იზრდება ოპერატიულობა, ჭეშმარიტება მონაცემთა აღრიცხვაში, ბუღალტრული აღრიცხვის მაკონტროლებელი ფუნქცია; სრულყოფილი ხდება ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება და უზრუნველყოფილია კომპანიის ინფორმაციული სისტემის კავშირი ისეთ

მნიშვნელოვან ინსტიტუციებთან, როგორცაა სახელმწიფო ხაზინა, შემოსავლების სამსახური. აღსანიშნავია, რომ ხელით და კომპიუტერის საშუალებით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. კომპიუტერის უმთავრესი უპირატესობები ცხადია გამოიხატება შემდეგში: სიჩქარე, სიზუსტე, საიმედოობა. ამავე დროს რადგან კომპიუტერს არ შეუძლია განსაზღვროს პროგრამის მიერ დაშვებული შეცდომები, ან ის, რომ მონაცემთა ბაზა არ იყო სრული, აქედან გამომდინარე, კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამების შემუშავებისას უნდა იქნას გათვალისწინებული და შემოწმებული ყველა ბრძანება, რამეთუ კომპიუტერის საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებები, რაც გამოიხატება რაოდენობრივად. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დღესდღეობით კომპანიების პროგრამული უზრუნველყოფა ხშირად უფრო ძვირია აპარატურულთან შედარებით.

დასკვნა

დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ქართული კომპანიების დიდი უმრავლესობა გამოიყენებს უნივერსალურ საბუღალტრო და სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის სისტემას – „ორის ბუღალტერია“, რომელიც შეიქმნა 1992 წელს საქართველოში დაარსებული კომპანია „ორისი“-ს სპეციალისტების მიერ. იგი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც დსთ-ს ტერიტორიაზე დაარსდა კომპიუტერული პროგრამების წარმოების სფეროში და წარმოებული პროდუქტების მრავალფეროვნებით ლიდერთა რიცხვში ფიგურირებს. კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებთან საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებასა და კომპლექსურ მომსახურებას. „ორის ბუღალტერია“ გამოირჩევა მოქნილობით, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მარტივად გადაწყვიტონ მათთვის კარგად ცნობილი სტანდარტული ამოცანები და ამავე დროს თანამედროვე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადვილად შექმნან არატიპური ამოცანები პროგრამირების პროფესიონალური ცოდნის გარეშე. სისტემა ხასიათდება: გამოყენების სიმარტივით; დანერგვისათვის საჭირო მოკლე პერიოდით; საიმედოობითა და მოქნილობით; მუდმივი განვითარებით. პროგრამის სწავლება ჩართულია უმაღლესი საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო სივრცის სასწავლო პროგრამებში, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის, ასევე სხვადასხვა სპეციალიზებულ საბუღალტრო კურსებზე. სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საბანკო, მომსახურების და სხვადასხვა სფეროებში, იგი დანერგილია ჩვენი ქვეყნის რეგიონებში, რაც ცხადია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საწარმოო სუბიექტებს წარმატებით განახორციელონ თავიანთი საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა.

ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრირებულია და კოორდინირებულია თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, „ბუღალტერი ბიზნესში“ გულისხმობს მისი პროფესიული ეფექტურობისა და კომუნიკაციის როლს, ფუნქციას და გავლენას ორგანიზაციის ნაყოფიერად და ეთიკურად მართვასა და განვითარებაში. შესაბამისად, სამეცნიერო ნაშრომის მიზანია საუკეთესო პრაქტიკული ცოდნის მისაღებად საუნივერსიტეტო სწავლებამ უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მომზადება მათი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაზიარების, პროფესიული

დახელოვნების და რესურსების გაერთიანების სინერგიით, რაც იქნება ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირებს გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ACCA – Accountant in Business, ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია, ბაფი, 2019 წ.
2. Проф. Иоган Шер – Бухгалтерский баланс, стр 4, 1925 г.
3. Проф. Н. К. Леонтьев, доц. Кежолв, доц. Е. А. Шенков. Краткий курс бухгалтерского учета, М., 1938 г. стр. 147
4. Лука Пачоли. Трактат о счётах и записях, М., 1974 г. гл., 5-6, стр. 20-21.
5. Nazi Gvaramia. THE ISSUES OF ACTIVITY ACCOUNTING AND AUDIT REGULATION IN GEORGIA. ECONOMICS AND MANAGEMENT: 2013. 18 (4) ISSN 2029-9338 (ONLINE). Kaunas, Lithuania.
6. http://gtu.ge/book/ims/bug_agricxva.pdf
7. <http://oris.ge/index.php>

**სამხრეთ კავკასიაში სტარტაპებიდან-მწვანე ბიზნესებამდე,
გამოწვევები, პერსპექტივები და შესაძლებლობები**

ლევანი კიკილაშვილი

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი, პროფესორის ასისტენტი.
l.kikilashvili@sou.edu.ge

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია უნიკალური ადგილია განვითარებად ბაზრებზე ბიზნეს საქმიანობის დაწყების ან თუნდაც სტარტაპ მიმართულების განვითარებისთვის. ამის ნათელი მაგალითია უნიკალური გადასვლა ჩვეულებრივი სტარტაპებიდან ეკოლოგიურად მდგრად მწვანე ბიზნესებამდე. სხვადასხვა ინდუსტრიის ემპირიული მონაცემებისა და შემთხვევის შესწავლის ანალიზის საშუალებით, მრავალმხრივი გამოწვევებია, პერსპექტივები, უამრავი შესაძლებლობით, რომლებიც თან ახლავს ამ ტრანსფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი შეზღუდვები, როგორცაა დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა, იაფი კრედიტი, მარეგულირებლის მხრიდან მოთხოვნები, მდგრადი პრაქტიკის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, რეგიონის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად ასათვისებლად, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე და მხარდამჭერი პოლიტიკის ჩარჩოები განვითარების მყარ საფუძველს ქმნის, ამ ნაწილში ფონდების ჩართულობაც მყარი დასაყრდენია სტარტაპების ხელშეწყობით, მდგრადი ბიზნესების ოპერაციათა გასაუმჯობესებლად. მწვანე მეწარმეობის გავრცელება მთავარი ფაქტორია წარმატებული მწვანე ინიციატივების და ინოვაციურ ბიზნეს მოდელების მართვისთვის, რომლებიც უკვე მრავლადაა კავკასიაში, რაც ხაზს უსვამს რეგიონის პოტენციალს მდგრადი განვითარებისა და მწვანე ზრდისთვის. ამ გამოწვევების გადაჭრითა და არსებული შესაძლებლობების გამოყენებით, პოლიტიკის შემქმნელებს, მეწარმეებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დააჩქარონ კავკასიის რეგიონის ტრანსფორმაცია უფრო

მდგრადი ეკონომიკისკენ, რითაც ხელი შეეწყობა სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და გარემოსდაცვაზე ზრუნვას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ინოვაციური ბიზნეს მოდელები, მწვანე ინიციატივები.

TRANSITIONING FROM STARTUPS TO GREEN BUSINESSES IN THE SOUTH CAUCASUS: CHALLENGES, PROSPECTS, AND OPPORTUNITIES

Levani Kikilashvili –
PhD student of Sukhumi State University,
Professor's assistant.
l.kikilashvili@sou.edu.ge

Abstract

The South Caucasus region presents a distinctive landscape for initiating business endeavors within burgeoning markets or cultivating startup ventures. A prime illustration of this lies in the distinct shift from traditional startups towards environmentally sustainable green businesses. Through meticulous analysis of empirical data and case studies spanning diverse industries, this study uncovers a plethora of challenges, perspectives, and abundant opportunities accompanying this transition. While obstacles such as limited access to finance, stringent regulatory requirements, and a dearth of awareness regarding sustainable practices pose formidable barriers to effectively harnessing the region's bountiful natural resources, there exists a robust underpinning for development through burgeoning consumer demand for eco-friendly products and supportive policy frameworks. Notably, the involvement of foundations serves as a sturdy cornerstone for enhancing the efficacy of sustainable business operations by fostering startup initiatives. The proliferation of green entrepreneurship emerges as a pivotal catalyst driving the success of innovative business models and green initiatives already prevalent in the Caucasus, thereby accentuating the region's potential for sustainable development and green economic growth. Through concerted efforts to address these challenges and capitalize on existing opportunities, policymakers, entrepreneurs, and stakeholders can expedite the transition of the Caucasus region towards a more sustainable economy, thereby fostering socio-economic prosperity and environmental stewardship.

Key words: Sustainable development, Environmental Protection, Innovative Business Models, Green initiatives.

შესავალი

კავკასიის რეგიონი, განსაცვიფრებელი ბუნებრივი პეიზაჟებით და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, გახდა პოპულარული ადგილი ეკოტურიზმისა და მდგრადი მოგზაურობისთვის. სტატიაში მიმოვიხილავთ გლამურული გლემფინგის

წარმოების შესაძლებლობებს კავკასიის რეგიონში, რომელიც ფოკუსირებულია მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე მდგრადობის გაზრდისა და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის გზით. რეგიონის ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული ფასეულობების გამოყენებით, გლემფინგი სთავაზობს უნიკალურ და განსაცვიფრებელ გამოცდილებას მოგზაურებს, რომლებიც ეძებენ ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივას ტრადიციული საცხოვრებლისგან განსხვავებით. სტატიაში განხილულია სხვადასხვა მწვანე ტექნოლოგია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გლემფინგ-ობიექტებში, როგორცაა მზის პანელები ენერჯის გენერირებისთვის, ბიო-ტუალეტები, ნარჩენების კომპოსტირება, მდგრადი სამშენებლო მასალები. გარდა ამისა, გლემფინგი, როგორც მდგრადი ტურიზმის მოდელის ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სარგებელი კავკასიაში მიმოხილულია სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის ის ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, საზოგადოების ჩართულობას და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას. სტატიაში ნაჩვენებია რეგიონში მწვანე გლემფინგური ინიციატივების წარმატებულ მაგალითები და გვაწვდის ინფორმაციას მომავალი განვითარების გამოწვევებზე და შესაძლებლობებზე. ის მხარს უჭერს მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრაციას, როგორც კავკასიაში ტურიზმის განვითარების მდგრადი მიდგომა, რაც ხელს უწყობს რეგიონის კონსერვაციას, პასუხისმგებლობიან მოგზაურობის პრაქტიკის მხარდაჭერას.

ინდივიდუალური ხაზის მქონე პროექტი გლემფინგის სახით ბიზნეს-ქეისში “გლემფლენდი“-ი, რომლის ირგვლივაც 4-წლიანი კონსტრუქციის სრულყოფის კვლევები მიმდინარეობდა ავტორის მიერ და ყველა დეტალი ზედმიწევნით მაღალ დონეზეა გათვლილი და მისი შემადგენელი დამხმარე პლატფორმა “გლემფლენდ გლობალი“-ს მხარდაჭერით, რომელიც საქართველოს ნებისმიერ წერტილში საოცარი მოგზაურობის საშუალებას მისცემს ტურისტს, მომხმარებელი ერთიანი ქოლგის ქვეშ ისარგებლებს “გლემფლენდი“-ი, მოსასვენებელ-განსატვირთ-სარეკრეაციო სივრცეებით. პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა, კონსტრუქციის სიმარტივე, რაც საშუალებას აძლევს პოტენციურ ინვესტორს, 3 დღეში ააწყოს “გლემფლენდი“-ი, თავის მიწაზე, 1 ასეთი გლემფინგის თვითღირებულება 10 000 ლარამდეა, ხოლო სარეალიზაციო ფასი 15 000 ლარი.

საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მყოფ გამორჩეული მიწის ნაკვეთების მფლობელებზე ასეთი კონსტრუქციების აგება, ნამდვილად ხიბლავს ბიო, აგრო, ეკო ტურიზმით გატაცებულ მომხმარებლებს, რადგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა, კონსტრუქციის სიმარტივე, რაც საშუალებას აძლევს პოტენციურ ინვესტორს, ყველაზე სწრაფად ააწყოს “გლემფინგ“ თავის მიწაზე. ტურისტთა საცხოვრებელს აუცილებელია თან ახლდეს ყველა ტექნოლოგიური დეტალი, რომლებიც ხაზს უსვამს გარემოზე ზრუნვას და ენერგოეფექტიანი მიდგომების დანერგვას, როგორცაა ბიოტუალეტის, ენერგოდამზოგავი ღუმელის, ინტერიერისა და ექსტერიერის მოწყობისას უსაფრთხო მასალების გამოყენების, მზის ფოტოელემენტების, წყლის ენერჯის და განახლებადი ენერჯების მაქსიმალურად ჩართვას კონსტრუქციულ ნაგებობასთან კომუნიკაციაში.

პროექტი გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპია და საჭიროებს ფონდების მხრიდან მეტი ყურადღების გამახვილებას, იმ სოციალურ სარგებელზე, რომელიც გულისხმობს რეგიონებში ტურისტთა განსაკუთრებულ ადგილებში მოსვენების ახალი შესაძლებლობების შექმნას, რითაც ადგილობრივს გაუჩნდება დამატებით ეკონომიკური

დოვლათის დაგროვების საშუალება და შეძლებს ხელი შეუწყოს მისი ბიზნესის განვითარებას და სრულყოფას, რაც თავიდან აარიდებს ქვეყანას სოფლის დაცლისა და მიგრაციის საშუალებების გამოყენების შემცირებას. კონსტრუქციის ასაგებად გამოიყენება თანამედროვე კონსტრუქციული ტექნოლოგიები, იმპორტირებული და ბაზარზე წარმოებული ნედლეულისგან, თანაც შემდგომ წლებში, გარდა პირველი წლისა, საქართველოდან სავსებით შესაძლებელია “გლემფების”, ასაწყობი კომპლექტების ექსპორტი ნებისმიერ ქვეყანაში, თუ კი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული „ევროკავშირის“ ქვეყნებში პროდუქციის გატანისთვის აუცილებელი მოთხოვნები. ბიზნესის მომხიბვლელი იმაშიც მდგომარეობს, რომ წარმოებისას გამოსაყენებელი მასალები და კონსტრუქციები ფართოდ ხელმისაწვდომია სამხრეთ კავკასიაში. პროდუქტი ტურიზმის ბიზნესის სწრაფ გაფართოებას პირდაპირ უწყობს ხელს ანუ, მოთხოვნა გარდაუვალია მსურველები, რომლებიც კონკურენტულ ხდებიან პროდუქტის პირველი შემსყიდველი/ინვესტორები. სამომავლო გეგმის მიხედვით, შესაძლებელია წელიწადში იქნას წარმოებული და რეალიზებული 500 კომპლექტიც კი. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში აგებული “გლემფლდენდების” ერთ პლატფორმაში გაერთიანება, მოიტანს ახალ შესაძლებლობებს, დამქირავებელს (ვინც ჯავშნის უნიკალურ სივრცეს) სპეციალურ ფასდაკლებებს, შესთავაზებს.

ასაწყობი “გლემფლენდი“-ის მყიდველი იქნება: 1) ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ნაკვეთი ტურისტულ ზონაში და სურს უმოკლეს დროში მოაწყოს ტურისტული ინფრასტრუქტურა დამსვენებლების მისაღებად 2) ღვინის მარანი, რომელსაც სურს გარდა ტურისტების მასპინძლობისა, იქვე სწრაფად მოაწყოს სასტუმრო, 3) სასტუმრო, რომელსაც სურს სწრაფად გაფართოვდეს და მიიღოს მეტი დამსვენებელი. პირველი 2 წლის განმავლობაში სამიზნე რეგიონის საქართველო. მეორე წლიდან დაგეგმილია ექსპორტზე გასვლა. ქვევრი სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში და ქვევრის ფორმის ასაწყობ სასტუმროს, რეალური შანსი აქვს გაფართოვდეს მსოფლიო მასშტაბით. გარდა ამისა გვაქვს მიზანი, ჩვენი ტრენდული მიმართულება, ევროპის ბაზრისთვისაც შევფუთოთ, რასაც მოვახერხებთ ევროპული სტანდარტების დანერგვით, რითაც ჩვენი გუნდის პროდუქცია მსოფლიოშიც წარმატებით გაიყიდება.

2018 წელს "Grand View Research-მა" ჩაატარა გლემფინგ სერვისების ბაზრის კვლევა. მიღებული მონაცემებით, ამ ბიზნესის ზრდის ტემპი წელიწადში დაახლოებით 2,6%-ია, 2025 წლისთვის მთლიანი ბრუნვა იქნება დაახლოებით 4,8 მილიარდი დოლარი. ამიერკავკასიაში ამ ბიზნესის, გლემფინგის, განვითარების პერსპექტივები დადებითია, ძირითადად უცხოელი ტურისტების ინტერესის გამო, რომლებიც ეძებენ განსაკუთრებულ, განსხვავებულ და გამორჩეულ ადგილებს მოსვენება-განტვირთვა რელაქსაციისთვის.

დღემდე საქართველოში არ არსებობს იურიდიული პირი, რომელიც გლემფინგის სრულ სერვისს შესთავაზებს ბაზარს, ადგილზე წარმოდგენილი მაკომპლექტებული მოწყობილობებით, სრულ კომპლექსურ სერვისს, ხოლო იმპორტირებული პროდუქტის მოუქნელობა, ყველა მხარეში მისი მონტაჟის შეუძლებლობა ადგილობრივი პირობების უგულებელყოფა, ბაზარზე პოტენციური ინვესტორებისთვის ქმნის დაბრკოლებებს, მაშინ როცა ბევრი ისეთი მიწის მეპატრონეა, რომელმაც დაუყოვნებლივ შეიძლება დაიწყოს ტურიზმის ბიზნესიდან ფულის გამომუშავება, თუმცა ეს შეუძლებელია, მოქნილი პროდუქტებისა და სერვისების არ ქონის გამო.

პროექტის ფარგლებში, ღირებული შეთავაზებაა-აღმოაჩინე მომაჯადოებელი ბუნების სილამაზე "გლემფლენდი"-ში, სადაც ველური პეიზაჟების სიმფონია შთაგაგონებს იმოგზაურო დაუვიწყარი ოცნებების თავგადასავლებში!

"გლემფის ქვევრლენდ"-ს დღეს პირდაპირი კონკურენტი არ ჰყავს და მისი გამოჩენა არც უახლოეს წლებში იგეგმება. თუმცა არაპირდაპირი კონკურენტები არიან გლემფინგი და ქვევრის მინი სასტუმროების აშენება საქართველოში.

გლემფინგი რამდენიმე წელია რაც საქართველოში შემოვიდა. არსებობს კომპანია „გლამფინგ ჯორჯია“, რომელსაც გარდა იმისა, რომ თვითონ აქვს შექმნილი საჩვენებელი კომპლექსი, ასევე ახდენს გლემფინგის ასაწყობი კონსტრუქციების იმპორტს და რეალიზაციას, თუმცა ქართული წარმოება ფაქტობრივად არ ხდება ბაზარზე და ამას არც მასობრივი ხასიათი აქვს.

ქვევრის ფორმის თიხის მინი სასტუმრო ოთახების იდეა შედარებით ახალია და საქართველოში უკვე ერთ ადგილას განხორციელდა „ქვევრის სასტუმროს“ პროექტის სახით.

ორივე მიმართულებას აქვს პერსპექტივა, თუმცა არანაკლები მასშტაბის შეიძლება იყოს "გლემფლენდი", რომელიც უფრო მეტად – ექსპორტზე ორიენტირებული შემდეგი წლებიდან გახდება და მასშტაბის ეკონომიის კუთხით თუ ვიმსჯელებთ თვითღირებულების შემცირების რესურსს უფრო ფლობს ვიდრე რომელიმე ამ ორი კონკურენტიდან.

სვოტ ანალიზის მიხედვით კი ასე გამოიყურება პროექტი:

(S) -ის ძლიერი მხარეები

ასაწყობი კონსტრუქცია,
ინოვაციური – ქვევრის ფორმა,
აგების სისწრაფე,
ქვეყნის სავიზიტო ბარათი.

(W) – სუსტი მხარეები

მწირი რესურსები. პირველ წელს გვჭირდება მნიშვნელოვანი ხარჯები და დამატებითი კვლევა განვითარებისთვის.

(O) – შესაძლებლობები

მზარდი ტურიზმი,
ქვევრისა და ქართული, ძველი არქიტექტურული ფორმების მზარდი პოპულარობა მთელ მსოფლიოში.

(T) – საფრთხეები

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს დარგების განვითარებაზე.

საქართველოში, ნებისმიერ წერტილში, "გლემფლენდის" კონსტრუირების ბიზნესის დაწყებას მუნიციპალიტეტის განვითარებასა და წინსვლაზე შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს. ეკონომიკური სტიმული: რეგიონის ეკონომიკური განვითარების კატალიზატორი შეიძლება გახდეს გლემფინგური კარვების აწყობის ბიზნესის არსებობა. მას შეუძლია შექმნას სამუშაო შესაძლებლობები ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად, დასაქმების ხელშეწყობით. ტურიზმის პოპულარიზაცია: საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი თავისი მდიდარი კულტურული

მემკვიდრეობით, ბუნებრივი სილამაზითა და ტურისტული ობიექტების სიმრავლით გამოირჩევა, შესაბამისად, დღემდე აღმოუჩენელი ადგილების ტურიზმის განვითარების ქრილში პოპულარიზაციას უზარმაზარი პოტენციალი აქვს. "გლემფლენდი" კი ამატებს უნიკალურ და მიმზიდველ ვარიანტს მოგზაურებისთვის, რომლებიც ეძებენ დასამახსოვრებელ და ღრმა გამოცდილებას ბუნებასთან ჰარმონიაში. ასეთი ბიზნესის განვითარება მოიზიდავს ტურისტების ახალ ნიშებს, მათ შორის ბუნების მოყვარულებსაც, რაც ძალიან კარგია ქვეყნის ეკონომიკაში.

გლემფინგი გლამურული ან ძვირადღირებული კემპინგის ერთ-ერთი სახეობაა, ის აერთიანებს სივრცის ისე მოწყობას, როგორც გვხვდება სასტუმროებსა და კურორტებზე. ეს უზრუნველყოფს ბუნებაში არსებული თავგადასავლების მოგზაურობასთან შერწყმას, რომელსაც კომფორტი მოაქვს. ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას ყველაზე დიდი გლემფინგის ბაზრები აქვთ. გლემფინგური ბიზნესის შექმნა მოითხოვს განთავსების საშუალების კეთილმოწყობას, ისეთი საშუალებების დამატებას, როგორცაა ელექტროენერგია, წყალი, სველი წერტილები და ეს ერთეულები უზრუნველყოფს სივრცის კომფორტულად მოწყობას. მდებარეობა და მაღალ დონეზე კეთილმოწყობა გლემფინგის, წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორად განიხილება ხოლმე ინვესტირების განხორციელებისას. რაც მთავარია ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გლემფინგი, დაიწყონ საკუთარი, მომგებიანი ბიზნესი, მცირე ნაბიჯებით, თუმცა შრომისმოყვარეობის ჩადებით და მომხმარებელთა საჭიროებებზე ყურადღების მიქცევით, დროთა განმავლობაში ეს განთავსების სივრცეები გადაიქცევა მყუდრო, მდიდრულ და განვითარებაზე ორიენტირებულ ობიექტებად, რომლებსაც შეეძლება ინვესტორს მაღალი ეკონომიკური შემოსავალი მოუტანონ. (A group of authors 2022)

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა გლამურულმა გლემფინგ ბიზნესმა შეძლო მფლობელების გადაყვანა სრულ განაკვეთზე მათი მიმდინარე სამუშაოს მიტოვებით, რადგან ეს ბიზნესი მათი ძირითადი შემოსავლის წყარო გახდა. ასე რომ, მომგებიანობა ყველგან განსხვავებულია, მაგრამ რა თქმა უნდა შესაძლებელია სწორი გეგმითა და ბაზრით ეფექტიანობის მიღწევა. გლემფინგი მზარდი მრავალმილიონიანი ინდუსტრიაა, რომელშიც წარმატების მიღწევა ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ბიზნესის ცოდნის გარეშეც შესაძლებელია, თუ კი აქტიურად ჩაერთვება მეწარმე დარგობრივი ინფორმაციის შეგროვების, დახარისხების და მისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტების გაანალიზებაში. (A group of authors 2022)

2016 წელს დაემატა ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონს, „გლემფინგი“ (განისაზღვრა, როგორც ფორმა კემპინგის), რომელიც მოიცავს უფრო მდიდრულ საცხოვრებელს. გლემფინგის ადგილის დამახასიათებელი ნიშნებია: ბუნებასთან წვდომა, კომფორტული საცხოვრებლები, საინტერესო გამოცდილება, წვდომა საუცხოო გარემოსთან. ყველას სჭირდება დასვენება, მაგრამ ამ სწრაფ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ, ადამიანებს შესანიშნავი დასვენების გამოცდილებას აძლევს გლემფინგები, რომელთა შენარჩუნებაზეც მეწარმეები აქტიურად მუშაობენ, რომ რაც შეიძლება ხშირად დაბრუნდნენ ტურისტები ერთხელ უკვე მოწონებულ ადგილებში. (Howard, M and authors group 2019)

დასკვნა

კავკასიის რეგიონში მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გლემფინგური წარმოების განვითარება წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის ზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობას. მწვანე გლემფინგური ინიციატივების წარმატებული მაგალითები, როგორცაა გლემფინგში განტვირთვა-რელაქსაციის განსაკუთრებული საშუალებების შეტანა, ჩაშენებული საუნა და სხვა მისთ. ტექნოლოგიები, ხაზს უსვამს რეგიონში განვითარების ახალი პოტენციალის გამოკვეთას. მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მთავრობების, ბიზნესისა და ინვესტორების, ფონდების მხრიდან თანამშრომლობა და ინვესტირება მწვანე ტექნოლოგიების გადაწყვეტილებებში, კავკასიაში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის. ამით ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ შევინარჩუნოთ რეგიონის ბუნებრივი სილამაზე და კულტურული მემკვიდრეობა, არამედ ხელი შევუწყოთ მოგზაურობის პრაქტიკის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას, მდგრადი მომავლის შექმნისა და უზრუნველყოფისთვის.

ლიტერატურა

1. A group of authors. 2022. "Be The Boss Academy – How to Start an Airbnb Glamping Business_ The Complete Guide to Starting Your Own Short Term Rental Glamping Business Using Tents, Yurts, Airstreams and More!," 1–122.
2. Howard, M and authors group. 2019. Comfortably wild: the best glamping destinations in North America. 249. ISBN. 9781493037797

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა CSR- ქართული კომპანიების ახალი გამოწვევა

მარინე ხუბუა -

ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

ელისო ჭოხონოლიძე –

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამეწარმეო გარემოში დღითიდღე იზრდება ინტერესი კომპანიების მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმების მიმართ, რაც ნიშნავს არაფინანსური ინფორმაციის ანუ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინფორმაციის განსაკუთრებულ საჭიროებას კომპანიებში, ეკონომიკის ყველა სექტორის მორგებას ამ გამოწვევისთვის, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების წარმოდგენის წესების გამკაცრებას, ევროკავშირის დირექტივების ასახვას ეროვნულ კანონმდებლობაში.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია კომპანიებმა ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას ყურადღება გაამახვილონ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, იზრუნონ 2020 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული „მწვანე შეთანხმების„ [1] მოთხოვნების შესრულებაზე, ხარისხიანი მონაცემების მდგრადობის ანგარიშგებაზე, დროულ ასახვაზე და რისკების აუდიტზე. ევროკავშირის მიზნების მხარდასაჭერად ინვესტირებას ესაჭიროებათ ხარისხიანი და შესადაარებელი არაფინანსური ინფორმაცია, ანუ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიშგება.

სტატიაში გამოკვლეულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველო კომპანიებს სწორი ფორმით განახორციელონ ევროკავშირის ახალი დირექტივის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დანერგვა. ყურადღება გამახვილებულია მთლიანად დირექტივის არქიტექტურასა და მასში არსებული ძირითადი საკითხების დანერგვის პრობლემატიკაზე. თორმეტი წამყვანი კომპანიის მონაწილეობით ჩატარდა ინტერვიუ კომპანიის ფინანსისტებთან. ასევე გამოიკითხა საქართველოში მოქმედი ცამეტი აუდიტორული კომპანიის აუდიტორები, აღნიშნული კომპანიები არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორატიული წევრები და მსოფლიოს დიდი აუდიტორული კომპანიების ქართული ოფისები. შედეგებმა აჩვენა: რას ელოდებიან, ის ქართული კომპანიები, რომლებიც დირექტივის ფარგლებში ხვდებიან, რა გარდამავალი მოქმედებების განხორციელებას გეგმავენ მდგრადობის ანგარიშგების გამჟღავნებისა და ფინანსური რისკების მართვის, აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ქართული აუდიტორული კომპანიები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადობის ანგარიშგება, რისკების მართვა, აუდიტი

CORPORATE SUSTAINABILITY REPORTING DIRECTIVE CSRD – A NEW CHALLENGE FOR GEORGIAN COMPANIES

Marine Khubua –

Doctor of Economics, Associate Professor
of the faculty of Business and Social Sciences, Sukhumi State University

Eliso Chokhonidze –

Ph.D. student of the faculty of Business Administration,
Sokhumi State University, elisochoxonidze@sou.edu.ge

Abstract

In the modern business environment, the interest in strategic plans for sustainable development of companies is increasing day by day, which means the special need for non-financial information, i.e., environmental, social and management information in companies, adapting all sectors of the economy to this challenge, tightening the rules for presenting corporate sustainability reports, reflecting EU directives in national legislation.

It is important for society that companies pay attention to social and environmental issues when making financial decisions, take care of fulfilling the requirements of the Green Agreement

adopted by the European Union, timely reflection of quality data on sustainability reporting and risk audits. In order to support the objectives of the European Union, investors need quality and comparable non-financial information i.e., environmental, social and governance reporting.

We have examined the main factors that will help Georgian companies to properly implement the new European Union directive on corporate sustainability reporting. We focused on the architecture of the directive as a whole and the problems of implementing the main issues in it. With the participation of 12 leading companies, we conducted 12 interviews with company financiers. The auditors of thirteen auditing companies operating in Georgia were also interviewed, the mentioned companies are corporate members of the Federation of Professional Accountants and Auditors of Georgia and the Georgian offices of the world's major auditing companies, the results showed: what the Georgian companies which get in the framework of the directive are waiting for what transitional actions the companies are planning to implement in the direction of disclosure of sustainability reporting, financial risk management and improvement of audit quality.

Keywords: sustainability reporting, risk management, audit.

შესავალი

ტერმინი „მდგრადი ფინანსები“, ეს არის ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი ცნება, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) მოსაზრებების გათვალისწინების უწყვეტ პროცესს ფინანსურ სექტორში საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას. 2014 წელს ევროკავშირმა მიიღო არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა (NFRD), რომელიც კომპანიებს ავალდებულებს, რომ 2018 წლიდან მოყოლებული, შეიტანონ არაფინანსური ანგარიშგება თავიანთ წლიურ ანგარიშებში ან ცალკე დოკუმენტებში, მათ შორის ინფორმაცია გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობითი საქმიანობის შესახებ [2]. მრავალი ექსპერტი აღიარებს ამ დირექტივის ნაკლოვანებას, რადგან ინვესტორი ვერ ღებულობს სათანადო ინფორმაციას კომპანიების მდგრადობის შესახებ. ინფორმაცია არის არასრული და ხშირად გამოტოვებული. სწორედ ამის გამო გადახედა ევროკავშირმა არაფინანსურ ანგარიშგების დირექტივას (NFRD) და 2021 წლის 21 აპრილს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა დააწესა [3], ხოლო 2023 წლის 5 იანვრიდან კი ძალაში შევიდა [4], რამაც ჩაანაცვლა აქამდე არსებული არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა NFRD. ეს არის არაფინანსური ანგარიშგების დირექტივის (NFRD) განახლება და მიზნად ისახავს ევროკავშირში (EU) მოქმედი კომპანიების მიერ მდგრადი ანგარიშგების წარმოდგენის წესების გამკაცრებას, ევროკავშირის ქვეყნებმა დირექტივა ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა გადაიტანონ 18 თვის განმავლობაში. დირექტივა ასევე გავრცელდება არაევროკავშირის კომპანიებზე.

ახალი მოთხოვნებით მდგრადობის ანგარიშგების წარდგენა ევალდებულება დაახლოებით 50 000-მდე საწარმოს ევროკავშირის ქვეყნებში და მის ფარგლებს მიღმა. საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების სათათბირო ჯგუფი (EFRAG) და ფასს ფონდი (IFRS Foundation) ამზადებენ მდგრადობის ანგარიშგების

სტანდარტებს დასამტკიცებლად. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების მოთხოვნების მიზნებისათვის ცვლილებები განიცადა ასევე აუდიტის სფეროს მარეგულირებელმა, ევროკავშირის სამართლებრივმა აქტებმა ((EU) No 537/2014, Directive 2006/43/EC).[5]

თემა არის ძალიან აქტუალური და მრავალწახნაგოვანი ევროკავშირისა და არაევროკავშირის კომპანიებისათვის. არაევროკავშირის კომპანიებში შედის საქართველოს კომპანიებიც, რომელთათვის დირექტივა გახლავთ ახალი გამოწვევა.

ნაშრომით გამოკვლეული იქნა დირექტივის სტრუქტურა და ძირითადი საკითხები. დამუშავდა ვებ-გვერდები უცხოელი ექსპერტების სამეცნიერო ნაშრომები. მსოფლიოს დიდი აუდიტორული კომპანიების Deloitte, PwC, EY, KPMG, BDO და ა.შ ოფიციალური ვებ-გვერდები, თუ როგორია მათი სამოქმედო გეგმა კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივის ფარგლებში.

სხვადასხვა სახელმწიფოს სამთავრობო პოლიტიკა და რეგულაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სტრატეგია საკითხის მიმართ.

ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან. პირველი ნაწილში განიხილება ლიტერატურის მიმოხილვა, შემდეგ განხორციელებულია არაფინანსური ანგარიშებისა და კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივებს შორის ძირითადი განსხვავებების აღწერა. გაცემულია პასუხი კითხვებზე: „რა უნდა განიხილონ ევროკავშირისა და არაევროკავშირის კომპანიებმა? როდის დაიწყება მდგრადობის ანგარიშების გამჟღავნება? რომელი სტანდარტებით მოხდება რეგულაცია? როგორი ტიპის ინფორმაცია განთავსდება კომპანიის მდგრადობის ანგარიშებაში. მოითხოვს თუ არა ახალი დირექტივა აუდიტს? რამდენი არაევროკავშირის კომპანია ხვდება დირექტივის რეჟიმში?

ნაშრომი აღწერს ყველა იმ მოვლენას, რაც განხორციელდა საქართველოში კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა CSRD-თან დაკავშირებით და წარმოავადგენთ ჩვენს ჩატარებულ კვლევას. ნაშრომი სრულდება დასკვნითი მოსაზრებებითა და რეკომენდაციით.

1. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.

„რა პასუხიმგებლობა აიღეს ბიზნესმენებმა საზოგადოების წინაშე?“-ეს კითხვა ჯერ კიდევ 1953 წელს დასვა ჰოვარდ რ. ბოუნმა წიგნში („ბიზნესმენის სოციალური პასუხიმგებლობა“ 1953 წელი) და შემოიტანა კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობა – CSR-ს კონცეფცია. აშშ-ში ჯორჯიის უნივერსიტეტის მენეჯმენტის პროფესორმა, არჩი კეროლმა კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობა დაყო 4 ნაწილად „საზოგადოების ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და ფილანთროპიული (საქველმოქმედო) მოლოდინები ორგანიზაციის მიმართ დროის მოცემულ მომენტში“ (Carroll 1979, 1991). ამ მეცნიერის სახელს უკავშირდება დღემდე პოპულარული „CSR პირამიდა“

1994 წელს ჯონ ელკინგტონმა დაამკვიდრა ტერმინი "სამმაგი ქვედა ხაზი", ეს არის ჩარჩო, რომელიც განმარტავს როგორ წარმოადგენს კომპანია ეკონომიკურ, სოციალურსა და გარემოსდაცვით საქმიანობებს (Elkington, 2013). ლიტერატურაში, სამმაგი ქვედა ხაზის ჩარჩო ასევე ცნობილია, როგორც მდგრადობის 3 P, რომელიც ეხება ადამიანებს, მოგებას და პლანეტას.

დროსთან ერთად იზრდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ინდუსტრიები და იხვეწებოდა კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის კონცეფციები. ტერმინი „ESG ასახავს კომპანიის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საქმიანობას. კომპანიის მხრიდან ამ საკითხების სწორი გამჟღავნება ინვესტორისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მდგრადი დაფინანსების განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ESG-ის ანგარიშგების გამჭვირვალობა და მნიშვნელობა გაიზარდა მაგრამ ანგარიშგების განჟღავნების ხარისხი ისევ დაბალი რჩება. KPMG-ის 2022 წლის გლობალური კვლევა მდგრადობის ანგარიშგების შესახებ აჩვენებს, რომ მცირე კომპანიებში მდგრადობის გამჟღავნება სათანადოდ ვერ ხერხდება [6].

2. რას ცვლის დირექტივა ევროკავშირისა და არაევროკავშირის კომპანიებში?

ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა CSRD ცვლის ESG ანგარიშგებას. 2024 წლიდან თითქმის 50 000 კომპანია ექვემდებარება მდგრადობის სავალდებულო ანგარიშგებას, მათ შორის არაევროკავშირის კომპანიებს, რომლებსაც აქვთ შვილობილი კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირში ან არიან ჩამოთვლილი ევროკავშირის რეგულირებად ბაზრებზე. [7]

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის რეგულირების ქვეშ მოექცევა ყველა მსხვილი კომპანია, რომელიც გაერთიანებულია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის, არაევროკავშირის კომპანიების შვილობილი კომპანიები. დირექტივა განსაზღვრავს მსხვილ კომპანიას, როგორც ერთეულს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან ორს:

- 40 მილიონ ევროზე მეტი წმინდა ბრუნვა;
- ბალანსის მთლიანი აქტივები 20 მილიონ ევროზე მეტი; და/ან
- 250-ზე მეტი თანამშრომელი;

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული მშობელი კომპანიები, სადაც კომპანიების ჯგუფი ერთობლივად აკმაყოფილებს დიდი კომპანიის კრიტერიუმებს;

ევროკავშირის არაწევრ კომპანიებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- კომპანია ახორციელებს მნიშვნელოვან საქმიანობას ევროკავშირში, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის წმინდა ბრუნვა ევროკავშირში ზედიზედ ორ ფინანსურ წელს აღემატებოდა 150 მილიონ ევროს წელიწადში; და
- კომპანიას აქვს მინიმუმ ერთი ფილიალი ევროკავშირში, რომელსაც აქვს მინიმუმ 40 მილიონი ევროს წმინდა ბრუნვა; ან შვილობილი კომპანია ევროკავშირში, რომელიც აკმაყოფილებს მსხვილი კომპანიის მოთხოვნათაგან სულ მცირე ორს;
- **კომპანიები, რომლებიც ჩამოთვლილია ევროკავშირის მიერ რეგულირებულ ბაზარზე**, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის კომპანიები (SMEs), მაგრამ მიკრო კომპანიების გამოკლებით; [8]

ახალი დირექტივის ერთერთი ძირითადი განმასხვავებელი არის ანგარიშების გამჟღავნების ფორმატი და სტანდარტები. 2023 წლის 31 ივლისს ევროკომისიამ (კომისია) მიიღო ევროკავშირის მაშტაბით ევროპული მდგრადობის ანგარიშების სტანდარტების (ESRS) (დელეგირებული აქტი) პირველ კომპლექტი, თან ახლავს კითხვა – პასუხი, რომელიც ავსებს კორპორატიული მდგრადობის დირექტივას (CSRD). [9]

ESRS არის სავალდებულო ცნებების, მოთხოვნებისა და პრინციპების ერთობლობა CSRD ასევე ხაზს უსვამს "ორმაგ მატერიალურობას" – რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიებს მოუწევთ დეტალურად აღწერონ როგორც მათი ზემოქმედება გარემოზე, ასევე კლიმატთან დაკავშირებული რისკები, რომლებსაც ისინი აწყდებიან. ამ მიდგომის მიხედვით, კომპანიებს მოეთხოვებათ მოახსენონ როგორც (i) მათი საქმიანობის ზემოქმედება ადამიანებზე და გარემოზე და (ii) როგორ მოქმედებს სხვადასხვა მდგრადობის საკითხები კომპანიაზე. ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო იქნება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დროის პერიოდების გათვალისწინებით და შეიცავდეს ინფორმაციას კომპანიის ღირებულების ჯაჭვის შესახებ, მათ შორის საკუთარი ოპერაციების, პროდუქტებისა და სერვისების, საქმიანი ურთიერთობებისა და მიწოდების ჯაჭვის შესახებ.[10]

2022 წლის 23 ნოემბერს EFRAG – წარუდგინა EC-ს 12 ევროპული მდგრადობის ანგარიშების სტანდარტების (ESRS) პირველი კომპლექტი, რომელიც ასახავს CSRD-ის ანგარიშების მოთხოვნებს. სტანდარტები იყოფა ორ "ჯვარედინი სტანდარტად" და 10 "აქტუალურ სტანდარტად". ჯვარედინი სტანდარტები ადგენს ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც გავრცელდება CSRD-ის მიერ დაფარულ ყველა საკითხზე, ხოლო აქტუალური სტანდარტები შემდგომში იყოფა, რათა ცალკე გამოიყენონ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები.[11]

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივის CSRD-ის საყურადღებო თარიღები. კომპანიებმა უნდა დაიწყონ ანგარიშება ESRS-ის ფარგლებში შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

- კომპანიები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ არაფინანსური ანგარიშების დირექტივას (NFRD) (მსხვილი ჩამოთვლილი კომპანიები, მსხვილი ბანკები და მსხვილი სადაზღვევო კომპანიები – ყველა, თუ მათ ჰყავთ 500-ზე მეტი თანამშრომელი), ასევე მსხვილი არაევროკავშირის სიაში შესული კომპანიები 500-ზე მეტი თანამშრომელით: ფინანსური წელი 2024, მდგრადობის პირველი განაცხადი გამოქვეყნდა 2025 წელს.
- სხვა მსხვილი კომპანიები, მათ შორის სხვა მსხვილი არაევროკავშირის სიაში შემავალი კომპანიები: ფინანსური წელი 2025, მდგრადობის პირველი განაცხადი გამოქვეყნებულია 2026 წელს.
- ჩამოთვლილი მცირე და საშუალო ბიზნესები, მათ შორის, ევროკავშირის სიაში შეყვანილი მცირე და საშუალო ბიზნესები: ფინანსური წელი 2026, პირველი მდგრადობის განაცხადები გამოქვეყნებულია 2027 წელს. თუმცა, ჩამოთვლილმა მცირე და საშუალო ბიზნესებმა შეიძლება გადაწყვიტონ უარი თქვან ანგარიშების მოთხოვნილებებზე კიდევ ორი წლის განმავლობაში. ჩამოთვლილი მცირე და საშუალო ბიზნესის ანგარიშების დასაწყებად ბოლო შესაძლო თარიღი არის 2028 ფინანსური წელი, მდგრადობის პირველი განაცხადი გამოქვეყნებულია 2029 წელს.

გარდა ამისა, ევროკავშირის არაწევრმა კომპანიებმა, რომლებიც გამოიმუშავენ წელიწადში 150 მილიონ ევროზე მეტს ევროკავშირში და რომლებსაც აქვთ ევროკავშირში ფილიალი, რომლის ბრუნვა აღემატება 40 მილიონ ევროს ან შვილობილი კომპანია, რომელიც არის მსხვილი კომპანია ან ჩამოთვლილი მცირე და საშუალო ბიზნესი, უნდა მოახდინოს ანგარიში. ამ არაევროკავშირის კომპანიის ჯგუფის დონეზე მდგრადობაზე ზემოქმედებაზე 2028 ფინანსური წლიდან, პირველი მდგრადობის განცხადება გამოქვეყნებული 2029 წელს. ცალკეული სტანდარტები იქნება მიღებული სპეციალურად ამ შემთხვევისთვის.[12]

არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა NFRD არ მოითხოვდა აუდიტს, CSRD-ის პირობები მოითხოვს მდგრადობის ანგარიშგების გარე შემოწმებას, კომპანიებს მოუწევთ მოიძიონ მდგრადობის ინფორმაციის "შეზღუდული" გარანტია. ეს მოთხოვნა ნაკლებად ვრცელია, ვიდრე ის არის საჭირო ფინანსური აუდიტის ანგარიშგებისთვის, მაგრამ მაინც მოითხოვს გარე შემოწმებას. როდესაც ევროკავშირის არაწევრი კომპანია ექვემდებარება CSRD-ს, კომპანიამ უნდა დაადასტუროს მისი ანგარიშგება ევროპელი აუდიტორის ან მესამე ქვეყნის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

რამდენი არაევროკავშირის კომპანია იქნება ევროკავშირის მდგრადობის ანგარიშგების ახალი წესების ფარგლებში?

დაახლოებით 10,300 ევროკავშირის არაწევრი კომპანია დაექვემდებარება CSRD-ს წესებს, აქედან არაევროკავშირის კომპანიების 31% ამერიკულია, შემდეგ მოდის 13% კანადური კომპანია და 11% დიდი ბრიტანეთში არსებული კომპანიები. გაცილებით ნაკლებია სხვა ქვეყნებიდან: 8% არის იაპონური 6% ავსტრალიური, 5% კაიმანის კუნძულებიდან, 3% ბერმუდადან და 2% კონტინენტური ჩინეთიდან. საერთო სურათით კომპანიებს 60-ზე მეტი ქვეყნიდან მოუწევთ ანგარიში, მათ შორის რამდენიმე პატარა ეკონომიკიდან, როგორცაა ბაჰრეინი და ზიმბაბვე. 3000-ზე მეტი ამერიკული კომპანია შედის CSRD-ის ფარგლებში, მათ შორის ბევრი საშუალო საბაზრო კაპიტალიზაციის ამერიკული კომპანია. მათ შეიძლება ყველაზე მეტად გაუჭირდეთ მონაცემების შეგროვება და მოხსენება, რადგან ზოგიერთმა წინა კვლევამ აჩვენა, რომ ESG მონაცემთა გამჟღავნების მნიშვნელოვნად დაბალი ხელმისაწვდომობა კომპანიების ამ ჯგუფში. [13]

3. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა CSRD და საქართველო

საქართველოს აქტიური ინტეგრაცია ევროკავშირისკენ ნიშნავს, რომ ქართული კომპანიები მოხვდებიან კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა CSRD-ის რეგულირების ფარგლებში, როგორც ევროკავშირის არაწევრი კომპანიები.

2014 წელს რატიფიცირებული "ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმების თანახმად უნდა განხორციელდეს ევროკავშირის კანონმდებლობის დინამიური დანერგვა ქართულ კანონმდებლობაში. ა[14]

2021 წლის 29 ნოემბერს პოლ თომფსონმა (ბუღალტრული აღრიცხვის ,აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრი. მის ბუღალტერთა და აუდიტორთა ევროპილი ფედერაციის 228

პრეზიდენტმა) სპეციალური ვიდეო რგოლის საშუალებით ; კორპორაციული ანგარიშგების მომავალი ევროპაში "ქართველ ფინანსისტებსა და კომპანიებს მოგვიწოდა გარდამავალი ცვლილებების განხორციელებისკენ მდგრადი განვითარების ანგარიშგების მიმართულებით. [15]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აქტიურად მუშაობს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის საქართველოში იმპლემენტაციის საკითხზე: სამსახურმა 2021 წელს გაფორმა მემორანდუმი სახელმწიფო ზედამხედველ/მარეგულირებელ ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორს შორის, რომელიც მიზნად ისახავს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დანერგვასთან დაკავშირებული ქმედებების ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას. [16] ასევე ნათარგმნია ქართულად ახალი დირექტივის 2 სტანდარტი:

- ფასს მ1 – კორპორაციული მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები;
- ფასს მ2 – კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია. [17]

ამჟამად საქართველოს კომპანიების მმართველობითი ანგარიშგება რეგულირდება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ "საქართველოს კანონით (2016 წ. 8 ივნისი) [18] კანონის მოთხოვნები ავალდებულებს მმართველობითი ანგარიშგების წარდგენას შემდეგ კომპანიებს: საზოგადოებრივი დაინტერესების პირები (შემდგომ -სდპ) და პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებს.

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა CSRD ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურსა და საფინანსო კომპანია (IFC) თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა თანამშრომლობის მიზანია, საქართველოს მხარის გაძლიერება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ანგარიშგების საკითხებში. ასევე, საქართველოში უკეთესი მდგრადობის შესახებ ანგარიშგების განვითარება, მათ შორის ESG-ის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად, გათვალისწინებული იქნება აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ევროკავშირის კორპორაციული ანგარიშგების დირექტივის (CSRD) მოთხოვნები. [19]

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა თორმეტი წამყვანი ქართული კომპანიის ფინანსური მენეჯერი. შედეგებმა აჩვენა რომ კომპანიები მხოლოდ 50 % აქვთ სწორი ინფორმაცია მოახლოებული დირექტივის შესახებ. 66 % თვლის რომ მათი კომპანია მოხვდება ახალი დირექტივის რეგულირების ფარგლებში.

შეკითხვაზე მოთხოვნები უფრო მკაცრად უნდა იყოს დანერგილი საქართველოში თუ უფრო თავისუფალი? თორმეტივე კომპანია ფიქრობს რომ უნდა დაინერგოს საქართველოში ჯერჯერობით ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები. ახალი დირექტივის მოთხოვნები კომპანიებისათვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია. 88 % თვლის რომ კომპანიებისათვის მდგრადობის ანგარიშგება იქნება დამატებითი ხარჯი და ზედმეტი ტვირთი.

გამოკითხვამ აჩვენა რომ თემის ცნობადობის ხარისხი ქართულ კომპანიებში დაბალია.

ჩვენ ასევე გამოვკითხეთ ცამეტი ქართული წამყვანი აუდიტორული კომპანიის აუდიტორი, აღნიშნული კომპანიები არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორატიული წევრები.

მათ შორის შედის მსოფლიოს დიდი აუდიტორული კომპანიების ქართული ოფისები. ჩვენი გამოკითხული რესპოდენტები გახლავთ აუდიტორული კომპანიების მმართველი აუდიტორები და დირექტორები.

დასმულ კითხვაზე – მოახლოებული საკანონმდებლო ცვლილებები გახლავთ დიდი გამოწვევა თქვენი კომპანიისათვის?

გამოკითხვის შედეგი ასეთი მივიღეთ:

არ აქვს პასუხი – 23.1 %

დიახ – 38,5%

არა – 38,5%

კითხვაზე „როგორ ფიქრობთ, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) მოთხოვნები საქართველოში მკაცრი უნდა იყოს თუ უფრო თავისუფალი?“ გამოკითხულთა 7,7 %-მა გვიპასუხა რომ უნდა დაინერგოს მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩო. თავისუფალი საკანონმდებლო ჩარჩოს მომხრეა 53,8%. არ აქვს პასუხი 38,5%.

გამოკითხულთა 92,3 % თვლის, რომ მდგრადობის ანგარიშგება და მასთან დაკავშირებული საკითხები აუდიტორთა ტრენინგის ნაწილი უნდა გახდეს საქართველოში.

4. შედეგები

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა არის მსოფლიოს 50 000 მდე ევროკავშირის და არაევროკავშირის კომპანიების ახალი გამოწვევა. პირველი ნაბიჯები არ იქნება მარტივი. მაგრამ განსაკუთრებით რთული პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. მათ რიგებში არის საქართველოც. მთავარია ქართულმა აუდიტორულმა და საბუღალტრო ფირმებმა, კომპანიების საფინანსო სამსახურებმა, დარგის ექსპერტებმა დაიწყონ გარდაუვალი ცვლილებების დაგეგმა კომპანიის მდგრადობის ანგარიშგების განვითარების მიმართულებით. საჭიროა გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე არსებული საუკეთესო დასავლური პრაქტიკის გამოყენება. მთავარია სწორი მდგრადობის ანგარიშგების საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება,რათა დირექტივა არ გახდეს ზედმეტი ტვირთი ქართული კომპანიებისათვის (მაგ., დამატებითი ხარჯი, გასათვალისწინებელია ასევე სანქციები).

ქართველი სპეციალისტების, საწარმოებისა და აუდიტორული კომპანიების მაღალი აქტივობა ზემოთ წარმოდგენილი საკითხის მიმართ დაეხმარება საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს, სწორი ფორმით განახორციელონ ევროკავშირის ახალი დირექტივის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების CSRD დანერგვა საქართველოს კანონმდებლობაში.

გამოყენებული ელ. რესურსები:

1. https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/european-green-deal/delivering-european-green-deal_en
2. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014L0095>
3. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021PC0189&from=FR>
4. https://finance.ec.europa.eu/capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en

5. https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS_STRATEGY_ENG%20.pdf
6. <https://kpmg.com/xx/en/home/insights/2023/01/get-ready-for-the-next-wave-of-esg-reporting.html>
7. https://finance.ec.europa.eu/capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
8. <https://www.skadden.com/insights/publications/2023/01/qa-the-eu-corporate-sustainability-reporting-directive>
9. https://finance.ec.europa.eu/news/commission-adopts-european-sustainability-reporting-standards-2023-07-31_en
10. EU Adopts Expansive Corporate Sustainability Reporting Requirements January 9, 2023 4879-6687-4407 v.6
11. https://www.sidley.com/en/insights/newsupdates/2023/08/eu-adopts-first-set-of-european-sustainability-reporting-standards?fbclid=IwAR3dgtfhfIOT1UzesUYhKtMveSNm_MZE
12. <https://www.skadden.com/insights/publications/2023/01/qa-the-eu-corporate-sustainability-reporting-directive>
13. https://www.refinitiv.com/perspectives/regulation-risk-compliance/how-many-non-eu-companies-are-required-to-report-under-eu-sustainability-rules/?fbclid=IwAR1ZJyrrBEXkWoZnzNNhT9caSaemCKA7XialbDzyjw73Lyk_6Y2GtoPn1bw
14. <https://saras.gov.ge/en/News/Detail/2652>
15. [youtube.com/watch?v=_6r2j4Bggss](https://www.youtube.com/watch?v=_6r2j4Bggss)
16. https://www.saras.gov.ge/en/News/Detail/2508?fbclid=IwAR3_VUOqBo_vVdVNwC-ooUMN2u1we2sWdvpphQAQgduO_-qGGDWQZDdW_YO
17. <https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2576>
18. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=15>
19. <https://saras.gov.ge/en/News/Detail/2654/2654>

აგრარული ინოვაციური სისტემების როლი ქვეყნის სტრატეგიული განვითარების სისტემაში

პაატა კოლუაშვილი –

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

გივი თალაკვაძე –

ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე,
გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელი.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისა და აქტუალიზაციის საკითხები. 2012 წელს გაჩნდა რეალური პერსპექტივა, რომ ქვეყნის აგრარული პოლიტიკა უპირატესად ორიენტირებული იქნებოდა მცირე-მიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის (რომელიც რეგიონების მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს) სამეწარმეო განვითარებაზე. ეს იყო ერთადერთი

სწორი მიმართულება რეგიონებში სიღარიბის დაძლევის, მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის და გაძლიერებული მიგრაციის შეჩერების პროცესის განხორციელებისათვის.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ამ თემის სტრატეგიული ამოცანების როლი, გაანალიზებულია მიზნობრივი პროგრამების მნიშვნელობა, შესაძლებლობების კომპლექსური კვლევის და ცოდნით, ინოვაციურობით მიღწეული პროგრესი ადგილებზე როგორც დარგობრივი და ინფრასტრუქტურული, ასევე ზოგადად ეკონომიკური განვითარების საქმეში.

დღევანდელ მოცემულობაში საქართველოსთვის რეგიონალური ეკონომიკის განვითარება, დეცენტრალიზაცია, თვითმმართველობის გაძლიერება, სოფლის სტატუსის განსაზღვრა, მისი განვითარება უმნიშვნელოვანესი თემაა, და უდიდესი რესურსია ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის ინკლუზიური განვითარების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: აგრარული პოლიტიკა; სათემო კოოპერატივი; მართვა; მთიანი რეგიონი; კოოპერაციის მოდელი

THE ROLE OF AGRARIAN INNOVATIVE SYSTEMS IN THE COUNTRY'S STRATEGIC DEVELOPMENT SYSTEM

Paata Koguashvili –

Doctor of Economics, Chief Scientific officer of the Center for Productive Forces and Natural Resources at GTU named after I. Zhordania, Professor of Georgian Technical University

Givi Talakvadze –

Doctor of Physics and Mathematics, Head of the Center for Productive Forces and Natural Resources at GTU, Head of the Center for Applied Analytics and Forecasting

Abstract

The paper discusses the issues of development and actualization of agricultural cooperation in Georgia. In 2012, a real prospect emerged that the country's agrarian policy would be primarily focused on the entrepreneurial development of the small-land and low-income population (which represents the majority of the population of the regions). This was the only correct direction for the implementation of the process of overcoming poverty in the regions, creating decent living conditions for the population and stopping the intensified migration.

The paper defines the role of strategic tasks of this topic, analyzes the importance of targeted programs, complex research of possibilities and progress achieved by knowledge, innovation in the field both in the sectoral and infrastructural, as well as in general economic development. In today's situation, the development of the regional economy, decentralization, strengthening of self-government, determination of the status of the village, its development is the most important topic for Georgia, and it is the greatest resource for ensuring the inclusive development of the real sector of the country's economy.

Keywords: Agrarian policy; Community cooperative; Management; Mountainous region; Cooperation model.

ძირითადი ტექსტი

საქართველოსათვის არსებულ ისტორიულ პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ცვლილებები, რაც შექმნის რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის საშუალებას და უზრუნველყოფს განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირებას.

ქვეყანაში გატარებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2013 წლის შემდეგ, მაგრამ იგი არსებითად არ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე, რაც დაკავშირებულია ინკლუზიური განვითარების დაბალ დონესთან. ინკლუზიური განვითარების სტაგნაცია, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად გახდა საქართველოში სიღარიბის და მაღალი სოციალური პოლარიზაციის საფუძველი. ამიტომ აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომ მოხდეს დაბალგანვითარებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ინკლუზიური ფორმების გამოყენებით.

არაერთი წარმატებული ქვეყნის გამოცდილება მიგვითითებს, რომ მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე უკეთ შესაძლებელია კოოპერაციული სექტორის აქტიური მხარდაჭერით. ეს პროცესი პირდაპირ აისახება ქვეყნის რეგიონებში გასატარებელ რეფორმებზე, რაც კოოპერაციის მრავალმხრივი ფორმების გამოყენებით მოგვცემს მოსახლეობის მასიური დასაქმების და ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის საშუალებას [1].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შესწევთ უნარი, უზრუნველყონ ცხოვრების მაღალი სტანდარტები, მოსახლეობის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაზე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ასევე გააჩნია კრიზისების, შიმშილის და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა.

ეს სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის მაღალმთიანი სოფლების მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, რადგან იგი ზრდის მათ სამეწარმეო შესაძლებლობებს, აუმჯობესებს მარგინალური და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში და ქმნის საუკეთესო შესაძლებლობებს ახალგაზრდების ჩართულობისთვის ეკონომიკურ საქმიანობაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა ძირითადად ხორციელდება მცირე ფერმერების მიერ, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართული დამატებითი ღირებულების შექმნის, მოსავლის შემდგომი გადამამუშავებისა და ბაზრებთან ინტეგრირების პროცესებში [1]. ისინი ძირითადად ხასიათდებიან არაორგანიზებულობით და თითქმის არ აქვთ პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო როგორც აგრონომიული, ასევე ტექნიკური რეგლამენტების და სტანდარტების შესახებ ცოდნა. ამავ დროს, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, შემგროვებელ/შემნახველ, სამაცივრე და გადამამუშავებელ ინფრასტრუქტურაზე.

აუცილებელია განხორციელდეს მაღალმთიან რეგიონებში, კოოპერირების გზით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების, მესაქონლეობის განვითარების და მაღალპროდუქტიული ჯიშების შერჩევა-აპრობირების ხელშეწყობა პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის მხარდაჭერა, სადაც კოოპერატივის მეპაიეები დაინტერესებული იქნებიან არა მარტო, მაგალითად რძის, არამედ რძის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით. ასეთი ფორმით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება გამოიწვევს წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას და მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას [2].

სათემო კოოპერატივები მაღალმთიან რეგიონებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქვეყნის მთიანეთში ტერიტორიების მიხედვით შეიქმნას სპეციალური სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულები, რომელთა განკარგვაში (მუდმივ ფლობელობასა და სარგებლობაში) გადავა საძოვრებიდან და ტყის ფონდებიდან გენერირებული შემოსავლები. აღნიშნული სამეურნეო ერთეულების ფარგლებში, კოოპერაციულ საწყისებზე უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, კოოპერატივების ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის (პირველადი პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება, რეალიზაცია) ორგანიზებით.

ამ ტიპის ეკონომიკური ერთეულების მფლობელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ განსაზღვრულ არეალში. იჯარიდან ან სხვა სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები დემოკრატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ საერთო მიზნებისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ასეთი მიზნები შეიძლება იყოს განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და სხვ., რაც წინასწარ იქნება განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა **სათემო კოოპერატივებს** ენიჭება. მათი ჩამოყალიბება მოხდება ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, წარმოების სპეციალიზაციისა და საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო კოოპერატივები უზრუნველყოფენ კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია, რასაც მთის მოსახლეობის ინკლუზიურ (ყოველისმომცველ) სამეწარმეო განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება [2].

საქართველოს მთიანეთში არსებობს ბიოწარმოების უნიკალური შესაძლებლობები. ბუნებრივი საძოვრების რაციონალური გამოყენების საფუძველს ყველა ვერტიკალურ ზონაში წარმოადგენს პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი, ან მასთან მიახლოებული ძოვების სისტემის დანერგვა. ბუნებრივ საძოვრებზე ყველა სახის საკვების (მწვანე, წვნიანი, უხეში) წარმოების გადიდება, მათი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საფუძველია, რადგან მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების 65-75% სწორედ საკვების ხარჯებთანაა დაკავშირებული [2].

კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის ორგანიზება (პირუტყვის

საკვების, რძის და რძის პროდუქტების, მათ შორის ადგილწარმოშობის მიხედვით წარმოებული პროდუქციის: დამბალხაჭო, გუდის ყველი, ხორცის და ხორცის პროდუქტების, მატყლის და ტყავის წარმოება) უზრუნველყოფს სათიბ-საძოვრების რაციონალურ გამოყენებას, შეამცირებს პირუტყვის საკვების ხარჯებს და მნიშვნელოვნად გაზრდის მეპაიეთა შემოსავლებს.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური პრობლემების მოგვარება (რაც პირდაპირ კავშირშია გამძაფრებული სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასთან), სამწუხაროდ, ვერ შეძლო ვერც ერთმა მთავრობამ, რაც მნიშვნელოვანწილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზი.

ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კატეგორიულად განისაზღვროს: **არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალობის პრობლემას, მთავარ გამოწვევას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცემულობას.** წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო აქტივობების ქმედითუნარიანობა ყოველთვის საფრთხის წინაშე იქნება დაყენებული, რაც არაერთხელ დაადასტურა პრაქტიკამ [1], [2]. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილება, მხარდაჭერა და მათი შრომის სტიმულირება, მათ შორის აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება საზოგადოების სასურსათო უსაფრთხოების მიზნით.

მაღალმთიანი კავკასიონის ზემოაღნიშნული მოდელი შეიძლება გავრცელდეს ყველა თემსა და სოფელზე სოფლისა და სოფლის მეწარმის სტატუსის (სოფელი როგორც ტერიტორიული ერთეული/სასიცოცხლო არეალი) განსაზღვრის შემდეგ, რაც გულისხმობს სოფლის ტერიტორიულ ფარგლებში არსებული სახელმწიფო საკუთრების მიწის, ტყის, საძოვრის, წყლის, მინერალური რესურსების მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში თემებისათვის გადაცემას.

აღნიშნული მოდელის სწორად ორგანიზების შემთხვევაში მიღებული შემოსავლები შეიძლება იმდენად დიდი აღმოჩნდეს, რომ დედაქალაქიდან, საქართველოს სხვა ადგილებიდან და უცხოეთიდანაც კი, ბევრი ადამიანი დაუბრუნდეს მშობლიურ კუთხეს. სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ფინანსური დანახარჯებისა და ქვეყნის შიდა ტერიტორიული მოწყობის ცვლილებების გარეშე გადაიჭრება მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორებთან დაკავშირებული ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხები. აქ მაცხოვრებელი ადამიანები ერთდროულად შეასრულებენ ქვეყნის დარაჯის, მესაზღვრისა და მეურნის ფუნქციებს [1], [4].

რეკომენდაციები კოოპერაციის მოდელის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

- კოოპერაციაზე დაფუძნებული ეფექტიანი საზღვარგარეთული მოდელების ადაპტირება ქართულ რეალობასთან, მათ შორის სოფლებში/თემებში წარმოებული პროდუქციის ბრენდირების ხელშეწყობა ადგილწარმოშობის პრინციპის მიხედვით, რათა სრულად იქნას გამოყენებული ადგილობრივი ბუნებრივი, ადამიანური, ისტორიული რესურსები ისეთი პროდუქტების, ან მომსახურების იდენტიფიცირებისა და განვითარების

რებისათვის, რაც უნიკალურია კონკრეტული სოფლისა/თემისა, თუ გეოგრაფიული ზონისთვის [3];

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში უპირატესობა სათემო კოოპერატივებს უნდა მიენიჭოს. მათი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიული გავრცელების ფარგლებში, პრინციპით: „ერთი სოფელი (თემი) – ერთი კოოპერატივი“, წარმოების სპეციალიზაციისა და საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით;

- ტერიტორიული ნიშნით შექმნილი სასოფლო (სათემო) კოოპერატივები, ნედლეულის გადამამუშავებელმა საწარმოებმა უნდა შექმნან კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობები, სადაც შესაძლებელი გახდება ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია. მითუმეტეს, რომ სათემო ტრადიციები, მათ შორის საწარმოო ურთიერთობები, ოდითგანვე გავრცელებული იყო საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში.

- სოფლის (თემის) სარგებლობის მიწები (საძოვარი, სათიბი, წყლის და ტყის ფონდი, ადგილობრივი სხვა ბუნებრივი რესურსი, საერთო სარგებლობის სამეურნეო, თუ კომუნალური ინფრასტრუქტურა და სხვა) უნდა დაუბრუნდეს სოფელს (თემს) უვადო სარგებლობაში;

- სოფლის (თემის) დაუკითხავად შეუძლებელი უნდა იყოს „თავიანთი“ მიწის, სამართლიანი და ეფექტიანი განკარგვა სასოფლო-სამეურნეო, თუ სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობისთვის, რითაც თავად სოფელი (თემი) გახდება საკუთარი განვითარებამოდერნიზაციაზე პასუხისმგებელი;

- სოფლის (თემის), როგორც სრულფასოვანი სამართალსუბიექტის სტატუსის აღდგენა შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით [2];

- თითოეულ მუნიციპალიტეტს (სოფელს, თემს) უნდა ჰქონდეს თავისი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური (მდგრადი) განვითარების სტრატეგია და საკუთარი საინვესტიციო ფონდი, შექმნილი როგორც შიდა, ასევე გარედან მოზიდული სახსრებით [2].

ეკონომიკური საქმიანობის კოოპერაციული ფორმის აღმოცენება განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნებით. კოოპერაციული ურთიერთობების ინტენსიური განვითარება დაიწყო მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან და განპირობებული იყო განვითარებულ ფულად-სასაქონლო ურთიერთობების გზაზე მდგარი ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო სისტემისა და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების სასაქონლო ბაზრებთან, განვითარებულ წარმოების საშუალებებთან და საკრედიტო რესურსებთან სტაბილური კავშირების დამყარების აუცილებლობით.

კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმების და გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოოპერაცია უაღრესად დიდ როლს თამაშობს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხებში [3], [6].

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს. ამიტომ ამ ქვეყნებში კოოპერაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში

სახელმწიფოს მორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმწიფოებში საზოგადოებას და ხელისუფლებას ადექვატურად ქონდათ გააზრებული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერატივების უმნიშვნელოვანესი მისია [5].

ევროპის ქვეყნებში კოოპერაციის აქტიური მხარდაჭერით გაიზარდა წარმოების მასშტაბები იმდენად, რომ შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჭარბწარმოების პრობლემა. ამიტომ ბოლო წლებში განხორციელდა სახელმწიფო დაფინანსების პრინციპების გარკვეული ცვლილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ კოოპერატივები ძირითადად იღებენ მიზნობრივ ფინანსურ დახმარებას და შეღავათიან კრედიტებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისათვის [6], [7].

გარდა ევროპის ქვეყნებისა, კოოპერაციული სისტემების განვითარების მდიდარი გამოცდილება არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ისრაელში და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში [6], [8].

მაგალითად, იაპონიაში კოოპერაციულმა სისტემამ გამოავლინა განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა. 1947 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ კანონის მიღების შედეგად და იაპონიის იმპერატორის განკარგულებით, სოფლის მთელი მოსახლეობა ავტომატურად ჩართული აღმოჩნდა კოოპერაციულ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც მთავრობამ მოახდინა ახალი აგრარული პოლიტიკის გატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიმდინარე პერიოდში იაპონელი ფერმერების 91% გაწევრიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

იაპონიაში მოქმედებს განყენებული სამართლებრივი რეგულაციები სხვადასხვა სახის კოოპერატივებისათვის. ამ მოდელის საფუძველს წარმოადგენს დიფერენცირებული ნორმატიული აქტები კოოპერატივების ტიპებისა და დარგობრივი კუთვნილების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებულია სამართლებრივი რეგულაციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის [8].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს წარმოადგენენ ფერმერთა გაერთიანებები, რომლებიც შექმნილია წარმოების, მარკეტინგის, საწარმოო საშუალებების შესყიდვის, კონსულტაციების გაწევის, საკრედიტო და სადაზღვევო მიზნებისთვის. სამომხმარებლო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულაციები მოცემულია იაპონიის კანონში „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ (1948 წ.) [8].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოლუაშვილი, დ. მამუკელაშვილი – აგროკოოპერატიული პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალურისაკითხი, ჟურნალი „ეკონომიკა“, N12, 2018 წ;
2. პ. კოლუაშვილი, გ. თალაკვაძე – დავუბრუნოთ საქართველოს მთიანეთს მისი ბუნებრივი ფუნქცია, ჟურნალი „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, N1(2), 2022 წ.
3. დ. მამუკელაშვილი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ევროპის ქვეყნებში, Agronews.ge, 06.02.2019;
4. გ. თალაკვაძე – „30 წელი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე“, „ნეკერი“, 2020 წ.
5. იტალიის კონსტიტუცია, მუხლი 45, 1948 წ;
6. სოფლის განვითარება ევროპაში – 1970 წლიდან დღევანდლამდე. ელექტრონული სახელმძღვანელო (რედაქტორი და მთარგმნელი პროფ. პ. კოლუაშვილი). სტუ, 2015 წ.

7. დ. მამუკელაშვილი – ესპანეთი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ევოლუცია, რეგულაცია და მხარდაჭერა, Agronews.ge, 08.02.2019;
8. Agricultural Cooperative Law of Japan - 1947.

ინოვაციური და შემოქმედებითი სტარტაპები ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში

ელისო გველესიანი -
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; eliso.gvelesiani@atsu.edu.ge T: 577444842

დარეჯან ჯინჭარაძე -
 საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
 Khatun_jincharadze@ssu.edu.ge T: 599580394

აბსტრაქტი

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორს უფრო და უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურ ზრდაში მთელი მსოფლიოს მამულებით და ასევე წარმოადგენს დასაქმების ძირითად წყაროს განვითარებად ქვეყნებსა და რეგიონებში. გამომდინარე აქედან ტურიზმის სტრატეგიული განვითარების მართვის საკითხი დღითიდღე უფრო მეტ აქტუალურობას იძენს.

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ბიზნესის მნიშვნელოვანი მახასიათებელია სტუმრების ყოველდღიური მოთხოვნილებების მაქსიმალურად სრულად დაკმაყოფილების სურვილი. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ახალი ტექნოლოგიები სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში უფრო ადრე გამოიყენება, ვიდრე ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო სფეროში. ტურისტულ ინდუსტრიაში არსებობს ინოვაციური საქმიანობის რამდენიმე მიმართულება: ტურისტებისთვის და სასტუმროს მენეჯმენტისთვის ახალი პროგრამული პროდუქტების შემუშავება; ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების დანერგვა სასტუმროების მშენებლობაში ან გაფორმებაში; თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება ოთახის მომსახურებაში და ა.შ.

ნებისმიერი ინოვაციის დანერგვის საბოლოო მიზანი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდაა. ეს მიდგომა მუშაობს ნებისმიერი ინდუსტრიისთვის, მათ შორის ტურიზმის ინდუსტრიისთვისაც. სასტუმრო ბიზნესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს მომსახურების მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას და მისი მიზანია:

1. ოთახების დაჯავშნა და სასტუმროში ყოფნა უფრო კომფორტული გახადოს; გაზარდოს სტუმრების ლოიალობა და გადაიყვანოს ისინი რეგულარულ კლიენტთა კატეგორიაში;
2. ტურისტების ყურადღების მიპყრობა, ინტერესის გაღვივება, რითაც იზრდება სასტუმროს ნომრების გაყიდვები;
3. სასტუმროს მენეჯმენტის გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ხარჯების შემცირებას;
4. სასტუმროს შენახვისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების შემცირება.

ჩვენი ნაშრომის მიზანია: უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ბრენდული სასტუმროების გამოცდილებაზე დაყრდნობით ინოვაციური და შემოქმედებითი სტატეგიების შემუშავება და დანერგვა საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში, რაც დაგვეხმარება ტურისტული ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტურისტული პროდუქტის შექმნაში, მაღალი ხარისხის სერვისის შემუშავებაში, მეტი მაღალგადახდისუნარიანი საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვაში და ამ ვიზიტებიდან მიღებული შემოსავლების ზრდაში.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია, ინოვაციური სტრატეგიები, თანამედროვე ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანობა.

INNOVATIVE AND CREATIVE STRATEGIES IN THE TOURISM AND HOSPITALITY INDUSTRY

Eliso Gvelesiani –

Academic Doctor of Economics Tsereteli State University Associate Professor.
eliso.gvelesiani@atsu.edu.ge T: 577444842

Darejan Jintcharadze

- Georgian Aviation University.
Khatun_jincharadze@ssu.edu.ge T: 599580394

Abstract

Tourism and hospitality sector is an increasingly important contributor to real GDP growth worldwide and is also a major source of employment in the developing countries and regions. Therefore, the issue of managing strategic development of tourism is becoming more relevant day by day.

An important feature of the tourism and hospitality business is the desire to satisfy the guests' daily needs as fully as possible. Therefore, in many cases, new technologies were adopted in the hospitality industry earlier than in the general household sector. There are several areas of innovative activity in the tourism industry: development of new software products for tourists and hotel management; introduction of new technologies and materials in the construction or furnishing the hotels; Use of modern technical equipment in room service, etc.

The ultimate goal of introducing any innovation is to increase the business competitiveness. This approach is true to any industry, tourism industry among them. The use of modern technologies in the hotel business ensures an increase of customer satisfaction and its purpose is:

1. To make room reservation and hotel stay more comfortable; increase the loyalty of guests and move them to the category of regular clients;
2. Attracting the attention of tourists, arousing interest, thereby increasing the sales of hotel rooms;
3. Improvement of hotel management, which facilitates improving service quality and reducing costs;
4. Reduction of costs necessary for the maintenance and operation of the hotel.

The purpose of our study is to develop and implement innovative and creative strategies in the tourism and hospitality industry of Georgia based on the experience of branded hotels in the developed countries, which will help us create a tourist product that meets the requirements of the tourist market, develop high-quality service, attract more high-paying international visitors and increase the income from such visits.

Key words: tourism, hospitality industry, innovative strategies, modern technologies, competitiveness.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორს უფრო და უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურ ზრდაში მთელი მსოფლიოს მაშტაბით და ასევე წარმოადგენს დასაქმების ძირითად წყაროს განვითარებად ქვეყნებსა და რეგიონებში. გამომდინარე აქედან ტურიზმის სტრატეგიული განვითარების მართვის საკითხი დღითიდღე უფრო მეტ აქტუალურობას იძენს.

სასტუმროს ბიზნესის მნიშვნელოვანი მახასიათებელია სტუმრების ყოველდღიური მოთხოვნილებების მაქსიმალურად სრულად დაკმაყოფილების სურვილი. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში ახალი ტექნოლოგიები სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში უფრო ადრე გამოიყენება, ვიდრე ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო სფეროში. არსებობს ინოვაციური საქმიანობის რამდენიმე მიმართულება: ტურისტებისთვის და სასტუმროს მენეჯმენტისთვის ახალი პროგრამული პროდუქტების შემუშავება, ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების დანერგვა სასტუმროების მშენებლობაში ან გაფორმებაში, თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება ოთახის მომსახურებაში და ა.შ.

ნებისმიერი ინოვაციის დანერგვის საბოლოო მიზანი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდაა. ეს მიდგომა მუშაობს ნებისმიერი ინდუსტრიისთვის, მათ შორის სასტუმროს ინდუსტრიისთვისაც. სასტუმრო ბიზნესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს მოსახურების მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას და მისი მიზანია:

1. ოთახების დაჯავშნა და სასტუმროში ყოფნა უფრო კომფორტული გახადოს; გაზარდოს სტუმრების ლოიალობა და გადაიყვანოს ისინი რეგულარულ კლიენტთა კატეგორიაში;
2. ტურისტების ყურადღების მიპყრობა, ინტერესის გაღვივება, რითაც იზრდება სასტუმროს ნომრების გაყიდვები;
3. სასტუმროს მენეჯმენტის გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ხარჯების შემცირებას;
4. სასტუმროს შენახვისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების შემცირება.

რა თქმა უნდა, რაიმე ინოვაციის დანერგვამდე აუცილებელია ხარჯების გულდასმით გამოთვლა და იმის პროგნოზირება, თუ როგორ იმოქმედებს ინოვაცია არსებული სასტუმრო „მექანიზმის“ საქმიანობაზე. მაგრამ წამყვანი უცხოური კომპანიების გამოცდილება აჩვენებს, რომ ყველაზე უჩვეულო ტექნოლოგიებიც კი შეიძლება იყოს მომგებიანი და გაზარდოს შემოსავლები.

სასტუმროს ინოვაციების არაჩვეულებრივი მაგალითია „ჭკვიანი ნომერი.“ ყველაზე ცნობილი საერთაშორისო სასტუმროების ქსელები „Marriott“ და „Hilton“ რამდენიმე

წელია გასაღებების ან პლასტიკური ბარათების ნაცვლად მობილური ტელეფონის აპლიკაციებს იყენებენ. სტუმარს სჭირდება მხოლოდ აპლიკაციის დაინსტალირება თავის ტელეფონზე, რათა ჰქონდეს შეუფერხებელი წვდომა თავის ოთახში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს სისტემა ძალიან მოსახერხებელია, რადგან ათავისუფლებს სტუმრებს გასაღების უსაფრთხოებაზე ფიქრისგან და ზრდის ოთახების უსაფრთხოების დონეს.

დისტანციური მართვის ტექნოლოგიები არანაკლებ მოსახერხებელია სასტუმროს ნომრებისთვის. აპლიკაციის გამოყენებით შეგიძლიათ გააღოთ ფარდები, დაარეგულიროთ განათება, მართოთ კონდიციონერი, ტელევიზორი, ყავის აპარატი და სხვა მოწყობილობები ელექტრონული ჩიპებით. მაგალითად, FourSeasons-ის სასტუმროებში, ამ მიზნით, ოთახებში არის სპეციალური ტაბლეტები, რომლებზეც დამონტაჟებულია საკონტროლო აპლიკაცია.

ორიგინალური იდეა, რომელიც უკვე განხორციელდა ერთ-ერთ სასტუმროში, არის „ჭკვიანი“ სარკე, რომლის ზედაპირიც სენსორული ეკრანია. ის აჩვენებს ამინდის მონაცემებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მოითხოვოს სტუმარმა. თუმცა, Amazon გთავაზობთ უფრო მარტივ და ეფექტურ გადაწყვეტას: ჭკვიანი დინამიკები სპეციალურად მოდიფიცირებული სასტუმროებში გამოსაყენებლად ხმოვანი ასისტენტით, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილ ინფორმაციას აუდიო ფორმატში.

თანამედროვე ადამიანები ბევრად უფრო ყურადღებიანი არიან თავიანთ ჯანმრთელობისა და ფიზიკურ მომზადებების მიმართ, ვიდრე ჩვენი წინაპრები. დღეს მოდურია იყო ჯანმრთელი და კარგად გამოიყურებოდე. სასტუმროს ინდუსტრიაში ინოვაციების დანერგვის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეს არის. მაგალითად, „Four Seasons“ ქსელის ზოგიერთი სასტუმრო გთავაზობთ "ჯანმრთელობის ოთახების" მომსახურებას. ეს არის ოთახები, რომლებიც აღჭურვილია მაღალეფექტური ჰაერის ფილტრაციის სისტემით, რომელიც იჭერს არა მხოლოდ მტვერს, არამედ ბაქტერიებს, მტვერს და სხვა ალერგენებს. შხაპს აქვს ჩაშენებული მაღალი ხარისხის ფილტრები, რომლებიც აშორებენ ქლორის მოლეკულებს და სხვა ტოქსიკურ ნივთიერებებს. განათება იცვლება ცირკადული რიტმების მიხედვით, რაც აუმჯობესებს ღამის ძილს და ეხმარება ადამიანებს უფრო სწრაფად მოერგოს საათობრივი სარტყელის ცვალებადობას.

„ჰილტონის“ სასტუმროები სტუმრებს სთავაზობენ უნიკალურ გამაჯანსაღებელ პროგრამებს, რომლებიც დაფუძნებულია სამედიცინო მიღწევებზე: კრიოთერაპია, მაგნიტოთერაპია, ინტერვალური ვარჯიში და ა.შ. ფიზიკური თერაპიის გარდა, სტრესის შესამცირებლად და კოგნიტური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ სხვადასხვა პროგრამებით.

ინოვაციური ტექნოლოგიების გარდა სასტუმროებისთვის თავის წარმოჩენისა და კონკურენტუნარიანობის მოპოვების ეფექტური საშუალება შემოქმედებითი ანუ კრიატიული სტრატეგიის შემუშავება-დანერგვაც არის. სერვისში საშემსრულებლო ხელოვნების ელემენტების დანერგვა ეხმარება სასტუმროებს მომხმარებლისთვის უნიკალური სენსორული გამოცდილების შექმნაში, რაც სულიერი საზრდოს მაძიებელ ტურისტებს იზიდავს. მსგავსი გამოცდილება საშუალებას აძლევს უცხოელ მოგზაურებს უკეთ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას.

მომხმარებლების ტურისტული ინტერესის დასაკმაყოფილებლად, საერთაშორისო სასტუმროები, ადგილობრივი კულტურის ადაფტირებასა და მომსახურების პრაქტიკაში

ინტეგრირებას ცდილობენ. ისინი იყენებენ ბუნების, ხელოვნების, წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებების სხვადასხვა ელემენტს. თუმცა, ყველა სასტუმრო ვერ ახერხებს მომხარებლისთვის მიმზიდველი შემოქმედებითი სერვისის შექმნას. მთავარი დაბრკოლება შემოქმედებითი სერვისისა და აქტივობების დაგეგმვისას წარუმატებლობის მაღალი რისკი და დიდი დანახარჯებია. შემოქმედებითი სერვისის შექმნის მსურველ ხელმძღვანელებს შეუძლიათ ინვესტიცია დასაქმებულთა სამემსრულებლო უნარების განვითარებისკენ მიმართონ. ეს ხელს შეუწყობს მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკის დანერგვას. **მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკა** – ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაა, რომელიც კომპანიაში მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად თანამშრომლების მოტივაციის, ჩართულობის დონისა და შანსების გაზრდას გულისხმობს [ტანგი და ტანგი, 2012]. ეს მიდგომა ზრდის იმის ალბათობას, რომ თანამშრომლები მეტი ენთუზიაზმით ჩაერთვებიან შემოქმედებითი სერვისის შექმნის მცდელობებში და შეამცირებენ მისი დანერგვისთვის საჭირო ხარჯებს.

დასაქმებულები ეხმარებიან სასტუმროებს, მომხმარებლის დაკვეთის შესაბამისი, ინოვაციური სერვისის შექმნასა და დანერგვაში. იმის მიუხედავად, რომ დასაქმებულების უნარების გამოყენებას, შემოქმედებითი მომსახურების შექმნისას, ხშირად წარმატება მოაქვს, მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკა კარგად შესწავლილი მანაც არ არის.

შემოქმედება ადამიანისთვის სულიერი და ინდივიდუალური მახასიათებლების გამოვლენის, გრძნობების გადმოცემისა და კულტურის ავთენტური ბუნების აღქმის მედიუმია. თუმცა, იგი სერვისის პროდუქტების ლოკალიზაციისა და გლობალიზაციის გასაღებიც შეიძლება გახდეს. მომსახურების შემოქმედებითი სტრატეგიები ხაზს უსვამს პროდუქტის უნიკალურობას და აძლიერებს მიღებული გამოცდილების ღირებულებას, რაც კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში გვეხმარება, რომელიც სასტუმროებს ახალი ბაზრის ასათვისებლად სჭირდებათ.

მომხმარებლებს, სერვისის საშუალებით, ემოციური გამოცდილების მიღება სურთ. მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს და პერფორმანსებსა თუ შემოქმედებით სერვისში პასიურ ჩართულობას. ამ გზით ისინი სტრესის შემსუბუქებასა და დადებითი ემოციების მიღებას ცდილობენ უნიკალური გამოცდილების შექმნისთვის მხოლოდ სწორი ხედვა და დაგეგმვა საკმარისი არ არის, ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ ადგილობრივი კულტურა და ხელოვნება. საერთაშორისო სასტუმროებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ლოკალური კულტურული ელემენტები ოპერატიული სტრატეგიის ფორმულირების ეტაპზე. ექსპერიმენტული აქტივობების დანერგვით ინტერნაციონალურ სასტუმროებს შეუძლიათ მოიზიდონ ადამიანები, რომლებსაც მსგავსი გამოცდილების მიღება სურთ.

წარსულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ კულტურული რესურსების ათვისება და შემოქმედებითი კლიმატის შექმნა, მდგრად კონკურენტულ უპირატესობას იძლევა და დადებით გავლენას ახდენს სასტუმროს ეფექტურობაზე [მაქელიარი და სხვები, 2008]. შემოქმედებითი სერვისის წამრატებაში დიდ როლს ასრულებს ფიზიკური გარემო (სასტუმროს შენობა და ინტერიერი), რომელიც მომხმარებელთან ემოციური კავშირის დამყარებას უწყობდეს ხელს. კვლევებით დასტურდება, რომ ავთენტურ, კულტურულ ელემენტებს მომხმარებლის ემოციური რეაქციის გამოწვევა შეუძლია.

გარდა ამისა, ადგილობრივი არქიტექტურის, ხელსაქმისა და ტრადიციების გაცნობა საშუალებას აძლევს მომხმარებელს გამოსცადოს განსხვავებული ცხოვრების სტილი. მომხმარებელზე ორიენტირებული სასტუმრო გამდიდრებული უნდა იყოს ავთენტური, ლოკალური კულტურული კონტენტით, რომელიც ადამიანში დადებით ემოციებს აღძრავს.

ზემოთმოცემული განმარტების მიხედვით, მაღალეფექტური ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა გულისხმობს დასაქმებულთათვის ინდივიდუალური, კომპლემენტარული და ურთიერთდამხმარე ადამიანური რესურსების აქტივობების შეთავაზებას, რაც უზიძგებს მათ სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. მაღალეფექტური ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა (რომელიც მოიცავს კადრების მოძიებას, მომზადებას, შრომისუნარიანობის გაუმჯობესებას, დაჯილდოებას, თანამონაწილეობასა და უფლებების გაფართოებას) საშუალებას აძლევს სერვისის თანამშრომლებს დახვეწონ მომსახურების ხარისხი, აიმაღლონ მოტივაცია და გამოიყენონ შემოქმედებითობა სასტუმროს ოპერატიული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. კადრები, რომლებიც სასტუმროს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, რაც გულისხმობს შემოქმედებითი უნარების გამოყენებასა და სამუშაოს შესასრულებლად სწორი დამოკიდებულების ქონას, გაივლიან სელექციურ წვრთნას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გაიუმჯობესონ შემოქმედებითი უნარები და გაიღრმავონ ცოდნა, რაც დაეხმარება სასტუმროს სერვისის ეფექტურ კონტროლში.

ამრიგად, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში ინოვაციური და შემოქმედებითი სტრატეგიების დანერგვა გვეხმარება ბიზნესის სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტურისტული პროდუქტის შექმნაში, მაღალი ხარისხის სერვისის შემუშავებაში. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მოქნილი გარემო, როგორც სტუმრებისთვის, რომელთა მიზანია დაუვიწყარი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების მიღება, ასევე ტურისტულ ბიზნესში ჩართული მომსახურე პერსონალისთვის, რათა მათ ჰქონდეთ მოტივაცია გამოიჩინონ მეტი ძალისხმევა და ჩაერთონ შემოქმედებით აქტივობებში. ყოველივე ეს კი გაამარტივებს მათი ინოვაციურ სერვისებთან ადაფტირების პროცესს. შედეგად, სერვისის თანამშრომლები წარმატებით გააართმევენ თავს სამუშაოს დაგეგვას, მასში ინოვაციური ცვლილებების შეტანას, რაც გამოიწვევს ტურისტული ორგანიზაციის ოპერატიული და ფინანსური ეფექტურობის ზრდა-განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი:

- ე. გველესიანი – ელექტრონული სალექციო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში“.
- <https://cisplus.world/strategiya-razvitiya-turizma-i-gostepriimstva-kak-osnovaturisticheskogo-sotrudnichestva/>
- <https://hospitalityinsights.ehl.edu/hospitality-innovation-strategy-in-practice>
- <https://hospitalityinsights.ehl.edu/future-innovation-hospitality>
- <https://www.semanticscholar.org/paper/The-key-aspects-of-innovation-oriented-regional-and-Gvelesiani-Gvelesiani/cfaf204b8281216a6d31606ee970ffd549871fa5>

ინოვაციური ბიზნეს იდეები ტურიზმის სექტორში

ირმა მოლაშხია –

ეკონომიკის დოქტორი, აფ ასოც. პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
+995 597 11 52 21; molashkhairma@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება ახალი ბიზნეს იდეების: მწვანე ენერჯისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გავრცელების დაჩქარებას ტურიზმის სექტორში საქართველოში, რომელიც ემსახურება სასტუმროების პოპულარიზაციასა და კლიმატის გაუმჯობესებას ქვეყანაში. ნაშრომში აღნიშნულია, რომ კონკურენტული უპირატესობების მოპოვების მიზნით ინოვაციური ბიზნეს იდეების დანერგვას დიდი როლი ენიჭება კომფორტული სასტუმროების დაპროექტებაში, ენერგო რესურსების ხარჯების შემცირებასა და სასტუმროებისათვის უზარმაზარი მოგების მოტანაში. ასევე მითითებულია, რომ საპილოტე პროექტების – ენერგოეფექტური და მწვანე ენერჯის.

ტექნოლოგიების დაინსტალირება ხორციელდება დონორი ორგანიზაციების თანა-დაფინანსებით. პრიორიტეტული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით, იკვეთება მათი ადრეული დანერგვის გზები საქართველოში სტუმართმასპინძლობის სექტორში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ბიზნეს იდეები, საპილოტე პროექტები, ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, მწვანე ენერჯის ტექნოლოგიები, დონორი ორგანიზაციები.

INNOVATIVE BUSINESS IDEAS IN THE TOURISM SECTOR

Irma Molashkhia –

Doctor of Economics, Aff. Assoc. Professor,
Tbilisi Humanitarian Teaching University,
+995 597 11 52 21; molashkhairma@gmail.com

Abstract

The work is dedicated to accelerating the spread of new business ideas: green energy and energy efficient technologies in tourism in Georgia, which serves to promote hotels and improve the climate in the country. The paper notes that the implementation of innovative business ideas in order to obtain competitive advantages plays a big role in designing comfortable hotels, reducing energy costs and making huge profits for hotels. It is indicated that the implementation of pilot projects – the installation of energy efficient and green energy technologies is carried out with the co-financing of donor organizations. Based on the results of a study of the market for priority energy efficient technologies in Georgia, ways are outlined for their rapid introduction in the hotel sector.

Key words: Innovative business ideas, pilot projects, energy efficient technologies, green energy technologies, donor organizations.

შესავალი (აქტუალობა)

დღეს მსოფლიო ცდილობს გადავიდეს სუფთა ენერჯის ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომელიც ფოკუსირებული იქნება ენერჯის კონკრეტული წყაროების: ქარის, მზის, გეოთერმული და ზოგჯერ ჰიდროენერგეტიკული განახლებადი ენერჯის გამოყენებაზე. საქართველოს არ გააჩნია ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგები, თუმცა ქვეყანა არის ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციის მატარებელი. საქართველო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების საკითხებს. თანამედროვე მსოფლიო გამოწვევების შესაბამისად, პრიორიტეტულია ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების და ენერგეტიკული ბაზრების განვითარება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მწვანე სუფთა ენერჯის მიღებაში დიდ ინვესტიციებს აქტიურად ახორციელებენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, როგორცაა: ჩინეთი (ჩინური პროექტი – „ხელოვნური მზე“ იგივე Experimental Advanced Superconducting Tokamak (EAST) 2006 წლიდან იღებს სათავეს და მისი საბოლოო მიზანი სუფთა, დიფუზიური ენერჯის მიღებაა), ნორვეგია (ჰიდროელექტროსადგურებში წარმოებული ელექტროენერჯის წილი 96%-ზე მეტია)², დანია (ქარის ენერჯის წილი 2021 წელს 43.8% შეადგინა)³, გერმანია (მზის ენერჯის დანერგვის ლიდერი ქვეყანა გახდა)⁴, შვედეთი (ჰიდროენერჯის, მზის და ბიომასის ენერჯის იყენებს ელექტრო ენერჯის წარმოებაში), კოსტა-რიკა (ქვეყნის ელექტროენერჯის 98% ჰიდროენერჯის, ქარის და მზის ენერჯის გამოყენებით აწარმოებს)⁵.

საქართველოს მიხედვად იმისა, რომ განახლებადი ენერჯის, პირველ რიგში, ჰიდრორესურსის, ქარისა და მზის საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, ამ ათეულში არ ხვდება, ვინაიდან ენერჯის წყაროები ნაკლებადაა ათვისებული. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების თანახმად, 2021 წელს საქართველოში წარმოებული ელექტროენერჯის 75%-ზე მეტი ჰიდროენერჯიაზე მოდიოდა, ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის ჰიდრორესურსების მხოლოდ 20% ათვისებული ჰიდროელექტროგენერაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, განახლებადი ენერჯის გამოყენების პოტენციალის ზრდა, რაც ამჟამად განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი განახლებადი ენერჯის 202 პროექტის (153 ჰიდრო, 18 ქარი და 31 მზის ელექტროსადგური) განხორციელებაზე დამოკიდებული.⁶

დღეს ტურიზმი ეკონომიკის ყველაზე მზარდი სექტორია. მისი განვითარება სტუმარმასპინძლობის სექტორში მწვანე ენერჯისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარებაზე დიდადაა დამოკიდებული.

ჩვენი კვლევის მიზანია საპილოტო პროექტი „მწვანე ენერჯის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გავრცელების დაჩქარება ტურიზმის სექტორში“, რომელიც IKI -ის მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის (IKI) ნაწილია. დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკისა და კლიმატის ცვლილების ფედერალური სამინისტროსა (BMWK) და ფედერალური საგარეო საქმეთა ოფისის (AA) მიერ და მას ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). პროექტის სამიზნე რეგიონებია, აჭარა და მცხეთა-მთიანეთი, კერძოდ კი მცხეთის, ყაზბეგის, ქობულეთის, ხევჩაურის და ბათუმის მუნიციპალიტეტში განლაგებული მცირე და საშუალო ზომის სასტუმროები, რაც

დაეხმარება მათ ენერგოეფექტური მიდგომების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და ტექნოლოგიების დანერგვაში.⁷

კვლევებით ასევე დასტურდება, რომ მზის 500 კილოვატიანი ენერგოსადგურით ელექტრო ენერჯის 40%-იან ეკონომიის მიღება შეიძლება, ხოლო უკუგების პერიოდი 5 წლით განისაზღვრება, ანუ ამ პროექტში ჩადებული თანხა – 300 000 აშშ დოლარი სრულად დაიფარება და შემდგომ პერიოდში დიდ მოგებას მოუტანს სასტუმროებს.

ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის და სახელმწიფოს ჩართულობა და აქტიურობა განახლებადი ენერჯის რესურსის ბოლომდე და სწორად ათვისებაში. საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკიდან გამომდინარე განახლებადი ენერჯის წილი ენერჯის საბოლოო მოხმარებაში შემდეგი დინამიკით განისაზღვრება: (იხ.ცხრილი1.)⁸

ცხრილი 1. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის 2030 წლის ეროვნული მიზნები და ტრაექტორია 2050 წლამდე

პარამეტრები	2019	2030	2040	2050
ენერჯის საბოლოო მოხმარება (ტჯ)	182,338	223,227	265,390	315,103
განახლებადი ენერჯის წყაროები (ტჯ)	37,407	50,023	64,866	87,164
განახლებადი ენერჯის წილი	20.52%	22.41%	24.44%	27.66%

წყარო: file:///C:/Users/user/Desktop/sakartvelos_sakhelmtsifos_energetikuli_politika.pdf

უნდა აღნიშნოს, რომ მხოლოდ ენერგოეფექტური პროექტების დანერგვითაა შესაძლებელი გაუმკლავდეთ გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევებს, რაც მოითხოვს ამ კუთხით საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, საკანონმდებლო ცვლილებებს და შეღავათების დაწესებას იმ კომპანიებისათვის, რომლებიც გადაწყვეტენ დანერგონ ინოვაციები განახლებადი ენერჯის გამოყენებით. ასევე მნიშვნელოვანია საჭიროა ინვესტირება კადრების მომზადებაში, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მწვანე ენერჯის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით.

საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციის (GREDA) ინფორმაციით, ისინი საქართველოს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას, მის პოპულარიზაციასა და განახლებადი ენერჯის სექტორში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში, საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრისთვის კონკურენტული და სამართლიანი წესების შემუშავებასა და სფეროს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში ხედავენ.⁹ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, GREDA აქტიურად თანამშრომლობს როგორც პროფილურ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან.

დასკვნა

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, განახლებად ენერჯიებზე მოთხოვნა მზარდია. ჩვენს ქვეყანას განახლებადი რესურსების დიდი პოტენციალი

გააჩნია, რომლის სრულად ათვისების შემთხვევაში, შესაძლოა საქართველო განახლებადი ენერჯის მთავარ ექსპორტიორ ქვეყნად იქცეს.

ვფიქრობ, რომ ტურიზმის სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესის ენერგოეფექტურ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები დადებით შედეგებს გამოიღებს: შეამცირებს გარემოზე მავნე ზეგავლენას, მოახდენს ნახშირორჟანგის გაფრქვევის მინიმიზაციას, ხელს შეუწობს „მწვანე შენობის“ ტიპის სასტუმროების კუთვნილ სივრცეში ეკომეგობრული გარემო შექმნას, შეამცირებს მიმდინარე კომუნალურ ხარჯებს, გაზრდის მარკეტინგის შესაძლებლობებს, გახადოს ასეთი ტიპის სასტუმროები უფრო პოპულარული. მაგალითად, ჩინეთში ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ მისი მოსახლეობის 50%-ზე მეტი „მწვანე შენობის“ ტიპის სასტუმროებს აირჩევდა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დღეისათვის, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება ენერგოეფექტური და მწვანე ენერჯის პროექტების დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) თანამშრომლობით ადგილობრივ ფინანსურ

ინსტიტუტებთან (თიბისი, პროკრედიტი და ბაზის ბანკი), რომელთა საშუალებით მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით გაიცემა ენერგოკრედიტები (57,75 მილიონ აშშ დოლარის ოდენობით)⁸ ასევე, დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი მცირე გრანტების ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე მწვანე ენერჯისა და ენერგოეფექტური ღონისძიებების წინადადებებიდან მოხდება საუკეთესოს გამოვლენა და დაფინანსება.

საქართველოში ბოლო წლებში ნეტო აღრიცხვაში ჩართვის მსურველთა რაოდენობა იზრდება მწვანე ენერჯის (განსაკუთრებით მზის ენერჯის) მიმართ მომატებული ინტერესისა და კომუნალური ხარჯების დაზოგვის, ასევე ჭარბ ენერგაზე გამანაწილებელი კომპანიისგან სარგებლის მიღების მიზნით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2026 წელს ენერგეტიკის რეგულირების მსოფლიო ფორუმს საქართველო უმასპინძლებს. ფორუმის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო იქნება.

გინტერნეტ-რესურსი

1. <https://www.marketer.ge/artificial-sun-china/>
2. [.https://energynews.wordpress.com/2018/11/02/ნორვეგია-ჰიდროელექტროს/](https://energynews.wordpress.com/2018/11/02/ნორვეგია-ჰიდროელექტროს/)
3. [3https://www.greda.ge/post/გასულ-კვირას-დანიაში-ქარის-ელექტროსადგურების-გამომუშავებამ-ისტორიულ-მაქსიმუმს-მიაღწია/](https://www.greda.ge/post/გასულ-კვირას-დანიაში-ქარის-ელექტროსადგურების-გამომუშავებამ-ისტორიულ-მაქსიმუმს-მიაღწია/)
4. <https://www.greda.ge/post/5მიზეზი-თუ-რატომ-არის-მზის-ენერჯის-გამოყენება-საუკეთესო-გადაწყვეტილება>
5. <https://www.commersant.ge/news/arias-blogi/mtsvane-energia-gza-mdgradi-momavlisken>
6. <http://geostat.ge>
7. <https://geo.org.ge/wp-content/uploads/2023/05/Green-Energy-and-RE-Technologies-Catalogue-1.pdf>
8. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/786/sakartvelos-energetikuli-balansi-2021>
9. <https://www.greda.ge/general-8>

ფინანსური რისკების მენეჯმენტი დაზღვევის დროს

ქეთევან კოკაია -
ასისტენტ პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ფინანსური რისკის მენეჯმენტის განხორციელებისას მზღვეველი ყურადღებას აქცევს სამართლებრივ ასპექტს. სამართლებრივი უზრუნველყოფა მოიცავს იმ კანონების და აქტების დამუშავებას, რომლებიც ამცირებს რისკს. აქტებში განიხილება საკითხი, თუ როდის და როგორ პირობებშია რისკი გამართლებული და მიზანშეწონილი. ფინანსური რისკის მენეჯმენტის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული გუნდის მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. ზოგადი კანონზომიერება, რომელიც გამონათავს ამ პროცესის არსს, შემდეგში მდგომარეობს: რაც უფრო ნაკლებია ადამიანის ჩართულობა მოვლენებში და რაც უფრო ნაკლები იცის მან თავისი გადაწყვეტილებების შედეგების შესახებ, მით უფრო მეტი გადაწყვეტილება შეუძლია მას მიიღოს უაროფიტი შედეგების რისკით.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური რისკები, დაზღვევა, რისკის შეფასება

FINANCIAL RISK MANAGEMENT DURING INSURANCE

Keteven Kokaia –
Assistant professor of
Sokhumi State University

Abstract

In the implementation of financial risk management, the insurer pays attention to the legal aspect. Legal provision includes the development of laws and acts that reduce risk. The effectiveness of financial risk management depends greatly on collective participation in decision-making. The general law of moderation, which expresses the essence of this process, is as follows: the less a person is involved in events and the less he knows about the more negative decisions, the more decisions he can make at the risk of consequences.

Key Words: Financial risks, Insurance, Risk Assessment

რეპროდუქციის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები ქმნიდნენ ობიექტურ პირობებს შემთხვევითი ხასიათის მქონე ნეგატიური შედეგების გამოსავლენად. სადაზღვევო დაცვის ეკონომიკური კატეგორიას გააჩნია სამეცნიერო ბაზა. მიუხედავად სტიქიური უბედურების და დამანგრეველი მოვლენის შემთხვევითი ხასიათისა, შეიქმნა ამ მოვლენათა მეცნიერულად წინასწარი განსაზღვრის საშუალება. შესაძლებელი გახდა მოსალოდნელი ზარალის დასაშვები სიდიდის განსაზღვრა ნატურალურ და ფულად ფორმაში. მეცნიერული პროგნოზირების წყალობით მზღვეველს შეეძლო სადაზღვევო რისკის დადგომის არასასურველი შედეგების გამაფრთხილებელი ღონიძიებების გაცნობიერებულად რეალიზება. დამზღვევის მიერ მიღებული პრევენციის ზომები (ანუ მომავალში შესაძლო ზარალის პროგნოზირება), აძლევს მას სადაზღვევო ფონდის

რესურსების პროგნოზირების საშუალებას, ასევე გამოიყენოს ის ინვესტიციის წყაროდ. დაზღვევა გადაიქცა საზოგადოებრივი წარმოების და სადაზღვევო ფონდის ორგანიზაციის დაცვის ერთ-ერთ კონკრეტულ ფორმად.

დანაკარგების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო ფონდიდან, რომელიც არის სადაზღვევო ორგანიზაციის (მზღვეველის) მფლობელობაში. დაზღვევის ობიექტური მოთხოვნილება განპირობებულია იმით, რომ დანაკარგები წარმოიქმნება ადამიანის კონტროლს დაუქვემდებარებელი დამანგრეველი (სტიქიური ან ბუნებრივი) ფაქტორების შედეგად და ყოველ შემთხვევაში არ იწვევს ვინმეს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამგვარ სიტუაციაში შეუძლებელი ხდება დანაკარგის ამოღება ვისგანაც არ უნდა იყოს და ისინი „ილექება“ თვით დაზარალებულის ქონებრივ სფეროში. წინასწარ შექმნილი სადაზღვევო ფონდი შეიძლება გახდეს ზარალის ანაზღაურების წყარო. დაზღვევა მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მზღვეველის და დამზღვევის უფლებრივი ურთიერთობებით გათვალისწინებული სადაზღვევო მოვლენები (რისკები) იწვევს ფულის მნიშვნელოვან მოთხოვნას. ასე, მაგალითად, ფიზიკურ პირს, რომელსაც წარმოეშვება ეს მოთხოვნა, როგორც წესი არ შეუძლია დაფაროს ის თავისი საკუთარი სახსრებით.

დაზღვევის ხელშეკრულებით დამაგრებული, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება, სათავეს იღებს შუა საუკუნეებიდან. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საერთაშორისო ვაჭრობა. მეწარმებს დასჭირდათ მსხვილი კაპიტალი ახლად გახსნილი შესაძლებლობების გამოსაყენებლად. თავისი განვითარების ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში დაზღვევამ განიცადა არსებითი ცვლილებები და ამჟამად ვრცელდება მრავალ მოვლენაზე, როდესაც დანაკარგების დადგომა დაკავშირებულია სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. ასეთ შემთხვევებში დაზღვევა ემსახურება დაზარალებულს, მისი ქონებრივი ინტერესების გარანტიას. შემდგომში ქონებრივი დაზღვევის გვერდით, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური ქონების დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურებას, წარმოიქმნა პირადი დაზღვევა, რომელიც იძლევა გარკვეული თანხის გადახდის გარანტიას გარდაცვალების, დაზიანების, ავადმყოფობის დადგომის შემთხვევებში.

დაზვევა და მეწარმეობა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. მეწარმეობისთვის დამახასიათებელია საორგანიზაციო-სამეურნეო ნოვატორობა, რესურსების ახალი, უფრო მეტად ეფექტურად გამოყენების მეთოდების ძიება, რისკზე წასვლის მოქნილობა, რისკისთვის მზადყოფნა.

ამასთან წარმოიქმნება გარევეული სადაზღვევო ინტერესები, რომელიც განპირობებულია სამეწარმეო საქმიანობით. ეს სადაზღვევო ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია სადაზღვევო ხელშეკრულებაში, აძლევენ ორიენტაციას მეწარმეებს განვითარების პერსპექტივას, კაპიტალის ძიების ახალ ფორმას.

საბაზრო ეკონომიკაში გადასვლა უზრუნველყოფს დაზვევის როლის ზრდას საზოგადოებაში, მნიშვნელოვნად აფართოებს სადაზღვევო მომსახურების სფეროს და ანვითარებს სახელმწიფო დაზვევის ალტერნატივას.

საბაზრო ურთიერთობების განვითარება, როცა საქონლის მწარმოებელი იწყებს საქმიანობას თავისი რისკებით და საკუთარი გეგმებით და ამაზე იღებს პასუხისმგებლობას, ზრდის დაზღვევის როლს და მნიშვნელობას. ამასთან, დაზღვევა არის ტრადიციულ მნიშვნელობასთან ერთად ბუნებრივი კატასტროფებისგან (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი და ა. შ.), შემთხვევითი ტექნიკური და

ტექნოლოგიური ხასიათის (ხანძარი, ავარიები, აფეთქებები და ა. შ.) მოვლენებისაგან დაცვის უზრუნველყოფა. დაზვევა ყველა შემთხვევაში იწყებს დაცვის უზრუნველყოფას კრიმინოგენური მოვლენებისგან (დაყაჩაღება, ქურდობა, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება და სხვ.) სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციები და საწარმოები ხდებიან რა დამზღვევები, უჩნდებათ მოთხოვნილება არამარტო ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწვეულია ძირითადი ფონდების დაზიანებით ან განადგურებით, არამედ ეკონომიკური რისკების კომპენსირებაზეც.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფარდება, დაზღვევის სარისკო, გამაფრთხილებელი და დამგროვებელი პირობების ერთობლიობა, საბანკო პროცენტის დონე სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით, ფასების ტენდენციების აღრიცხვა და ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ხდება სადაზღვევო პოლიტიკის საგანი. თანდათანობით ყალიბდება სადაზღვევო ბაზარი. პრიორიტეტი ენიჭება დაზღვევის ნებაყოფლობით სახეობას, თუმცა გარკვეულ სფეროებში რჩება ან შემოდის სავალდებულო დაზღვევა (მაგ. სამედიცინო, სამხედრო მოსამსახურეთა ან უბედური შემთხვევების დაზღვევა და ა. შ.).

საბაზრო ეკონომიკაში დაზღვევა ერთის მხრივ, არის ბიზნესის და ადამიანთა კეთილდღეობის დაცვის საშუალება, ხოლო მეორეს მხრივ ეს არის შემოსავლის მომტანი საქმიანობა. სადაზღვევო ორგანიზაციის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სადაზღვევო საქმიანობისაგან შემოსავალი, დროებით თავისუფალი საშუალებების ინვესტიციები საწარმოო ობიექტებზე და არასამეწარმეო სფეროში, საწარმოს აქციები, საბანკო დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და ა. შ.

დაზღვევა არის სამეწარმეო აქტიურობის სტიმულირების მნიშვნელოვანი ფაქტორი და ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფა, ის ხელს უწყობს შრომის პროდუქტიულობას და საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

სადაზღვევო რისკს წარმოადგენს მოვლენა, რომლის დადგომის დროს ხდება დაზღვევა, ანუ რისკი წარმოადგენს დაზღვევის ობიექტს. მოვლენა განიხილება სადაზღვევო რისკის სახით, უნდა ჰქონდეს მისი დადგომის ალბათობის და შემთხვევითობის ნიშნები.

სადაზღვევო რისკი განხილულ უნდა იქნას რამდენიმე ასპექტში:

- როგორც კონკრეტული ან ერთობლივი მოვლენა, რომლის დადგომის დროს ხდება გადახდა ადრე შექმნილი სადაზღვევო ფონდიდან ნატურალურ–საგნობრივი ან ფულადი თანხით;

- კონკრეტულ დაზღვეულ ობიექტთან დაკავშირებით მოვლენა ან მოვლენათა ერთობლიობა არ განიხილება აბსტრაქტულად, ისინი თავისთავად მიეკუთვნება სადაზღვევოდ მიღებულ ობიექტს, სადაც ხდება რისკის რეალიზაცია. ნებისმიერ რისკს აქვს კონკრეტული ობიექტი. ჩვენს ცნობიერებაში რისკი დაკავშირებულია ამ ობიექტთან, შეისწავლება რისკის ფაქტორები. მიღებული ინფორმაციის ანალიზი სხვა ზომებთან ერთად კომპლექსურად იძლევა რისკის განხორციელების უარყოფითი შედეგების არსებითად შემცირების ან თავიდან აცილების საშუალებას.

- რისკი დაკავშირებულია მოცემული სადაზღვევო ობიექტის განადგურების ან დაზიანების ალბათობასთან. ნებისმიერი ალბათობა შეიძლება გამოისახოს მთელი რიცხვით. ნულის ტოლი ალბათობისას შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შეუძლებელია მოცემული მოვლენის დადგომა. ერთის ტოლი ალბათობისას კი არსებობს 100% –იანი ალბათობა იმისა, რომ მოვლენა მოხდება. რაც უფრო ნაკლებია რისკის ალბათობა, მით

უფრო ადვილად და იაფად შეიძლება მისი დაზღვევის ორგანიზება. რისკის მნიშვნელოვანი ალბათობა ითვალისწინებს ძვირადღირებულ სადაზღვევო დაცვას, რაც ართულებს მის შესრულებას.

დაზღვევას ახასიათებს ობიექტური და სუბიექტური ალბათობა ობიექტურ ალბათობას ასახავს კანონები, რომლებიც გააჩნიათ მოვლენებს და საგნებს ობიექტურ რეალობაში. სუბიექტური ალბათობა გამოხატავს შემთხვევითობას, რომელიც იგნორირებას უწევს სინამდვილისკენ ობიექტურ მიდგომას, არ უარყოფს და არ ითვალისწინებს ბუნების და საზოგადოების ობიექტურ კანონებს.

გარდა ამისა, რისკი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ლოგიკურ ალბათობითაც, რომელიც აგებულია ბუნების და საზოგადოების ობიექტურ კანონებზე ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის სინთეზის და ჰიპოთეზის მეთოდებით.

რისკის შეფასებისთვის სადაზღვევო პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები.

ინდივიდუალური შეფასების მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ რისკების მიმართ, რომელთა შედარება შეუძლებელია საშუალო ტიპის რისკთან. მზღვეველი აკეთებს უნებლიე შეფასებას მისი პროფესიული გამოცდილებით და სუბიექტური შეხედულებით. სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მსხვილმასშტაბიანი ობიექტების შექმნა ტექნოლოგიების მაღალი მდგომარეობით და უნიკალურობით სულ უფრო აუცილებელს ხდის ამ მეთოდის გამოყენებას სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას.

საშუალო სიდიდის მეთოდებისთვის დამახასიათებელია ცალკეული სარისკო ჯგუფების დაყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. ამასთან იქმნება ანალიტიკური ბაზა რისკის ნიშნების ზომების გამოსავლენად (მაგ. დაზღვევის ობიექტის საბალანსო ღირებულება, ჯამური სიმძლავრეები ტექნოლოგიური ციკლის სახეობა და ა. შ.).

პროცენტების მეთოდი წარმოადგენს არსებულ ანალიტიკურ ბაზაზე ფასდაკლების და ფასნამატის ერთობლიობას, რომელიც დამოკიდებულია საშუალო რისკის ტიპისაგან შესაძლო დადებით და უარყოფით გადახრებზე. გამოყენებული ფასდაკლება და ფასნამატი გამოისახება პროცენტებში საშუალო რისკის ტიპისაგან.

მზღვეველისთვის ერთ-ერთ ძნელ ამოცანას წარმოადგენს რისკის განვითარებაში პროგნოზირებული ტენდენციების სატარიფო პოლიტიკის შესაბამისობის მხარდაჭერა. მოცემულ სადაზღვევო ერთობლიობაში რისკის განვითარების შესაფასებლად მნიშვნელოვანია სწორი ინფორმაციის მიღება. რისკის სტატისტიკის არასწორი ორგანიზაცია იწვევს უზუსტობას და შეცდომებს შეფასებაში. საკმარისია ობიექტთა დიდი ჯგუფი, რომელზეც ხდებოდა ხანგრძლივი დაკვირვება, რაც იძლევა ზარალის ალბათობის დადგენის საშუალებას.

რისკის შეფასებისას გამოიყოფა შემდეგი მისი სახეები:

- რისკები, რომელთა დაზღვევა შესაძლებელია;
- რისკები, რომელთა დაზღვევა შეუძლებელია;
- ხელსაყრელი და არახელსაყრელი რისკები;
- მზღვეველის ტექნიკური რისკი.

ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას იძლევა ჩაითვალოს რისკი სადაზღვევოდ:

- რისკი, რომელიც ჩაითვლება მზღვეველის პასუხისმგებლობაში;
- რისკს უნდა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი. ობიექტი, რომლის მიმართაც წარმოიქმნება სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობა ხასიათდება არამდგრადი,

დროებითი კავშირით და არ უნდა დაექვემდებაროს საფრთხეს, რომელიც წინასწარ ცნობილია მზღვეველისთვის ან სადაზღვევო ობიექტის მფლობელისთვის. ამასთან სადაზღვევო ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარისთვის წინასწარ უცნობია სადაზღვევო შემთხვევის დრო და მიყენებული ზარალის ზომები.

- მოცემული რისკის წარმოქმნის შემთხვევითობა უნდა მიეკუთვნოს ერთგვაროვან ობიექტთა მასას. ამ მიზნით ხდება შესაბამისი სტატისტიკური დაკვირვება, რომლის მონაცემთა ანალიზი იძლევა საშუალებას მოხდეს სადაზღვევო პრემიის პროგნოზირება.

- სადაზღვევო შემთხვევის დადგომა, რომელიც გამოისახება რისკის რეალიზებაში, არ უნდა იყოს დაკავშირებული დამზღვევის ნებასთან. არ შეიძლება დამზღვევის მიერ განზრახვასთან დაკავშირებული რისკების მიღება სადაზღვევოდ (სპეკულაციური რისკები).

- სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტი უცნობია დროსა და სივრცეში.

- სადაზღვევო შემთხვევას არ უნდა გააჩნდეს კატასტროფული უბედურების ზომები, ანუ არ უნდა მოიცავდეს ობიექტთა მასას მსხვილი სადაზღვევო ერთობლიობის ფარგლებში, მასიური ზარალის მიყენებით.

- რისკის რეალიზაციის მავნე შედეგები საჭიროა გაიზომოს და შეფასდეს ობიექტურად. მავნე შედეგების მასშტაბები უნდა იყოს საკმაოდ მსხვილი და შეეხოს დამზღვევის ინტერესებს (სადაზღვევო ინტერესები).

მზღვეველის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტური და სუბიექტური რისკების განსაზღვრას. ობიექტური რისკები გამოხატავს ბუნების ძალების და სხვა შემთხვევების მავნე ზემოქმედებას სადაზღვევო ობიექტზე, ობიექტური რისკები არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებასა და გონებაზე. სუბიექტური რისკები ეფუძნება სინამდვილისადმი ობიექტური მიდგომის უარყოფასა და იგნორირებას. ისინი დაკავშირებულია გარესამყაროს არასაკმარისად აღქმასთან და დამოკიდებულია ადამიანის ნებასა და შეგნებაზე.

ეკოლოგიური რისკები დაკავშირებულია გარესამყაროს დაჭუჭყიანებასთან და განპირობებულია ადამიანის საქმიანობით მატერიალური კეთილდღეობისათვის. ეს რისკები არ შედის მზღვეველის პასუხისმგებლობაში. ამასთან ერთად გარკვეულმა სადაზღვევო ინტერესებმა გამოიწვია დამოუკიდებელი სადაზღვევო სახეობის შექმნა, რომელიც უპასუხებს ამ ინტერესებს.

სატრანსპორტო რისკები იყოფა კასკო და კარგოს რისკებად. კასკოს რისკები ითვალისწინებს საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და ავტომობილების მოძრაობის, სადგომის და რემონტის რისკებს. კარგოს რისკები ითვალისწინებს ტვირთების გადაზიდვების საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების დაზღვევას.

პოლიტიკური რისკები დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის მართლ-საწინააღმდეგო ქმედებებთან უცხო ქვეყნის მთავრობის აქციებს და ღონისძიებებს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან მისი მოქალაქეების მიმართ.

სპეციალური რისკები ითვალისწინებს განსაკუთრებულად ფასიანი ტვირთების გადაზიდვებს, მაგ. ძვირფასი ლითონების, ხელოვნების ნიმუშების, ნაღდი ფულის. სპეციალური რისკების შინაარსი შეთანხმებულია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებში.

სადაზღვევო კომპანია არ არის დაინტერესებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში. ამიტომაც მზღვეველები აქტიურად ატარებენ რისკის მინიმალიზაციის ღონისძიებებს. რისკები შეზღუდვის და მინიმალიზაციისთვის მიზანდასახულ ქმედებებს ეწოდება რისკების მართვა. რისკების მართვის გამოყენების კონცეფციული მიდგომა

დაზღვევის სფეროში მოიცავს სამ პოზიციას: რისკის სიტუაციაში ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის შედეგების გამოვლენა; ამ საქმიანობის შესაძლო უარყოფით შედეგებზე რეაგირების უნარი; იმ ღონისძიებათა დამუშავება და განხორციელება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია შესაძლო ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზება ან კომპენსირება.

დაზღვევაში ფინანსური რისკების მენეჯმენტი ხორციელდება ორ ეტაპად: მოსამზადებელი, რომელიც ითვალისწინებს ანალიზის და შეფასების შედეგად მიღებული რისკის მახასიათებლების და ალბათობის შედარებას. ამ ეტაპზე გამოვლინდება ალტერნატივები, რომლებშიც რისკის სიდიდე სოციალურად მისაღებია. დგინდება პრიორიტეტები, ანუ გამოიყოფა იმ პრობლემების წრე, რომლებიც საჭიროებენ ყურადღებას პირველ რიგში. ყალიბდება ალტერნატივის ასეთი პრინციპი: რისკი მისაღებია მთლიანად, ნაწილობრივ ან არ არის საერთოდ მისაღები.

კონკრეტული ზომების არჩევანი რომლებიც იწვევს რისკის შესაძლო უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას და მინიმიზაციას. ეს ეტაპი მოიცავს გაფრთხილებითი ხასიათის ორგანიზაციული და ოპერაციული პროცედურების დამუშავებას. მზღვეველისთვის ეს ეტაპი შეიძლება მოიცავდეს პირებისთვის კონკრეტულ რეკომენდაციებს.

პროცედურების და ღონისძიებების ერთ-ერთი ვარიანტი არის სპეციალურად დამუშავებული სიტუაციური გეგმა, რომელიც შეიცავს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რა გააკეთოს თითოეულმა ადამიანმა ამა თუ იმ სიტუაციაში და ასევე მოსალოდნელი შედეგების აღწერას. სიტუაციურ გეგმაზე დაყრდნობით პირებს საშუალება ეძლევათ იმოქმედონ არასასურველ პირობებში და ხდებიან უფრო მომზადებულები მოულოდნელ სიტუაციებში. ამგვარად სიტუაციური გეგმები ემსახურება გაუკრვევლობის შემცირებას და დადებით გავლენას ახდენს სუბიექტების ქმედებებზე რისკის პირობებში.

ფინანსური რისკის მენეჯმენტის განხორციელებისას მზღვეველი ყურადღებას აქცევს სამართლებრივ ასპექტს. სამართლებრივი უზრუნველყოფა მოიცავს იმ კანონების და აქტების დამუშავებას, რომლებიც ამცირებს რისკს. აქტებში განიხილება საკითხი, თუ როდის და როგორ პირობებშია რისკი გამართლებული და მიზანშეწონილი.

ფინანსური რისკის მენეჯმენტის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული კოლექტივის მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. ზოგადი კანონზომიერება, რომელიც გამოხატავს ამ პროცესის არსს, შემდეგში მდგომარეობს: რაც უფრო ნაკლებია ადამიანის ჩართულობა მოვლენებში და რაც უფრო ნაკლები იცის მან თავისი გადაწყვეტილებების შედეგების შესახებ, მით უფრო მეტი გადაწყვეტილება შეუძლია მას მიიღოს უარყოფითი შედეგების რისკით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cummins, J.D., Phillips, R.D., Smith, S.D. (2000). Financial Risk Management in the Insurance Industry. In: Dionne, G. (eds) Handbook of Insurance. Huebner International Series on Risk, Insurance, and Economic Security, vol 22. Springer, Dordrecht. https://doi.org/10.1007/978-94-010-0642-2_17
2. Martin Eling, Omid Ghavibazoo, Katja Hanewald (2021) Willingness to take financial risks and insurance holdings: A European survey, Journal of Behavioral and Experimental Economics, Volume 95, 2021, <https://doi.org/10.1016/j.socec.2021.101781>.
3. IMF Survey : Insurance Sector Contributes More Risk to Financial System since Crisis <https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sopol040416a>
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

ISBN 978-9941-33-763-5
DOI 10.52340/9789941337635



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბროკისაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com